

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სოციოლოგიის სადოქტორო პროგრამა

თამარ ხოშტარია

ახალგაზრდების ღირებულებები და მათი განსხვავება უფროსი
თაობების ღირებულებებისგან საქართველოში

სოციოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი იაგო კაჭკაჭიშვილი



თბილისი
2019

აბსტრაქტი

მოცემული სადისერტაციო ნაშრომი იკვლევს 18-დან 25 წლის ჩათვლით ახალგაზრდების ღირებულებებს და ნახულობს მსგავსებებს და განსხვავებებს ამ ასაკზე უფროს თაობების ღირებულებებთან. ნაშრომი დიდწილად ეფუძნება შელომ შვარცის (Shalom H. Schwartz, 2012) ღირებულებათა თეორიას, რომელიც ოთხ მთავარ ღირებულებით კატეგორიასა (higher-order values) და მათში შემავალ ათ ძირითად ღირებულებებზეა (basic values) აგებული. ღირებულებების გასაზომად, შვარცი იყენებს მეთოდოლოგიას, რომლის დროსაც ადამიანები „პორტრეტების ღირებულებათა კითხვარის“ (Portrait Values Questionnaire - PVQ) მეშვეობით აფასებენ ღირებულებების მატარებელ მოკლე ვერბალურ ტექსტებს. მოცემულ დისერტაციაში წარმოდგენილია ამ მოკლე ვერბალური ტექსტების შეფასების როგორც რაოდენობრილი ანალიზი მსოფლიო ღირებულების კვლევიდან (World Values Survey - WVS), ისე თვისებრივი ანალიზი ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუებიდან, სადაც რესპონდენტებს სიღრმისეულად უნდა ესაუბრათ შვარცის ვერბალურ ტექსტებზე.

შვარცის ღირებულებათა თეორიის გარდა, სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილია რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების ანალიზი საზოგადოებაში არსებული განსხვავებული ჯგუფების/უმცირესობების მიმართ დამოკიდებულებისა და ტოლერანტობის შესახებ. ნაშრომში, ასევე, მოყვანილია მსოფლიო ღირებულების კვლევის მონაცემები, რომლებიც ადამიანის ღირებულებებთან მჭიდრო კავშირშია და მის კონტექსტს ქმნის: აღქმები და წარმოდგენები საკუთარი თავის, ცხოვრების და ადამიანისთვის მნიშვნელოვანი საკითხებისა და თვისებების შესახებ, ისევე, როგორც დამოკიდებულება საკუთარი საზოგადოების და ქვეყანაში მიმდინარე საკითხების მიმართ.

კვლევის შედეგები წარმოდგენილია ასაკობრივ ჭრილში და ერთმანეთს შედარებულია 18-25 წლის და მათზე უფროსი ასაკობრივი ჯგუფები/თაობები. რაოდენობრივი მონაცემების ფარგლებში გამოყენებულია როგორც კორელაციური ანალიზი, ისე ძირითად კომპონენტთა ანალიზის (PCA) მეთოდი, რომელიც შვარცის ღირებულებების მატარებელ ცვლადების დასაჯგუფებლად გაკეთდა.

კვლევის შედეგებში წარმოდგენილია, როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი მონაცემები, რომლებიც თანხვედრაშია ერთმანეთთან. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ როგორც 18-დან 25 წლის ჩათვლით ახალგაზრდებისთვის, ისე მათზე უფროსი თაობებისთვის ყველაზე ღირებულია შვარცის მთავარ ღირებულებითი კატეგორია „საკუთარი თავის გადალახვის/სხვაზე ორიენტაცია“ (Self-Transcendence) და მასში შემავალი ძირითადი ღირებულებები „უნივერსალიზმი“ (Universalism) და „კეთილმოსურნეობა“ (Benevolence). ასევე, საქართველოში ყველა ასაკობრივი ჯგუფისთვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა შვარცის „კონსერვატიზმის“ (Conservation) კატეგორია და მასში შემავალი ძირითადი ღირებულებები „უსაფრთხოება“ (Security), „კონფორმულობა“ (Conformity) და „ტრადიცია“ (Tradition). თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 18-25 წლის ახალგაზრდებთან შედარებით, ამ ღირებულებებს უფრო დიდ მნიშვნელობას უფროსი თაობები ანიჭებენ.

აღნიშნულ მთავარ ღირებულებით კატეგორიებთან შედარებით, ნაკლებად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა შვარცის კატეგორიები „მზაობა და ღიაობა ცვლილებებისთვის“ (Openness to Change) და მასში შემავალი „თვითორიენტაციის“ (Self-Direction), „სტიმულაციისა“ (Stimulation) და „ჰედონიზმის“ (Hedonism) ძირითადი ღირებულებები, ისევე, როგორც შვარცის მთავარ ღირებულებითი კატეგორია „თვით-გაუმჯობესება/საკუთარ თავზე ორიენტაცია“ (Self-Enhancement) და მასში შემავალი „მიღწევის“ (Achievement) და „ძალაუფლების“ (Power) ძირითადი ღირებულებები. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ კატეგორიებში შემავალი ძირითადი ღირებულებები შედარებით უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა 18-25 წლის ახალგაზრდებისთვის, ვიდრე მათზე უფროსი ასაკობრივი ჯგუფებისთვის.

რაც შეეხება ტოლერანტობას საქართველოში, 18-25 წლის ახალგაზრდები უფრო ტოლერანტები არიან უმცირესობების მიმართ, ვიდრე უფროსი ჯგუფები. თუმცა, რესპონდენტების საკმაოდ დიდი ნაწილი, როგორც ახალგაზრდებში, ისე უფროს თაობებში, ტოლერანტული აღმოჩნდა როგორც სხვა რელიგიის და ეროვნების, ისე სხვა რასის ადამიანების მიმართ. გამონაკლისს წარმოადგენენ განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის ადამიანები, რომელთა მიმართაც, როგორც წესი, უარყოფითი დამოკიდებულება ვლინდება ყველა ასაკობრივ ჯგუფში. მეორე მხრივ,

განსაკუთრებულად ტოლერანტული დამოკიდებულება გამოვლინდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მიმართ.

რაც შეეხება აღქმებს და წარმოდგენებს საკუთარი თავის, ცხოვრების და უნარ-ჩვევების შესახებ, ახალგაზრდები, უფროს თაობებთან შედარებით, უფრო დადებითად აღიქვამენ როგორც საკუთარ ჯანმრთელობის მდგომარეობას, ისე ცხოვრებას. ახალგაზრდები უფრო ხშირად ფიქრობენ ცხოვრების მნიშვნელობასა და მიზნებზე და უფრო კმაყოფილები არიან საკუთარი ცხოვრებით.

და ბოლოს, რაც შეეხება საკუთარი საზოგადოებისა და ქვეყანაში მიმდინარე საკითხების მიმართ დამოკიდებულებას, საქართველოში, უფროს თაობებთან შედარებით, ახალგაზრდები ნაკლებად არიან დაინტერესებულნი პოლიტიკით, თუმცა, ყველა ასაკის ადამიანთა უმრავლესობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ისეთ ქვეყანაში ცხოვრობდეს, რომელშიც დემოკრატიული მმართველობის სისტემაა.

საკვანძო სიტყვები: ახალგაზრდები, ღირებულებები, თაობები, ტოლერანტობა

Abstract

This doctoral thesis explores the values of young people aged 18 to 25 and looks at how these are similar to or different from the values of older generations in Georgia. The work is largely based on Shalom H. Schwartz's (2012) theory of values which is built on four higher-order value categories and ten basic values. In order to measure values, Schwartz uses the Portrait Values Questionnaire (PVQ), made up of short verbal portraits that describe a person's basic value. This doctoral thesis presents quantitative data analysis of Schwartz's verbal portraits from the World Values Survey (WVS) as well as qualitative data analysis of semi-structured interviews, during which respondents discussed these verbal portraits in-depth.

In addition to Schwartz's theory of basic values, this dissertation presents quantitative and qualitative data analysis of attitudes and the level of tolerance towards minority groups. The doctoral thesis presents findings from the WVS that are closely linked to a person's value system and create its context. These are perceptions of one's personality, life and characteristics, as well as attitudes towards the society and ongoing events in the country.

The research findings are presented in regard to age groups and young people aged 18-25 are compared to older age cohorts. When looking at different variables/values by age groups, correlation analysis is used. In addition, Principal Components Analysis is used to group Schwartz's basic values.

Quantitative and qualitative data findings are consistent with each other and show that Schwartz's higher-order value Self-Transcendence and its basic values of Universalism and Benevolence are most valued by young people aged 18-25 as well as by older generations. Similarly, all age groups in Georgia value Schwartz's higher-order category Conservation and its basic values Security, Conformity and Tradition. However, compared to the young generation, older age cohort put an even greater emphasis on these values.

Compared to the above noted higher-order categories, Openness to Change and its basic values of Self-direction, Stimulation and Hedonism appeared to be less important for Georgians of all age groups. Similarly, Georgians value Schwartz's higher-order category Self-Enhancement and its basic categories Achievement and Power to a lesser extent. However, the latter values are slightly more valued by younger generations aged 18-25 than by older age groups. As for the level of tolerance, young people are more open towards minority groups, with the exception of homosexuals, towards whom all age groups are intolerant. On the other hand, people in Georgia have surprisingly tolerant attitudes towards people with disabilities.

Regarding perceptions of one's own personality, life, and skills, young people perceive their lives and health more positively than older generations. They also think about the meaning of life and their goals more frequently and are more satisfied with their lives. As for perceptions of ongoing events, young people are less likely to be interested in politics, however, it is very important for all age groups in Georgia to live in a democratic state.

Key words: Youth, Values, Generations, Tolerance

სარჩევი

აბსტრაქტი.....	i
Abstract	iii
ცხრილების ჩამონათვალი	vii
დიაგრამების ჩამონათვალი.....	x
აბრევიატურების ჩამონათვალი.....	xi
1. შესავალი	1
2. კვლევის მეთოდოლოგია	4
2.1. კვლევის მიზანი და ამოცანები	4
2.2. რაოდენობრივი და თვისებრივი კომპონენტები	11
2.2.1. რაოდენობრივი კომპონენტი.....	12
2.2.2. თვისებრივი კომპონენტი.....	16
2.3. კვლევის შეზღუდვები.....	23
3. სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა	24
3.1. ლიტერატურის მიმოხილვა ახალგაზრდებზე.....	24
3.2. ლიტერატურის მიმოხილვა ღირებულებებზე და შვარცის მოდელი	31
3.3. საქართველოში ჩატარებული კვლევები ახალგაზრდებისა და ღირებულებების შესახებ.....	39
4. კვლევის შედეგები.....	45
4.1. სტატისტიკური მონაცემები	45
4.2. ნაწილი 1 - ზოგადი წარმოდგენები და ღირებულებები.....	46
4.2.1. აღქმები ბედნიერების, ჯანმრთელობისა და ცხოვრების შესახებ	47
4.2.2. რა არ არის გამართლებული საქართველოში	53
4.2.3. ყვეყანაში მიმდინარე მოვლენები, პოლიტიკა და დემოკრატია	55
4.2.4. ნდობა.....	62
4.3. ნაწილი 2 - შალომ შვარცის ძირითადი ღირებულებები.....	64
4.3.1. მზაობა და ღიაობა ცვლილებებისთვის.....	65
4.3.2. თვითგაუმჯობესება/საკუთარ თავზე ორიენტაცია	75
4.3.3. კონსერვატიზმი.....	83

4.3.4.	საკუთარი თავის გადალახვა/სხვაზე ორიენტაცია.....	99
4.3.5.	შეჯამება და ძირითად კომპონენტთა ანალიზი (PCA).....	107
4.4.	ნაწილი 3 - ჩვენ და ისინი (ტოლერანტობა).....	111
4.4.1.	ეროვნული იდენტიფიცირება და ქართული საზოგადოების დადებითი და უარყოფითი მხარეები.....	112
4.4.2.	გენდერული საკითხები.....	118
4.4.3.	რელიგიურობა და რელიგიური ტოლერანტობა.....	124
4.4.4.	დამოკიდებულება მეზობელი უმცირესობების მიმართ.....	129
5.	დასკვნები და დისკუსია.....	143
	ბიბლიოგრაფია	154
	დანართები.....	161
	დანართი 1: დისერტაციაში გამოყენებული კორელაციები.....	161
	დანართი 2: სიღრმისეული ინტერვიუს გზამკვლევი.....	167
	დანართი 3: თვისებრივი მონაცემების კოდირების სქემა NVivo პროგრამაში	173

ცხრილების ჩამონათვალი

ცხრილი 1. კვლევის ამოცანები და მათი გაზომვის სქემა	7
ცხრილი 2. (აჩვენეთ ბარათი L) „ახლა მოკლედ აღვწერ ადამიანებს. ამ ბარათის გამოყენებით განსაზღვრეთ თითოეულის შესახებ ეს პიროვნება ძალიან გგავთ თქვენ, გგავთ, ასე თუ ისე გგავთ, უმნიშვნელოდ გგავთ, არ გგავთ თუ სრულიად არ გგავთ თქვენ?“ [თითოეულ გამონათქვამზე მხოლოდ ერთი პასუხი]:.....	13
ცხრილი 3. (აჩვენეთ ბარათი D) „მოცემულია სხვადასხვა კატეგორიის ხალხის ჯგუფების ჩამონათვალი. ხომ არ გამოარჩევდით რომელიმე კატეგორიას, რომელსაც არ ისურვებდით, რომ თქვენი მეზობელი იყოს?“ [თითოეულ სტრიქონზე აღნიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი]:.....	15
ცხრილი 4. 2016 წლის ნოემბერსა და დეკემბერში ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუები ახალგაზრდებთან და მათი ოჯახების უფროს წევრებთან.....	16
ცხრილი 5. MYPLACE-ის პროექტის ფარგლებში 2012 წლის ნოემბერ-დეკემბერში და 2013 წლის იანვარში ჩატარებული ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები ახალგაზრდებთან.	20
ცხრილი 6. „საერთო ჯამში, შეგიძლიათ თუ არა თქვან, რომ თქვენ ხართ...“ (%), მსოფლიო ღირებულებების კვლევა, მეექვსე ტალღა, 2014 წელი, საქართველო	47
ცხრილი 7. „როგორ შეაფასებდით თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობას ამ დღეებში? შეგიძლიათ თუ არა თქვან, რომ ის არის...“ (%), მსოფლიო ღირებულებების კვლევა, მეექვსე ტალღა, 2014 წელი, საქართველო	48
ცხრილი 8. „ამ ბარათის გამოყენებით, სადაც 1 ნიშნავს „სრულიად უკმაყოფილო“ და 10 ნიშნავს „სრულიად კმაყოფილი“, გთხოვთ მითხრათ, მთლიანობაში რამდენად კმაყოფილი ხართ თქვენი ცხოვრებით?“ (%), მსოფლიო ღირებულებების კვლევა, მეექვსე ტალღა, 2014 წელი, საქართველო	48
ცხრილი 9. „ზოგიერთი ადამიანი ფიქრობს, რომ ისინი სრულიად თავისუფლები არიან თავიანთ არჩევანში და თავად აკონტროლებენ თავიანთ ცხოვრებას, სხვები კი ფიქრობენ, რომ მათ არანაირი გავლენა არ გააჩნიათ იმაზე, რაც მათ ცხოვრებაში ხდება. მოცემულ სკალაზე, სადაც 1 ნიშნავს, რომ თქვენ საერთოდ ვერ ახდენთ ზემოქმედებას, ხოლო 10 ნიშნავს, რომ თქვენ ძლიერ ზემოქმედებას ახდენთ თქვენს ცხოვრებაზე, გთხოვთ შეაფასოთ, რამდენად ახდენთ ზემოქმედებას თქვენს ცხოვრებაზე?“ (%), მსოფლიო ღირებულებების კვლევა, მეექვსე ტალღა, 2014 წელი, საქართველო	49
ცხრილი 10. „გთხოვთ მიპასუხოთ, რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის ის, რასაც ახლა ჩამოგივლით?“ (%, „ძალიან მნიშვნელოვანია“), მსოფლიო ღირებულებების კვლევა, მეექვსე ტალღა, 2014 წელი, საქართველო	50
ცხრილი 11. „აქ არის ჩამოთვლილი მთელი რიგი თვისებებისა, რომლებიც ბავშვმა შეიძლება ოჯახში შეითვისოს. რომელი მათგანი მიგაჩნიათ განსაკუთრებით მნიშვნელოვანად? (%), მსოფლიო ღირებულებების კვლევა, მეექვსე ტალღა, 2014 წელი, საქართველო	51

ცხრილი 12. „მე თავს მივიჩნევ ისეთ ადამიანად...“ (% სრულიად ან ნაწილობრივ ეთანხმება) მსოფლიო ღირებულებების კვლევა, მეექვსე ტალღა, 2014 წელი, საქართველო	53
ცხრილი 13. „თქვენი აზრით, ქვემოთ ჩამოთვლილიდან, თითოეული მათგანი შეიძლება ყოველთვის გამართლებული იყოს, არასდროს არ შეიძლება გამართლებული იყოს, თუ რაიმე მათ შორის?“ (% არასოდეს არის გამართლებული - კოდი „1“ 10-საფეხურიან სკალაზე) მსოფლიო ღირებულებების კვლევა, მეექვსე ტალღა, 2014 წელი, საქართველო.....	55
ცხრილი 14. „რამდენად დაინტერესებული ხართ პოლიტიკით?“ (% მსოფლიო ღირებულებების კვლევა, მეექვსე ტალღა, 2014 წელი, საქართველო.....	56
ცხრილი 15. „მოცემულ სკალაზე სად განათავსებდით თქვენს აზრს? „1“ ნიშნავს, რომ სრულიად ეთანხმებით დებულებას „სახელმწიფომ უნდა იკისროს მეტი პასუხისმგებლობა, რათა გარანტირებული იყოს ყველას უზრუნველყოფა“; ხოლო 10 ნიშნავს, რომ სრულიად ეთანხმებით დებულებას „ცალკეულმა ადამიანებმა მეტი პასუხისმგებლობა უნდა აიღონ თავისი თავის უზრუნველყოფაზე“; თუ თქვენი შეხედულებები სადღაც მათ შორისაა, შეგიძლიათ ამოირჩიოთ ნებისმიერი ციფრი მათ შორის.“ (% მსოფლიო ღირებულებების კვლევა, მეექვსე ტალღა, 2014 წელი, საქართველო	57
ცხრილი 16. „რამდენად გადელვებთ შემდეგი სიტუაციები?“ (% „ძალიან მაღელვებს“) მსოფლიო ღირებულებების კვლევა, მეექვსე ტალღა, 2014 წელი, საქართველო	58
ცხრილი 17. „რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის ცხოვრობდეთ ისეთ ქვეყანაში, რომელშიც დემოკრატიული მმართველობის სისტემაა? გამოიყენეთ სკალა, სადაც „1“ ნიშნავს, რომ „სრულიად არაა მნიშვნელოვანი“, ხოლო 10 ნიშნავს, რომ „ძალიან მნიშვნელოვანია“ და მითხარით თქვენი პოზიცია.“ (% მსოფლიო ღირებულებების კვლევა, მეექვსე ტალღა, 2014 წელი, საქართველო	58
ცხრილი 18. „რამდენად დემოკრატიული მმართველობაა ჩვენს ქვეყანაში დღესდღეობით? ისევ გამოიყენეთ 10 ბალიანი სკალა, სადაც „1“ ნიშნავს, რომ „სრულიად არაა დემოკრატია“, ხოლო „10“ ნიშნავს, რომ „აბსოლუტური დემოკრატიაა“ და მითხარით თქვენი პოზიცია?“ (% მსოფლიო ღირებულებების კვლევა, მეექვსე ტალღა, 2014 წელი, საქართველო	59
ცხრილი 19. „რამდენადაა დაცული დღესდღეობით ადამიანის უფლებები ჩვენს ქვეყანაში? მიგაჩნიათ თუ არა, რომ ყველა ადამიანის უფლება...“ (% მსოფლიო ღირებულებების კვლევა, მეექვსე ტალღა, 2014 წელი, საქართველო.....	60
ცხრილი 20. „რამდენად არის თითოეული მათგანი დემოკრატიის აუცილებელი მახასიათებელი. გამოიყენეთ მოცემული სკალა, სადაც „1“ ნიშნავს, რომ „სრულიად არ არის დემოკრატიის ძირითადი მახასიათებელი“, ხოლო „10“ ნიშნავს, რომ ეს ნამდვილად „არის დემოკრატიის ძირითადი მახასიათებელი“.“ (% კოდები „8“, „9“ და „10“) მსოფლიო ღირებულებების კვლევა, მეექვსე ტალღა, 2014 წელი, საქართველო .	61
ცხრილი 21. „გთხოვთ, მითხრათ რამდენად ენდობით შემდეგ ჯგუფებს და ორგანიზაციებს?“ (% სრულიად ვენდობი და ვენდობი) მსოფლიო ღირებულებების კვლევა, მეექვსე ტალღა, 2014 წელი, საქართველო	63

ცხრილი 22 . „ადამიანებს სხვადასხვა შეხედულებები აქვთ თავიანთ თავზე და იმაზე, თუ როგორი დამოკიდებულება აქვთ სამყაროსთან. ამ ბარათის გამოყენებით გთხოვთ მითხრათ, რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით თითოეულ ქვემოთ მოტანილ გამონათქვამს და როგორ აღიქვამთ თქვენს თავს?“ (% „სრულიად ვეთანხმები“) მსოფლიო ღირებულებების კვლევა, მეექვსე ტალღა, 2014 წელი, საქართველო	112
ცხრილი 23 . „თითოეული ჩემს მიერ წაკითხული გამონათქვამისთვის, თუ შეგიძლიათ მითხრათ, რამდენად ეთანხმებით, ან არ ეთანხმებით მათ. თქვენ სრულიად ეთანხმებით, ეთანხმებით, არ ეთანხმებით, თუ სრულიად არ ეთანხმებით?“ (% „სრულიად ვეთანხმები“ და „ვეთანხმები“) მსოფლიო ღირებულებების კვლევა, მეექვსე ტალღა, 2014 წელი, საქართველო	119
ცხრილი 24. „თქვენ ეთანხმებით, არ ეთანხმებით, თუ არც ეთანხმებით და არც არ ეთანხმებით შემდეგი გამონათქვამებიდან თითოეულს?“ (% „ვეთანხმები“) მსოფლიო ღირებულებების კვლევა, მეექვსე ტალღა, 2014 წელი, საქართველო	121
ცხრილი 25. „რამდენად მნიშვნელოვანია ღმერთი თქვენს ცხოვრებაში? პასუხისას გამოიყენეთ ათ ქულიანი სკალა, სადაც „10“ ნიშნავს, „ძალიან მნიშვნელოვანია“, ხოლო „1“ ნიშნავს, „სრულიად არ არის მნიშვნელოვანი.“ (%), მსოფლიო ღირებულებების კვლევა, მეექვსე ტალღა, 2014 წელი, საქართველო	124
ცხრილი 26. „თუ არ გავითვალისწინებთ ჯვრისწერას, დაკრძალვას და ნათლობას, რამდენად ხშირად ესწრებით რელიგიურ მსახურებას ამჟამად?“ (%), მსოფლიო ღირებულებების კვლევა, მეექვსე ტალღა, 2014 წელი, საქართველო	125
ცხრილი 27. „თუ არ გავითვალისწინებთ ჯვრისწერას, დაკრძალვას და ნათლობას, რამდენად ხშირად ლოცულობთ?“ (%), მსოფლიო ღირებულებების კვლევა, მეექვსე ტალღა, 2014 წელი, საქართველო	126
ცხრილი 28. „გთხოვთ მითხრათ, თქვენ სრულიად ეთანხმებით, ეთანხმებით, არ ეთანხმებით, თუ სრულიად არ ეთანხმებით შემდეგ გამონათქვამებს?“ (% „სრულიად ვეთანხმები და „ვეთანხმები“), მსოფლიო ღირებულებების კვლევა, მეექვსე ტალღა, 2014 წელი, საქართველო	126

დიაგრამების ჩამონათვალი

- დიაგრამა 1.** (აჩვენეთ ბარათი L) „ახლა მოკლედ აღვწერ ადამიანებს. ამ ბარათის გამოყენებით განსაზღვრეთ თითოეულის შესახებ ეს პიროვნება ძალიან გგავთ თქვენ, გგავთ, ასე თუ ისე გგავთ, უმნიშვნელოდ გგავთ, არ გგავთ თუ სრულიად არ გგავთ თქვენ?“ (%) შვარცის მთავარი კატეგორიაში „მზაობა და ღიაობა ცვლილებისთვის“ შემავალი სამი ძირითადი ღირებულება (მოკლე ვერბალური ტექსტები მოცემულია ტექსტში), მსოფლიო ღირებულებების კვლევა, მეექვსე ტალღა, 2014 წელი, საქართველო66
- დიაგრამა 2.** (აჩვენეთ ბარათი L) „ახლა მოკლედ აღვწერ ადამიანებს. ამ ბარათის გამოყენებით განსაზღვრეთ თითოეულის შესახებ ეს პიროვნება ძალიან გგავთ თქვენ, გგავთ, ასე თუ ისე გგავთ, უმნიშვნელოდ გგავთ, არ გგავთ თუ სრულიად არ გგავთ თქვენ?“ (%) შვარცის მთავარი კატეგორიაში „თვითგაუმჯობესება/საკუთარ თავზე ორიენტაცია“ შემავალი ორი ძირითადი ღირებულება (მოკლე ვერბალური ტექსტები მოცემულია ტექსტში), მსოფლიო ღირებულებების კვლევა, მეექვსე ტალღა, 2014 წელი, საქართველო.....75
- დიაგრამა 3.** (აჩვენეთ ბარათი L) „ახლა მოკლედ აღვწერ ადამიანებს. ამ ბარათის გამოყენებით განსაზღვრეთ თითოეულის შესახებ ეს პიროვნება ძალიან გგავთ თქვენ, გგავთ, ასე თუ ისე გგავთ, უმნიშვნელოდ გგავთ, არ გგავთ თუ სრულიად არ გგავთ თქვენ?“ (%) შვარცის მთავარი კატეგორიაში „კონსერვატიზმი“ შემავალი სამი ძირითადი ღირებულება (მოკლე ვერბალური ტექსტები მოცემულია ტექსტში), მსოფლიო ღირებულებების კვლევა, მეექვსე ტალღა, 2014 წელი, საქართველო83
- დიაგრამა 4.** (აჩვენეთ ბარათი L) „ახლა მოკლედ აღვწერ ადამიანებს. ამ ბარათის გამოყენებით განსაზღვრეთ თითოეულის შესახებ ეს პიროვნება ძალიან გგავთ თქვენ, გგავთ, ასე თუ ისე გგავთ, უმნიშვნელოდ გგავთ, არ გგავთ თუ სრულიად არ გგავთ თქვენ?“ (%) შვარცის მთავარი კატეგორიაში „საკუთარი თავის გადალახვა/ სხვაზე ორიენტაცია“ შემავალი ორი ძირითადი ღირებულება (მოკლე ვერბალური ტექსტები მოცემულია ტექსტში), მსოფლიო ღირებულებების კვლევა, მეექვსე ტალღა, 2014 წელი, საქართველო.....99
- დიაგრამა 5.** (აჩვენეთ ბარათი D) „მოცემულია სხვადასხვა კატეგორიის ხალხის ჯგუფების ჩამონათვალი. ხომ არ გამოარჩევდით რომელიმე კატეგორიას, რომელსაც არ ისურვებდით, რომ თქვენი მეზობელი იყოს?“ (% , არ ვისურვებდი) მსოფლიო ღირებულებების კვლევა, მეექვსე ტალღა, 2014 წელი, საქართველო 131

აბრევიატურების ჩამონათვალი

ACT	Analysis and Consulting Team
CAPI	Computer Assisted Personal Interviewing
CRRC	Caucasus Research Resource Center
EU	European Union
FES	Friedrich Ebert Stiftung
GEOSTAT	National Statistics Office of Georgia
IPM	Institute for Polling and Marketing
IPS	Institute for Policy Studies
MYPLACE	Memory, Youth, Political Legacy And Civic Engagement
NDI	National Democratic Institute
OSGF	Open Society Georgia Foundation
PCA	Principal Components Analysis
PVQ	Portrait Values Questionnaire
SPSS	Statistical Package for the Social Sciences
SRNSFG	Shota Rustaveli National Scientific Foundation of Georgia
UNICEF	United Nations International Children's Emergency Fund
UNFPA	United Nations Population Fund
WP	Work Package
WVS	World Values Survey
საქსტატი	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

1. შესავალი

25 წელზე მეტი გავიდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. ეს პერიოდი საქართველოსთვის, ისევე როგორც პოსტსაბჭოთა ბევრი ქვეყნისთვის, იყო და ჯერ კიდევ არის გარდამავალი პერიოდი სოციალიზმიდან დემოკრატამდე და ლიბერალურ კაპიტალიზმამდე. ამ ტრანსფორმაციის პერიოდში საქართველოში ბევრი პოლიტიკური, სოციალური და კულტურული ცვლილება მოხდა. ხალხისთვის განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა 1990-იანი წლები. პირველ რიგში, მკვეთრად გაუარესდა ხალხის ეკონომიკური მდგომარეობა. სახელმწიფომ დაკარგა ეკონომიკაზე კონტროლი და ხალხს აღარ ჰქონდა სახელმწიფოს იმედი (Nodia, 1995). საზოგადოება დაიყო მდიდრებად და ღარიბებად და შეიქმნა პოლარიზებული ეკონომიკური და სოციალური კლასები. ეკონომიკურმა პრობლემებმა გამოიწვია უმუშევრობა ქვეყნის მასშტაბით, ხოლო სოციალური დაცვის დასუსტებულმა სისტემებმა ხელი შეუწყო ადრე უხილავი სიღარიბისა და მარგინალიზაციის, ისევე როგორც მასთან დაკავშირებული ისეთი პრობლემების წარმოქმნას, როგორებიცაა უსახლკარობა და ნარკომანია. სწორედ ამიტომ, 1990 წლებზე წერის დროს, მეცნიერები და მკვლევრები აქცენტს სვამენ რისკებზე და არა იმ ახალ შესაძლებლობებზე, რაც ახალგაზრდების ცხოვრებაში საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ გაჩნდა (Walker & Stephenson, 2010).

1990-იანებში, ეკონომიკური ცვლილებების გარდა, ქვეყანაში შეიქმნა, აგრეთვე, არამდგრადი პოლიტიკური ვითარება: ქვეყანამ გამოიარა სამოქალაქო ომი და სამხედრო დაპირისპირება როგორც აფხაზეთის, ისე სამაჩაბლოს ტერიტორიებზე. ეკონომიკის მკვეთრი ვარდნის და პოლიტიკური არეულობის ფონზე, 1990-იანი წლებიდან ქვეყანაში ნელ-ნელა მიმდინარეობდა ღირებულებათა ცვლა, რაც განაპირობა საბჭოთა რეჟიმის ჩამოშლის შემდეგ დასავლური სამყაროს შემოჭრამ ქართულ სივრცეში. ქართველებისთვის დაიწყო ახალი ცხოვრება, რომელიც ეფუძნებოდა დემოკრატიის და ეროვნული დამოუკიდებლობის იდეას (Nodia, 1995). ამასთან, საბჭოთა კავშირის იდეოლოგიის ღირებულებები ნელ-ნელა ჩაანაცვლა დასავლეთის ქვეყნებიდან შემოსულმა, საზოგადოებისთვის მანამდე უცნობმა, ლიბერალურმა ღირებულებებმა. ბევრი მეცნიერი აღნიშნავს, რომ თანამედროვე სამყარომ რადიკალურად შეცვალა ყოველდღიური (სოციალური) ცხოვრება (მაგ. Giddens, 1991). ამ თანამედროვე სამყაროს და მისი ღირებულებების გავლენის ქვეშ

განსაკუთრებით ახალგაზრდები მოექცნენ. სწორედ ახალგაზრდები მიიჩნევიან საზოგადოების იმ ძალად, რომელიც, პირველ რიგში, სიახლეების შემომტანი და მატარებელია.

სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში ახალგაზრდებად მოიაზრებიან 18-დან 25 წლის ჩათვლით ადამიანები, რომლებიც საქართველოში 90-იან წლებში, საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ დაიბადნენ და/ან გაიზარდნენ. საზოგადოებაში მიმდინარე ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება თუ მოვლენა, პირველ რიგში, სწორედ ამ ასაკობრივ ჯგუფის ღირებულებებზე აისახა და მათზე იქონია გავლენა. ეს ახალგაზრდები იზრდებოდნენ იმ დროს, როდესაც ქვეყანაში ღირებულებათა მნიშვნელოვანი ცვლა მიმდინარეობდა და როდესაც ქვეყანამ დასავლეთის კურსი აიღო. ამ დროს, ასევე, დაიწყო ქართველების იდენტობის ჩამოყალიბებაც, რაზეც არაერთი ქართველი მეცნიერი საუბრობს. მაგალითად, გიგი თევზაძის ვარაუდით, ქართველების „პოლიტეტალურმა“ იდენტობამ, რომლის ერთ-ერთ საფუძველსაც პოლიტიკური გადაწყვეტილებები წარმოადგენს, ცვლილება სწორედ 90-იანი წლების დასაწყისში დაიწყო და ჯერ კიდევ ფორმირების პროცესშია (Tevzadze, 2009). გიგა ზედანია (Zedania, 2011) ასევე საუბრობს საბჭოთა კავშირის შემდეგ ქართული ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბებაზე და ამ პროცესში მართლმადიდებლური ეკლესიის როლს გამოყოფს, რომელმაც, საერთო ჯამში, შეაფერხა სამოქალაქო საზოგადოების განვითარება.

რადგან საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდეგ ქართულმა საზოგადოებამ გადაწყვიტა, რომ იყოს დასავლეთის და ევროკავშირის ნაწილი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გაგება, თუ რა გამოწვევების წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს ქვეყანა მოსახლეობის მიერ დასავლური ღირებულებების მიმღებლობის თვალსაზრისით; რომელი ღირებულებებია მისაღები ქართული საზოგადოებისთვის და რომელი ეწინააღმდეგება ქართველების მსოფლმხედველობას? რომელი ღირებულებებია უფრო მისაღები ახალგაზრდებისთვის და რომელია უფრო ახლოს მდგომი უფროსი თაობებისთვის? მოცემული დისერტაცია სწორედ ამ კითხვებზე ცდილობს პასუხის გაცემას.

საზოგადოებაში არსებული პოლიტიკური სისტემების შეცვლას, ისევე როგორც ეკონომიკურ ცვლილებებს (მაგ. ცენტრალიზებული ეკონომიკიდან კერძო საწარმოების ბაზარზე გადასვლა), შესაძლოა, წლები დასჭირდეს, ხოლო ღირებულებების და კულტურის შეცვლას, სავარაუდოდ, თაობები დასჭირდება. ამიტომ ბევრი ღირებულება, რაც ახალგაზრდებს დღეს საქართველოში აქვთ, ძველი სისტემის გადმონაშთია. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დღეს თანამედროვე, თავისუფლებასა და ტოლერანტობაზე აგებულ ღირებულებებთან ერთად, ახალგაზრდების ღირებულებები საქართველოში, გარკვეულწილად, თანხვედრაშია მშობლებისა და, ზოგადად, უფროსი თაობების ღირებულებებთან.

ახალგაზრდების ღირებულებების შესწავლისას, სადისერტაციო ნაშრომი, დიდწილად, ეფუძნება შელომ შვარცის (Schwartz, 2012) ღირებულებათა თეორიას და აანალიზებს, შვარცის მიერ წარმოდგენილი რომელი ღირებულებები დომინირებს ქართულ საზოგადოებაში – ტრადიციული თუ თანამედროვე ღირებულებები? ან, შვარცის „ენაზე“ რომ ვისუბროთ, „მზაობა და ღიაობა ცვლილებებისთვის“ (Openness to Change) უფრო დამახასიათებელი და მნიშვნელოვანია ქართული საზოგადოებისთვის თუ „კონსერვატიზმის“ (Conservation) ღირებულება? ქართველები უფრო იხრებიან „თვითგაუმჯობესების/საკუთარ თავზე ორიენტაციის“ (Self-Enhancement) ღირებულებისკენ თუ პირიქით - „საკუთარი თავის გადალახვის/სხვაზე ორიენტაციის“ (Self-Transcendence) ღირებულებისკენ?

შვარცის თეორიის გარდა, დისერტაციაში ღირებულებების შესწავლა ხდება საზოგადოებაში არსებული განსხვავებული ჯგუფების მიმართ დამოკიდებულების და ტოლერანტობის ჭრილში. ნაშრომში წარმოდგენილია საქართველოში მცხოვრები 18-25 წლის ახალგაზრდების და უფროსი თაობების დამოკიდებულება როგორც საკუთარი თავის და „ქართველობის“, ისე საზოგადოებაში არსებული სხვადასხვა უმცირესობის ჯგუფების მიმართ. ნაშრომში, ასევე, წარმოდგენილია მონაცემები, რომლებიც ადამიანის ღირებულების განმსაზღვრელია: აღქმები და წარმოდგენები საკუთარი თავის, ცხოვრების და ადამიანისთვის მნიშვნელოვანი საკითხებისა და თვისებების შესახებ, ისევე როგორც დამოკიდებულება საკუთარი საზოგადოების და ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებისა და პოლიტიკური საკითხების მიმართ; აგრეთვე, დამოკიდებულება რელიგიასა და რელიგიური საკითხების მიმართ.

სადისერტაციო ნაშრომში კვლევის შედეგები გაანალიზებულია 18-დან 25 წლის ასაკის ჩათვლით ასაკობრივი ახალგაზრდების და უფროსი ასაკის თაობების ჭრილში. ასევე, წარმოდგენილია როგორც რაოდენობრივი მონაცემები 2014 წელს საქართველოში ჩატარებული „მსოფლიო ღირებულებების კვლევიდან“ (World Values Survey – WVS), ისე თვისებრივი მონაცემები ნახევრად-სტრუქტურირებული ინტერვიუებიდან, რომლებიც, ერთი მხრივ, MYPLACE-ის (Memory, Youth, Political Legacy And Civic Engagement) კვლევისⁱ ფარგლებში, ხოლო, მეორე მხრივ, სპეციალურად ამ სადისერტაციო ნაშრომისთვის საქართველოს რამდენიმე ქალაქში როგორც ახალგაზრდებთან, ისე უფროსი თაობის წარმომადგენლებთან ჩატარდა.^{ii iii}

სადისერტაციო ნაშრომის მნიშვნელობა და სიახლე ისაა, რომ მასში სისტემურად და ფოკუსირებულად ნაკვლევა 18-დან 25 წლის ჩათვლით ახალგაზრდების და ამ ასაკობრივ ჯგუფზე უფროსი თაობების ღირებულებებს შორის მსგავსება/განსხვავებები. მოცემული დისერტაციის დამატებით ღირებულებას, ასევე, წარმოადგენს ის, რომ შვარცის მოდელი პირველად იქნა გამოყენებული კვლევაში საქართველოში. ამასთან, დისერტაცია გვთავაზობს რესპონდენტების განმარტებებს საკუთარ მოსაზრებებთან და ღირებულებებთან მიმართებაში, რაც საშუალებას გვაძლევს დავინახოთ, თუ რატომ არის მოცემული ღირებულებები მათთვის მნიშვნელოვანი.

2. კვლევის მეთოდოლოგია

2.1. კვლევის მიზანი და ამოცანები

მოცემული სადოქტორო ნაშრომის ძირითადი კვლევითი კითხვა შემდეგში მდგომარეობს: **რა ღირებულებები აქვთ ახალგაზრდებს და როგორ განსხვავდება ისინი უფროსი თაობის ღირებულებებისგან საქართველოში?**

კვლევის ფარგლებში ახალგაზრდებად მოიაზრებიან 18-დან 25 წლის ჩათვლით ადამიანები, რომლებიც საქართველოში 90-იან წლებში, საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ დაიბადნენ და/ან გაიზარდნენ. ყველა დანარჩენი ასაკობრივი ჯგუფი, ამ შემთხვევაში, 18-25 წლის ახალგაზრდებთან შედარებით, უფრო უფროს თაობად

განიხილება. აქედან გამომდინარე, კვლევის ფარგლებში შედარებულია 18-25 წლის ახალგაზრდები და მათზე უფროსი თაობები.

90-იან წლებში, საქართველოში ბევრი პოლიტიკური და სოციალური ცვლილება მოხდა. საბჭოთა კავშირის იდეოლოგიის ტოტალიტარული ღირებულებები ნელ-ნელა ჩაანაცვლა დასავლეთის ქვეყნებიდან შემოსულმა, საზოგადოებისთვის მანამდე უცნობმა, ლიბერალურმა ღირებულებებმა. ამ ღირებულებების გავლენის ქვეშ განსაკუთრებით მაშინდელი ახალგაზრდები მოექცნენ. ვინაიდან ამ ახალგაზრდებს განსხვავებულ გარემოში მოუხდათ გაზრდა, მათი ღირებულებები, განსხვავდება მანამდე ან უფრო გვიან დაბადებული ადამიანების ღირებულებებისგან (Blum, 2007). სწორედ ამიტომ შეირჩა ეს ასაკობრივი კატეგორია და ამ შემთხვევაში ახალგაზრდებად 25 წელზე უფროსი ასაკის ადამიანები არ მოიაზრებიან/ითვლებიან.

მოცემული სადისერტაციო ნაშრომი მიზნად ისახავს საქართველოში ახალგაზრდების ღირებულებების, აღქმებისა და დამოკიდებულებების, ისევე როგორც ტოლერანტობისა და სხვადასხვა უმცირესობის ჯგუფების მიმართ ღიაობის გამოვლენას (იმის აღწერას, თუ რამდენად კონსერვატიული ან ცვლილებების მიმართ ღიაა ახალგაზრდობის ღირებულებითი სისტემა). ასევე, იმის დადგენას, თუ როგორ და რამდენად განსხვავდება ეს ღირებულებები და დამოკიდებულებები უფროსი თაობის ადამიანების ღირებულებებისა და დამოკიდებულებებისგან.

კვლევის ამოცანები შემდეგში მდგომარეობს:

- საქართველოში სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის ადამიანების ზოგადი აღქმების და წარმოდგენების შესწავლა საკუთარი თავის, ცხოვრების, ადამიანისთვის მნიშვნელოვანი საკითხებისა და თვისებების შესახებ.
- საქართველოში სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის ადამიანების დამოკიდებულების შესწავლა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებისა და პოლიტიკის მიმართ.
- საქართველოში სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის ადამიანების ძირითადი ღირებულებების განსაზღვრა შელომ 3. შვარცის თეორიის/მიდგომის მიხედვით.^{iv}

- საქართველოში სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის ადამიანების აღქმები და მოსაზრებების შესწავლა საკუთარი ეროვნების, საზოგადოების და მასში არსებული პრობლემების შესახებ.
- საქართველოში სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის ადამიანების დამოკიდებულების დადენა რელიგიის მიმართ.
- საქართველოში სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის ადამიანების დამოკიდებულების განსაზღვრა საზოგადოებაში არსებული განსხვავებული ჯგუფების/უმცირესობების მიმართ.

მოცემული კვლევის ამოცანებისთვის პასუხის გასაცემად სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებულია როგორც რაოდენობრივი (2014 წელს საქართველოში ჩატარებული „მსოფლიო ღირებულებების კვლევის“ მეორადი მონაცემები), ისე თვისებრივი (2016 წელს ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუები და MYPLACE-ის პროექტის ფარგლებში 2012-2013 წლებში ჩატარებული ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები) მონაცემები. მოცემული სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში ნაჩვენებია, თუ როგორ და რამდენად განსხვავდება რაოდენობრივი (გამოკითხვა) და თვისებრივი (სიღრმისეული ინტერვიუები) კვლევის მეთოდებით გაზომილი ღირებულებები ერთმანეთისაგან. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ჩამოთვლილია კვლევის ამოცანები და თითოეული ამოცანისთვის განსაზღვრული კითხვები/ცვლადები „მსოფლიო ღირებულებების კვლევიდან“ და/ან თვისებრივი ინტერვიუებიდან.

ცხრილი 1. კვლევის ამოცანები და მათი გაზომვის სქემა

კვლევის ამოცანები	ცვლადი „მსოფლიო ღირებულებების კვლევიდან“	კითხვის შემოკლებული ვერსია ^v	ნაშრომში წარმოდგენილი მონაცემები
საქართველოში სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის ადამიანების ზოგადი აღქმების და წარმოდგენების შესწავლა საკუთარი თავის, ცხოვრების, ადამიანისთვის მნიშვნელოვანი საკითხებისა და თვისებების შესახებ.	V10, ცხრილი 6	ბედნიერების ხარისხი	რაოდენობრივი
	V11, ცხრილი 7	ჯანმრთელობის მდგომარეობა	რაოდენობრივი
	V23, ცხრილი 8	ცხოვრებით კმაყოფილება	რაოდენობრივი
	V55, ცხრილი 9	გავლენა/ზემოქმედება ცხოვრებასა და არჩევანზე	რაოდენობრივი
	V4-9, ცხრილი 10	რამდენად მნიშვნელოვანია ოჯახი, რელიგია, მეგობრები, სამუშაო, თავისუფალი დრო და პოლიტიკა	რაოდენობრივი
	V12-V22, ცხრილი 11	თვისებები, რომელიც ბავშვმა ოჯახში შეიძლება შეითვისოს	რაოდენობრივი
	V160A-V160J, ცხრილი 12	საკუთარი თავის აღქმა გარკვეული თვისებებზე დაყრდნობით (თავს მივიჩნევ ადამიანად, რომელიც...)	რაოდენობრივი
საქართველოში სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის ადამიანების დამოკიდებულების შესწავლა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებისა და პოლიტიკის მიმართ.	V84, ცხრილი 14	ინტერესი პოლიტიკის მიმართ	რაოდენობრივი
	V98, ცხრილი 15	სახელმწიფოს და ინდივიდის პასუხისმგებლობა	რაოდენობრივი
	V181-V186, ცხრილი 16	რა არის მნიშვნელოვანი/რა აღელვებთ ადამიანებს	რაოდენობრივი
	V140, ცხრილი 17	დემოკრატიულ ქვეყანაში ცხოვრების მნიშვნელოვნება	რაოდენობრივი
	V141, ცხრილი 18	საქართველოში დემოკრატიის შეფასება	რაოდენობრივი
	V142, ცხრილი 19	საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის შეფასება	რაოდენობრივი

	V131-V139, ცხრილი 20	დემოკრატიის აუცილებელი მახასიათებლები	რაოდენობრივი
	V110- V115, ცხრილი 21	ნდობის ხარისხი სხვადასხვა ინსტიტუტებისა თუ ორგანიზაციების მიმართ	რაოდენობრივი
საქართველოში სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის ადამიანების პირითადი ღირებულებების განსაზღვრა შელომ ჰ. შვარცის თეორიის/მიდგომის მიხედვით.	V70, V76, V73, დიაგრამა 1	მზაობა და ღიაობა ცვლილებებისთვის თვითორიენტაცია: ამ პიროვნებისათვის მნიშვნელოვანია ახალი იდეების მოფიქრება, შემოქმედებითობა და ყველაფრის გაკეთება თავისებურად. სტიმულირება: ამ პიროვნებისათვის მნიშვნელოვანია თავგადასავლები და რისკი; იცხოვროს მშფოთვარე ცხოვრებით. ჰედონიზმი: ამ პიროვნებისათვის მნიშვნელოვანია კარგი დრო გაატაროს; თავს არ უთხრას უარი არაფერზე.	რაოდენობრივი და თვისებრივი
	V75, V71, დიაგრამა 2	თვით-გაუმჯობესება/ საკუთარ თავზე ორიენტაცია მიღწევა: ამ პიროვნებისთვის მნიშვნელოვანია იყოს წარმატებული და ხალხი აღიარებდეს მის მიღწევებს. ძალაუფლება: ამ პიროვნებისათვის მნიშვნელოვანია იყოს მდიდარი; ჰქონდეს ბევრი ფული და ძვირადღირებული ნივთები.	რაოდენობრივი და თვისებრივი
	V72,	კონსერვატიზმი უსაფრთხოება: ამ პიროვნებისათვის	

	<p>V77, V79, დიაგრამა 3</p>	<p>მნიშვნელოვანია უსაფრთხო გარემოში ცხოვრება და ყველაფრის თავიდან აცილება, რაც სახიფათოა.</p> <p>კონფორმულობა: ამ პიროვნებისათვის მნიშვნელოვანია, ყოველთვის სწორად იქცეოდეს და არასოდეს გააკეთოს ისეთი რამ, რაზეც ხალხი იტყვის, რომ ეს არასწორი საქციელია.</p> <p>ტრადიცია: ტრადიცია მნიშვნელოვანია ამ პიროვნებისათვის, ადათ-წესების დაცვა, რომელიც შთამომავლობით გადმოეცა მისი ოჯახისაგან ან რელიგიიდან.</p>	
	<p>V74B, V78, დიაგრამა 4</p>	<p>საკუთარი თავის გადალახვა/ სხვაზე ორიენტაცია</p> <p>კეთილმოსურნეობა: ამ პიროვნებისათვის მნიშვნელოვანია, დაეხმაროს ხალხს მის გარშემო და იზრუნოს მათ კეთილდღეობაზე.</p> <p>უნივერსალიზმი: გარემოზე ზრუნვა და ბუნების დაცვა მნიშვნელოვანია ამ პიროვნებისათვის; ბუნებაზე ზრუნვა და რესურსების გაფრთხილება.</p>	<p>რაოდენობრივი და თვისებრივი</p>
<p>საქართველოში სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის ადამიანების აღქმები და მოსაზრებების შესწავლა საკუთარი ეროვნების, საზოგადოების და მასში არსებული პრობლემების შესახებ.</p>	<p>V212-V216, ცხრილი 22</p>	<p>ეროვნული იდენტიფიცირება</p>	<p>რაოდენობრივი</p>
		<p>ახალგაზრდების მოსაზრებები ქართული საზოგადოების დადებითი და უარყოფითი მხარეების შესახებ</p>	<p>თვისებრივი</p>
	<p>V51-V54, ცხრილი 23 V45, V47-V48 ცხრილი 24</p>	<p>გენდერული საკითხები და უთანასწორობა: კაცების და ქალების როლი, შესაძლებლობები და უფლებები</p>	<p>რაოდენობრივი და თვისებრივი</p>

საქართველოში სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის ადამიანების დამოკიდებულების დადენა რელიგიის მიმართ.	V152, ცხრილი 25	ღმერთის მნიშვნელოვნება	რაოდენობრივი და თვისებრივი
	V145-V146, ცხრილი 26 ცხრილი 27	რელიგიური მსახურება და ლოცვა	რაოდენობრივი
	V154-V156, ცხრილი 28	სხვა რელიგიების მიმართ დამოკიდებულება და აღქმა	რაოდენობრივი და თვისებრივი
საქართველოში სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის ადამიანების დამოკიდებულების განსაზღვრა საზოგადოებაში არსებული განსხვავებული ჯგუფების/უმცირესობების მიმართ.	V37, დიაგრამა 5	დამოკიდებულება სხვა რასის წარმომადგენლების მიმართ (არ ვისურვებდი მეზობლად)	რაოდენობრივი და თვისებრივი
	V39, დიაგრამა 5	დამოკიდებულება იმიგრანტების/უცხოეთიდან ჩამოსული მუშახელის მიმართ (არ ვისურვებდი მეზობლად)	რაოდენობრივი და თვისებრივი
	V40, დიაგრამა 5	დამოკიდებულება ჰომოსექსუალების მიმართ (არ ვისურვებდი მეზობლად)	რაოდენობრივი და თვისებრივი
	V41, დიაგრამა 5	დამოკიდებულება სხვა რელიგიის მიმდევრების მიმართ (არ ვისურვებდი მეზობლად)	რაოდენობრივი და თვისებრივი
	V44, დიაგრამა 5	დამოკიდებულება სხვა ენაზე მოსაუბრე ადამიანების მიმართ (არ ვისურვებდი მეზობლად)	რაოდენობრივი და თვისებრივი
		დამოკიდებულება შეზღუდული შესაძლებლობების/სპეციალური საჭიროებების მქონე პირების მიმართ (არ ვისურვებდი მეზობლად)	თვისებრივი

კვლევითი ნაშრომი ეფუძნება ვარაუდს, რომ საქართველოში ახალგაზრდა თაობას (18-დან 25 წლის ჩათვლით), მათზე უფროს თაობებთან შედარებით, უფრო ინდივიდუალისტური, ტოლერანტული, ლიბერალური და დემოკრატიული შეხედულებები აქვს, თუმცა, ყველა თაობაში მაინც კონსერვატიული და ტრადიციული ღირებულებები დომინირებს. ასევე, ახალგაზრდებს და უფროსი თაობების წარმომადგენლებს, სავარაუდოდ, განსხვავებული დამოკიდებულება აქვთ შვარცის ღირებულებების ოთხი ძირითადი კატეგორიის მიმართ: ახალგაზრდებისთვის,

სავარაუდოდ, უფრო მისაღები ისეთი ღირებულებებია, რომლებიც ცვლილებებისადმი მიდრეკილი და საკუთარ თავზე ორიენტაციაზეა მორგებული, მაშინ, როცა, უფროსი თაობებისთვის, სავარაუდოდ, უფრო მისაღები კონსერვატიული და სხვა ადამიანებზე ორიენტირებული ღირებულებებია.

კვლევის მიზნისა და ამოცანების შესაბამისად, მონაცემები გაანალიზებულია 18-დან 25 წლის ჩათვლით ახალგაზრდების და მათზე უფროსი თაობების ჭრილში. ასევე, ნაშრომში წარმოდგენილია როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი მონაცემები.

2.2. რაოდენობრივი და თვისებრივი კომპონენტები

სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილია როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი კვლევის მეთოდებით მოპოვებული მონაცემთა ანალიზი. ორივე ტიპის მეთოდის გამოყენება საშუალებას გვაძლევს, საკვლევი საკითხი შევისწავლოთ სხვადასხვა კუთხით და გვეჩვენოს როგორც სტატისტიკური მონაცემები, ისე ამ მონაცემების სიღრმისეული ანალიზი. რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები ავსებს ერთმანეთს და გვაძლევს საკვლევი საკითხის სრულფასოვან სურათს (Neuman, 2014). სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილი გამოკითხვის შედეგად მიღებული მონაცემები ადამიანის ღირებულებების შესახებ გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ვნახოთ, თუ მოსახლეობის/ასაკობრივი ჯგუფების რა ნაწილი იზიარებს ამა თუ იმ მოსაზრებას, მაგრამ არაფერს გვეუბნება იმის შესახებ, თუ რა დგას რესპონდენტების პასუხების რაოდენობრივი მაჩვენებლების მიღმა; თუ რატომ ეთანხმება ან არ ეთანხმება რესპონდენტი ამა თუ იმ მოსაზრებას. შესაბამისად, რაოდენობრივი მონაცემები არ გვაძლავს იმის საშუალებას, ავხსნათ ან გავიგოთ (მნიშვნელობათა წვდომის საფუძველზე) რესპონდენტების მოსაზრებები. ამ ნაშრომში წარმოდგენილი თვისებრივი ინტერვიუების დროს (რომელიც 2016 წელს ჩატარდა), რესპონდენტებს საქართველოში დაესვათ ზუსტად ის შეკითხვები, რაც მანამდე რაოდენობრივი გამოკითხვის დროს. თვისებრივი ინტერვიუების დროს რესპონდენტებმა ახსნეს საკუთარი პასუხები და მოიყვანეს მაგალითების საკუთარი ცხოვრებიდან, რამაც დამატებითი ღირებულება შესძინა მონაცემთა ანალიზს.

დისერტაციის ამ თავში დაწვრილებით არის განხილული წარმოდგენილი კვლევის როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი კომპონენტი.

2.2.1. რაოდენობრივი კომპონენტი

ნაშრომში გამოყენებულია „მსოფლიო ღირებულებების კვლევის“ (World Values Survey - WVS)^{vi} რაოდენობრივი მონაცემების მეორადი ანალიზი. „მსოფლიო ღირებულებების კვლევა“ მსოფლიოს ასამდე ქვეყანაში 1981 წლიდან ტარდება და იკვლევს ადამიანების ღირებულებებს, ამ ღირებულებების ცვლილებებს, და მათ გავლენას სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე. სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილია 2014 წელს საქართველოში ჩატარებული „მსოფლიო ღირებულებების კვლევის“ შედეგები, რომლის ფარგლებშიც კომპიუტერების მეშვეობით გამოკითხვის მეთოდით (Computer Assisted Personal Interviewing - CAPI) 1202 პირიპირი ინტერვიუ ჩატარდა. მოსახლეობის გამოკითხვა 2014 წლის 5-20 დეკემბერს მთელ საქართველოში ჩატარდა (ოკუპირებული ტერიტორიების - სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის - გამოკლებით).

„მსოფლიო ღირებულებების კვლევის“ ინსტრუმენტი მოიცავს ბევრ რელევანტურ საკითხს, რომლებიც მოცემული სადისერტაციო ნაშრომის ამოცანებს პასუხობს. სხვადასხვა თემაზე დასმული კითხვების გარდა, რომლებიც ადამიანების ღირებულებებს მრავალი კუთხით ზომავს, ინსტრუმენტში, ასევე, წარმოდგენილია შვარცის მოკლე ვერბალური პორტრეტები, რომლებიც მის თეორიაზე აგებულ ათ ძირითად ღირებულებას ზომავს. „მსოფლიო ღირებულებების კვლევის“ ინსტრუმენტში დასმული კითხვები, რომლებიც შვარცის ღირებულებებს ზომავს, მოცემული პასუხის ვარიანტებით იხილეთ ქვემოთ მოტანილ ცხრილში:

ცხრილი 2. (აჩვენეთ ბარათი L) „ახლა მოკლედ აღვწერ ადამიანებს. ამ ბარათის გამოყენებით განსაზღვრეთ თითოეულის შესახებ ეს პიროვნება ძალიან გგავთ თქვენ, გგავთ, ასე თუ ისე გგავთ, უმნიშვნელოდ გგავთ, არ გგავთ თუ სრულიად არ გგავთ თქვენ?“ [თითოეულ გამონათქვამზე მხოლოდ ერთი პასუხი]:

	ძალიან მგავს	მგავს	ასე თუ ისე მგავს	უმნიშვნელოდ მგავს	არ მგავს	სრულიად არ მგავს	არ ვიცი	უარი პასუხზე
V70. ამ პიროვნებისათვის მნიშვნელოვანია ახალი იდეების მოფიქრება, შემოქმედებითობა და ყველაფრის გაკეთება თავისებურად.	1	2	3	4	5	6	8	9
V71. ამ პიროვნებისათვის მნიშვნელოვანია იყოს მდიდარი; ჰქონდეს ბევრი ფული და ძვირადღირებული ნივთები.	1	2	3	4	5	6	8	9
V72. ამ პიროვნებისათვის მნიშვნელოვანია უსაფრთხო გარემოში ცხოვრება და ყველაფრის თავიდან აცილება, რაც სახიფათოა.	1	2	3	4	5	6	8	9
V73. ამ პიროვნებისათვის მნიშვნელოვანია კარგი დრო გაატაროს; თავს არ უთხრას უარი არაფერზე.	1	2	3	4	5	6	8	9
V74. ამ პიროვნებისათვის მნიშვნელოვანია, გააკეთოს რაიმე საზოგადოების საკეთილდღეოდ. ^{vii}	1	2	3	4	5	6	8	9
V74B. ამ პიროვნებისათვის მნიშვნელოვანია, დაეხმაროს ხალხს მის გარშემო და იზრუნოს მათ	1	2	3	4	5	6	8	9

კეთილდღეობაზე.								
V75. ამ პიროვნებისთვის მნიშვნელოვანია, იყოს წარმატებული და ხალხი აღიარებდეს მის მიღწევებს.	1	2	3	4	5	6	8	9
V76. ამ პიროვნებისათვის მნიშვნელოვანია თავგადასავლები და რისკი; იცხოვროს მშფოთვარე ცხოვრებით.	1	2	3	4	5	6	8	9
V77. ამ პიროვნებისათვის მნიშვნელოვანია, ყოველთვის სწორად იქცეოდეს და არასოდეს გააკეთოს ისეთი რამ, რაზეც ხალხი იტყვის, რომ ეს არასწორი საქციელია.	1	2	3	4	5	6	8	9
V78. გარემოზე ზრუნვა და ბუნების დაცვა მნიშვნელოვანია ამ პიროვნებისათვის; ბუნებაზე ზრუნვა და რესურსების გაფრთხილება.	1	2	3	4	5	6	8	9
V79. ტრადიცია მნიშვნელოვანია ამ პიროვნებისათვის, ადათ-წესების დაცვა, რომელიც შთამომავლობით გადმოეცა მისი ოჯახისაგან ან რელიგიიდან.	1	2	3	4	5	6	8	9

გარდა შვარცის ღირებულებებისა, სადისერტაციო ნაშრომი „მსოფლიო ღირებულებების კვლევიდან“ მოიცავს სხვა კითხვების ანალიზსაც, რომლებიც ახალგაზრდა და უფროსი თაობების რესპონდენტების ტოლერანტობას და ღიაობას ზომავს. მაგალითად, უმცირესობების მიმართ ტოლერანტობა გაზომილია ცვლადით, რომელიც რესპონდენტებს სხვადასხვა კატეგორიის ხალხის ჯგუფებიდან ისეთ უმცირესობათა ჯგუფს არჩევენ, რომელთანაც რესპონდენტები არ ისურვებდნენ მეზობლად ცხოვრებას (კითხვის ფორმულირება და პასუხის ვარიანტები იხილეთ ქვემოთ მოყვანილ ცხრილში).

ცხრილი 3. (აჩვენეთ ბარათი D) „მოცემულია სხვადასხვა კატეგორიის ხალხის ჯგუფების ჩამონათვალი. ხომ არ გამოარჩევდით რომელიმე კატეგორიას, რომელსაც არ ისურვებდით, რომ თქვენი მეზობელი იყოს?“ [თითოეულ სტრიქონზე აღნიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი]:

		არ ვისურვებდი	არ დასახელდა	არ ვიცი	უარი პასუხზე
V36.	ნარკომანები	1	2	8	9
V37.	სხვა რასის წარმომადგენლები	1	2	8	9
V38.	შიდსით ინფიცირებულები	1	2	8	9
V39.	იმიგრანტები/უცხოეთიდან ჩამოსული მუშახელი	1	2	8	9
V40.	ჰომოსექსუალები	1	2	8	9
V41.	სხვა რელიგიის მიმდევრები	1	2	8	9
V42.	ლოთები	1	2	8	9
V43.	წყვილები, რომლებიც ქორწინების გარეშე ცხოვრობენ ერთად	1	2	8	9
V44.	ადამიანები, რომლებიც სხვა ენაზე საუბრობენ	1	2	8	9

2014 წლის საქართველოს მონაცემთა ბაზა ჩამოიტვირთა „მსოფლიო ღირებულებების კვლევის“ ოფიციალური ვებ-გვერდიდან და მონაცემები დამუშავდა სტატისტიკურ პროგრამა SPSS-ში. სადისერტაციო ნაშრომში მონაცემები გაანალიზებულია ექვსი ასაკობრივი ჯგუფის (18-25, 26-35, 36-45, 46-55, 56-65 და 66 და უფროსი ასაკი) ჭრილში. ამ ასაკობრივი ჯგუფების შედარება საშუალებას გვაძლევს, ვნახოთ განსხვავებები ახალგაზრდებისა და უფროსი თაობის ადამიანების შეხედულებების, წარმოდგენებისა და დამოკიდებულებების კუთხით. ასაკობრივ ჯგუფებსა და სხვა ცვლადებს შორის კავშირის დასადგენად გამოყენებულია ჯვარედინი ცხრილები (cross-tabulations), ხოლო კავშირის სიძლიერე და სანდოობა დათვლილია კორელაციური ანალიზით, სადაც გამოყენებულია სპირმანის კორელაციის (Spearman's rho correlation) (Field, 2005) და რანგის ბისერიული კორელაციის (Rank

Biserial correlation) ტესტები (Cureton, 1956).^{viii} კორელაციის ტესტების გარდა, გამოყენებულია ძირითად კომპონენტთა ანალიზის (PCA) მეთოდი, რომელიც შვარცის ღირებულებების მატარებელ ცვლადების დასაჯგუფებლად გაკეთდა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომში მოყვანილია „მსოფლიო ღირებულებების კვლევის“ შეუწონავი მონაცემები. ასევე, მონაცემების პროცენტული მაჩვენებლები გამოთვლილია „არ ვიცი“ და „უარი პასუხზე“ პასუხის ვარიანტების გამოკლებით. ეს პასუხის ვარიანტები ანალიზში გათვალისწინებული არ არის.

2.2.2. თვისებრივი კომპონენტი

რაოდენობრივი კომპონენტის გარდა, ნაშრომში წარმოდგენილია თვისებრივი ინტერვიუების შედეგებიც: შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის^{ix} დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის დაფინანსებით, 2016 წლის ნოემბერსა და დეკემბერში 40 სიღრმისეული ინტერვიუ ჩატარდა.^x ინტერვიუები საქართველოს ოთხ ქალაქში - თბილისში, თელავში, ქუთაისსა და ბათუმში - ჩატარდა. თითოეულ ქალაქში 5 ინტერვიუ ჩატარდა ახალგაზრდა რესპონდენტებთან (18-დან 25 წლის ჩათვლით) და 5 - მათი ოჯახის უფროს წევრებთან (მშობელთან ან ბებია/ბაბუასთან). ერთსადაიმავე ოჯახებში ახალგაზრდებთან და უფროსი თაობის წარმომადგენლებთან ინტერვიუების ჩატარება საშუალებას გვაძლევს, მათი ღირებულებების შედარების დროს, ვივარაუდოთ რესპონდენტების მსგავს სოციოკულტურულ მახასიათებლების შესახებ და არ გვეშინოდეს, რომ პოტენციური განსხვავებები ღირებულებებსა და ხედვაში სხვადასხვა ასაკის რესპონდენტებს შორის განპირობებულია არა ასაკის, არამედ სხვა სოციალური თუ ეკონომიკური ცვლადით. რესპონდენტების სქესის და ასაკის განაწილება იხილეთ მე-4 ცხრილში:

ცხრილი 4. 2016 წლის ნოემბერსა და დეკემბერში ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუები ახალგაზრდებთან და მათი ოჯახების უფროს წევრებთან.

N	ქალაქი და კოდი	სქესი	ასაკი
1	თბილისი_1.1	მდედრობითი	25
2	თბილისი_1.2	მდედრობითი	52

3	თბილისი_2.1	მდედრობითი	22
4	თბილისი_2.2	მდედრობითი	53
5	თბილისი_3.1	მდედრობითი	23
6	თბილისი_3.2	მდედრობითი	55
7	თბილისი_4.1	მამრობითი	24
8	თბილისი_4.2	მდედრობითი	52
9	თბილისი_5.1	მდედრობითი	22
10	თბილისი_5.2	მდედრობითი	52
11	თელავი_1.1	მამრობითი	22
12	თელავი_1.2	მდედრობითი	50
13	თელავი_2.1	მდედრობითი	22
14	თელავი_2.2	მდედრობითი	49
15	თელავი_3.1	მდედრობითი	25
16	თელავი_3.2	მდედრობითი	55
17	თელავი_4.1	მამრობითი	18
18	თელავი_4.2	მდედრობითი	55
19	თელავი_5.1	მდედრობითი	23
20	თელავი_5.2	მდედრობითი	47
21	ქუთაისი_1.1	მდედრობითი	22
22	ქუთაისი_1.2	მამრობითი	52
23	ქუთაისი_2.1	მამრობითი	20
24	ქუთაისი_2.2	მდედრობითი	52
25	ქუთაისი_3.1	მამრობითი	18
26	ქუთაისი_3.2	მდედრობითი	80
27	ქუთაისი_4.1	მდედრობითი	19
28	ქუთაისი_4.2	მდედრობითი	75
29	ქუთაისი_5.1	მდედრობითი	25

30	ქუთაისი_5.2	მდედრობითი	62
31	ბათუმი_1.1	მდედრობითი	19
32	ბათუმი_1.2	მდედრობითი	44
33	ბათუმი_2.1	მამრობითი	21
34	ბათუმი_2.2	მდედრობითი	40
35	ბათუმი_3.1	მდედრობითი	18
36	ბათუმი_3.2	მდედრობითი	44
37	ბათუმი_4.1	მდედრობითი	23
38	ბათუმი_4.2	მდედრობითი	55
39	ბათუმი_5.1	მამრობითი	19
40	ბათუმი_5.2	მდედრობითი	45

თვისებრივი ინტერვიუების გზამკვლევი შედგება რამდენიმე კითხვისგან „მსოფლიო ღირებულებების კვლევიდან.“ კერძოდ, გზამკვლევი მოიცავს (1) შვარცის მოკლე ვერბალურ ტექსტებს (პორტრეტებს), რომლებიც ძირითად ღირებულებებს ზომავს, და (2) რესპონდენტების დამოკიდებულებას საქართველოში არსებული სხვადასხვა უმცირესობის ჯგუფების მიმართ. კერძოდ, თვისებრივი ინტერვიუების პირველ ნაწილში რესპონდენტი ისმენდა შვარცის მოკლე ვერბალურ პორტრეტებს და სიღრმისეულად განიხილავდა, თუ რამდენად, რითი/რა კუთხით და რატომ ჰგავდა ან არ ჰგავდა ტექსტში აღწერილი ადამიანი მას. რაოდენობრივი გამოკითხვისგან განსხვავებით, სადაც რესპონდენტები მხოლოდ ერთი პასუხის ვარიანტის (6-საფეხურიანი სკალიდან ერთ-ერთი კოდის) ამორჩევით აფასებდნენ თავიანთ მსგავსებას/განსხვავებას მოკლე ტექსტში აღწერილ ადამიანთან, თვისებრივი ინტერვიუების დროს რესპონდენტებს საშუალება მიეცათ, აეხსნათ თავიანთი მოსაზრებები და დაესაბუთებინათ ტექსტში აღწერილ ადამიანთან მსგავსება/განსხვავება.

თვისებრივი ინტერვიუს მეორე ნაწილში რესპონდენტებს ეძლეოდათ ასეთი ამოცანა: უნდა წარმოედგინათ, რომ მათ მეზობლად სხვადასხვა უმცირესობის

წარმომადგენელი წყვილი დასახლდა. უმცირესობების ჯგუფები მოიცავდა სხვა რასის და რელიგიის, სხვა ენაზე მოსაუბრე ადამიანებს, ასევე იმიგრანტებს, ჰომოსექსუალებს და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს (სპეციალური საჭიროებების მქონე პირებს). თითოეული ამ ჯგუფზე, რესპონდენტებს უნდა ესაუბრათ, თუ რამდენად ისურვებდნენ მათ ყოფნას მეზობლად, რამდენად ენდობიან ან არ ენდობიან ამ ჯგუფს და რამდენად არის ეს ჯგუფი დაჩაგრული ქართულ საზოგადოებაში.^{xi} რესპონდენტები ასაბუთებდნენ თავიანთ პასუხებს და მოჰყავდათ მაგალითები თავიანთ გამოცდილებაზე დაყრდნობით. ასეთი სიღრმისეული პასუხები ავსებს „მსოფლიო ღირებულებების კვლევის“ ფარგლებში მოპოვებულ რაოდენობრივ მონაცემებს. ამ უკანასკნელის დროს, რესპონდენტებს აჩვენებდნენ ბარათს, რომელზეც მოცემულია სხვადასხვა კატეგორიის ხალხის/უმცირესობათა ჯგუფები და მათ უნდა აერჩიათ კატეგორია/კატეგორიები, რომელთაც არ ისურვებდნენ მეზობლად.

სიღრმისეული ინტერვიუების უდიდესი ნაწილი ჩატარდა რესპონდენტების ოჯახებში, წინასწარი შეთანხმების საფუძველზე. ინტერვიუები საშუალოდ 30 წუთი გაგრძელდა. სიღრმისეული ინტერვიუები ჩაიწერა დიქტოფონზე და შემდეგ გაიშიფრა.

სიღრმისეული ინტერვიუების აუდიო ჩანაწერების ტრანსკრიბირების შემდეგ, მოხდა ტრანსკრიპტების NVivo-ში შეტანა და ანალიზი. NVivo პროგრამაში თვისებრივი მონაცემები ორ დიდ კატეგორიად დაჯგუფდა: 18-დან 25 წლის ჩათვლით რესპონდენტების პასუხები და უფროსი თაობის (მშობლის ან ბებია-ბაბუის) რესპონდენტების პასუხები; თითო ჯგუფში შეიქმნა კატეგორიები (ნოდები), რომლებიც სიღრმისეული ინტერვიუს გზამკვლევაში არსებულ ძირითად თემებს შეესაბამება. ეს ძირითადი კატეგორიებია შვარცის ათი ღირებულებითი კატეგორია და, ასევე, სხვადასხვა უმცირესობის ჯგუფები, რომელთა მიმართ განწყობის შესწავლაც სიღრმისეული ინტერვიუების დროს მოხდა. თითოეული ძირითადი კატეგორია მოიცავს რამდენიმე ქვეკატეგორიას, რომლებშიც გაერთიანებულია სხვადასხვა რესპონდენტის მსგავსი დამოკიდებულებები და მოსაზრებები. შედეგად, დიდი კატეგორიის ქვეშ მყოფი თითო ქვეკატეგორია მოიცავს რესპონდენტების ციტატებს, რომლებიც მსგავს შეხედულებებს და განწყობებს ატარებენ. ამ მეთოდით

ქვეკატეგორიებში კოდირებული მონაცემები ანალიზის პროცესს უფრო მარტივს და გასაგებს ხდის.^{xii}

2016 წელს ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუების გარდა, სადისერტაციო ნაშრომში ასევე, მოტანილია MYPLACE-ის პროექტის ფარგლებში ჩატარებული 61 ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუს შედეგები. ეს ინტერვიუები 2012 წლის ნოემბერსა და დეკემბერში, აგრეთვე 2013 წლის იანვარში 16-დან 25 წლის ჩათვლით ახალგაზრდებთან თელავსა და ქუთაისში ჩატარდა. თელავში სულ 30 ინტერვიუ ჩატარდა, რომელთა საშუალო ხანგრძლივობა ერთ საათს აღწევდა. ქუთაისში სულ 31 ინტერვიუ ჩატარდა, თუმცა აქ ინტერვიუების ხანგრძლივობა უფრო მოკლე იყო და საშუალოდ 35 წუთი გრძელდებოდა (Campeau et al, 2013). ამ ინტერვიუების ფარგლებში გამოკითხული რესპონდენტების განაწილება სქესის და ასაკის მიხედვით იხილეთ მე-5 ცხრილში:

ცხრილი 5. MYPLACE-ის პროექტის ფარგლებში 2012 წლის ნოემბერ-დეკემბერში და 2013 წლის იანვარში ჩატარებული ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები ახალგაზრდებთან.

N	ქალაქი	ფსევდონიმი	სქესი	ასაკი
1	ქუთაისი	აჩი	მამრობითი	16
2	ქუთაისი	ანი	მდედრობითი	21
3	ქუთაისი	დათო	მამრობითი	22
4	ქუთაისი	ელენე	მდედრობითი	21
5	ქუთაისი	ერეკლე	მამრობითი	17
6	ქუთაისი	ევა	მდედრობითი	21
7	ქუთაისი	გიორგი	მამრობითი	21
8	ქუთაისი	გურამი	მამრობითი	19
9	ქუთაისი	ია	მდედრობითი	23
10	ქუთაისი	ირინა	მდედრობითი	18
11	ქუთაისი	კატო	მდედრობითი	16
12	ქუთაისი	ქეთი	მდედრობითი	21
13	ქუთაისი	კობა	მამრობითი	17
14	ქუთაისი	კოტე	მამრობითი	23

15	ქუთაისი	ლაშა	მამრობითი	17
16	ქუთაისი	მადონა	მდედრობითი	23
17	ქუთაისი	მამუკა	მამრობითი	24
18	ქუთაისი	მარეხი	მდედრობითი	22
19	ქუთაისი	მარიამი	მდედრობითი	20
20	ქუთაისი	მარინა	მდედრობითი	17
21	ქუთაისი	ნატა	მდედრობითი	22
22	ქუთაისი	ნიკა	მამრობითი	20
23	ქუთაისი	ნინო	მდედრობითი	19
24	ქუთაისი	სალომე	მდედრობითი	20
25	ქუთაისი	სანდრო	მამრობითი	19
26	ქუთაისი	სოფო	მდედრობითი	20
27	ქუთაისი	თამარი	მდედრობითი	21
28	ქუთაისი	თინა	მდედრობითი	19
29	ქუთაისი	ცირა	მდედრობითი	19
30	ქუთაისი	ცისანა	მდედრობითი	23
31	ქუთაისი	ვერა	მდედრობითი	17
32	თელავი	ზიძინა	მამრობითი	20
33	თელავი	დალი	მდედრობითი	22
34	თელავი	დემეტრი	მამრობითი	21
35	თელავი	ეკა	მდედრობითი	17
36	თელავი	კატია	მდედრობითი	16
37	თელავი	კესო	მდედრობითი	17
38	თელავი	ლალი	მდედრობითი	17
39	თელავი	ლევანი	მამრობითი	17
40	თელავი	ლიზა	მდედრობითი	17
41	თელავი	ლუკა	მამრობითი	17
42	თელავი	მაგდა	მდედრობითი	16
43	თელავი	მაკა	მდედრობითი	21

44	თელავი	მეგი	მდედრობითი	17
45	თელავი	მერი	მდედრობითი	20
46	თელავი	მიშა	მამრობითი	16
47	თელავი	ნანა	მდედრობითი	18
48	თელავი	ნუცა	მდედრობითი	22
49	თელავი	პეტრე	მამრობითი	18
50	თელავი	რატი	მამრობითი	19
51	თელავი	შორენა	მდედრობითი	22
52	თელავი	თათია	მდედრობითი	17
53	თელავი	თაზო	მამრობითი	20
54	თელავი	თეკლა	მდედრობითი	17
55	თელავი	თენგო	მამრობითი	16
56	თელავი	თოკო	მამრობითი	18
57	თელავი	ვანო	მამრობითი	25
58	თელავი	ზაქრო	მამრობითი	17
59	თელავი	ზაზა	მამრობითი	22
60	თელავი	ზეზვა	მამრობითი	17
61	თელავი	ზურა	მამრობითი	23

კვლევითი ინსტრუმენტი/გზამკვლევი მოიცავდა შემდეგ თემებს: საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები, საქართველოს ისტორია, სოციალური და პოლიტიკური ჩართულობა, ცხოვრების სტილი, პოპულიზმი/ექსტრემიზმის აღქმა, ქართული საზოგადოების დადებითი და უარყოფითი მხარეები და სხვა. დიქტოფონზე ჩაწერილი ინტერვიუების გაშიფრვის შემდეგ, მოხდა მათი ანალიზი თვისებრივი მონაცემების ანალიზის პროგრამა - NVivo-ს მეშვეობით. პროგრამაში მონაცემები დაჯგუფდა იმ ძირითადი თემების მიხედვით, რაც წარმოდგენილი იყო სიღრმისეული ინტერვიუების გზამკვლევაში. მოცემულ სადისერტაციო ნაშრომში ამ სიღრმისეული ინტერვიუებიდან მოტანილია მხოლოდ ის თვისებრივი მონაცემები, რომლებმაც საშუალება მოგვცა, გაგვემდიდრებინა „მსოფლიო ღირებულებების კვლევიდან“ აღებული რაოდენობრივი მონაცემები. MYPLACE-ის პროექტის

ფარგლებში ჩატარებული ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუების შედეგები მოცემულია პროექტის ვებგვერდზე განთავსებულ ანგარიშში.^{xiii}

2.3. კვლევის შეზღუდვები

სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილი კვლევის მთავარი შეზღუდვა არის ის, რომ 2016 წელს ჩატარებული თვისებრივი ინტერვიუების რაოდენობა არ არის საკმარისი ახალგაზრდა და უფროსი თაობების ღირებულებების შესახებ ინფორმაციის სრულყოფილად მისაღებად. როგორც ახალგაზრდებთან, ისე მათი ოჯახის უფრო წარმომადგენლებთან ჩატარდა 20-20 ინტერვიუ, რაც, თუნდაც თვესებრივი კვლევის შემთხვევაში, არასაკმარისი შეიძლება იყოს სიღრმისეული დასკვნების გამოსატანად. გარდა ამისა, თვისებრივი ინტერვიუები ჩატარდა საქართველოს 4 ქალაქში, რაც საშუალებას არ გვაძლევს, კვლევის თვისებრივ კომპონენტში, ვისაუბროთ სოფლად მცხოვრები მოსახლეობის მოსაზრებებზე, რომლებიც, სავარაუდოდ უფრო ტრადიციული და კონსერვატიული იქნებოდა ქალაქში მცხოვრებ მოსახლეობასთან შედარებით.

3. სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

3.1. ლიტერატურის მიმოხილვა ახალგაზრდებზე

ახალგაზრდობა არ შეიძლება მოვიაზროთ მხოლოდ როგორც ასაკობრივი კატეგორია. უინი და უაიტი წიგნში “Rethinking Youth” („ახალგაზრდობის თავიდან გააზრება“), ახალგაზრდობას განიხილავენ, როგორც სოციალურ პროცესს, როგორც რელატიურ კონცეფციას, რომელიც შეიძლება განვიხილოთ მხოლოდ ზრდასრულობასთან კავშირში. ავტორები საუბრობენ იმაზე, თუ როგორ აყალიბებენ და განსაზღვრავენ ახალგაზრდები საკუთარ იდენტობას (identity) საზოგადოებაში არსებული სხვა ჯგუფების ფონზე. ავტორების თქმით, ახალგაზრდობიდან ზრდასრულობამდე გადასვლა არის პროცესი „დამოკიდებულიდან“ (სხვა ადამიანებზე და ინსტრუქტორებზე) „დამოუკიდებლობამდე“, რომლის დროსაც აუცილებელად გასათვალისწინებელია ახალგაზრდების სოციალური ჩართულობა და მონაწილეობა სოციალურ პროცესებში (Wyn & White, 1997).

ამასთან, ლიტერატურაში ახალგაზრდები მოიაზრებიან ნებისმიერი ცვლილების განუყოფელ ნაწილად, რადგან სწორედ ახალ თაობებს მოაქვთ სიახლეები საზოგადოებაში. მეორე მხრივ, საზოგადოებაში არსებული სოციალური, კულტურული თუ ეკონომიკური ცვლილებები გავლენას ახდენს ახალგაზრდებზე, მათ ცხოვრების სტილსა და ღირებულებებზე. თანამედროვე სამყარომ ბევრი ცვლილება მოიტანა, რაზეც არაერთი მეცნიერი ალაპარაკდა თავის ნაშრომში (Furlong & Cartmel, 2006). ცვლილებები აისახა იმაზე, თუ როგორ ატარებენ ახალგაზრდები თავისუფალ დროს, როგორ იღებენ ინფორმაციას, როგორ აღიქვამენ მოვლენებს და რა დამოკიდებულება აქვთ მოვლენების მიმართ, შესაბამისად, ეს ცვლილებები ღირებულებებზეც აისახება.

ფურლონგი და კარტმელი (Furlong and Cartmel) წიგნში „ახალგაზრდები და სოციალური ცვლილებები“ განიხილავენ თანამედროვე დასავლურ სამყაროში არსებულ ცვლილებებს, რომლებმაც ახალგაზრდებზე ზეგავლენა მოახდინა. ავტორები საუბრობენ შრომის ბაზარზე მომხდარ ცვლილებებზე და ახალგაზრდების დასაქმების ახალ შესაძლებლობებზე, თუმცა, ყველაზე საინტერესო ოჯახის

ღირებულების მიმართ ახალგაზრდების დამოკიდებულება თანამედროვე სამყაროში: ოჯახის შექმნა აღარ წარმოადგენს თანაცხოვრების ერთადერთ და უალტერნატივო ფორმას. ბევრი ახალგაზრდა ცხოვრობს მარტო ან იყოფს საცხოვრებელს მეგობართან, პარტნიორთან ან სულაც უცხო ადამიან(ებ)თან. უმრავლესობას ჰყავს ბევრი სექსუალური პარტნიორი მანამ, სანამ გრძელვადიან ურთიერთობას დაიწყებს და ეს ურთიერთობები ხშირად არა ქორწინებით და ოჯახის შექმნით, არამედ თანაცხოვრებით და ერთმანეთის თავისუფლების პატივისცემით მთავრდება. ასეთი ცხოვრების სტილი ნორმა გახდა დასავლეთის თანამედროვე სამყაროში, სადაც, ასევე, გახშირდა ჰომოსექსუალური ურთიერთობების დაკანონების მოთხოვნა. ეს ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ ტრადიციული ოჯახის შექმნის მოთხოვნილება უფრო და უფრო იკლებს ახალგაზრდა თაობებში, რაც სხვადასხვა პოლიტიკური და რელიგიური მიმდინარეობის შეშფოთებას იწვევს. მათი თქმით, ახალგაზრდა თაობა ჰედონისტური და ეგოისტურია, მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობს და ყველანაირი პასუხისმგებლობის და ვალდებულების თავიდან აცილებას ცდილობს (Heath & Cleaver, 2003). თანამედროვე, განვითარებულ ქვეყნებში (ევროპა, ჩრდილოეთ ამერიკა და ავსტრალია) მიმდინარე ეს მოვლენები ნაკლებად არის წარმოდგენილი ქართულ საზოგადოებაში, სადაც ტრადიციული ღირებულებები დომინირებს.

ასევე, საინტერესოა თანამედროვე სამყაროში ცვლილებები, რომელიც **თავისუფალი დროის ტარებას და ცხოვრების სტილს ეხება**. იმის გამო, რომ თანამედროვე სამყაროში ახალგაზრდები დაქორწინებას აღარ ჩქარობენ, მათ მეტი დრო რჩებათ საკუთარი თავისთვის. თანამედროვე სამყარო ბევრ სხვადასხვა გასართობ საშუალებას სთავაზობს ახალგაზრდას, რაც, პირველ რიგში, ფინანსურ შესაძლებლობებს უკავშირდება. სწორედ ამიტომ გართობის საშუალებები მეტად ხელმისაწვდომია საზოგადოების შეძლებული ფენებისთვის. თუმცა, ზოგი მეცნიერის აზრით, ახალგაზრდები თავისუფალ დროს უფრო და უფრო ხშირად ატარებენ განცალკევებულად, რაც უკავშირდება იმას, რომ მათ აქვთ ინტერნეტთან წვდომა და მესამე თაობის მობილური ტელეფონები, რამაც თავისუფალი დრო აქცია უფრო პირად, დამოუკიდებელ აქტივობად, ვიდრე ერთმანეთთან ურთიერთობის საშუალებად (Furlong & Cartmel, 2006, გვ. 85).

გართობის თვალთაზრისით, დასავლეთისა და პოსტსაბოთა სივრცის ახალგაზრდებს შორის შესაძლებელია გარკვეული მსგავსებების ნახვა და პარალელების გავლება. ჯერ კიდევ 1997 წელს, საქართველოში, სომხეთსა და უკრაინაში ახალგაზრდების გამოკითხვის შედეგად მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით, კენ რობერტსი და კოლეთ ფაგანი (Ken Roberts and Colette Fagan, 1999) ასკვნიან, რომ ამ პერიოდში არსებული ეკონომიკური სიღარიბის მიუხედავად, პოსტსაბჭოთა ახალგაზრდების მიერ თავისუფალი დროის ტარების წესი და საშუალებები არც თუ ისე განსხვავდება დასავლეთის ქვეყნების მაშინდელი ახალგაზრდების მიერ დროის ტარების წესისა და საშუალებებისაგან. მაგალითად, თბილისში გამოკითხულთა საკმაოდ დიდმა ნაწილმა აღნიშნა, რომ აქვთ წვდომა ვიდეო-თამაშებსა და საკაბელო ტელევიზიაზე (გვ. 7), რაც 90-იან წლებში თავისუფალი დროის ტარების და გართობის ერთ-ერთი მთავარ საშუალებად ითვლებოდა. ამას გარდა, არსებობს რამდენიმე მიზეზი, რომელთა გამოც საქართველოში ახალგაზრდების თავისუფალი დროის ტარების და გასართობი საშუალებები ისე არ შეიზღუდა, როგორც ეს არსებული ეკონომიკური გარემოს გათვალისწინებით იყო მოსალოდნელი: პირველ რიგში, გასართობი საშუალებების ტექნიკა შესაძლოა ოჯახმა შეიძინა მანამ, სანამ ქვეყანაში ეკონომიკური ვარდნა მოხდებოდა. ასევე, ცნობილია, რომ 90-იანებში არსებობდა ბევრი არაორიგინალი, პატენტი ბრენდი, რომელიც უფრო ხელმისაწვდომი იყო მოსახლეობისთვის. ეს ვრცელდებოდა როგორც ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე, ისე აუდიო/ვიდეო ჩანაწერებსა და მოწყობილობაზე/ტექნიკაზე. ამის გამო, საქართველოში ახალგაზრდებისთვის საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ, თითქოს ხელმისაწვდომი იყო (და ახლაც არის) ის გასართობი ტექნიკა, ჩაცმულობის სტილი, მუსიკა თუ ფილმები, რაც დასავლეთში არსებობდა. თუმცა, აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში თავისუფალი დროის ტარების და გართობის ერთ-ერთი მთავარი საშუალება მეგობრებთან ერთად დროსტარებაა, რასაც ხშირად ფინანსები არ ესაჭიროება, რადგან მეგობრების შეკრება და დროსტარება, როგორც წესი, სახლში ხდება. მეგობრების და დროსტარების შესახებ ამ სადისერტაციო ნაშრომისთვის ჩატარებულ სიღრმისეულ ინტერვიუების დროს ისაუბრეს ქართველმა ახალგაზრდებმა, რაც დისერტაციის მიგნებების ნაწილში არის წარმოდგენილი.

ახალგაზრდებზე და მათ ღირებულებებზე საუბრისას, ასევე, საინტერესოა **სოციალურ და პოლიტიკურ ჩართულობაზე აქცენტის** დასმა. იმისდა მიუხედავად, რომ ახალგაზრდები აღიარეს, როგორც მნიშვნელოვანი ჯგუფი, რომელიც მომავალში ცვლილებებს მოიტანს, ნელ-ნელა აშკარა ხდება, რომ დღეს ახალგაზრდების მოვალეობა, უფლება და პასუხისმგებლობა საზოგადოებრივ მოვლენებში ჩართვა (Heath & Cleaver, 2003). სწორედ ახალგაზრდები უნდა იყვნენ ჩართული გადაწყვეტილების მიღებაში, დაიცვან საკუთარი უფლებები და გახდნენ სოციალური თუ პოლიტიკური მოვლენების მთავარი აქტორები. შეიძლება ითქვას, რომ ბოლო დროს ახალგაზრდები, გარკვეულწილად, საქართველოშიც გააქტიურდნენ საკუთარი უფლებების და ღირებულებების დასაცავად. 2018 წლის 12 მაისს თბილისში ცნობილ კლუბებსა და გასართობ ადგილებში პოლიციელების შეჭრის გამო გაიმართა საპროტესტო აქცია, სადაც, ძირითადად, ახალგაზრდები აქტიურობდნენ. ქუჩაში, ასევე, გამოვიდნენ, ამ აქციის მოწინააღმდეგე სხვა ახალგაზრდები, რომლებიც აქციის დაშლას ითხოვდნენ. რადიკალურად განსხვავებული პოზიციების და ღირებულებების მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ ორივე მხარის ახალგაზრდებმა საკუთარი სოციალური თუ პოლიტიკური აქტიურობა ამ ქუჩის დემონსტრაციებით გამოავლინეს. თუმცა, ასეთი ცალკეული შემთხვევების გარდა, საქართველოში ნაკლებად შეინიშნება ახალგაზრდების მხრიდან აქტიურობა ან პოლიტიკით ინტერესი (CRRC-საქართველო, 2017). ზოგი ავტორის მიხედვით, ასევე ნაკლებად აქტიურები არიან ახალგაზრდები თანამედროვე განვითარებულ ქვეყნებში: უფროს თაობებთან შედარებით, ახალგაზრდები ნაკლებად დადიან არჩევნებზე და არ არიან ჩართულნი პოლიტიკაში. ამის მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ მათ არ აქვთ ცოდნა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებისა და პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ. ასევე, ახალგაზრდები შეიძლება ფიქრობენ, რომ არჩევნებზე წასვლით და აქტიურობით ვერაფერს შეცვლიან (Furlong & Cartmel, 2006, გვ. 130).

ბუნებრივია, თანამედროვე სამყაროში და, დიდწილად, დასავლურ საზოგადოებებში მომხდარი ძირეული ცვლილებები, რომლებიც დასავლელ ახალგაზრდებზე აისახება, ქართველ ახალგაზრდებზეც ახდენს გავლენას. თუმცა, თუკი დასავლურ საზოგადოებებში მომხდარმა ცვლილებებმა საკმაოდ დიდი გავლენა ჰპოვა ახალგაზრდებზე, საქართველოში ეს ცვლილებები, სავარაუდოდ, გაცილებით

ნაკლები ხარისხით და ტემპით მიმდინარეობს. ამის მიზეზი, შეიძლება ის იყოს, რომ საქართველო არ არის ინოვაციების ეპიცენტრში და სავარაუდოდ, ახალგაზრდებსაც, ხშირ შემთხვევაში, დრო სჭირდებათ სიახლეებისა და ახალი ღირებულებების მისაღებად. ეს გარკვეულწილად, ოჯახის და უფროსი თაობების გავლენით შეიძლება აიხსნას. შესაბამისად, თუკი დასავლეთში კოლექტივისტური შეხედულებები და მიდგომები ჩანაცვლდა ინდივიდუალიზმით, საქართველოში ეს ტენდენცია ახალგაზრდებში ნაკლებად შეიმჩნევა.

დღეს დასავლურ საზოგადოებებში არ არის ბევრი კვლევა ჩატარებული კონკრეტულად ქართველ ახალგაზრდებზე, თუმცა, ბევრი მკვლევარი არის დაინტერესებული აღმოსავლეთ ევროპასა და პოსტსაბჭოურ სივრცეში მცხოვრები ახალგაზრდების თემით. მაგალითად, ბრიტანელმა მეცნიერმა ჰილარი პილკინგტონმა (Hilary Pilkington) ჯერ კიდევ 80-იანი წლების ბოლოს ე.წ. „პერესტროიკის“ პერიოდში დაიწყო რუსი ახალგაზრდების სუბკულტურების კვლევა და საზოგადოებაში ამ ჯგუფის აღქმის შესწავლა (1994). ავტორი საუბრობს იმაზე, რომ „პერესტროიკის“ პერიოდში არსებულმა სახელმწიფომ ვერ შეძლო ახალგაზრდების ჩართვა საზოგადოებაში, რის გამოც ხშირად საუბარია „დაკარგულ თაობაზე,“ რომლის მარგინალიზაცია და გარიყვა მოხდა.

ლივერპულის უნივერსიტეტის სოციოლოგიის პროფესორის, კენ რობერტსის (Ken Roberts) მიხედვით (2003), არ არსებობს არც ერთი ფენომენი ან სიტუაცია საზოგადოებაში, რომელიც საბჭოთა ან პოსტსაბჭოთა პერიოდში აღმოცენდა და არ ყოფილა დამახასიათებელი სხვა რომელიმე საზოგადოებისთვის. ავტორის მიხედვით, ასეთი ფენომენებია, მაგალითად, ეკონომიკური კონტექსტის უეცარი ცვლილება, დანაშაულის მაღალი მაჩვენებელი ან ის ფაქტი, რომ ახალგაზრდები დამოკიდებულები არიან მშობლებზე და მათთან ცხოვრობენ. შეიძლება ითქვას, რომ არაფერი შემთხვევით ახალგაზრდებს აღმოსავლეთ ევროპაში, კავკასიასა თუ ცენტრალურ აზიაში ისეთი, რაც სიტუაციის გასაგებად სრულიად ახალი კონცეფციის შემუშავებას მოითხოვს (Roberts, 2003, გვ. 485). აქედან გამომდინარე, კენ რობერტსის მიხედვით, პოსტსაბჭოურ სივრცეში ახალგაზრდების კვლევა არ საჭიროებს განსაკუთრებულ და ინოვაციურ მიდგომებს. აქ, უბრალოდ, გასათვალისწინებელია კონტექსტი, რომელიც ნაკლებად არის გამოკვლეული. საბჭოთა კავშირის დანგრევის

შემდეგ ადამიანები აღმოჩნდნენ მათთვის მანამდე სრულიად უჩვეული გარემოში: მკვეთრად გაუარესდა ადამიანების ეკონომიკური მდგომარეობა და უმუშევრობის დონემ საგრძნობლად იმატა. ამ ეკონომიკურმა ცვლილებებმა ისიც მოიტანა, რომ საზოგადოება, სადაც ყველას მეტ-ნაკლებად თანაბარი შემოსავალი ჰქონდა, დაიყო ეკონომიკური სტრატეგიკაციის პოლარულ ჯგუფებად: ძალიან მდიდრებად და ძალიან ღარიბებად.

ამ და სხვა უამრავი პრობლემის მიუხედავად, რომლებიც, ათეული წლების შემდეგ, კვლავაც აქტუალურია, ახალი თაობები პოსტსაბჭოთა სივრცეში და, მათ შორის, საქართველოშიც, იყურებიან დასავლეთისკენ და ახალი, თანამედროვე ღირებულებებისკენ, რომელიც, პირველ რიგში თავისუფლებას და ტოლერანტობას მოიაზრებს. ახალგაზრდებს უნდათ ახალი შესაძლებლობები და არ უნდათ იმ სამყაროში ცხოვრება, რომელშიც მათი მშობლები ცხოვრობდნენ. დასავლური ცხოვრების სტილი მათთვის უფრო სასურველი და, ამავე დროს, უფრო ხელმისაწვდომი გახდა. სწორედ ამიტომ, კენ რობერტსი აღნიშნავს, რომ პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, ახალგაზრდები რეფორმების მომხრეები არიან, იმ გაგებით, რომ ისინი ცხოვრების ახალ, დასავლეთში აღიარებულ სტილს ამჯობინებენ. ამ ქვეყნებში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ტოტალიტარიზმი შეცვალა პლურალიზმმა და კომუნისტური ხედვა და ღირებულებები ჩაანაცვლა ალტერნატიულმა შეხედულებებმა და მოსაზრებებმა, რაც ახალგაზრდებმა ყველგან შეიძლება ნახონ, სხვადასხვა მედია საშუალებებსა და ინტერნეტ წყაროებში. პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, და მათ შორის საქართველოში, ახალგაზრდები ხშირად იცვამენ ისე, როგორც დასავლეთში, უსმენენ იგივე მუსიკას, მიმართავენ გართობის იგივე საშუალებებს, რასაც მათი თანატოლები დასავლეთში. ყველაფერი ეს სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ დასავლეთიდან შემოვიდა ახალი, ქართველებისთვის აქამდე უცნობი კულტურა, ცხოვრების სტილი და ღირებულებები.

აქვე შეგვიძლია დავამატოთ, რომ საბჭოთა კავშირის დროს ახალგაზრდები მოიაზრებოდნენ, როგორც აქტორები, რომლებიც ფორმირების პროცესში არიან და რომელთაც ფორმალური თუ არაფორმალური ინსტიტუტებისგან (მაგ.: ოჯახი, სკოლა, სხვადასხვა ორგანიზაციები) ესაჭიროებათ მუდმივი მითითებები, რადგან მათ შემთხვევაში არსებობდა „იდეოლოგიისგან გადახვევის“ დიდი რისკი (Walker &

Stephenson, 2010, გვ. 522). ეს „იდეოლოგიისგან გადახვევა“ გულისხმობდა როგორც დასავლური მუსიკის მოსმენას და ფილმების ყურებას, ისე ნებისმიერი სხვა დასავლური ღირებულების გაზიარებას. საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ, ახალგაზრდები გათავისუფლდნენ „ზემოდან ნაკარნახევი“ იდეოლოგიისგან და ახალმა შესაძლებლობებმა და ცხოვრების დაგეგმვის ახალმა მიდგომამ იჩინა თავი. ახალგაზრდები ინდივიდუალიზაციის ანუ საკუთარი ცხოვრების დაგეგმვის თავისუფლების წინაშე აღმოჩნდნენ. სოციალური რეგულაციების და შეზღუდვების გაქრობის შემდეგ, უკვე არაფერია ნაკარნახევი „ზემოდან“ და ახალგაზრდებს არ აქვთ წინასწარ გაწერილი გზა; ისინი თავად საზღვრავენ, თუ რა არჩევანი გააკეთონ ცხოვრებაში. მკაცრი სოციალისტური რეგულაციებიდან, ისინი მოხვდნენ თავისუფალ, ლიბერალურ გარემოში, სადაც არჩევანი შეზღუდული არ არის. თუმცა, აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ინდივიდუალიზაციას და არჩევანის თავისუფლებასაც ახლავს სირთულეები, შიშები და საფრთხეების არსებობის შეგრძნება. სწორედ ამის გამო, მეცნიერები ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ახალგაზრდებს ესაჭიროებათ გარკვეული „სიმყარე“, „საყრდენი“, რის გამოც მათთვის „ძირითადი“, ტრადიციული ღირებულებები მაინც სტაბილური რჩება, იმისდა მიუხედავად, რომ მათ გარემოში უამრავი ცვლილება და ტრანსფორმაცია ხდება. უოლკერი და სტეფენსონი (Walker & Stephenson, 2010, გვ. 527) ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რომ აღმოსავლეთ ევროპაში და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ოჯახი არის ის ძირითადი ინსტიტუტი, რომელსაც ახალგაზრდები განსაკუთრებით ენდობიან. სწორედ ამ მოსაზრებას ადასტურებს ამ სადისერტაციო ნაშრომში გადმოცემული კვლევის შედეგებიც.

ამ ნაშრომის მიგნებების ნაწილში წარმოდგენილია ქართველი ახალგაზრდების დამოკიდებულებები თავისუფალი დროის ტარების, ასევე ოჯახის ღირებულების მიმართ, რაც საშუალებას გვაძლევს გავაანალიზოთ, რამდენად აისახება დასავლურ სამყაროში მიმდინარე ზემოთხსენებული ცვლილებები ქართველ ახალგაზრდებზე.

3.2. ლიტერატურის მიმოხილვა ღირებულებებზე და შვარცის მოდელი

მოცემული დისერტაციის ფარგლებში წარმოდგენილი კვლევის შედეგების დიდი (შეიძლება ითქვას, ძირითადი) ნაწილი ეფუძნება შალომ შვარცის (Shalom H. Schwartz) ღირებულებით სისტემას. თუმცა, სანამ შვარცის ღირებულებებს და ამ ღირებულებების გაზომვის მეთოდოლოგიას დეტალურად განვიხილავთ, საჭიროა, თვითონ ღირებულების ცნების და ამ სფეროში მომუშავე სხვა მეცნიერების ნამუშევრების მიმოხილვა.

ღირებულებების განმარტება საკმაოდ მრავალფეროვანია სამეცნიერო ლიტერატურაში. აბრაჰამ მასლოუს მიხედვით, ღირებულებები უკავშირდება ადამიანის მოთხოვნილებებს. მისი განმარტებით, ადამიანის არსებობის მახასიათებლები იგივე არსებობის ღირებულებებია. მიუხედავად იმისა, რომ ღირებულებების განმარტება საკმაოდ რთულია, მასლოუ გამოთქვამს ვარაუდს, რომ ღირებულებები არის ის, რისკენაც ადამიანები შინაღანად იღწვიან. ღირებულებებს მოაქვთ კმაყოფილების, სრულყოფის, რამის მიღწევის, ასრულების შეგრძნება (Maslow, 1971). სხვა განმარტების მიხედვით, ღირებულებები პრიორიტეტების დალაგებასთან არის კავშირში. ასოციაცია „European Values.Info“-ს მიხედვით, ადამიანები ცხოვრებაში იმის რანჟირებას ახდენენ, თუ რა არის მათთვის მეტად ან ნაკლებად მნიშვნელოვანი. თუმცა, ეს რანჟირება, ხშირ შემთხვევაში, არ არის ცნობიერი, არამედ ქვეცნობიერ დონეზე ვითარდება, იმის მიხედვით, თუ რა კულტურაში ვიზრდებით, რა განათლება და რელიგია გვაქვს. ღირებულებები საკმაოდ ღრმად არის ჩვენში გამჯდარი და მათთან ემოციური კავშირი გვაქვს. ჩვენი ღირებულებები განსაზღვრავს ჩვენს ქმედებებს, ხოლო ჩვენი ქმედებები, საერთო ჯამში, ქმნის ჩვენი საზოგადოების კულტურას. ასევე, ღირებულებები ითვლება კულტურის მთავარ ელემენტად. საზოგადოებაში არსებული წესები და ნორმები სწორედ მისი ღირებულებებიდან მომდინარეობს. ამა თუ იმ საზოგადოების წევრების ღირებულებები განსაზღვრავენ, არეგულირებენ და აკონტროლებენ იმ სოციალურ სისტემას, რომელშიც ისინი ცხოვრობენ (European Values.Info, n.d.).

ოქსფორდის ლექსიკონი „ღირებულებებს“ განმარტავს, როგორც ქცევის პრინციპებს ან სტანდარტებს; ადამიანის შეფასებას, თუ რა არის მნიშვნელოვანი ცხოვრებაში.^{xiv}

სწორედ ამიტომ, ადამიანის ღირებულებები ხშირად განსაზღვრავს მათ დამოკიდებულებებს და ქმედებებს. ღირებულებები განსაზღვრავს, თუ რომელი მოსაზრება, მოვლენა ან ფენომენი მოეწონება ან არ მოეწონება ადამიანს. ღირებულებების გაზომვა სხვადასხვა მიდგომით და მეთოდით არის შესაძლებელი. ყველაზე ხშირად გავრცელებულ მეთოდებს შორის არის გერტ ჰოფსტედეს (Geert Hofstede), მილტონ როკიჩის (Milton Rokeach), რონალდ ინგლეჰარტისა (Ronald Inglehart) და შალომ შვარცის (Shalom H. Schwartz) მიდგომები.

გერტ ჰოფსტედემ (Geert Hofstede) 80-იან წლებში დაიწყო კვლევა ეროვნულ კულტურებს შორის განსხვავებებზე და ეროვნული კულტურის გავლენაზე სამსახურში/სამუშაო ადგილზე ადამიანების მენეჯმენტზე/მართვაზე. თუკი მეოცე საუკუნის 50-იან და 60-იან წლებში ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში ითვლებოდა, რომ ადამიანების მენეჯმენტი უნივერსალური უნდა ყოფილიყო, 70-იანი წლებიდან ნელ-ნელა გასაგები გახდა, რომ ეროვნულ-კულტურულ მახასიათებლებს ორგანიზაციების მართვის პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ჰოფსტედეს მიხედვით, „მენეჯმენტისთვის ეროვნება მნიშვნელოვანია სამი მიზეზის გამო“ (Hofstede, 1983, გვ. 75). ავტორი საუბრობს პოლიტიკურ, სოციოლოგიურ და ფსიქოლოგიურ მიზეზებზე. იმის გამო, რომ ერები სხვადასხვა პოლიტიკურ ერთობებს წარმოადგენენ, მათ განსხვავებული ფორმალური ინსტიტუტები და სისტემები გააჩნიათ. სოციოლოგიური თვალსაზრისით, ერებს სხვადასხვა იდენტობა აქვთ და ისინი სიმბოლური ღირებულების - მოქალაქეობის - მატარებლები არიან. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ადამიანების ფიქრები ყოველთვის განპირობებულია ეროვნული კულტურის ფაქტორებით. რა გამოცდილება გვაქვს ოჯახში, სასწავლებელში და სამსახურში, განსხვავდება ქვეყნების კულტურის სპეციფიკის მიხედვით (Hofstede, 1983).

სხვა ნაშრომებში გერტ ჰოფსტედე უფრო მეტს საუბრობს კულტურის შესახებ. ჰოფსტედეს მიხედვით, კულტურა არის გონების კოლექტიური პროგრამირება, რომელიც ერთმანეთისგან ასხვავებს ერთი ჯგუფის წევრებს/ერთი კატეგორიის ადამიანებს სხვა ჯგუფის წევრებისგან/კატეგორიის ადამიანებისგან. იმის მიუხედავად, რომ ჰოფსტედე კულტურას გონების პროგრამირებად მოიაზრებს, იგი არ თვლის, რომ ადამიანები კომპიუტერებივით დაპროგრამებულნი არიან.

ადამიანებს შეუძლიათ გადაუხვიონ თავიანთი კულტურული პროგრამიდან შემოქმედებითი გზებით. კულტურული პროგრამირება უბრალოდ იმას ნიშნავს, რომ გარკვეული რეაქციები ზოგი კულტურისთვის უფრო დამახასიათებელი შეიძლება იყოს, ვიდრე სხვებისთვის (Kieser, 1994).

ჰოფსტედესთვის „კულტურა ყოველთვის არის კოლექტიური ფენომენი“ (Hofstede, 2011, გვ. 3). ის შეიძლება ვიხმაროთ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის ან, თუნდაც, გარკვეული პროფესიული ჯგუფების კონტექსტში. კულტურა, ასევე, განიხილება თაობებთან, საზოგადოების სხვადასხვა სოციალური კლასებთან ან დაჯგუფებებთან მიმართებაში. თუმცა, ჰოფსტედე აღნიშნავს, რომ ყველაზე ძლიერია კულტურა, რომელიც საზოგადოებრივ, ეროვნულ და ადამიანის სქესის ღირებულებებს ეფუძნება, რადგან ასეთ კულტურას ბავშვები ადრეული ასაკიდან ეცნობიან და მათში ღრმა კვალს ტოვებს.

გერტ ჰოფსტედემ ჩაატარა ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი კვლევა ეროვნულ ღირებულებებზე და განავითარა „კულტურული განზომილებების თეორია“ (Cultural Dimensions Theory). მისი ყველაზე პოპულარული წიგნი - „კულტურა და ორგანიზაცია: გონების პროგრამა“ (1991) - ოცზე მეტ ენაზე არის თარგმნილი. კვლევის რამდენიმე ეტაპის შემდეგ, ჰოფსტედემ ეროვნული კულტურის ექვსი განზომილების მოდელი ჩამოაყალიბა. მისივე განმარტებით, განზომილება (dimension) არის კულტურის ასპექტი, რომლის გაზომვაც შეიძლება სხვა კულტურებთან მიმართებაში (Hofstede, 2011). ჰოფსტედემ თავისი კვლევის შედეგად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანას მიანიჭა გარკვეული ქულა და თითოეულ განზომილებაში განათავსა სხვა ქვეყნებთან მიმართებით.

ეს ექვსი განზომილება მოიცავს ინდივიდუალიზმი/კოლექტივიზმის (Individualism/Collectivism) კატეგორიას, რაც კავშირშია სხვადასხვა საზოგადოებრივ ჯგუფში ინდივიდის ინტეგრაციასთან.^{xv} ჰოფსტედე ინდივიდუალისტურ საზოგადოებებს უწოდებს ისეთ საზოგადოებებს, რომელთა წევრებს შორისაც კავშირი საკმაოდ სუსტია. ასეთ საზოგადოებებში ადამიანებს საკუთარი თავი და ოჯახის წევრები აბარიათ, მაშინ როდესაც კოლექტივისტურ საზოგადოებაში ადამიანები დაბადებიდანვე უფრო ფართო ჯგუფების და გაფართოებული ოჯახების (სადაც

შედიან ბებიები, ბაბუები დეიდები, ბიძები და სხვა ნათესავები) ნაწილი არიან, რომელთა ერთგულებაც ევალებათ (Hofstede, 2011). ჰოფსტედეს ეს განზომილება ეხმაურება ამ დისერტაციაში წარმოდგენილი კვლევის მონაცემებს, სადაც ჩანს, რომ ქართულ საზოგადოებაში როგორც ახალგაზრდები, ისე უფროსი თაობები კოლექტივისტური ღირებულებების მატარებლები არიან და ინდივიდუალისტურ ღირებულებებს იშვიათად გამოხატავენ.

მილტონ როკიჩი (Milton Rokeach) ცნობილია წიგნით „ადამიანის ღირებულებების ბუნება“ (The Nature of Human Values, 1973). ავტორის მიხედვით, ღირებულებების კონცეფცია არის ერთ-ერთი მთავარი სოციალურ მეცნიერებებში. ეს არის ძირითადი დამოკიდებული ცვლადი კულტურის, საზოგადოებისა და პიროვნების კვლევებში და, ამავდროულად, მთავარი დამოუკიდებელი ცვლადი სოციალური დამოკიდებულებებისა და ქცევების შესწავლისას (Rokeach, 1973). წიგნი შეფასდა, როგორც იმ დროის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კვლევა, რომლის ფარგლებშიც ახალი მიდგომა შემუშავდა. რამდენიმე კვლევის ფარგლებში ადამიანებს უნდა დაეღაგებინათ სხვადასხვა ღირებულებების მატარებელი სიტყვები მათი მნიშვნელოვნების მიხედვით (Williams, 1974).

როკიჩის ღირებულებების კვლევის ინსტრუმენტი მოიცავს 36 ღირებულებას. აქედან 18 არის „ტერმინალური“ ღირებულება (Terminal Values), რომლებიც ასახავს, თუ რა მიზნების მიღწევა სურს ადამიანს ცხოვრებაში, ხოლო 18 არის „ინსტრუმენტული“ ღირებულება (Instrumental Values), რომლებიც ასახავს, თუ როგორი საქციელით/რა ხერხით აპირებს ადამიანი სასურველი მიზნების მიღწევას. როკიჩის „ტერმინალური“ ღირებულებები მოიცავს შემდეგს: კომფორტული ცხოვრება, ამაღელვებელი ცხოვრება, რაიმეს მიღწევის შეგრძნება, მშვიდობა მსოფლიოში, სილამაზე მსოფლიოში, თანასწორობა, ოჯახის უსაფრთხოება, თავისუფლება, ბედნიერება, შინაგანი ჰარმონია, ურყევი სიყვარული, ეროვნული უსაფრთხოება, სიამოვნება, გადარჩენა, საკუთარი თავის პატივისცემა, აღიარების მოპოვება, ნამდვილი მეგობრობა, სიბრძნე; ხოლო „ინსტრუმენტული“ ღირებულებებია: ამბიციური, გონებაგახსნილი, უნარიანი, მხიარული, სუფთა, გამბედავი, მიმტევებელი, დამხმარე, გულწრფელი, შემოქმედი, დამოუკიდებელი, ინტელექტუალური, ლოგიკური, მოსიყვარულე, მორჩილი, ზრდილობიანი, პასუხისმგებლიანი, საკუთარ თავზე

კონტროლის მქონე. როკიჩის თქმით, ყველა ადამიანს აქვს ეს ორი ღირებულებითი სისტემა (Rokeach, 1968).

რონალდ ინგლეჰარტი (Ronald Inglehart), კრისტიან ველცელთან (Christian Welzel) ერთად, იკვლევს ერებს შორის განსხვავებებს ძირითადი ღირებულებების კუთხით და აანალიზებს, თუ როგორ იცვლება ღირებულებები მოდერნული და ტრადიციული შეხედულებების ფონზე (Inglehart & Welzel, 2005). ინგლეჰარტის მრავალწლიანი კვლევები ეხება თანამედროვე სამყაროს გავლენას ღირებულებებზე და, ასევე, ამ ღირებულებების გავლენას დემოკრატიულ პროცესებზე. ინგლეჰარტის აზრით, თანამედროვე სამყაროში ეკონომიკური და ფიზიკური უსაფრთხოების ღირებულებები ჩანაცვლდა სუბიექტური კეთილდღეობის, საკუთარ თავზე ორიენტირებული და ცხოვრების მაღალი დონის ღირებულებებით. ავტორების თანახმად, სწორედ აქედან იღებს სათავეს მატერიალისტური და პოსტმატერიალისტური ღირებულებები (Inglehart & Welzel, 2010).

ინგლეჰარტისა და ველცელის მოდერნიზაციის თეორიის განახლებული ვერსია გულისხმობს იმას, რომ ეკონომიკური განვითარება, გარკვეულწილად, ცვლის საზოგადოებაში არსებულ ღირებულებებს და უფრო რეალურს ხდის/ზრდის დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნისა და გადარჩენის შესაძლებლობებს. ეგრეთ წოდებული „თვითგამოხატვის“ ღირებულებები, ინგლეჰარტის და ველცელის კვლევების მიხედვით, მჭიდრო კავშირშია თანამედროვე, განვითარებული სამყაროს ისეთ სოციალურ ფენომენებთან, როგორცაა სამოქალაქო საზოგადოება, გენდერული თანასწორობა და დემოკრატიზაცია. აქ შესაძლებელია ვისაუბროთ მიზეზ-შედეგობრივ კავშირზე. მეცნიერები, რომლებიც სოციალურ საკითხებზე მუშაობენ, უკვე დიდი ხანია ვარაუდობენ, რომ ადამიანების რწმენები და ღირებულებები აისახება საზოგადოებების საქმიანობასა და ქმედებებზე, მაგრამ ბოლო დრომდე ამ ვარაუდის სტატისტიკური მტკიცებულება არ არსებობდა. ინგლეჰარტის და ველცელის კვლევებმა წარმოადგინეს მტკიცებულება, რომ ადამიანების გარკვეული მოდერნისტული დამოკიდებულებები წარმოადგენს საზოგადოების მყარ მახასიათებლებს და დემოკრატიის ცვლადებს/პრედიქტორებს. ავტორების მტკიცებით, არსებობს სხვა კვლევები, რომლებიც აჩვენებს ხალხის თანამედროვე დამოკიდებულების გავლენას საზოგადოებაში გენდერულ თანასწორობაზე,

ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებსა და ჯგუფებს შორის ტოლერანტულ თანამშრომლობაზე (Inglehart & Welzel, 2010).

იმის მიუხედავად, რომ ბევრი საინტერესო კვლევა და თეორია არსებობს ადამიანების ღირებულებების შესახებ, ამ დისერტაციაში წარმოდგენილი ძირითადი კვლევის და მიგნებების დიდი ნაწილი ეფუძნება შალომ შვარცის (Shalom H. Schwartz) ღირებულებით სისტემას. შვარცის მიხედვით, „არსებობს ასობით ღირებულება, რომლებიც დამახასიათებელია საზოგადოებისთვის ან ცალკეული კულტურული ჯგუფისთვის. მათ შორის ზოგიერთი ყველა საზოგადოებისთვის საერთოა, ზოგიერთი კი - მხოლოდ ცალკეული მათგანისთვის“ (სურმანიძე, 2001, 107). შვარცი ღირებულებათა ტიპებს ორ - კულტურის და ინდივიდის - დონეზე წარმოადგენს და საუბრობს მათი არევის საშიშროებაზე. თავად განმარტავს, რომ კულტურის დონეზე არსებულ ღირებულებებზე საუბარი მაშინ არის მიზანშეწონილი, როდესაც ადამიანს უნდა გაიგოს, თუ როგორ უკავშირდება კულტურებს შორის განსხვავებები, სიმბოლოთა სისტემის, ინსტიტუტებისა თუ ქცევის სტილის კუთხით, კულტურულ ღირებულებებს. თუკი ჩვენ გვინტერესებს, თუ როგორ უკავშირდება კულტურულ ღირებულებათა კონტექსტი კულტურათა შორის განსხვავებებს ისეთ თემებზე, როგორებიცაა, მაგალითად, მედია და პოლიტიკური სტრუქტურები, მაშინ ჩვენ უნდა გამოვიყენოთ კულტურის დონის ღირებულებები.

ხოლო ინდივიდის დონეზე არსებული ღირებულებები მაშინ უნდა გამოვიყენოთ, როდესაც გვინდა გავიგოთ, თუ როგორ უკავშირდება ღირებულებების არჩევა ადამიანების რწმენებს, დამოკიდებულებებს ან ქცევებს. მაგალითად, თუ ჩვენი ინტერესია იმის გარკვევა, რა კავშირშია ადამიანის ღირებულებები მის აღქმებთან (მაგალითად, სამართლიანობის შესახებ) ან პოლიტიკურ დამოკიდებულებებთან ანდა სხვა ჯგუფების მიმართ აგრესიასთან, მაშინ უნდა გამოვიყენოთ ინდივიდის დონეზე არსებული ღირებულებები (Schwartz, 1994).

შვარცმა, ადამიანის მოთხოვნილებებიდან გამომდინარე, გამოყო ათი ძირითადი ღირებულების ტიპი:

1. საკუთარი თავისთვის მიმართულების მიცემა/თვითორიენტაცია (Self-Direction): დამოუკიდებელი ფიქრი და ქმედება, შექმნა, გამოკვლევა (კავშირშია შემდეგთან:

კრეატიულობა, თავისუფლება, დამოუკიდებლობა, საკუთარი მიზნების არჩევა, ცნობისმოყვარეობა);

2. სტიმულირება/წახალისება (Stimulation): ხალისი, ცხოვრების გამოწვევების მიღება (კავშირშია შემდეგთან: გაბედვა, საინტერესო ცხოვრება);

3. ჰედონიზმი (Hedonism): სიამოვნება და კმაყოფილება (კავშირშია შემდეგთან: ცხოვრებით ტკბობა);

4. მიღწევა (Achievment): პირადი წარმატება კომპეტენციის დახმარებით (კავშირშია შემდეგთან: წარმატება, ამბიცია, გავლენა, აღიარება);

5. ძალაუფლება (Power): სოციალური სტატუსი და პრესტიჟი, კონტროლი ან დომინანტურ პოზიციაში ყოფნა (კავშირშია შემდეგთან: სოციალური ძალაუფლება, ავტორიტეტი, სიმდიდრე, რეპუტაციის შენარჩუნება);

6. უსაფრთხოება (Security): საზოგადოების, ოჯახის და ინდივიდის სტაბილურობა და უსაფრთხოება;

7. კონფორმულობა (Conformity): ქმედებების შეზღუდვა, მიდრეკილება ისე მოიქცე, როგორც მისაღებია საზოგადოებისთვის (კავშირშია შემდეგთან: ზრდილობა, მორჩილება, მშობლების და უფროსი თაობის პატივისცემა);

8. ტრადიცია (Tradition): ტრადიციული კულტურის ან რელიგიის პატივისცემა და მიღება (კავშირშია შემდეგთან: თავმდაბლობა, იმით კმაყოფილება, რაც გაქვს, ღვთისმოშიშობა, ტრადიციების პატივისცემა, თავშეკავება);

9. კეთილმოსურნეობა (Benevolence): იმ ადამიანების დაცვა და გაძლიერება, ვისთან ერთადაც დიდ დროს ატარებ (კავშირშია შემდეგთან: დახმარება, გულწრფელობა, მიმტევებლობა, ერთგულება, საიმედოობა);

10. უნივერსალიზმი (Universalism): გაგება, დაფასება, ტოლერანტობა, ყველა ადამიანის და გარემოს დაცვა (კავშირშია შემდეგთან: სიბრძნე, გახსნილი გონება, სოციალური სამართალი, თანასწორობა, მსოფლიოში მშვიდობა, გარემოს დაცვა);

ეს ათი ღირებულება, შვარცის მიხედვით, წარმოდგენილია ორ განზომილებაში. პირველ განზომილებაში ერთმანეთის საპირისპიროდ წარმოდგენილია, ერთი მხრივ,

„თვითორიენტაციის“, „სტიმულირების“ და „ჰედონიზმის“ ღირებულებები (რომლებიც გაერთიანებულია მთავარ კატეგორიაში „მზაობა და ღიაობა ცვლილებისთვის“ (Openness to Change)), ხოლო, მეორე მხრივ, „უსაფრთხოების“, „კონფორმულობის“ და „ტრადიციის“ ღირებულებები (რომლებიც გაერთიანებულია მთავარ კატეგორიაში „კონსერვატიზმი“ (Conservation)). მეორე განზომილებაში ღირებულებები „ჰედონიზმი“,^{xvi} „მიღწევა“ და „ძალაუფლება“ (რომლებიც ერთიანდება „თვითგაუმჯობესების, საკუთარ თავზე ორიენტაციის“ (Self-Enhancement) მთავარ კატეგორიაში) უპირისპირდება ღირებულებებს „კეთილმოსურნეობა“ და „უნივერსალიზმი“ (რომლებიც ერთიანდება „საკუთარი თავის გადალახვის და სხვაზე ორიენტაციის“ (Self-Transcendence) მთავარ კატეგორიაში) (Schwartz, 2012).

იმის დასადგენად, თუ რომელი ღირებულებებია მნიშვნელოვანი ადამიანისთვის, შვარცი იყენებს „პორტრეტების ღირებულებათა კითხვარს“ (Portrait Values Questionnaire - PVQ), რომელიც მოიცავს სხვადასხვა ადამიანის მოკლე ვერბალურ აღწერილობებს. თითოეული პორტრეტი აღწერს გარკვეული შეხედულების, მიზნის ან სურვილის მატარებელ ადამიანს, რომელსაც რაიმე კონკრეტული ღირებულება ამოძრავებს. რესპონდენტი აფასებს, თუ რამდენად ჰგავს ან არ ჰგავს მოკლე ტექსტში აღწერილი ადამიანი მას 6-საფეხურიან სკალაზე. მოცემული პასუხებიდან „ძალიან მგავს“, „მგავს“, „ასე თუ ისე მგავს“, „უმნიშვნელოდ მგავს“, „არ მგავს“ „სრულიად არ მგავს“, რესპონდენტი ირჩევს ერთ-ერთს და ამით თვითონვე აფასებს, თუ რამდენად ჰგავს ან არ ჰგავს ტექსტში აღწერილ ადამიანს (Schwartz, 2003).

შვარცის ღირებულებების მოდელს იყენებს ბევრი მკვლევარი, ხშირად იმის დასადგენად, თუ რამდენად არის ადამიანის რელიგიურობა დაკავშირებული მის ღირებულებით სისტემასთან. სხვადასხვა ქვეყნებში კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ რელიგიურობა ხშირად არის კავშირში „კონსერვატიზმის“ ღირებულებებთან, ასევე „კეთილმოსურნეობის“ ღირებულებასთან. ამასთან, რელიგიური ადამიანები ნაკლებად არიან „თვითორიენტაციის“, „სტიმულირების“, ასევე, „მიღწევის“ და „ძალაუფლების“ ღირებულებების მატარებლები (Saroglou, Delpierre, & Dernelle, 2004). საქართველოში, სადაც რელიგია საკმაოდ მნიშვნელოვანი როლს ასრულებს ადამიანების ცხოვრებაში, მოსალოდნელია მსგავსი შედეგები.

3.3. საქართველოში ჩატარებული კვლევები ახალგაზრდებისა და ღირებულებების შესახებ

ახალგაზრდების შესახებ ბოლო წლებში, საქართველოში, სხვადასხვა კვლევა ჩატარდა. მათი დიდი ნაწილი, უმეტესად, ფოკუსირებულია ახალგაზრდების ცხოვრების კონკრეტულ წესზე, ჯანდაცვაზე, სოციალურ ჩართულობაზე, განათლებაზე და დასაქმებაზე.

2010 წელს „საზოგადოებრივი აზრის კვლევისა და მარკეტინგის ინსტიტუტმა“ (Institute for Polling and Marketing - IPM) და „საქართველოს ახალგაზრდული ორგანიზაციების ფორუმმა“, ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველოს“ (Open Society - Georgia) მხარდაჭერით, ჩატარა კვლევა ახალგაზრდების შესახებ. კვლევის მიზანი იყო ახალგაზრდების მდგომარეობის შეფასება განათლების, გართობის, სპორტში ჩართულობის და სამოქალაქო აქტიურობის კუთხით. კვლევა, ასევე, მიზნად ისახავდა სხვადასხვა სფეროსა და ორგანიზაციების მიმართ ახალგაზრდების განწყობების კვლევას და ახალგაზრდულ სფეროში მომუშავე ორგანიზაციების შეხედულებების გამოვლენას. კვლევის ფარგლებში ჩატარდა 5 ფოკუს-ჯგუფი 18-დან 25 წლის ჩათვლით ახალგაზრდებთან და 300-მდე რაოდენობრივი ინტერვიუ როგორც ახალგაზრდებთან, ისე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. კვლევის შედეგებმა გამოავლინა, რომ ახალგაზრდული სფეროს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და პრობლემურ მიმართულებას ცხოვრების ჯანსაღი წესი წარმოადგენს. რესპონდენტების უმრავლესობამ აღნიშნა, რომ სპორტის სფერო საქართველოში გარკვეულ ცვლილებებს საჭიროებს. ასევე, მნიშვნელოვან პრობლემურ საკითხს წარმოადგენს ახალგაზრდების სამოქალაქო აქტივობა. რესპონდენტების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ ახალგაზრდები ნაკლებად არიან ჩართულნი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რის მთავარ მიზეზადაც საკუთარი უფლებების შესახებ ინფორმაციის არქონა სახელდება. ასევე, „რესპონდენტთა აზრით, უფლებების დაბალ ცნობადობას ერთვის უპერსპექტივობის განცდა. ახალგაზრდები ვერ ხედავენ მათ მიერ გამოჩენილი ინიციატივების მნიშვნელობას“ (საზოგადოებრივი აზრის კვლევისა და მარკეტინგის ინსტიტუტი და საქართველოს ახალგაზრდული ორგანიზაციების ფორუმი, 2011, გვ. 57). ასევე, კვლევაში ჩართული ახალგაზრდები, ისე როგორც ორგანიზაციების წარმომადგენლები, ახალგაზრდების ერთ-ერთ

პრობლემას სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაბალ დონეს ასახელებენ. კვლევის ეს და სხვა შედეგები აღწერილია 2011 წელს გამოქვეყნებულ ანგარიშში.^{xvii}

მნიშვნელოვანი კვლევა, რომელიც საქართველოში ახალგაზრდების მდგომარეობას და საჭიროებების ანალიზს ეხება, გაეროს ბავშვთა ფონდის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპისა და დსთ ქვეყნების (UNICEF CEE/CIS) რეგიონული ოფისისა ფინანსური დახმარებით, 2013 წელს ჩატარდა. „ახალგაზრდების ეროვნული კვლევა საქართველოში“ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატის) მიერ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან და გაეროს მოსახლეობის ფონდთან (UNFPA) თანამშრომლობით განხორციელდა და შემდეგ თემებს მოიცავდა: ახალგაზრდობის ჩართულობა სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ აქტივობებში, ახალგაზრდობის სწავლების, დასაქმების ხელშეწყობა და ჯანდაცვა. კვლევის ფარგლებში ახალგაზრდებად 15-29 წლის ადამიანები მოიაზრებოდნენ. კვლევის მიზანს საქართველოში ახალგაზრდების პრობლემების იდენტიფიცირება და ახალგაზრდული პოლიტიკის შემუშავება წარმოადგენდა. ამისთვის საქართველოს ყველა რეგიონში 2500 შინამეურნეობიდან 15-29 წლის ასაკის რესპონდენტები გამოიკითხნენ. კვლევის შედეგები თანხვედრაშია საქართველოში ჩატარებულ სხვა კვლევის შედეგებთან და მიუთითებს ახალგაზრდების დაბალ ჩართულობაზე საზოგადოებრივ ცხოვრებაში. კვლევის ძირითადი შედეგებიდან მოცემული სადისერტაციო ნაშრომისთვის მნიშვნელოვანია უმცირესობების, კერძოდ, შეზღუდული შესაძლებლობების/ სპეციალური საჭიროებების მქონე პირების, მიმართ ახალგაზრდების დამოკიდებულება. კვლევის ერთ-ერთ ძირითად შედეგად მიიჩნევა ის, რომ ახალგაზრდების 43% შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან დაკავშირებულ სტიგმას სოციალურ ნორმად აღიქვამს. ქალაქში მცხოვრები ახალგაზრდების 46%, ხოლო სოფლად მცხოვრები ახალგაზრდების 40% სტიგმას ანიჭებს შეზღუდული შესაძლებლობის ქონასაღნიშნული სტიგმა ქალებში უფრო მაღალია (46%), ვიდრე კაცებში (41%) და უფრო მაღალია დედაქალაქში (48%), ვიდრე ქვეყნის დანარჩენ ნაწილში (41%) (საქსტატი, 2014, გვ. 9). გამოკითხვის ფარგლებში, ახალგაზრდების ნახევარზე მეტი ეთანხმება მოსაზრებას, რომ საქართველოში, შესაძლებლობის შემთხვევაში, მშობელი ეცდება დაუმალოს სხვებს, რომ მას ჰყავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე შვილი.

ასევე „მთელ საქართველოში იმ ახალგაზრდების წილი, რომლებიც თვლიან, რომ ხალხი მათ გარშემო ერიდება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთან ურთიერთობას, შეადგენს თითქმის 40%-ს“ (საქსტატი, 2014, გვ. 97). ეს შედეგები ეხმაურება მოცემული დისერტაციის ფარგლებში ჩატარებულ სიღრმისეული ინტერვიუების შედეგებს, სადაც რესპონდენტები საუბრობენ სპეციალური საჭიროებების ადამიანების მიმართ დამოკიდებულებაზე.^{xviii}

რაც შეეხება ახალგაზრდების ღირებულებების კვლევას, აღსანიშნავია სამი ასეთი კვლევა/პროექტი, რომლებიც, გარკვეულწილად, თანხმობაშია წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის მიზანსა და ამოცანებთან.

2011 წელს „საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტმა“ (Institute for Policy Studies – IPS) ჩაატარა კვლევა, რომლის მიზანიც იყო „სხვადასხვა თაობების ღირებულებების შესწავლა და ქვეყნის დემოკრატიული განვითარების გამოწვევების იდენტიფიკაცია“ (სუმბაძე, 2012, გვ. 5). კვლევის ფარგლებში, 2011 წლის ნოემბერ-დეკემბერში, საერთო ჯამში, 1000-ზე მეტი ადამიანი გამოიკითხა, როგორც 18-24, ისე 40-50 და 60-70 ასაკობრივი ჯგუფებიდან. კვლევის საკითხები საკმაოდ ახლოს დგას მოცემულ დისერტაციაში წარმოდგენილ თემებთან. კვლევის ინსტრუმენტში გამოყენებულ იქნა როგორც ინდივიდუალიზმის და კოლექტივიზმის, ისე მატერიალიზმის და პოსტ-მატერიალიზმის ღირებულებითი ორიენტაციები; ასევე, ისეთი ღირებულებები, როგორებიცაა განათლება, ჯანმრთელობა და რელიგია.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ კოლექტივისტური ორიენტაცია უფრო ასაკობრივ კატეგორიაში ჭარბობს, სადაც ტრადიციებისადმი ერთგულება და ოჯახის სიმყარე მნიშვნელოვან ღირებულებას წარმოადგენს, მაშინ, როდესაც ახალგაზრდებისთვის დამოუკიდებლობა და მიზანსწრაფულობა უფრო ღირებულია. თუმცა, მეორე მხრივ, ავტორი, ასევე, აღნიშნავს, რომ უფროს თაობებში არ შეინიშნება ინდივიდუალისტური ორიენტაციის კლება.

კვლევის შედეგებმა, აგრეთვე, აჩვენა, რომ დემოკრატიისადმი დამოკიდებულება ერთნაირად დადებითია როგორც ახალგაზრდა, ისე უფროს თაობებს შორის. ზოგადად, ინტერესი პოლიტიკისადმი კი, ახალგაზრდებთან შედარებით, უფროს თაობებში უფრო აღინიშნება. კვლევა, ასევე, ეხება გენდერის და ტოლერანტობის

საკითხებს და ასკვნის, რომ „გენდერული თანასწორობა და უმცირესობების მიმართ ტოლერანტობა უფრო მაღალია ახალგაზრდებთან“ (სუმბაძე, 2012, გვ. 7).

რაც შეეხება რელიგიის მიმართ დამოკიდებულებას, კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ რელიგია უფრო მნიშვნელოვანია ახალგაზრდა თაობისთვის, რაც გამოიხატება როგორც რელიგიურ ღონისძიებებში ჩართულობაში, ისე სხვა რელიგიური წარმომადგენლების მიმართ არატოლერანტულ დამოკიდებულებაში. ეს შედეგები ადასტურებს იმ ფაქტს, რომ რელიგიის მნიშვნელოვნება საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ მკვეთრად გაიზარდა. ზემოქმედის გარდა, გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, რომ ახალგაზრდები, უფროს თაობებთან შედარებით, უფრო ბედნიერები და ოპტიმისტურად განწყობილები და, ზოგადად, უფრო კმაყოფილები არიან საკუთარი ცხოვრებით (სუმბაძე, 2012).

თაობათა შორის ეს განსხვავებები და კვლევის სხვა შედეგები დიდწილად თანხვედრაშია მოცემულ სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილ კვლევის შედეგებთან. დეტალური ინფორმაცია კვლევის შესახებ წარმოდგენილია 2012 წელს გამოქვეყნებულ წიგნში „თაობები და ღირებულებები.“^{xix}

2016 წლის მაისი-ივლისის პერიოდში, „ანალიზისა და კონსულტაციის ჯგუფმა“ (ACT), „ფრიდრიხ ებერტის ფონდის“ (Friedrich Ebert Stiftung - FES) სამხრეთ კავკასიის რეგიონული ოფისის დაკვეთით, ჩაატარა კვლევა საქართველოში 14-29 წლის ახალგაზრდების პრობლემების, მისწრაფებების, ღირებულებებისა და ცხოვრების სტილის შესახებ. კვლევაში გამოყენებულ იქნა „შელის ახალგაზრდული კვლევის“ (Shell Youth Study) მოდელი, რომელიც 1953 წლიდან გერმანიასა და სხვა ქვეყნებში ტარდება. კვლევის ფარგლებში ჩატარდა 1200 პირისპირი ინტერვიუ და 24 ფოკუს-ჯგუფი.^{xx}

კვლევის ძირითადი მიგნებები მოიცავს შემდეგ თემებს: განათლება და დასაქმება, დემოკრატია და მმართველობა, საგარეო პოლიტიკა, ახალგაზრდების პრობლემები და მისწრაფებები, იდენტობა, ღირებულებები და რელიგია, ოჯახი და მეგობრები, დასვენება და ცხოვრების წესი. კვლევის ძირითადი შედეგების მიხედვით, ახალგაზრდებში ჭარბობს ტრადიციული ღირებულებები, რაც, პირველ რიგში, გამოიხატება ოჯახის, როგორც ღირებულების, მნიშვნელოვნებით. კვლევის

შედეგების მიხედვით, ახალგაზრდები აფასებენ ადამიანურ ურთიერთობებს და აბსოლუტური უმრავლესობა აუცილებლად მიიჩნევს „კარგი ოჯახის“ ქონას. ამასთან, შედეგებმა აჩვენა, რომ ახალგაზრდები თავისუფალ დროს უთმობენ მეგობრებს, მუსიკის მოსმენას, კითხვას, წერას, ხატვას, სპორტულ აქტივობებს და კომპიუტერულ თამაშებს. თუმცა, ასაკის მატებასთან ერთად, აქტივობებში ჩართულობა იკლებს. ამასთან, ახალგაზრდები ნაკლებად არიან ჩართულნი სოციალურ თუ პოლიტიკურ აქტივობებში, დაბალია, ასევე, პოლიტიკით დაინტერესება და ნდობა პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ. ავტორების თქმით, ნიჰილისტური დამოკიდებულება პოლიტიკური საკითხების მიმართ, შესაძლოა, გამოწვეული იყოს იმით, რომ ახალგაზრდების ინტერესები არ არის ასახული დღევანდელ პოლიტიკაში (ომანაძე, გაჩეჩილაძე, ლებანიძე, & ჩაჩანიძე, 2017).

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული კვლევის შედეგები დიდწილად თანხვედრაშია მოცემული სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში ჩატარებულ კვლევის შედეგებთან. ეს ჩანს, აგრეთვე, რელიგიური საკითხების მიმართ ახალგაზრდების დამოკიდებულებასთან მიმართებით. ფრიდრიხ ებერტის ფონდის დაფინანსებით ჩატარებული კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ახალგაზრდების ნდობის დონე რელიგიური ინსტიტუტების მიმართ განსაკუთრებით მაღალია, ხოლო ყველაზე ნაკლები ნდობით ახალგაზრდებში სექსუალური უმცირესობები გამოირჩევიან. ეს მიგნებებიც თანხვედრაშია მოცემული სადისერტაციო ნაშრომის შედეგებთან.

2011 წელს კვლევითმა ორგანიზაციამ „CRRC-საქართველო“ დაიწყო ოთხწლიანი კვლევითი პროექტი „Memory, Youth, Political Legacy And Civic Engagement“ (MYPLACE), რომელიც იკვლევდა ახალგაზრდების (16-დან 25 წლის ჩათვლით) სოციალურ აქტივობაზე ტოტალიტარიზმისა და პოპულიზმის გავლენას 14 ქვეყანაში (გერმანია, დიდი ბრიტანეთი, ფინეთი, დანია, ესპანეთი, პორტუგალია, უნგრეთი, სლოვაკეთი, ლატვია, ესტონეთი, ხორვატია, საბერძნეთი, რუსეთი და საქართველო). უფრო კონკრეტულად, კვლევა მოიცავდა შემდეგ საკითხებს: ახალგაზრდების სოციალური და პოლიტიკური აქტიურობა და ჩართულობა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მოვლენებში; დამოკიდებულება დემოკრატიის, პოლიტიკისა და მიმდინარე მოვლენების მიმართ; ისტორიის და ისტორიული მოვლენების აღქმა; რელიგია და უმცირესობების მიმართ დამოკიდებულება; სამოქალაქო საზოგადოება

და ქართული საზოგადოების დადებითი და უარყოფითი მხარეები; ოჯახის და მეგობრების მიმართ დამოკიდებულება და სხვა. კვლევა ერთდროულად ჩატარდა 14-ივე ქვეყანაში მსგავსი მეთოდოლოგიის გამოყენებით (MYPLACE: Memory, Youth, Political Legacy and Civic Engagement, n.d.). საქართველოში კვლევა მოიცავდა რაოდენობრივ გამოკითხვას, ნახევრად სტრუქტურირებულ ინტერვიუებს, ფოკუს-ჯგუფებს და ეთნოგრაფიულ კვლევას თბილისში, ქუთაისსა და თელავში. მოცემულ სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილია ახალგაზრდებთან სიღრმისეული ინტერვიუების შედეგების ნაწილი და ძირითადი მიგნებები.

ზოგადად, MYPLACE-ის კვლევის შედეგები დიდწილად თანხვედრაშია მოცემული სადისერტაციო ნაშრომის კვლევის შედეგებთან. კვლევის სხვადასხვა სამუშაო პაკეტში (workpackages-WP) წარმოდგენილი შედეგები აღწერს ახალგაზრდების დამოკიდებულებებს და ღირებულებებს სხვადასხვა ფოკუსით და კუთხით. მაგალითად, სამუშაო პაკეტი 2 (WP 2) აღწერს ახალგაზრდების დამოკიდებულებებს წარსულის მოვლენებისა და ისტორიის მიმართ თვისებრივი მეთოდების გამოყენებით.^{xxi} ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუების დროს, რესპონდენტებმა აღნიშნეს ისტორიის მნიშვნელობა, განიხილეს საქართველოს ახლო წარსული და დიდწილად ისაუბრეს ისეთ ისტორიულ მოვლენებზე, როგორებიცაა აფხაზეთის ომი, სამოქალაქო ომი მეოცე საუკუნის 90-იან წლებში და საქართველოში არსებული მძიმე მდგომარეობა, 2008 წლის ომი რუსეთთან, 2003 წლის ვარდების რევოლუცია და 2007 წლის შემდგომ პერიოდში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მმართველობის რეჟიმი (Gilbreath, Khoshtaria, Knowles, Mestvirishvili & Zurabishvili, 2014).

MYPLACE-ის კვლევა მოიცავს ახალგაზრდების გამოკითხვას ქუთაისსა და თელავში მიმდინარე სოციალურ და პოლიტიკურ საკითხებზე. ამის გარდა, აქტიურმა ახალგაზრდებმა, თვისებრივი ინტერვიუების დროს, ასევე ისაუბრეს ისეთი საკითხების შესახებ, როგორებიცაა: საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები, საქართველოს ისტორია, სოციალური და პოლიტიკური ჩართულობა, ცხოვრების სტილი, პოპულიზმი/ექსტრემიზმის აღქმა, ქართული საზოგადოების დადებითი და უარყოფითი მხარეები და სხვა (Campeau, Khoshtaria, Mestvirishvili, Shildelashvili, & Zurabishvili, 2013). ინტერვიუების დროს გამოჩნდა, თუ რა საკითხები

და მოვლენები არის ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვანი და ღირებული. სწორედ ამ ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუების შედეგად მიღებული მონაცემები არის წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომში რაოდენობრივი მონაცემების გამდიდრების მიზნით.^{xxii}

4. კვლევის შედეგები

4.1. სტატისტიკური მონაცემები

კვლევის შედეგების წარდგენამდე, საინტერესოა ქვეყანაში ზოგადი მდგომარეობის აღწერა, რაც გააადვილებს როგორც კონტექსტის, ისე შედეგების გაგებას და ინტერპრეტირებას.

მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით, საქართველოში დაახლოებით 3.7 მილიონი ადამიანი ცხოვრობს. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) მონაცემებით (2016), ეს რაოდენობა 2002 წლის საყოველთაო აღწერის შემდეგ შემცირდა 15%-ით. იმავე აღწერის მიხედვით, მოსახლეობის უმრავლესობა (87%) ქართველია, 6% - აზერბაიჯანელი, ხოლო 5% - სომეხი ეროვნებისაა. მოსახლეობის უმრავლესობა (83%) მართლმადიდებელია, 11% მუსულმანური სარწმუნოების მატარებელია, ხოლო 3% სომხული-სამოციქულო აღმსარებლობის მიმდევარია (საქსტატი, 2016).^{xxiii} ქართველებისთვის რელიგია მნიშვნელოვან როლს თამაშობს ყოველდღიურ ცხოვრებაში. კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის (CRRC-საქართველო)^{xxiv} 2015 წლის გამოკითხვა „კავკასიის ბარომეტრი“-ს შედეგების მიხედვით, მოსახლეობის 90%-თვის რელიგია „ძალიან მნიშვნელოვანია“ ან „საკმაოდ მნიშვნელოვანია“ ყოველდღიურ ცხოვრებაში. მოსახლეობის შედარებით მცირე ნაწილი აღნიშნავს, რომ მარხულობს და ესწრება რელიგიური მსახურებას, თუმცა, პროცენტული მაჩვენებელი მაინც საკმაოდ მაღალია: მოსახლეობის 18%-მა თქვა, რომ რელიგიურ მსახურებას კვირაში ერთხელ ან უფრო ხშირად ესწრება, 20%-მა აღნიშნა, რომ თვეში ერთხელ მაინც ესწრება, ხოლო 29%-მა თქვა, რომ მხოლოდ განსაკუთრებულ რელიგიურ დღესასწაულებს ესწრება.

ისევ საყოველთაო აღწერის მონაცემებს რომ მივუბრუნდეთ, 2014 წლის მონაცემებით, მოსახლეობის 27%-ს აქვს მიღებული უმაღლესი განათლება, 17% პროფესიული განათლების მქონეა, ხოლო 37%-ს საშუალო განათლება აქვს მიღებული. ასევე, 2017 წელს მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულზე იყო 4 046.8 აშშ დოლარი, რაც 2014 წლის შემდეგ დიდად არ შეცვლილა (4 438.3 აშშ დოლარიდან).^{xxv} საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, ასევე გაუმჯობესდა უმუშევრობის დონე: 2017 წლის მონაცემებით, ეს მაჩვენებელი 14%-ს შეადგენდა, რამაც 2009 წლის 17%-დან ნელ-ნელა იკლო (საქსტატი, 2018).^{xxvi}

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, საქართველოში იმიგრანტების^{xxvii} რაოდენობა საკმაოდ დაბალია და 5%-ს შეადგენს. მათგან 52% საქართველომდე რუსეთში ცხოვრობდა, 8% - საბერძნეთში, ასევე 8% - გერმანიაში, ხოლო 4-4% სომხეთსა და აზერბაიჯანში.

ზემოაღნიშნული სტატისტიკური მონაცემები აადვილებს კვლევის შედეგების ინტერპრეტაციას და ანალიზს, რადგან გვაწვდის ინფორმაციას საქართველოს კონტექსტის შესახებ. შესაბამისად, უფრო ადვილი ხდება იმის გაგება, თუ როგორ ხდება ქართველი ხალხის ღირებულებითი სტრუქტურის ფორმირება საქართველოში არსებული სოციალურ და რელიგიური კონტექსტის გათვალისწინებით.

4.2. ნაწილი 1 - ზოგადი წარმოდგენები და ღირებულებები

მიგნებების პირველი ნაწილი მოიცავს საქართველოში სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის ზოგად აღქმებს საკუთარი ჯანმრთელობის, ბედნიერებისა და ცხოვრების შესახებ. ასევე, ზოგად წარმოდგენებს საკუთარი თავის, მნიშვნელოვანი საკითხების და ადამიანისთვის საჭირო მახასიათებლების შესახებ. ძირითადი მიგნებების პირველ ნაწილში, ასევე, არის წარმოდგენილი რესპონდენტების დამოკიდებულება ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებისა და პოლიტიკის მიმართ, აგრეთვე, ნდობის ხარისხი სხვადასხვა ინსტიტუტებისა თუ ორგანიზაციების მიმართ.

პირველი ნაწილის რაოდენობრივი მონაცემები ეფუძნება „მსოფლიო ღირებულებების კვლევას“ (World Values Survey – WVS), რომელიც საქართველოში 2014 წელს ჩატარდა.

ხოლო თვისებრივი მონაცემები მოყვანილია MYPLACE-ის პროექტის ფარგლებში ჩატარებულ სიღრმისეული ინტერვიუების მონაცემებზე დაყრდნობით.^{xxviii}

4.2.1. აღქმები ბედნიერების, ჯანმრთელობისა და ცხოვრების შესახებ

„მსოფლიო ღირებულებების კვლევის“ რაოდენობრივმა მონაცემებმა აჩვენა, რომ, როგორც მოსალოდნელი იყო, ბევრ საკითხში ახალგაზრდების (18-25 წლის ადამიანების) და უფროსი თაობების შეხედულებები და დამოკიდებულებები განსხვავდება ერთმანეთისგან. ზოგად დამოკიდებულებებს თუ შევხედავთ, ვნახავთ, რომ ახალგაზრდები, საერთო ჯამში, თავს გაცილებით ბედნიერად მიიჩნევენ, ვიდრე უფროსი თაობების წარმომადგენლები. ახალგაზრდების ერთი მესამედი (35%) აღნიშნავს, რომ არის ძალიან ბედნიერი, ხოლო 44% – საკმაოდ ბედნიერია. ასაკის მატებასთან ერთად, ეს პროცენტული მაჩვენებელი იკლებს. 66 წლის და უფროს ასაკობრივ ჯგუფში მხოლოდ 13% თვლის თავს ბედნიერად, ხოლო ამ ასაკობრივი ჯგუფის 37% ამბობს, რომ არც ისე ბედნიერია (იხილეთ ცხრილი 6).^{xxix}

ცხრილი 6. „საერთო ჯამში, შეგიძლიათ თუ არა თქვით, რომ თქვენ ხართ...“ (%), მსოფლიო ღირებულებების კვლევა, მეექვსე ტალღა, 2014 წელი, საქართველო

	18-25	26-35	36-45	46-55	56-65	66+
ძალიან ბედნიერი	35	30	19	17	11	13
საკმაოდ ბედნიერი	44	51	55	53	47	35
არც ისე ბედნიერი	20	17	23	26	33	37
სრულიად არ ხართ ბედნიერი		1	3	4	9	16

ბედნიერების ხარისხის მსგავსად, ახალგაზრდების მიერ ჯანმრთელობის მდგომარეობის აღქმაც უკეთესია, უფროს თაობასთან შედარებით. ახალგაზრდების 35% ამბობს, რომ ძალიან კარგი ჯანმრთელობის მდგომარეობა აქვს და ეს მაჩვენებელი ასაკის მატებასთან ერთად მკვეთრად მცირდება. ყველაზე უფროსი ასაკობრივი ჯგუფის (66 წლის ან უფროსი) ნახევარი აღნიშნავს, რომ ცუდი ჯანმრთელობის მდგომარეობა აქვს, მაშინ როცა ახალგაზრდების მხოლოდ 2% ამბობს იგივეს (იხილეთ ცხრილი 7).

ცხრილი 7. „როგორ შეაფასებდით თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობას ამ დღეებში? შეგიძლიათ თუ არა თქვათ, რომ ის არის...“ (%), მსოფლიო ღირებულებების კვლევა, მეექვსე ტალღა, 2014 წელი, საქართველო

	18-25	26-35	36-45	46-55	56-65	66+
ძალიან კარგი	35	19	11	5	5	3
კარგი	41	40	38	23	14	9
საშუალო	22	36	39	49	41	38
ცუდი	2	5	12	23	39	50

აქედან გამომდინარე, გასაკვირი არ არის, რომ ასაკის მატებასთან ერთად, ბედნიერების ხარისხის მსგავსად, ცხოვრებით კმაყოფილების ხარისხიც იკლებს. თუკი 18-დან 25 წლის ჩათვლით ახალგაზრდების 39% აღნიშნავს, რომ ცხოვრებით კმაყოფილია, 26-დან 35 წლამდე გამოკითხულთა მხოლოდ 29% აღნიშნავს კმაყოფილებას, ხოლო 36-დან 45 წლამდე რესპონდენტებში ეს მაჩვენებელი 21%-მდე იკლებს. ადამიანების წილი, ვინც ცხოვრებით კმაყოფილია, უფროს ასაკობრივ ჯგუფებში კიდევ უფრო მცირეა.

ცხრილი 8. „ამ ბარათის გამოყენებით, სადაც 1 ნიშნავს „სრულიად უკმაყოფილო“ და 10 ნიშნავს „სრულიად კმაყოფილი“, გთხოვთ მითხრათ, მთლიანობაში რამდენად კმაყოფილი ხართ თქვენი ცხოვრებით?“ (%)^{xxx}, მსოფლიო ღირებულებების კვლევა, მეექვსე ტალღა, 2014 წელი, საქართველო

	18-25	26-35	36-45	46-55	56-65	66+
კმაყოფილი (კოდები „8“, „9“ და „10“)	39	29	21	13	10	13
საშუალო კმაყოფილება (კოდები „4“, „5“, „6“ და „7“)	52	59	61	58	52	52
უკმაყოფილო (კოდები „1“, „2“ და „3“)	9	12	18	28	39	36

ახალგაზრდებს (18-25) და მათზე უფროს ადამიანებს ასევე განსხვავებული წარმოდგენები აქვთ იმის თაობაზე, თუ როგორ ზემოქმედებენ ისინი საკუთარ

ცხოვრებაზე. უფროს თაობებთან შედარებით, ახალგაზრდების უფრო დიდ ნაწილს (44%) მიაჩნია, რომ ძლიერ ზემოქმედებას ახდენენ საკუთარ ცხოვრებასა და არჩევანზე, ასაკის მატებასთან ერთად კი ეს რწმენა იკლებს (იხილეთ ცხრილი 9).

ცხრილი 9. „ზოგიერთი ადამიანი ფიქრობს, რომ ისინი სრულიად თავისუფლები არიან თავიანთ არჩევანში და თავად აკონტროლებენ თავიანთ ცხოვრებას, სხვები კი ფიქრობენ, რომ მათ არანაირი გავლენა არ გააჩნიათ იმაზე, რაც მათ ცხოვრებაში ხდება. მოცემულ სკალაზე, სადაც 1 ნიშნავს, რომ თქვენ საერთოდ ვერ ახდენთ ზემოქმედებას, ხოლო 10 ნიშნავს, რომ თქვენ ძლიერ ზემოქმედებას ახდენთ თქვენს ცხოვრებაზე, გთხოვთ შეაფასოთ, რამდენად ახდენთ ზემოქმედებას თქვენს ცხოვრებაზე?“ (%)^{xxxi}, მსოფლიო ღირებულებების კვლევა, მეექვსე ტალღა, 2014 წელი, საქართველო

	18-25	26-35	36-45	46-55	56-65	66+
ძლიერ ზემოქმედებას ვახდენ ჩემს ცხოვრებაზე და არჩევანზე (კოდები „8“, „9“ და „10“)	44	27	26	31	31	26
საშუალო ზემოქმედება (კოდები „4“, „5“, „6“ და „7“)	48	62	63	60	54	53
საერთოდ ვერ ვახდენ ზემოქმედებას ჩემს ცხოვრებაზე და არჩევანზე (კოდები „1“, „2“ და „3“)	8	11	10	10	14	21

„მსოფლიო ღირებულებების კვლევაში“ რესპონდენტებს, ასევე, დაუსვეს კითხვა იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად მნიშვნელოვნად ან უმნიშვნელოდ მიიჩნევენ ადამიანები სხვადასხვა ჩამოთვლილ ღირებულებას (იხილეთ ცხრილი 10). შედეგებმა აჩვენა, რომ ახალგაზრდების აბსოლუტური უმრავლესობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია „ოჯახი“ (99%), „რელიგია“ (88%), „მეგობრები“ (88%) და „სამუშაო“ (80%). შედარებით ნაკლებად მნიშვნელოვანია „თავისუფალი დრო“, რომელიც „ძალიან მნიშვნელოვანად“ ახალგაზრდების 40%-მა დაასახელა. ახალგაზრდებისთვის ყველაზე უმნიშვნელოა „პოლიტიკა“, რომელსაც მხოლოდ 7% მიიჩნევს „ძალიან მნიშვნელოვნად“.

ოჯახი და რელიგია ასევე მნიშვნელოვნად მიაჩნიათ უფროსი თაობების რესპონდენტებს, თუმცა, ახალგაზრდებთან შედარებით, მათთვის ბევრად ნაკლებად მნიშვნელოვანია მეგობრები, სამუშაო და თავისუფალი დრო.

ცხრილი 10. „გთხოვთ მიპასუხოთ, რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის ის, რასაც ახლა ჩამოგითვლით?“ (% „ძალიან მნიშვნელოვანია“), მსოფლიო ღირებულებების კვლევა, მეექვსე ტალღა, 2014 წელი, საქართველო

	18-25	26-35	36-45	46-55	56-65	66+
ოჯახი	99	98	98	99	99	98
რელიგია	88	90	87	82	86	76
მეგობრები	88	78	78	70	67	59
სამუშაო	80	86	82	84	65	33
თავისუფალი დრო	40	38	33	33	28	19
პოლიტიკა	7	5	14	10	14	13

ეს მონაცემები მიუთითებს საქართველოში ადამიანებისთვის მნიშვნელოვანი ღირებულებების შესახებ. რაოდენობრივი მონაცემების მსგავსად, თვისებრივი მონაცემებიც ადასტურებს ოჯახის და რელიგიის მნიშვნელოვნებას: MYPLACE-ის პროექტის ფარგლებში ჩატარებული თვისებრივი ინტერვიუების დროს, ახალგაზრდებმა ხაზი გაუსვეს ოჯახის და რელიგიური ღირებულებების შენარჩუნების აუცილებლობას.

ზემოხსენებული კითხვების გარდა, „მსოფლიო ღირებულებების კვლევის“ ფარგლებში, ასევე, დაისვა სხვა კითხვებიც, რომლებიც ადამიანების ღირებულებებს ზომავს. მაგალითად, რესპონდენტებს უნდა დაესახელებინათ თვისებები, რომლებიც, მათი აზრით, მნიშვნელოვანია, რომ ბავშვმა ოჯახში შეითვისოს.

შედეგებმა აჩვენა, რომ ამ მხრივ მსგავსი შეხედულებები აქვთ ახალგაზრდა და უფროს თაობებს: ყველა ასაკობრივი ჯგუფის დაახლოებით 90% თვლის, რომ შრომისმოყვარეობა მნიშვნელოვანი თვისებაა, რომელიც ბავშვმა ოჯახში უნდა შეითვისოს. შემდეგ მოდის პასუხისმგებლობის გრძნობა, რომელსაც ყველა თაობის დაახლოებით 84-91% ასახელებს. ახალგაზრდების 68% მიიჩნევს, რომ მიმტევებლობა

და სხვა ადამიანთა პატივისცემა არის მნიშვნელოვანი, ხოლო 66% დამოუკიდებლობას ასახელებს მნიშვნელოვან თვისებად. აღსანიშნავია, რომ ეს პროცენტული მაჩვენებელი მცირედით იკლებს 36 და უფროს ასაკობრივ ჯგუფებში.

გამოკითხული ახალგაზრდების 63% ამბობს, რომ რელიგიური რწმენა არის მნიშვნელოვანი, ხოლო 20% - მორჩილებას ასახელებს. ეს მაჩვენებლები მეტ-ნაკლებად მსგავსია ყველა ასაკობრივ ჯგუფში.

რაც შეეხება პასუხის ვარიანტს – „მომჭირნეობა, ფულის დაზოგვას და ნივთების გაფრთხილება“, აქ ასაკობრივ ჯგუფებს შორის განსხვავებები შეინიშნება: 18-დან 25 წლის ჩათვლით ახალგაზრდების მხოლოდ 17% მიიჩნევს ამ თვისებას ბავშვისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვნად, მაშინ, როდესაც ასაკის მატებასთან ერთად ეს მაჩვენებელი საგრძნობლად იზრდება და 66 და უფროსი ასაკობრივ კატეგორიის შემთხვევაში 37%-ს შეადგენს.

ახალგაზრდების ასევე 17% უანგარობას მიიჩნევს მნიშვნელოვან თვისებად, 12% - თვითგამოხატვას, ხოლო 7% - წარმოსახვის უნარს. ამ თვისებებს ყველა ასაკობრივი ჯგუფი ერთნაირად აფასებს. შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ ყველა გამოკითხული ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელი ერთსა და იმავე თვისებებს მიიჩნევს ყველაზე მნიშვნელოვნად, რაც იმას ნიშნავს, რომ, ოჯახში ბავშვის აღზრდის კუთხით, მათ მსგავსი შეხედულებები გააჩნიათ (იხილეთ ცხრილი 11).

ცხრილი 11. „აქ არის ჩამოთვლილი მთელი რიგი თვისებებისა, რომლებიც ბავშვმა შეიძლება ოჯახში შეითვისოს. რომელი მათგანი მიგაჩნიათ განსაკუთრებით მნიშვნელოვნად? (%), მსოფლიო ღირებულებების კვლევა, მეექვსე ტალღა, 2014 წელი, საქართველო

	18-25	26-35	36-45	46-55	56-65	66+
შრომისმოყვარეობა	89	89	90	96	91	95
პასუხისმგებლობის გრძნობა	85	88	89	88	84	91
მიმტევებლობა და სხვა ადამიანთა პატივისცემა	68	65	70	68	71	63
დამოუკიდებლობა	66	66	57	62	57	60
რელიგიური რწმენა	63	65	64	67	64	58

მორჩილება	20	19	19	13	23	21
მომჭირნეობა, ფულის დაზოგვა და ნივთების გაფრთხილება	17	20	23	24	31	37
უანგარობა	17	13	13	15	17	13
თვითგამოხატვა	12	14	13	13	7	13
წარმოსახვის უნარი	7	10	12	9	10	7

ღირებულებების კვლევისას ასევე საინტერესოა, თუ როგორ აღიქვამენ ადამიანები საკუთარ თავს. „მსოფლიო ღირებულებების კვლევის“ ფარგლებში მოცემულია ადამიანის სხვადასხვა თვისება და რესპონდენტებმა უპასუხეს, თუ რამდენად მიიჩნევენ თავს ასეთ პიროვნებად. შედეგებმა აჩვენა, რომ რიგ საკითხებში ახალგაზრდა და უფროსი თაობის რესპონდენტები მსგავსად აღიქვამენ საკუთარ თავს, ზოგ საკითხში კი - საკმაოდ განსხვავებულად. უფრო კონკრეტულად, 18-დან 25 წლის ჩათვლით ახალგაზრდების 85% ამბობს, რომ თავს მიიჩნევს ისეთ ადამიანად, რომელიც ადვილად ამყარებს ურთიერთობებს და კომუნიკაბელურია. ეს მაჩვენებელი მცირედით დაბალია უფროსი ასაკობრივი ჯგუფების შემთხვევაში; განსხვავება ყველაზე თვალსაჩინოა 56-65 წლის ადამიანებთან შედარებისას, რომელთა 73% თავს ასეთ ადამიანად მიიჩნევს.

ასევე, გამოკითხული ახალგაზრდების 84% თავს მიიჩნევს ისეთ ადამიანად, რომელიც გულმოდგინედ ასრულებს საქმეს, 81% კი თვლის, რომ არის თავშეკავებული. ამ მხრივ, ახალგაზრდებსა და უფროსი თაობის რესპონდენტებს შორის დიდი სხვაობა არ ფიქსირდება. მეორე მხრივ, უფროსი თაობებისგან განსხვავებით, ახალგაზრდების 67% თავს მიიჩნევს ლალ ადამიანად, რომელიც არ არის დამაბული და სტრესი ადვილად გადააქვს. ეს მაჩვენებელი 20-30%-ით უფრო დაბალია უფროსი თაობების წარმომადგენლებთან.

ახალგაზრდა და უფროსი თაობებს შორის ასევე დიდი განსხვავებაა შემოქმედობითობისა და წარმოსახვის უნარის კუთხით. ახალგაზრდების 64% თავს მიიჩნევს ადამიანად, რომელსაც აქვს შემოქმედებითი ინტერესი. ეს მაჩვენებელი ასაკის ზრდასთან ერთად მკვეთრად იკლებს და ყველაზე უფროსი თაობის ასაკობრივ ჯგუფში 36%-ს არ სცდება. ამის მსგავსად, გამოკითხული ახალგაზრდების უფრო

დიდი ნაწილი (57%) თავს მიიჩნევს ისეთ ადამიანად, რომელსაც მდიდარი წარმოსახვის უნარი აქვს. უფროს თაობებში ეს მაჩვენებელი 39-დან 49%-მდე მერყეობს. განსხვავება ახალგაზრდა და უფროს თაობებს შორის აღინიშნება, ასევე, სიზარმაცესთან მიმართებით: ახალგაზრდების უფრო დიდი წილი (21%) მიიჩნევს, რომ სიზარმაცისკენ არის მიდრეკილი. ხოლო უფროსი თაობების გაცილებით ნაკლები რაოდენობა აღნიშნავს იგივეს (იხილეთ ცხრილი 12).

ცხრილი 12. „მე თავს მივიჩნევ ისეთ ადამიანად...“ (% სრულიად ან ნაწილობრივ ეთანხმება) მსოფლიო ღირებულებების კვლევა, მეექვსე ტალღა, 2014 წელი, საქართველო

	18-25	26-35	36-45	46-55	56-65	66+
რომელიც ადვილად ამყარებს ურთიერთობებს/კომუნიკაბელურია	85	77	80	78	73	78
რომელიც გულმოდგინედ ასრულებს საქმეს	84	84	83	85	87	82
რომელიც არის თავშეკავებული	81	78	78	73	79	81
რომელიც ლაღია, არ არის დამაბული და სტრესი ადვილად გადააქვს	67	46	48	48	37	37
რომელსაც აქვს შემოქმედებითი ინტერესი	64	53	51	44	39	36
რომელსაც მდიდარი წარმოსახვის უნარი აქვს	57	49	45	44	39	39
რომელიც ზოგადად მიმნდობია	55	56	54	61	63	59
რომელსაც ადვილად ეშლება ნერვები	49	47	50	48	56	41
რომელიც მიდრეკილია სიზარმაცისკენ	21	10	10	14	7	7
რომელიც მიდრეკილია სხვებში იპოვოს ნაკლი	12	14	11	12	15	12

4.2.2. რა არ არის გამართლებული საქართველოში

კვლევის შედეგად გამოვლინდა ის ქმედებები, რაც რესპონდენტებისთვის „არასდროს არის გამართლებული“. უნდა აღინიშნოს, რომ „მსოფლიო ღირებულების კვლევის“ ინსტრუმენტში ჩამოთვლილი საკითხების უმრავლესობა ერთნაირად მიუღებელი

აღმოჩნდა როგორც ახალგაზრდა, ისე უფროსი თაობებისთვის საქართველოში. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, ახალგაზრდების აბსოლუტური უმრავლესობისთვის (91%) არასოდეს არის გამართლებული მამაკაცის მიერ ცოლის ცემა, თვითმკვლელობა, პროსტიტუცია და ქრთამის აღება საკუთარი მოვალეობის შესრულებისას. ასევე 89%-ისთვის არასოდეს არის გამართლებული სხვისი საკუთრების მოპარვა/ქურდობა და სხვა ადამიანების მიმართ ძალადობა. ამ მხრივ, ახალგაზრდა თაობა დიდად არ განსხვავდება უფროსი თაობის წარმომადგენლებისგან. ასაკის მიუხედავად, ერთნაირად მიუღებელია ყველა თაობისათვის ჰომოსექსუალიზმი (88%), გადასახადების თავიდან აცილება (80%), აბორტი (75%), ევთანაზია (73%), მშობლების მიერ ბავშვის ცემა (73%). ასევე, არასოდეს არის გამართლებული სახელმწიფო დახმარების მოთხოვნა, რომელიც არ გეკუთვნის (69%) და საზოგადოებრივი ტრანსპორტის საფასურის არ გადახდა (68%). გარკვეული განსხვავება არის ახალგაზრდებსა და უფროს თაობებს შორის ქორწინებამდე სქესობრივი კავშირის და განქონწინების მიმართ დამოკიდებულების კუთხით. ქორწინებამდე სქესობრივი კავშირი არასოდეს არის გამართლებული ახალგაზრდების 53%-ისთვის, მაშინ როდესაც იგივე დამოკიდებულება აქვს 56 წლის ზევით ასაკობრივი ჯგუფის 64%-ს.. განქორწინება მიუღებელია ახალგაზრდების 31%-ისთვის, ხოლოს 66 წლის და უფროსი თაობის წარმომადგენლების 39% ფიქრობს ასე (იხილეთ ცხილი 13).

ცხრილი 13. „თქვენი აზრით, ქვემოთ ჩამოთვლილიდან, თითოეული მათგანი შეიძლება ყოველთვის გამართლებული იყოს, არასდროს არ შეიძლება გამართლებული იყოს, თუ რაიმე მათ შორის?“ (% არასოდეს არის გამართლებული - კოდი „1“ 10-საფეხურიან სკალაზე) მსოფლიო ღირებულებების კვლევა, მეექვსე ტალღა, 2014 წელი, საქართველო

	18-25	26-35	36-45	46-55	56-65	66+
მამაკაცის მიერ ცოლის ცემა	91	93	89	90	92	90
თვითმკვლელობა	91	89	90	90	89	89
პროსტიტუცია	91	87	87	84	88	88
ქრთამის აღება საკუთარი მოვალეობის შესრულებისას	91	86	88	88	88	87
სხვისი საკუთრების მოპარვა/ქურდობა	89	89	90	87	91	87
სხვა ადამიანების მიმართ ძალადობა	89	89	89	87	90	89
ჰომოსექსუალიზმი	88	85	88	85	88	88
გადასახადების თავიდან აცილება	80	75	79	79	79	78
აბორტი	75	73	72	61	69	69
ევთანაზია	73	75	74	77	70	74
მშობლების მიერ ბავშვის ცემა	73	71	71	71	76	65
სახელმწიფო დახმარების მოთხოვნა, რომელიც არ გეკუთვნის	69	67	71	63	68	65
საზოგადოებრივი ტრანსპორტის საფასურის არ გადახდა	68	68	74	65	69	66
ქორწინებამდე სქესობრივი კავშირი	53	57	53	56	64	64
განქორწინება	31	31	33	28	33	39

4.2.3. ყვეყანაში მიმდინარე მოვლენები, პოლიტიკა და დემოკრატია

ზოგადი აღქმების და დამოკიდებულებების შესწავლის დროს საინტერესოა, ასევე, ყვეყანაში მიმდინარე მოვლენების და პოლიტიკის მიმართ ახალგაზრდების დამოკიდებულების შესწავლა. ასევე, იმის გარკვევა, რამდენად განსხვავდება მათი და მათზე უფროსი თაობის დამოკიდებულებები ერთმანეთისგან. „მსოფლიო ღირებულებების კვლევის“ შედეგები აჩვენებს, რომ ახალგაზრდები, უფროსი ასაკის ჯგუფებთან შედარებით, ნაკლებად დაინტერესებულნი არიან პოლიტიკით. 18-დან 25 წლის ჩათვლით ახალგაზრდების მხოლოდ 2%-მა აღნიშნა, რომ „ძალიან დაინტერესებულია“ პოლიტიკით. ეს მაჩვენებელი დაბალია უფროს თაობების შემთხვევაშიც, თუმცა „66 წლის და მეტი“ ასაკობრივ კატეგორიაში 15%-მდე აღწევს. ასევე, ახალგაზრდების 34% ამბობს, რომ „სრულიად არადაინტერესებულია“ პოლიტიკით, მაშინ როდესაც ყველაზე უფროსი თაობის მხოლოდ 21% ამბობს იგივეს (იხილეთ ცხრილი 14).

ცხრილი 14. „რამდენად დაინტერესებული ხართ პოლიტიკით?“ (%) მსოფლიო ღირებულებების კვლევა, მეექვსე ტალღა, 2014 წელი, საქართველო

	18-25	26-35	36-45	46-55	56-65	66+
ძალიან დაინტერესებული	2	3	8	5	10	15
ასე თუ ისე დაინტერესებული	25	29	31	34	37	37
არც ისე დაინტერესებული	39	33	27	36	31	26
სრულიად არა დაინტერესებული	34	35	34	24	22	21

ექსპერტები ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ ქართველებს საკუთარი პასუხისმგებლობის გადაბარება ხელისუფლებაზე უყვართ და აქედან გამომდინარე, როდესაც რაიმე პრობლემის წინაშე დგანან, ხშირ შემთხვევაში, პირველ რიგში, ხელისუფლებას ადანაშაულებენ. ამის გათვალისწინებით, გასაკვირი არ არის, რომ გამოკითხულთა 65% ეთანხმება მოსაზრებას, რომ „სახელმწიფომ უნდა იკისროს მეტი პასუხისმგებლობა, რათა გარანტირებული იყოს ყველას უზრუნველყოფა“ და მხოლოდ 5% ფიქრობს, რომ „ცალკეულმა ადამიანებმა მეტი პასუხისმგებლობა უნდა აიღონ თავისი თავის უზრუნველყოფაზე“. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდების (18-დან 25 წლის ჩათვლით) 58% ეთანხმება მოსაზრებას^{xxxii}, რომ „სახელმწიფომ უნდა იკისროს მეტი პასუხისმგებლობა, რათა გარანტირებული იყოს

ყველას უზრუნველყოფა“, მაშინ როდესაც, 46-დან 55 წლის ჩათვლით რესპონდენტების 71% ფიქრობს იგივეს. ეს შესაძლოა იმას ნიშნავდეს, რომ ახალგაზრდები უფრო გრძნობენ საკუთარ პასუხისმგებლობას და ნაკლებად უნდათ ხელისუფლებაზე პასუხისმგებლობის დაკისრება (იხილეთ ცხრილი 15).

ცხრილი 15. „მოცემულ სკალაზე სად განათავსებდით თქვენს აზრს? „1“ ნიშნავს, რომ სრულიად ეთანხმებით დებულებას „სახელმწიფომ უნდა იკისროს მეტი პასუხისმგებლობა, რათა გარანტირებული იყოს ყველას უზრუნველყოფა“; ხოლო 10 ნიშნავს, რომ სრულიად ეთანხმებით დებულებას, „ცალკეულმა ადამიანებმა მეტი პასუხისმგებლობა უნდა აიღონ თავისი თავის უზრუნველყოფაზე“; თუ თქვენი შეხედულებები სადღაც მათ შორისაა, შეგიძლიათ ამოირჩიოთ ნებისმიერი ციფრი მათ შორის.“ (%) მსოფლიო ღირებულებების კვლევა, მეექვსე ტალღა, 2014 წელი, საქართველო

	18-25	26-35	36-45	46-55	56-65	66+
სახელმწიფომ უნდა იკისროს მეტი პასუხისმგებლობა, რათა გარანტირებული იყოს ყველას უზრუნველყოფა (კოდები „1“, „2“ და „3“)	58	62	65	71	68	68
საშუალო პოზიცია (კოდები „4“, „5“, „6“ და „7“)	34	31	30	26	27	28
ცალკეულმა ადამიანებმა მეტი პასუხისმგებლობა უნდა აიღონ თავისი თავის უზრუნველყოფაზე (კოდები „8“, „9“ და „10“)	8	7	5	4	4	4

გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ ახალგაზრდების საკმაოდ დიდ ნაწილს ბევრი საკითხი ადარდებს: კვლევის ინსტრუმენტში ჩამოთვლილი საკითხებიდან პირველ რიგში გამოიკვეთა სამოქალაქო ომი (81%-მა აღნიშნა, რომ „ძალიან აღელვებს“) და ომი საქართველოს მონაწილეობით (80%). ეს მაჩვენებლები ასაკის მატებასთან ერთად იკლებს და „66 და უფროსი“ ასაკობრივ ჯგუფში 68%-ს შეადგენს. ახალგაზრდებს, ასევე, „ძალიან აღელვებთ“ ტერორისტების შემოტევა (77%) და სამსახურის დაკარგვა ან ვერშოვნა (75%). ეს უკანასკნელი საკითხი 56-დან 66 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში 59%-მა დაასახელა. ახალგაზრდების ნახევარზე მეტს (55%), ასევე, „ძალიან აღელვებს“ შვილებისთვის კარგი განათლების მიცემის საშუალების არ ქონა და მთავრობის

მხრიდან მოსმენები ან წერილების და იმეილების წაკითხვა (52%). ეს საკითხები სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფს განსხვავებულად აღეგებს. ასაკის მატებასთან პროცენტული მაჩვენებელი იზრდება, თუმცა, გარკვეული ასაკიდან მკვეთრად იკლებს (იხილეთ ცხრილი 16).

ცხრილი 16. „რამდენად გადელვებთ შემდეგი სიტუაციები?“ (% „ძალიან მადელვებს“) მსოფლიო ღირებულებების კვლევა, მეექვსე ტალღა, 2014 წელი, საქართველო

	18-25	26-35	36-45	46-55	56-65	66+
სამოქალაქო ომი	81	74	71	72	78	68
ომი ჩემი ქვეყნის მონაწილეობით	80	78	75	77	73	68
ტერორისტების შემოტევა	77	73	69	72	73	63
სამსახურის დაკარგვა ან ვერ შოვნა	75	82	75	71	59	29
შვილებისთვის კარგი განათლების მიცემის საშუალების არ ქონა	55	75	72	64	49	39
მთავრობის მხრიდან მოსმენები ან წერილების და იმეილების წაკითხვა	52	52	52	60	50	35

“მსოფლიო ღირებულებების კვლევის“ შედეგებმა ისიც აჩვენა, რომ საქართველოში დემოკრატია აბსოლუტური უმრავლესობისთვის მნიშვნელოვანია. უმრავლესობა ამბობს, რომ დემოკრატიულ ქვეყანაში სურს ცხოვრება. ახალგაზრდებში ეს შეგრძნება განსაკუთრებით მწვავეა. გამოკითხული ახალგაზრდების 84% ამბობს, რომ ძალიან მნიშვნელოვანია^{xxxiii} იცხოვროს ისეთ ქვეყანაში, რომელშიც დემოკრატიული მმართველობის სისტემაა. ასაკის მატებასთან ერთად ეს ტენდენცია იკლებს, თუმცა ყველაზე ასაკოვანი ჯგუფის 75%-ისთვისაც დემოკრატიულ ქვეყანაში ცხოვრება ძალიან მნიშვნელოვანია (იხილეთ ცხრილი 17).

ცხრილი 17. „რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის ცხოვრობდეთ ისეთ ქვეყანაში, რომელშიც დემოკრატიული მმართველობის სისტემაა? გამოიყენეთ სკალა, სადაც „1“ ნიშნავს, რომ „სრულიად არაა მნიშვნელოვანი“, ხოლო 10 ნიშნავს, რომ „ძალიან მნიშვნელოვანია“ და მითხარით თქვენი პოზიცია.“ (%) მსოფლიო ღირებულებების კვლევა, მეექვსე ტალღა, 2014 წელი, საქართველო

	18-25	26-35	36-45	46-55	56-65	66+
ძალიან მნიშვნელოვანია (კოდები „8“, „9“ და „10“)	84	80	77	79	77	75
საშუალოდ მნიშვნელოვანია (კოდები „4“, „5“, „6“ და „7“)	13	18	20	18	20	22
სრულიად არაა მნიშვნელოვანი (კოდები „1“, „2“ და „3“)	3	2	3	4	2	3

იმის გათვალისწინებით, რომ უმრავლესობა დემოკრატიულ მმართველობას ანიჭებს უპირატესობას, ქვეყანაში მდგომარეობას ქართველები საკმაოდ კრიტიკულად აფასებენ. ახალგაზრდების მხოლოდ 13% აღნიშნავს, რომ საქართველოში „აბსოლუტური დემოკრატიაა“.^{xxxiv} ამავე ახალგაზრდების უმრავლესობა (66%) 10 საფეხურიან სკალაზე საშუალოდ აფასებს^{xxxv} დემოკრატიის დონეს საქართველოში და დაახლოებით 1/5 თვლის, რომ საქართველოში „სრულიად არ არის დემოკრატია“^{xxxvi} (იხილეთ ცხრილი 18).

ცხრილი 18. „რამდენად დემოკრატიული მმართველობაა ჩვენს ქვეყანაში დღესდღეობით? ისევ გამოიყენეთ 10 ბალიანი სკალა, სადაც „1“ ნიშნავს, რომ „სრულიად არაა დემოკრატია“, ხოლო „10“ ნიშნავს, რომ „აბსოლუტური დემოკრატიაა“ და მითხარით თქვენი პოზიცია?“ (%) მსოფლიო ღირებულებების კვლევა, მეექვსე ტალღა, 2014 წელი, საქართველო

	18-25	26-35	36-45	46-55	56-65	66+
აბსოლუტური დემოკრატიაა (კოდები „8“, „9“ და „10“)	13	11	13	4	9	11
საშუალო დემოკრატია (კოდები „4“, „5“, „6“ და „7“)	66	63	63	68	58	63
სრულიად არაა დემოკრატია (კოდები „1“, „2“ და „3“)	21	26	24	28	33	27

დემოკრატიის შეფასება უკავშირდება ადამიანის უფლებების დაცვას და სხვა ფაქტორებს. „მსოფლიო ღირებულებების კვლევის“ შედეგებით, ახალგაზრდების

მხოლოდ 5% ფიქრობს, რომ ყველა ადამიანის უფლება სრულად არის დაცული საქართველოში. ხოლო, უმეტესობა - 56% - ფიქრობს, რომ ნაწილობრივ დაცულია. ამ მხრივ, ახალგაზრდების ჯგუფი უფრო დადებითად არის განწყობილი უფროს თაობებთან შედარებით. 26-დან 35 წლის ჩათვლით ასაკობრივი ჯგუფის მხოლოდ 42%, ხოლო 56-დან 65 წლის ჩათვლით ასაკობრივი ჯგუფის მხოლოდ 40% ფიქრობს, რომ ადამიანის უფლებები ნაწილობრივ დაცულია (იხილეთ ცხრილი 19).

ცხრილი 19. „რამდენადაა დაცული დღესდღეობით ადამიანის უფლებები ჩვენს ქვეყანაში? მიგაჩნიათ თუ არა, რომ ყველა ადამიანის უფლება...“ (%) მსოფლიო ღირებულებების კვლევა, მეექვსე ტალღა, 2014 წელი, საქართველო

	18-25	26-35	36-45	46-55	56-65	66+
სრულიად დაცულია	5	1	1	0	1	2
ნაწილობრივ დაცულია	56	42	48	46	40	53
არასაკმარისადაა დაცული	30	44	41	42	45	34
საერთოდ არაა დაცული	9	13	10	12	15	11

რესპონდენტებმა, ასევე, დააფიქსირეს თავიანთი მოსაზრება, თუ რას თვლიან დემოკრატიის მთავარ მახასიათებლებად. სტატისტიკურმა შედეგებმა აჩვენა, რომ გამოკითხულთა ყველა თაობის წარმომადგენელთა დაახლოებით 3/4 ამბობს, რომ ხალხის მიერ თავისი ლიდერების თავისუფალი არჩევნები დემოკრატიის ძირითადი მახასიათებელია. ახალგაზრდების 69%-ისთვის დემოკრატიის ძირითადი მახასიათებელია ქალების და მამაკაცების ერთნაირი უფლებები, 56%-ისთვის კი - ის ფაქტი, რომ ხალხი იღებს უმუშევრობის დახმარებას სახელმწიფოსგან. ახალგაზრდების ნახევარზე მეტი (54%) თვლის, რომ დემოკრატიის ძირითადი მახასიათებელია ის, რომ სამოქალაქო უფლებები იცავს ადამიანებს სახელმწიფოს მხრიდან შევიწროებისგან. გაცილებით ნაკლები - 32% თვლის, რომ დემოკრატიის ძირითადი მახასიათებელია, როდესაც ადამიანები ემორჩილებიან თავიანთ მმართველებს, ხოლო 23% თვლის დემოკრატიად, როდესაც სახელმწიფო ათანაბრებს ადამიანების შემოსავლებს. ახალგაზრდების 18%-ისთვის დემოკრატიას, როდესაც ხელისუფლება ბეგრავს მდიდრებს და სუბსიდიებს აძლევს ღარიბებს და, ასევე, 18% თვლის, რომ დემოკრატიის დროს ჯარი ხელში იღებს ძალაუფლებას, როდესაც

ხელისუფლება არაკომპეტენტურია. ჩამოთვლილ მოსაზრებების მიმართ დაახლოებით ერთნაირი დამოკიდებულება აქვთ ყველა ასაკობრივი ჯგუფის რესპონდენტებს.

ცხრილი 20. „რამდენად არის თითოეული მათგანი დემოკრატიის აუცილებელი მახასიათებელი. გამოიყენეთ მოცემული სკალა, სადაც „1“ ნიშნავს, რომ „სრულიად არ არის დემოკრატიის ძირითადი მახასიათებელი“, ხოლო „10“ ნიშნავს, რომ ეს ნამდვილად „არის დემოკრატიის ძირითადი მახასიათებელი“.“ (% კოდები „8“, „9“ და „10“) მსოფლიო ღირებულებების კვლევა, მეექვსე ტალღა, 2014 წელი, საქართველო

	18-25	26-35	36-45	46-55	56-65	66+
ხალხი ირჩევს თავის ლიდერებს თავისუფალი არჩევნების გზით	77	72	75	75	75	74
ქალებს იგივე უფლებები აქვთ, რაც მამაკაცებს	69	64	72	69	69	66
ხალხი იღებს უმუშევრობის დახმარებას სახელმწიფოსგან	56	58	58	63	59	57
სამოქალაქო უფლებები იცავს ადამიანებს სახელმწიფოს მხრიდან შევიწროებისგან	54	49	56	59	54	47
ადამიანები ემორჩილებიან თავიანთ მმართველებს	32	32	34	30	35	35
სახელმწიფო ათანაბრებს ადამიანების შემოსავლებს	23	23	26	25	27	24
ხელისუფლება ბეგრავს მდიდრებს და სუბსიდიებს აძლევს ღარიბებს	18	20	22	24	20	22
ჯარი ხელში იღებს ძალაუფლებას, როდესაც ხელისუფლება არაკომპეტენტურია	18	17	12	13	13	17
რელიგიური ავტორიტეტები ახდენენ კანონის ინტერპრეტაციას	15	9	6	8	8	11

4.2.4. ნდობა

„მსოფლიო ღირებულების კვლევის“ ფარგლებში რესპონდენტებმა შეაფასეს საკუთარი ნდობა სხვადასხვა ჯგუფებისა და ორგანიზაციების მიმართ. ეს ასპექტი მიუთითებს მათ ღირებულებით სისტემაზე, ამიტომ ეს ცვლადი მნიშვნელოვანი ინფორმაციის მატარებელია. საქართველოში, როგორც მოსალოდნელი იყო, ადამიანები ყველაზე მეტად საკუთარ ოჯახებს ენდობიან. ოჯახი არის ის ღირებულება, რომელსაც ყველა თაობის ადამიანი უპირობოდ აღიარებს და აფასებს. როგორც ახალგაზრდების, ისე უფროსი თაობების თითქმის ყველა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ სრულიად ენდობა ოჯახის ინსტიტუტს. ასევე, ახალგაზრდების თითქმის 90% ამბობს, რომ ენდობა ეკლესიას. ეს მაჩვენებელიც მსგავსია ყველა თაობის რესპონდენტისთვის, რაც მიუთითებს, რომ მართლმადიდებელი ეკლესია და რელიგია ერთნაირად აღიარებული ღირებულებებია ყველა თაობის ადამიანების მიერ. ახალგაზრდების გამოკვეთილი უმრავლესობა (77%), ასევე, ნდობას უცხადებს თავის სამეზობლოს, რაც იმაზე შეიძლება მიუთითებდეს, რომ ქართველებს საკმაოდ ახლო და მეგობრული ურთიერთობა აქვთ მეზობლებთან. ეს ნდობა მცირედით იზრდება ასაკის მატებასთან ერთად და უფროს თაობებში 91%-მდე აღწევს. საქართველოში რესპონდენტების საკმაოდ დიდი ნაწილი, ასევე, ენდობა შეიარაღებულ ძალებს (76%-83%). ამ მონაცემებს საქართველოში ჩატარებული სხვა კვლევებიც ადასტურებს.^{xxxvii} ახალგაზრდების 74% ამბობს, რომ ენდობა ხალხს, რომელსაც პირადად იცნობს. ეს მაჩვენებელი უფროს ასაკობრივ ჯგუფებში კიდევ უფრო იზრდება. ახალგაზრდების ნდობა, აგრეთვე, მაღალია საქველმოქმედო და ჰუმანიტარული ორგანიზაციების (67%), უნივერსიტეტების (62%), ქალთა ორგანიზაციების (60%), გარემოს დამცავი ორგანიზაციების (59%), გაეროს (55%) და ევროკავშირის (54%) მიმართ. ეს მონაცემები მსგავსია უფროსი თაობების რესპონდენტების შემთხვევაშიც.

მსოფლიო ღირებულებები კვლევა აჩვენებს, თუ რომელ ინსტიტუტებთან მიმართებით ხდება ნდობის შემცირება ახალგაზრდებში: ახალგაზრდების 48% ენდობა საჯარო სამსახურს, 46% - პოლიციას, 41% - მსხვილ კომპანიებს, ხოლო 37% - სასამართლოებს და ბანკებს. საქართველოს მთავრობას ენდობა გამოკითხული ახალგაზრდების 29%. უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდებში, უფროს თაობებთან

შედარებით, დაბალი ნდობა აღინიშნება როგორც მთავრობის, ისე პარლამენტის (27%) და პოლიტიკური პარტიების (19%) მიმართ. უფროს თაობებთან შედარებით, ასევე გაცილებით დაბალია ახალგაზრდების ნდობა ტელევიზიის (22%) და პრესის (15%) მიმართ.

რაც შეეხება სხვა ეროვნებისა და რელიგიის წარმომადგენლების მიმართ ნდობას, ახალგაზრდა თაობის 52% აცხადებს, რომ ენდობა სხვა ერის წარმომადგენლებს, ხოლო 41% - სხვა რელიგიის წარმომადგენლებს უცხადებს ნდობას (იხილეთ ცხრილი 21). აქვე უნდა ითქვას, რომ საქართველოში უმცირესობების მიმართ დამოკიდებულების უფრო სიღრმისეული ანალიზი წარმოდგენილია ამ ნაშრომის მიგნებების მესამე ნაწილში.

ცხრილი 21. „გთხოვთ, მითხრათ რამდენად ენდობით შემდეგ ჯგუფებს და ორგანიზაციებს?“ (% სრულიად ვენდობი და ვენდობი) მსოფლიო ღირებულებების კვლევა, მეექვსე ტალღა, 2014 წელი, საქართველო

	18-25	26-35	36-45	46-55	56-65	66+
თქვენი ოჯახი	100	100	100	100	99	99
ეკლესიები	89	87	89	90	86	84
თქვენი სამეზობლო	77	84	89	91	88	91
შეიარაღებული ძალები	77	77	81	79	76	83
ხალხი, რომელსაც პირადად იცნობთ	74	76	82	81	77	85
საქველმოქმედო ან ჰუმანიტარული ორგანიზაციები	67	63	68	68	65	66
უნივერსიტეტები	62	60	63	59	56	66
ქალთა ორგანიზაციები	60	61	61	62	61	64
გარემოს დამცავი ორგანიზაციები	59	57	61	56	59	61
გაერო	55	53	48	51	53	53
ევროკავშირი	54	54	49	51	55	55
სხვა ეროვნების წარმომადგენლები	52	44	56	60	58	59
საჯარო სამსახური	48	48	50	48	46	58
პოლიცია	46	50	53	49	51	61

მსხვილი კომპანიები	41	43	42	39	34	49
სხვა რელიგიის წარმომადგენლები	41	30	46	43	40	39
სასამართლოები	37	36	37	35	31	44
ბანკები	37	38	42	31	29	40
საქართველოს მთავრობა	29	29	36	35	34	42
პარლამენტი	27	27	32	31	30	38
ტელევიზია	22	21	26	23	36	44
პოლიტიკური პარტიები	19	19	22	21	20	28
პროფკავშირი	18	19	15	27	30	37
პრესა	15	17	22	20	30	38
ხალხი, რომელსაც პირველად ხედავთ	12	11	17	18	17	26

4.3. ნაწილი 2 - შალომ შვარცის ძირითადი ღირებულებები

მიგნებების მეორე ნაწილი აგებულია შვარცის ღირებულებების თეორიაზე (Schwartz, 2012). ამ ნაწილში წარმოდგენილია კვლევის შედეგები იმის დასადგენად, თუ შვარცის რომელი ღირებულება/ღირებულებები დომინირებს/დომინირებენ ქართულ საზოგადოებაში. უფრო კონკრეტულად, მიგნებების ეს ნაწილი ცდილობს უპასუხოს შემდეგ შეკითხვებს: „ცვლილებების მიმართ ღიაობის“ („Openness to Change“) ღირებულება უფრო დამახასიათებელი და მნიშვნელოვანია ქართული საზოგადოებისთვის თუ „შენარჩუნება/კონსერვატიზმის“ („Conservation“) ღირებულება? რესპონდენტები უფრო იხრებიან „საკუთარ თავზე ორიენტაციის/თვითგაუმჯობესების“ („Self-Enhancement“) ღირებულებისკენ თუ პირიქით - „საკუთარი თავის გადალახვის/სხვაზე ორიენტაციის“ („Self-Transcendence“) ღირებულებისკენ?

მიგნებების ამ ნაწილში მოტანილია როგორც რაოდენობრივი მონაცემები „მსოფლიო ღირებულებების კვლევიდან“, ისე თვისებრივი ინტერვიუების შედეგები, რომლებიც 2016 წლის ბოლოს ამ სადისერტაციო ნაშრომისთვის/კვლევითი პროექტისთვის

საქართველოს რამდენიმე ქალაქში როგორც ახალგაზრდებთან, ისე უფროსი თაობის წარმომადგენლებთან ჩატარდა.^{xxxviii}

როგორც წარმოდგენილი ნაშრომის თეორიულ ნაწილში უკვე აღინიშნა, შალომ შვარცი ათ ძირითად ღირებულებას ოთხ მთავარ კატეგორიად აჯგუფებს:

1. „მზაობა და ღიაობა ცვლილებისთვის“: ეს მთავარი კატეგორია აერთიანებს „თვითორიენტაციის“, „სტიმულირების“ და „ჰედონიზმის“ ძირითად ღირებულებებს.
2. „თვითგაუმჯობესება/საკუთარ თავზე ორიენტაცია“, რომელიც, „ჰედონიზმის“ გარდა, აერთიანებს ისეთ ძირითად ღირებულებებს, როგორებიცაა „მიღწევა“ და „ძალაუფლება“.
3. „კონსერვატიზმი“: ეს მთავარი კატეგორია აერთიანებს „უსაფრთხოების“, „კონფორმულობის“ და „ტრადიციის“ ძირითად ღირებულებებს.
4. „საკუთარი თავის გადალახვა/სხვაზე ორიენტაცია“, რომელიც აერთიანებს „კეთილმოსურნეობის“ და „უნივერსალიზმის“ ძირითად ღირებულებებს.

თითოეული ძირითადი ღირებულება, შვარცის თეორიის მიხედვით, იზომება რამდენიმე მოკლე ვერბალური პორტრეტით/ტექსტით (Schwartz, 2003). 2014 წელს საქართველოში ჩატარებულ „მსოფლიო ღირებულებების კვლევაში“ შვარცის თითოეული ძირითადი ღირებულების გასაზომად მოტანილია ერთი ვერბალური პორტრეტი, ხოლო თვისებრივი ინტერვიუების დროს თითოეული ძირითადი ღირებულების შესასწავლად გამოყენებულ იქნა ეს და კიდევ დამატებით ორი ან სამი ვერბალური პორტრეტი შვარცის თეორიიდან.


როგორც გამოკითხვის, ისე თვისებრივი ინტერვიუების შედეგები, შვარცის ოთხივე მთავარი კატეგორიისთვის წარმოდგენილია ცალ-ცალკე.

4.3.1. მზაობა და ღიაობა ცვლილებებისთვის

ეს მთავარი კატეგორია მოიცავს 3 ძირითად ღირებულებას: „თვითორიენტაციას“ (Self-direction), „სტიმულირებას“ (Stimulation) და „ჰედონიზმს“ (Hedonism) (ეს უკანასკნელი ასევე არის „თვითგაუმჯობესება/საკუთარ თავზე ორიენტაციის“ ნაწილიც).

„თვითორიენტაციის“ ღირებულებას შვარცი ზომავს შემდეგი მოკლე ვერბალური ტექსტით: „ამ პიროვნებისათვის მნიშვნელოვანია ახალი იდეების მოფიქრება, შემოქმედებითობა და ყველაფრის გაკეთება თავისებურად“. მსოფლიო ღირებულებების კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ახალგაზრდების (18-დან 25 წლის ჩათვლით) 59% ასეთ პიროვნებას „ძალიან ჰგავს“ ან „ჰგავს“. უფროსი თაობების შემთხვევაში ეს პროცენტული მაჩვენებელი იკლებს და 56-დან 65 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში მხოლოდ 38%-ს შეადგენს (იხილეთ დიაგრამა 1).

დიაგრამა 1. (აჩვენეთ ბარათი L) „ახლა მოკლედ აღვწერ ადამიანებს. ამ ბარათის გამოყენებით განსაზღვრეთ თითოეულის შესახებ ეს პიროვნება ძალიან გგავთ თქვენ, გგავთ, ასე თუ ისე გგავთ, უმნიშვნელოდ გგავთ, არ გგავთ თუ სრულიად არ გგავთ თქვენ?“ (%) შვარცის მთავარი კატეგორიაში „მზაობა და ღიაობა ცვლილებისთვის“ შემავალი სამი ძირითადი ღირებულება (მოკლე ვერბალური ტექსტები მოცემულია ტექსტში), მსოფლიო ღირებულებების კვლევა, მეექვსე ტალღა, 2014 წელი, საქართველო



სიღრმისეული ინტერვიუების დროს რესპონდენტებმა, ასევე, დააფიქსირეს თავიანთი დამოკიდებულება ამ ვერბალურ ტექსტთან მიმართებით და იმის გარდა, რომ თქვეს, თუ რამდენად ჰგვანან ან არ ჰგვანან ტექსტში მოყვანილ პიროვნებას, მათ, ასევე, ახსნეს

და დაასაბუთეს საკუთარი მოსაზრებები. თვისებრივი მონაცემები ეხმაურება რაოდენობრივ მონაცემებს: ახალგაზრდა რესპონდენტების დიდმა ნაწილმა თქვა, რომ ჰგავს მოკლე ტექსტში აღწერილ პიროვნებას, რადგან ხშირად ფიქრობენ სიახლეებზე, ცდილობენ ახლის შექმნასა და რაიმეს თავისებურად გაკეთებაზე:

ხო, ანუ, მსგავს ადამიანთან საერთოს ვპოულობ საკუთარ თავში, იმიტომ რომ ზოგადად საკმაოდ კრეატიული ადამიანი ვარ, და ანუ შემოქმედებითი კუთხით საკუთარი უნარების რეალიზება მომწონს ძალიან... როცა შემიძლია და იდეა მომდის რო ჩემებურად გადავაკეთო რამე ან ჩემებურად გავაკეთო, ყოველთვის მაქვთ მივიწევ, იმიტომ რომ უფრო საინტერესო არის...(მდედრობითი, 22, თბილისი)

ახალგაზრდების ნაწილმა ეს საკითხი საკუთარი საქმის წამოწყებას დაუკავშირა. მათი თქმით, ახალ იდეებს ყოველთვის აქვს პერსპექტივა და რომ საკუთარი წინსვლისთვის და დამოუკიდებლობისთვის აუცილებელია ამ უნარების ქონა:

...სუ ვფიქრობ ხოლმე მართო რო ვარ, რაღაცა, სუ ვფიქრობ ხოლმე რაღაცა იდეებზე, რო ვთქვათ, რა შეიძლება გავაკეთო ვთქვათ ჩემი პირადი... ბიზნესის მხრით ასე ვთქვათ, რო რაღაცა შემოსავალი მქონდეს და არავიზე არ ვიყო დამოკიდებული ასე ვთქვათ. (მდედრობითი, 23, თელავი)

„თვითორიენტაციის“ ღირებულების გასაზომად, სიღრმისეული ინტერვიუების დროს, რესპონდენტებს, ასევე, ჰკითხეს, თუ რამდენად ამსგავსებენ თავს პოროვნებას, რომლისთვისაც „მნიშვნელოვანია, რომ თავად მიიღოს გადაწყვეტილებები. მას უყვარს დამოუკიდებლად დაგეგმვა და არ უნდა იყოს დამოკიდებული სხვაზე“. ბევრმა ახალგაზრდამ აღნიშნა, რომ უყვართ გადაწყვეტილებების მიღება, რადგან მათთვის დამოუკიდებლობა კავშირშია განვითარებასთან: „კი, აუცილებლად. ვიღაცაზე რო ხარ დამოკიდებული, ვერ ვითარდები ადამიანი და საკუთარი თავის განვითარებისთვის აუცილებელია, ეხლა ყოველთვის ოჯახის წევრები და მეგობრები გვერდით ვერ გეყოლება და... კი, ვგავარ.“ (მდედრობითი, 18, ბათუმი). მეორე მხრივ, ახალგაზრდების ნაწილმა, ასევე, აღნიშნა, რომ ხშირად უჭირთ დამოუკიდებლად გადაწყვეტილებების მიღება და ამიტომ ოჯახის წევრებს და მეგობრებს ეკითხებიან

აზრს და შემდეგ იღებენ გადაწყვეტილებებს: „ნელ-ნელა ვცდილობ, როდამოუკიდებელი გავხდე, მაგრამ ხშირად უფრო მირჩევნია, რო ვკითხო ჩემს მეგობრებს ან ოჯახის წევრებს აზრი“ (მდედრობითი, 19, ქუთაისი). თუმცა, ახალგაზრდების დიდი ნაწილი მაინც დამოუკიდებლად დაგეგმვას ანიჭებს უპირატესობას.

ახალგაზრდების მსგავსად, უფროსი თაობის წარმომადგენლებსაც უყვართ კრეატიულობა და სიახლე: „კი, შემოქმედება მიყვარს, რაღაცა ახლის კეთება, მოძიება და იმის რეალიზაციაც მიყვარს საერთოდ“ (მდედრობითი, 52, თბილისი). რაც შეეხება გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღებას, უფროსი თაობების რესპონდენტების ნაწილი დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას, მაგრამ უფრო დიდი ნაწილი ეკითხება მეუღლეს და ოჯახის სხვა წევრების აზრს ითვალისწინებს გადაწყვეტილების მიღებისას: „ისა, გააჩნია, რა საკითხში. მარა უფრო მეტად მაინც ჩვენ ერთად ვწყვეტავთ ოჯახში... მაინც უფრო ერთად, მეუღლესთან ერთად, ვიდრე დამოუკიდებლად“ (მდედრობითი, 40, ბათუმი).

შვარცის თეორიის თანახმად, „მზაობა და ღიაობა ცვლილებებისთვის“ მოიცავს, აგრეთვე, „სტიმულირების“ ღირებულებას, რომელიც შემდეგი ვერბალური პორტრეტით იზომება: „ამ პიროვნებისათვის მნიშვნელოვანია თავგადასავლები და რისკი; იცხოვროს მშფოთვარე/ამაღელვებელი ცხოვრებით“. მსოფლიო ღირებულებების კვლევის ფარგლებში რესპონდენტებმა ეს ტექსტი შეაფასეს ექვსსაფეხურიან სკალაზე. რაოდენობრივი გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, რომ, უფროს თაობებთან შედარებით, ახალგაზრდების უფრო დიდი პროცენტი ამბობს, რომ ასეთი ადამიანი მათ „ძალიან ჰგავს“ ან „ჰგავს“ (40%). ასაკის ზრდასთან ერთად, ეს პროცენტული მაჩვენებელი იკლებს და 23%-მდე დადის 66 და უფროსი ასაკობრივი ჯგუფის შემთხვევაში (იხილეთ დიაგრამა 1).

სიღრმისეული ინტერვიუების დროს ახალგაზრდების ნაწილმა აღნიშნა, რომ უყვართ თავგადასავლები და რისკი, რადგან ამის გარეშე ცხოვრება უინტერესო იქნებოდა: „ამ ეტაპზე ისე ვფიქრობ, რომ თუ ადამიანს თავგადასავლები არ აქვს, აზრი არ აქვს მაგის ცხოვრებას საერთოდ, რა თქმა უნდა, თავგადასავლებს ყოველთვის მოსდევს რისკი და შესაბამისად რისკის გარეშე ცხოვრება ცოტა ‘ზანძობად’ მეჩვენება, მაშინ ავდგები და

გაზეთს დავიკავებ ხელში და პირდაპირ გავალ პენსიაზე“ (მდედრობითი, 22, თბილისი). ამ ახალგაზრდებმა, ასევე, აღნიშნეს, რომ მათთვის მნიშვნელოვანია მოგზაურობა, ხოლო მოგზაურობა სწორედ თავგადასავლებთან და რისკთან ასოცირდება: „რადგანაც ალასკაზე მინდა წასვლა, ამითი უკვე ნათქვამი არის [იციან]. მშფოთვარე ცხოვრება ჩემთვის მიუღებელი არ არის“ (მდედრობითი, 19, ქუთაისი). ახალგაზრდების მეორე ნაწილი მშვიდ და წყნარ ცხოვრებას ამჯობინებს. მათთვის გაუგებარია, თუ რატომ უნდა გარისკოს ადამიანი ცხოვრებაში:

ზოგადად, აი რისკზე რატო უნდა წახვიდე როცა სიტყვაზე, შენს უკან შენი ოჯახი დგა, შენი სამშაქაო დგა, ანუ ხალხი დგა, რომელსაც უყვარხარ და იმის გამო შენ რო სიტყვაზე რაღაც გაისწორო და რაღაცა მოგეწონოს, იმის გამო შენ სიტყვაზე რისკზე რატო უნდა წახვიდე? (მამრობითი, 18, თელავი).

ამ ახალგაზრდებს სტაბილური, უსაფრთხო ცხოვრება ურჩევნიათ, სადაც წინასწარ იციან, თუ რას უნდა ელოდნენ ცხოვრებისგან. თუმცა, ახალგაზრდების დიდი ნაწილი მაინც არის რისკის და თავგადასავლების მოყვარული, უფროსი თაობებისგან განსხვავებით, რომელთა წევრების უმრავლესობაც სწორედ წყნარ ცხოვრებას ამჯობინებს.

თვისებრივმა მონაცემებმა ასახა რაოდენობრივი მონაცემები იმის შესახებ, რომ ახალგაზრდებს უფრო უყვართ რისკი და თავგადასავლები. უფროსი ასაკის მხოლოდ რამდენიმე რესპონდენტმა აღნიშნა, რომ ზოგჯერ უყვარს რისკიანი თავგადასავლები. ერთმა რესპონდენტმა ისიც აღნიშნა, რომ ახალგაზრდობაში იყო ექსტრემალი და უყვარდა რისკი, მაგრამ ასაკთან ერთად უფრო ფრთხილი გახდა: „ნუ ეხლა იცი როგორ, ახალგაზრდობაში ვიყავი, ექსტრემალიც ვიყავი და რაღაც რაღაცეების რისკზეც წავსულვარ და რისკიანიც ვიყავი და ეხლა ნაკლებად ვარ მასეთი“ (მდედრობითი, 52, თბილისი).

„სტიმულირების“ ღირებულების შესასწავლად, თვისებრივი ინტერვიუებში რესპონდენტებმა საკუთარი თავი შეადარეს პიროვნებას, რომელსაც „უყვარს სიურპრიზები და სულ ახალი რაღაცეების ძიებაშია. იგი ფიქრობს, რომ მნიშვნელოვანია ცხოვრებაში ბევრი განსხვავებული რამ აკეთო“. ახალგაზრდა რესპონდენტების უმრავლესობამ აღნიშნა, რომ ჰგავს ასეთ პიროვნებას, რადგან მათ

არ უყვართ ერთფეროვნება და მუდამ ეძებენ სიახლეებს, რათა მიაგნონ იმას, რაც მათ სიამოვნებას ანიჭებთ ცხოვრებაში: „კი, მნიშვნელოვანია, რომ ბევრი რაღაცა აკეთო, იმიტომ, რომ იპოვო ზუსტად რა გინდა და რა მოგწონს ყველაზე მეტად ან უბრალოდ რავიცი მრავალფეროვანი რაღაცეებისგან მიიღო სიამოვნება“ (მდედრობითი, 23, თბილისი). ასევე, ზოგისთვის სიახლე ერთ-ერთ მნიშვნელოვანი ღირებულებაა ცხოვრებაში:

კი, კი სიახლე არის ჩემთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი, იმიტომ როგორც ვთქვი, სიახლე თუ არაა ცხოვრებაში ვკვდები, ვგრძნობ რომ გაყინული ვარ, გაშეშებული ვარ და ავტომატურად ათას რამეს.. აი ზუსტად მაშინ არის რომ ბევრ განსხვავებულ რაღაცის კეთებას ვიწყებ, მინდა რომ ვაკეთო რომ იქნებ რაღაც მნიშვნელოვანი სიახლე შემოვიდეს ჩემს ცხოვრებაში. (მამრობითი, 24, თბილისი)

ერთ-ერთმა ახალგაზრდა რესპონდენტმა მოიტანა მაგალითი იმისა, თუ რა შედეგამდე მიიყვანა ის ახალი რაღაცეების ძიება: „...არ მინდოდა უმოქმედოდ ყოფნა, რაღაც ახალი მინდოდა ცხოვრებაში და წამოვიწყე ბიზნესი, პატარა ბიზნესი ჩემთვის. უფრო სწორად, პროექტში მივიღე მონაწილეობა და მოვიგე და დამაფინანსეს და ეხლა ვაკეთებ პატარა ბიზნესს ჩემთვის“ (მდედრობითი, 19, ქუთაისი).

ახალგაზრდებისგან განსხვავებით, უფროსი თაობის მხოლოდ ნაწილი აღმოჩნდა სიახლეების ძიების მოყვარული, ნაწილი კი იმდენად არის ყოველდღიური ცხოვრებით დაკავებული, რომ ახლის ძიებისთვის დრო არ რჩებათ. ბევრმა აღნიშნა, რომ მოსწონს განსხვავებული რაღაცეების კეთება, მაგრამ ამას რეალურად არ ან ვერ აკეთებს:

ახლის ძიებაში დღევანდელ ცხოვრებაში ვერ იქნებით, იმიტომ რომ არ არის საშუალება, გასაქანი რო, რაღაა ახალი აკეთო...მნიშვნელოვანი ამჟამად ნამდვილად არ არის ასაკიდან გამომდინარე, იმიტომ რომ სამუშაო ადგილები არ არის, ვერ გააკეთებ იმას, რაც გინდა რომ გააკეთო. (მდედრობითი, 49, თელავი)

შვარცის მთავარი კატეგორია - „მზაობა და ღიაობა ცვლილებებისთვის“ - ასევე მოიცავს „ჰედონიზმის“ ღირებულებას, რომელიც „თვითგაუმჯობესება/საკუთარ თავზე ორიენტაციის“ კატეგორიის ნაწილიც არის. „ჰედონიზმის“ ღირებულება „მსოფლიო ღირებულებების კვლევის“ ფარგლებში შემდეგი ვერბალური პორტრეტით იზომება: „ამ პიროვნებისათვის მნიშვნელოვანია კარგი დრო გაატაროს; თავს არ უთხრას უარი არაფერზე“.

რაოდენობრივმა მონაცემებმა აჩვენა, რომ ახალგაზრდა და უფროს თაობებს შორის საკმაოდ დიდი განსხვავებებია ამ მიმართულებით. 18-დან 25 წლის ჩათვლით ახალგაზრდების 35% ამბობს, რომ „ძალიან ჰგავს“ ან „ჰგავს“ ასეთ ადამიანს. ასაკობრივი ჯგუფების მატებასთან ერთად ეს მაჩვენებელი იკლებს და 14%-ს შეადგენს 56-დან 65 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში (იხილეთ დიაგრამა 1).

სიღრმისეული ინტერვიუების დროს, ახალგაზრდების დიდმა ნაწილმა თქვა, რომ დროსტარება მნიშვნელოვანია მათთვის. ზოგიერთმა აღნიშნა, რომ საკმაოდ ბევრს სწავლობს და მუშაობს, რის გამოც იმსახურებენ დროსტარებას და დასვენებას.

კარგი დროის გატარებაში მე ვგულისხმობ მეგობრებთან ერთად გართობას, კი ჩემთვის ძაან მნიშვნელოვანია მეგობრებთან ერთად გართობა. მთელი კვირა რო დატვირთული ხარ მუშაობ, სწავლობ რაღაც მერე მნიშვნელოვანია, რომ განიტვირთო ადამიანი. შეუძლებელია ეხლა ესე სულ ჩართული რომ ხარ სამუშაოში. ძაან მნიშვნელოვანია, მგავს ეგ ადამიანი.
(მდედრობითი, 22, თბილისი)

სხვებმა თქვეს, რომ ერთხელ ცხოვრობენ და ამიტომ დროის ხარჯვა გართობაში ძალიან მნიშვნელოვანია. ასევე თქვეს, რომ საკუთარ ცხოვრებას ხშირად იმის მიხედვით აფასებენ, თუ რამდენად კარგად ერთობიან.

ხო, ეგ [კარგი დროის ტარება] ძაან მნიშვნელოვანია. იმიტომ, რომ მერე აი ყოფილა რაღაცეები რაღაცის გამო ვერ გამიკეთებია, არ გამიკეთებია და ძაან მინანია და მაგის გამოცუდ ხასიათზე ვყოფილვარ და ჩემთვის არის ეგ ძაან მნიშვნელოვანი, იმიტომ, რომ მგონია, რომ რაღაცა ცხოვრებაში ერთერთი... ყველაზე მნიშვნელოვანი ეგ არის..ყველაზე მეტად ეგ გამახსენდება, სად,

როდის და როგორ გავერთე და ეგ ძაან მნიშვნელოვანია ჩემთვის. (მდედრობითი, 22, თბილისი)

თუმცა, ამასთან ერთად, ახალგაზრდა რესპონდენტების ნაწილმა ისაუბრა შეზღუდვების შესახებ, რომლებსაც ისინი საკუთარ თავს უწესებენ, რადგან ვალდებულებას გრძნობენ ოჯახის წინაშე:

არ ვგავარ [ასეთ პიროვნებას], იმიტომ, რომ... ნუ, ანუ, მჩვევია, პირიქით, შევიზღუდო ჩემი თავი რაღაცებისთვის, ვიდრე მთლიანად დავუთმო სიამოვნებას და რაღაც გართობას... პირველ რიგში, იმის გამო, ვთქვათ, ელემენტარულად, დედაჩემს ვჭირდები სახლში. ან უბრალოდ, დედაჩემს უნდა, რო ვიყო სახლში. ან რაღაც საქმე მაქვს გასაკეთებელი, ან რაღაც სამუშაო მაქვს ან სამეცადინო რაღაცა, ანუ უფრო არასასიამოვნო რაღაცების გამო შეიძლება, სასიამოვნო რაღაცაზე ვთქვა უარი იმიტომ, რომ იმ მომენტში უფრო, უფრო ადეკვატურია. (მდედრობითი, 23, ბათუმი)

უფროს თაობის წარმომადგენლებს შორის უფრო მეტმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ თავს იზღუდავს, თავის ინტერესებს უკანა პლანზე გადაწევს და იშვიათად ერთობა. გართობისთვის და კარგი დროის გატარებისთვის მათ დრო არ რჩებათ, რადგან წინა პლანზე იმ ვალდებულებებს ათავსებენ, რომლებიც მათ, პირველ რიგში, ოჯახის წინაშე აკისრიათ: „არა, მე ყოველთვის უარს ვამბობ რაღაცეებზე [იციანის]. თუ ჩემი ვთქვათ, დავუშვათ ოჯახის საქმე ფუჭდება ან ჩემს შვილს უფუჭდება საქმე ან რაღაცა მე არა ვარ მზად იმისთვის რომ დრო ვატარო“ (მდედრობითი, 52, თბილისი). ხშირად უფროსი თაობის რესპონდენტები უარს ამბობენ გართობასა და დროის ტარებაზე, რადგან მათი ინტერესები ოჯახში პრიორიტეტს არ წარმოადგენს. „არ შეიძლება ასე იცხოვროს ადამიანი, რო საკუთარ თავზე იფიქრო და მეტი შემოსავალი შენსკენ და ყველაფერი შენ. ისე, ვიცნობ ასეთ პიროვნებებს, ძალიან ბევრს, არ აინტერესებს არაფერი გარდა იმისა, რო თვითონ იყოს კარგად. მე ძაან არ ვგავარ“ (მამრობითი, 52, ქუთაისი).

რამდენიმე რესპონდენტმა აღნიშნა, რომ გართობა ახალგაზრდობაში იყო მნიშვნელოვანი, მაგრამ მათ ასაკში დროის ტარება აღარ არის აქტუალური თემა;

მათთვის ოჯახის მოვლა არის პრიორიტეტი: „...დროს გატარებაზე პირადად ჩემი თავისთვის არასოდეს მიფიქრია, რაც ასაკი მომემატა და შვილებისთვის კი, რა ვიცი, ღმერთმა აბედნიეროთ. ნამდვილად უნდათ, ნამდვილად საჭიროა“ (მდედრობითი, 62, ქუთაისი). ეს მონაცემები მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოში უფროსი თაობისთვის არა საკუთარ თავზე, არამედ სხვაზე (ძირითადად, ოჯახის წევრებზე) ზრუნვაა პრიორიტეტი.

თვისებრივი ინტერვიუების დროს რესპონდენტებმა ისაუბრეს, აგრეთვე, შემდეგი მოკლე ვერბალური ტექსტის შესახებ: „ეს პიროვნება ყველა შანსს იყენებს, რომ გაერთოს. მისთვის მნიშვნელოვანია გააკეთოს ისეთი რამ, რაც მას სიამოვნებას ანიჭებს“. წინა ვერბალური პორტრეტის ანალოგიურად, აღმოჩნდა, რომ ასეთ პიროვნებას თავს უფრო ახალგაზრდები ამსგავსებენ. თუმცა, ახალგაზრდებსაც ყოველთვის არ გამოსდით იმის გაკეთება, რაც სურთ:

მნიშვნელოვანი არის ჩემთვის ის, რომ გავაკეთო რაღაცეები რაც სიამოვნებას მანიჭებს, აუცილებლად, იმიტომ რომ მერე არაპროდუქტიული ვხდები, თუ არ ვაკეთე ისეთი რაღაცეები, რაც სიამოვნებას არ მანიჭებს და მუდმივად ეგეთ რეჟიმში ვარ, მერე იმ რაღაცეებს ცუდად ვაკეთებ უკვე და ამიტომ ჯობს ეგრე არ ვქნა, ამიტომ ცოტა დრო აუცილებლად, ცოტა რესურსი და ენერჯია უნდა ჩავდო იმაში, რომ ჩემთვის სასიამოვნო რაღაცეები ვაკეთო, მაგრამ ყველა შანსს არ ვიყენებ რომ გავერთო, იმიტომ რომ ბევრად უფრო მეტი დროის დახარჯვა მომიწევს მაშინ გართობაზე და სხვა რაღაცეებს ველარ მოვასწრებ და...(მდედრობითი, 22, თბილისი)

ახალგაზრდებმა ისიც აღნიშნეს, რომ მათ მეგობრებთან შეხვედრა ანიჭებთ ყველაზე დიდ სიამოვნებას. უფროსი თაობების წარმომადგენლები კი უფრო ოჯახზე არიან ორიენტირებულნი და სწორედ ოჯახის ინტერესებს აყენებენ საკუთარი სიამოვნების წინ:

ბევრი რაღაცა მსიამოვნებს, მაგრამ ბევრ რაღაცაზე ვეუბნები უარს იმიტომ, რო ქალი ხარ, დედა ხარ... და განსაზღვრულია ის ფინანსებიც, ისიც, ისიც. ბევრი რაღაც, სადღაცა მინდა, ვთქვათ, წავიდე, მაგრამ ვერ ვაძლევ ჩემ თავს

იმის უფლებას, რადგანაც აგერ შვილია, ბავშვს უნდა რაღაცა, მისი კარიერაა მნიშვნელოვანი, მისი სერტიფიკატები, რაღაცა ესა, ისა და ბევრ რაღაცაზე ჩემ თავს ვეუბნები უარს. მიუხედავად იმისა, მე მინდა და სურვილი მაქვს.
(მდედრობითი, 45, ბათუმი)

ეს შედეგები იმაზე მიუთითებს, რომ ახალგაზრდები, უფროსი თაობების წარმომადგენლებთან შედარებით, უფრო არიან ორიენტირებული საკუთარ თავზე; მათთვის უფრო მნიშვნელოვანია სიახლეების ძიება, კარგი დროის ტარება, თავგადასავლები და დამოუკიდებლად გადაწყვეტილებების მიღება. უფროსი თაობის წარმომადგენლებს, პირიქით, ნაკლები დრო რჩებათ როგორც სიახლეებისთვის, ისე დროსტარებისა და თავგადასავლებისთვის. ისინი უფრო ხშირად ოჯახის წევრებთან ერთად იღებენ გადაწყვეტილებებს და, როგორც წესი, სწორედ ოჯახის წევრების ინტერესებს აყენებენ საკუთარი ინტერესების წინ.


4.3.2. თვითგაუმჯობესება/საკუთარ თავზე ორიენტაცია

ეს მთავარი მიმართულება/კატეგორია, „ჰედონიზმის“ გარდა, მოიცავს ორ ძირითად ღირებულებას - „მიღწევას“ (Achievement) და „ძალაუფლებას“ (Power). „მიღწევის“ ღირებულებას შვარცი ზომავს შემდეგი ვერბალური პორტრეტით: „ამ პიროვნებისთვის მნიშვნელოვანია იყოს წარმატებული და ხალხი აღიარებდეს მის მიღწევებს“. რაოდენობრივი კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ უფროსი თაობის წარმომადგენლებთან შედარებით, 18-დან 25 წლის ჩათვლით ახალგაზრდების უფრო დიდი წილი ამსგავსებს თავს ასეთ პიროვნებას.

ახალგაზრდების 66%-მა თქვა, რომ ამ ტექსტში აღწერილი პიროვნება მათ „ძალიან ჰგავს“ ან „ჰგავს“, ხოლო უფროსი თაობების შედარებით უფრო დაბალი პროცენტი ამსგავსებს თავს ასეთ პიროვნებას. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უფროსი თაობებშიც პროცენტული მაჩვენებელი 50-ზე ქვევით არ ჩამოდის (იხილეთ დიაგრამა 2).

დიაგრამა 2. (აჩვენებთ ბარათი L) „ახლა მოკლედ აღვწერ ადამიანებს. ამ ბარათის გამოყენებით განსაზღვრეთ თითოეულის შესახებ ეს პიროვნება ძალიან გგავთ თქვენ, გგავთ, ასე თუ ისე გგავთ, უმნიშვნელოდ გგავთ, არ გგავთ თუ სრულიად არ გგავთ თქვენ?“ (%) შვარცის მთავარი კატეგორიაში „თვითგაუმჯობესება/საკუთარ თავზე ორიენტაცია“ შემავალი ორი ძირითადი ღირებულება (მოკლე ვერბალური ტექსტები მოცემულია ტექსტში), მსოფლიო ღირებულებების კვლევა, მეექვსე ტალღა, 2014 წელი, საქართველო

**Shalom H. Schwartz-ის ღირებულების 'თვით-
გაუმჯობესება/საკუთარ თავზე ორიენტაცია' კომპონენტები (%)
(მსოფლიო ღირებულებების კვლევა 2014, საქართველო)**



სიღრმისეული ინტერვიუების დროს გამოჩნდა, რომ რესპონდენტებს არაერთგვაროვანი დამოკიდებულება აქვთ ზემოხსენებული ვერბალური ტექსტის მიმართ. ამასთან, რესპონდენტებს განსხვავებული დამოკიდებულებები აქვთ ტექსტის პირველი და მეორე ნაწილის მიმართ. კერძოდ, ახალგაზრდა რესპონდენტების დიდი ნაწილი ამსგავსებდა თავს ისეთ ადამიანს, რომლისთვისაც წარმატება მნიშვნელოვანია, თუმცა ნაკლებად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, რომ ხალხი აღიარებდეს ამ წარმატებებს და მიღწევებს:

წარმატება, რა თქმა უნდა, ძან მნიშვნელოვანია ჩემთვის, მარა მე არ ვფიქრობ იმას, რო აუცილებელია, რო ჩემი წარმატება ვინმეს ასაღიარებელი იყოს იმიტო, რო მე თუ წარმატებული ვიქნები და ჩემ თავს ვანახებ, რო მე ეს შევძელი, ჩემთვის ეს საკმარისია და არაა საჭირო, რო საჯაროდ გავხადო ის, რო მე ეს ვქენი ან ამაში მაგარი ვარ...დიდად ეგ არ მაწუხებს, ხო, რო ხალხს ვაღიარებო, რო რაღაცას მივაღწიე. (მამრობითი, 19, ბათუმი)

მხოლოდ რამდენიმე ახალგაზრდა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია სხვები აღიარებდნენ მათ წარმატებას: „მინდა, რომ სხვამაც აღიაროს ჩემი წარმატება

და მარტო ჩემთვის არ ვიცოდე... ნუ აღტაცებულები არა, მაგრამ ხო გამიხარდება თუ ვიღაცა დაინახავს ვთქვათ და იტყვის, რომ აი რა კარგი რაღაცა გააკეთა“ (მდედრობითი, 23, თბილისი).

უფროსი თაობების წარმომადგენლების უმრავლესობაც არ თვლის საჭიროდ, რომ სხვებმა აღიარონ მათი წარმატება. რამდენიმემ ისიც აღნიშნა, რომ ისინი არ არიან წარმატებულები ან არ ცდილობენ, რომ იყვნენ წარმატებულები; შესაბამისად, ამის „პრეტენზიაც“ არ აქვთ. ბევრი მათგანი არის დიასახლისი და უმუშევარი, რის გამოც თავს „წარმატებულს“ არ უწოდებს. ისინი უფრო ორიენტირებულნი არიან თავიანთი შვილების წარმატებაზე: „ახლა წარმატებული ჩემი შვილები უფრო მინდა იყვნენ, ვიდრე - მე. მე რომ მასე ვყოფილიყავი, ახლა მართლა წარმატებული ვიქნებოდი.. მებრძოლი რომ ვყოფილიყავი ხო? ახლა მართლა წარმატებული ვიქნებოდი, მქონდა მაგის შანსი“ (მდედრობითი, 52, თბილისი).

სიღრმისეული ინეტრვიუების დროს რესპონდენტებმა, ასევე, შეაფასეს შვარცის სხვა მოკლე ვერბალური ტექსტი, რომელიც ისევ მის ძირითად ღირებულებას - „მიღწევას“ - ზომავს: „ამ პიროვნებისთვის მნიშვნელოვანია საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენა. მას უნდა ადამიანები აღტაცებულები იყვნენ მისი ქმედებებით“. წინა ვერბალური ტექსტის მსგავსად, აქაც ახალგაზრდებმა განსხვავებულად შეაფასეს ტექსტის პირველი და მეორე ნაწილი. კერძოდ, უმრავლესობისთვის მნიშვნელოვანი ღირებულება აღმოჩნდა, რომ გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები, თუმცა მათთვის არც თუ ისე მნიშვნელოვანია, რომ სხვები აღტაცებულები იყვნენ მათი ქმედებებით.

იმაში ვეთანხმები, რომ ჩემი შესაძლებლობები მინდა რომ გამოვავლინო, მაგრამ ძაან მინიმალურს ვაკეთებ და არც, ვერც ვაფასებ რეალურად, არ მგავს იმაში, რომ მე თვითონ არ ვიცი ჩემი შესაძლებლობები, რა არის დღემდე და ამიტომ უფრო მეტად არ ვეთანხმები ამას და აღფრთოვანებით მიყურებდნენ ეს არ მინდა. (მდედრობითი, 25, თბილისი)

ახალგაზრდებმა აღნიშნეს, რომ რასაც აკეთებენ, პირველ რიგში, საკუთარი თავისთვის აკეთებენ, და არა იმისთვის, რომ სხვამ გამოხატოს აღტაცება: „მმ, ნაწილობრივ მგავს, ალბათ. რაღაცას იმიტო არ ვაკეთებ, რო ვიღაცა აღტაცებული იყოს ამით. ალბათ,

იმიტო ვაკეთებ, რო მსიამოვნებს ამის გაკეთება“ (მდედრობითი, 23, ქუთაისი).

უფროსმა რესპონდენტებმაც აღნიშნეს, რომ საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენა მნიშვნელოვანია მათთვის, თუმცა სხვების აღტაცებას არ ელიან:

საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენა, რა თქმა უნდა. მე ყოველთვის ვცდილობ რომ ჩემი შესაძლებლობები გამოვიტანო, იმიტომ რომ დაინახონ, მაგრამ აღტაცებულები არა. თუ დაინახავენ კარგია, თუ არ დაინახავენ და ესეც, მე ჩემსას ვაკეთებ ხოლმე; ეს იმიტომ, რომ ჩემ თავთან მართალი ვიყო და მე ყოველთვის ვცდილობ, რომ გავაკეთო ის, რაც შემძლია მაქსიმალურად. (მდედრობითი, 52, თბილისი)

უფროსი თაობების რამდენიმე რესპონდენტმა აღნიშნა, რომ საერთოდ არ უყვარს თავის გამოჩენა, და არასოდეს ამჟღავნებს საკუთარ შესაძლებლობებს, ხოლო ახალგაზრდებში ასეთი მოსაზრება არავის გამოუთქვამს. ახალგაზრდებში რამდენიმემ ისიც დააფიქსირა, რომ მოსწონთ, როდესაც ხალხი მათი ქმედებებით აღტაცებულია. შესაბამისად, შედეგებიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ახალგაზრდებს, უფროსი თაობის წევრებთან შედარებით, მაინც უფრო უყვართ საკუთარი თავის პრეზენტაცია საჯარო სივრცეში.

„თვითგაუმჯობესების/საკუთარ თავზე ორიენტაციის“ მთავარი კატეგორიის მეორე ძირითადი ღირებულება არის „ძალაუფლება“, რომელსაც შვარცი შემდეგი ვერბალური პორტრეტით აფასებს: „ამ პიროვნებისათვის მნიშვნელოვანია იცოს მდიდარი; ჰქონდეს ბევრი ფული და ძვირადღირებული ნივთები“. კვლევის რაოდენობრივმა და თვისებრივმა მონაცემებმა მსგავსი შედეგები აჩვენა: საქართველოში საკმაოდ მცირეა იმ ადამიანთა წილი, ვინც თავს ასეთ პიროვნებასთან აიგივებს, თუმცა, მოცემულ კონტექსტში, ახალგაზრდების წილი, უფროს თაობებთან შედარებით, მაინც უფრო დიდია. 18-დან 25 წლის ჩათვლით რესპონდენტების მეოთხედმა თქვა, რომ „ჰგავს“ ან „ძალიან ჰგავს“ ასეთ ადამიანს, მაშინ როდესაც ეს პროცენტული მაჩვენებელი ასაკის მატებასთან ერთად იკლებს და 56-დან 65 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში 13%-მდე ეცემა (იხილეთ დიაგრამა 2).

თვისებრივი ინტერვიუების დროსაც ახალგაზრდების დიდმა ნაწილმა აღნიშნა, რომ ბევრი ფული და ძვირადღირებული ნივთები მათთვის მნიშვნელოვან ღირებულებას არ წარმოადგენს. იმის მიუხედავად, რომ გარკვეული ოდენობის ფულის ქონა საჭიროა ცხოვრებაში, რესპონდენტების თქმით, არამატერიალური ღირებულებები უფრო მნიშვნელოვანია მათთვის: „რადიკალურად განსხვავებულია [ეს პიროვნება] ჩემგან იმიტომ, რომ მატერიალური ღირებულებები ჩემთვის არ არის პრიორიტეტული და მნიშვნელოვანი. უფრო სხვა რაღაცებზე ვარ ორიენტირებული. ნუ, ჯერ ყოველ შემთხვევაში, მომავალში არ ვიცი“ (მდედრობითი, 23, ბათუმი). ასევე, ახალგაზრდა რესპონდენტების ნაწილმა აღნიშნა, რომ ადამიანს იმდენი უნდა ჰქონდეს, რომ უზრუნველყოფილი ცხოვრება ჰქონდეს მას და მის ახლობლებს, თუმცა, გადაჭარბებული არც სიმდიდრე და არც არაფერი არ არის კარგი. მხოლოდ რამდენიმე ახალგაზრდა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ სიმდიდრე გარკვეულწილად მნიშვნელოვანია მათთვის:

ეს პიროვნებაც ალბათ მეტ-ნაკლებად [მგავს]. ანუ, ფული რა თქმა უნდა ყველას გვიყვარს და შემოსავალი რო გვქონდეს, კაია... ერთადერთი ალბათ ისაა, რომ ელემენტარული ალბათ რაც არის, ის ჰქონდეს ადამიანს, ვთქვათ შვილებს არ მოაკლო რამე. აი, ამ მხრივ მეც მიყვარს ფული. კი, რატომაც არა, მარა ასე ვთქვათ ძაან უკვე ამბიციაში რო გადასდით ხოლმე, მასე - არა.
(მდედრობითი, 25, თელავი)

უფროსი თაობების წარმომადგენლებმა მსგავსი შეხედულებები გამოთქვეს სიღრმისეული ინტერვიუების დროს. მათმა უმეტესობამ თქვა, რომ სიმდიდრე და ბევრი ფული არ არის მათთვის მნიშვნელოვანი: “ჩემთვის ფუფუნება და ფული ნამდვილად არ არის [მნიშვნელოვანი]... მირჩევნია ვიყო ღარიბი და... ნორმალურად, მშვიდად ვიცხოვრო“ (მდედრობითი, 49, თელავი). ზოგიერთმა აღნიშნა, რომ ფული საჭიროა ნორმალური ცხოვრებისთვის და კეთილდღეობისთვის, მაგრამ ეს არ არის მათთვის პრიორიტეტული ცხოვრებაში. უფრო მნიშვნელოვანია, ჯანმრთელობა, ბედნიერება და სულიერი სიმშვიდე. ისინი კმაყოფილები არიან იმით, რაც მათ ღმერთმა მისცა და მადლიერები არიან იმის, რაც აქვთ. ზოგიერთმა, ასევე, აღნიშნა, რომ „ფული აფუჭებს ადამიანს“, ამიტომ არ ისურვებდა ზედმეტ სიმდიდრეს. თუმცა,

მეორე მხრივ, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რამდენიმე რესპონდენტმა გამოთქვა სურვილი ჰქონდეს მეტი, ვიდრე აქვს და იცხოვროს უზრუნველად:

ახლა ღარიბი მინდა, ვიყო-მეთქი, ნამდვილად არ მინდა [იცინის]. მაგისი შიში მაქ, რო, ნუ, ისეთ პერიოდშიც ვცხოვრობთ, რო, აი, სიღარიბის შიში მაქ საშინელი. ხოდა, აი, მდიდარი ახლა, მინდა, იმდენი მქონდეს, რომ დაკმაყოფილებული ვიყო მე, ჩემი ოჯახი, ჩემი შვილები და ჩემი ახლობლები და თუ მომჩეხება, ნამდვილად მთელი საზოგადოებას თუკი შევძლებ, ჩემში ეს არი, რო გავცე. (მდედრობითი, 45, ბათუმი)

თვისებრივი ინტერვიუების დროს, შვარცის „ძალაუფლების“ ღირებულების შესაფასებლად, რესპონდენტებმა ისაუბრეს, აგრეთვე, თუ რამდენად ჰგვანან ან არ ჰგვანან შემდეგი ტიპის ადამიანს: „ამ პიროვნებას უნდა რომ ყოველთვის მან მიიღოს გადაწყვეტილებები. მას მოსწონს ლიდერობა“. ამ შემთხვევაში, ახალგაზრდა რესპონდენტების აზრი გაიყო: ნაწილმა აღნიშნა, რომ უყვარს როგორც გადაწყვეტილებების მიღება, ისე ლიდერობა. თუმცა, ლიდერობა სხვების გვერდში დგომას და მხარდაჭერასაც გულისხმობს:

კი, რა თქმა უნდა, მე ვფიქრობ, რომ ჩემში ზის ესეთი რაღაც და მე მიყვარს ხოლმე როცა წავმართავ პროცესს და თუნდაც სხვას ვეხმარები მერე უკვე ამ ჩემი საკუთარი პროცესის წარმართვაში, ანუ არ ვარ ის რომ, ბოსის სტრუქტურის, თუ როგორ ვთქვა, ესეთი ადამიანი არ ვარ, მირჩევნია მე ვიყო ლიდერი, მაგრამ თან მყავდეს გარშემოკრებილი ის ადამიანები, ვისთან ერთადაც ვიმუშავებდი და არა ის რომ მარტო განკარგულებები გავცე. (მამრობითი, 24, თბილისი)

ახალგაზრდებმა, ასევე, აღნიშნეს, რომ ლიდერობა დიდ პასუხისმგებლობასთან არის დაკავშირებული, და ეს შეგრძნება, მათ, ზოგჯერ აშინებთ:

მაქვს ისე ლიდერობის ამბიცია და ეგეთი ხასიათი მაქვს, კი. მომწონს რაღაცის უფროსი, ანუ რაღაცის ლიდერი რო ვარ, მაგრამ ხშირად არის ისეთი რაღაცეებიც, რო მეშინია ყველაფრის ჩემს თავზე აღება და ამიტომ შეიძლება, მაგის გამო ცოტა მოვერიდო ლიდერობას, რო ყველაფერი

პასუხისმგებლობა ჩემზე გადმოვიდეს, ალბათ. ცოტა შემეშინდება.

(მდედრობითი, 19, ქუთაისი)

მეორე მხრივ, ახალგაზრდების მეორე ნაწილი აღნიშნავს, რომ ნაკლებად ჰგავს მოკლე ვერბალურ ტექსტში წარმოდგენილ პიროვნებას, რადგან არ უყვართ ლიდერობა და მოვლენების წარმართვა; ურჩევნით, რომ ეს სხვამ გააკეთოს:

ხო ანუ, თუ იმ წრეში სადაც ვარ, ვხედავ რომ არის ადამიანი, რომელიც ლიდერობის უნარით გამოირჩევა და თან კარგი აზროვნების უნარი აქვს და კარგი იდეები აქვს და აზრები აქვს, მირჩევნია ყოველთვის, რომ ის იყოს ლიდერი და მე რაღაცა, შეიძლება რა თქმა უნდა შევთავაზო ჩემი იდეები, მაგრამ ანუ ლიდერის პოზიცია იმას დავუთმო, იმიტომ რომ არ ვარ დიდად ეგ ტიპი, ანუ მეზარება ხოლმე ეს ორგანიზაციული საკითხები... (მდედრობითი, 22, თბილისი)

გარდა ამისა, ამ ახალგაზრდების თქმით, „უფრო კომფორტია, რომ სხვა იღებდეს გადაწყვეტილებას“ (მდედრობითი, 25, თბილისი). ახალგაზრდებთან შედარებით, უფროსი თაობის რესპონდენტების უფრო მცირე ნაწილი აღმოჩნდა ლიდერობის მოყვარული. უფროსი თაობის წარმომადგენლების უმეტესობა აღნიშნავს, რომ ბუნებით არ ჰგავს მოკლე ტექსტში აღწერილ ადამიანს: „არა, ასეთი არა ვარ. ლიდერი არა ვარ ბუნებით. პირიქით, უფრო დამთმობი ვარ. არ ვგავარ, ლიდერი არა ვარ. განსხვავებით ჩემი შვილებისგან. აი, უფროსი ანა ძალიან ლიდერია. თათაც თითქოს არა უშავს, მარა ანა უფრო ლიდერია“ (მდედრობითი, 44, ბათუმი). უფროსი თაობის ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ ასაკის მატებასთან ერთად ლიდერობის და გადაწყვეტილების მიღების სურვილიც შეუწედა: „ლიდერობა არ მომწონს, და ზოგადად, ეხლა უკვე რაც ასაკში შევედი. ადრე უფრო ვიყავი ლიდერი და გადაწყვეტილებებსაც ვიღებდი, მაგრამ ეხლა, ალბათ ცხოვრებამაც მაჩვენა, რომ ზოგჯერ ჯობია გაჩუმდე“ (მდედრობითი, 52, თბილისი).

შვარცის „ძალაუფლების“ ღირებულების შესაფასებლად, ზემოაღნიშნულ ორ ვერბალურ ტექსტში აღწერილი ადამიანების გარდა, რესპონდენტებმა, ასევე, შეაფასეს პიროვნება, რომლისთვისაც „მნიშვნელოვანია, რომ სხვები უსმენდნენ და პატივს სცემდნენ. მას უნდა, რომ უთხრას სხვებს, თუ რა გააკეთონ“. ამ ვერბალური

პორტრეტის პირველი და მეორე ნაწილი ახალგაზრდებმა სხვადასხვანაირად შეაფასეს. კერძოდ, ახალგაზრდების უმეტესობას უნდა, რომ სხვები უსმენდნენ და პატივს სცემდნენ, მაგრამ არ უნდათ, რომ სხვებს მიუთითონ, თუ რა გააკეთონ: „მმ... სხვებს ვუთხრა, რა გააკეთონ, არ არის ჩემი თვისება, ანუ არ მიყვარს სხვის საქმეებში და თავისუფლებაში ჩარევა. მაგრამ, ნუ, როგორც ყველა ადამიანში, როცა გისმენენ, კი, რა თქმა უნდა, ეს მნიშვნელოვანია, კი“ (მდედრობითი, 23, ბათუმი). როგორც ახალგაზრდებმა თვითონ აღნიშნეს, ამ ვერბალური პორტრეტის პირველი და მეორე ნაწილი საკმაოდ განსხვავებულად შეიძლება შეფასდეს:

პირველი ნაწილი... ეს ორი ნაწილისგან შეგდება მგონი უფრო, ცოტა განსხვავდება ერთმანეთისგან. იმიტო, რომ პირველ ნაწილში მინდა, რომ კი ძაან მინდა, რომ მისმენდნენ და მნიშვნელოვანი იყოს ჩემი აზრი, მაგრამ მე არასდროს არ მინდა, რომ სხვები ჩემი აზრის მიხედვით მოქმედებდნენ. ჩემთვის ისიც საკმარისია, რომ მე თვითონ ჩემი აზრი დააფასონ ადამიანებმა, შეიძლება არ გაიზიარონ, მაგრამ რაღაც მნიშვნელობის მქონე იყოს თუმცა ამ აზრზე გადმოვიბირო სხვა და ა.შ. ეგეთი ის არ მაქვს power [ძალაუფლება]. (მდედრობითი, 25, თბილისი)

უფროსი თაობის რესპონდენტებმაც მსგავსი მოსაზრებები გამოთქვეს ამ ტექსტის შეფასებისას. მათ აღნიშნეს, რომ მოსწონთ, როდესაც სხვები უსმენენ და პატივს სცემენ, თუმცა, სხვისთვის საკუთარი აზრის თავზე მოხვევა არ მოსწონთ: „ეხლა მე ნამდვილად ... ჩემ აზრს სხვას ვერ მოვახვევ თავზე, იმიტომ რომ მე ჩემი აზრი მაქვს და შეიძლება გავუზიარო, მაგრამ როგორც ისეთი, რომ მე ჩემი აზრი სხვა მოვახვიო თავზე, ამას არ გავაკეთებ“ (მდედრობითი, 49, თელავი)

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ შვარცის მთავარ კატეგორიაში „თვითგაუმჯობესება/საკუთარ თავზე ორიენტაცია“ შემავალი ძირითადი ღირებულებები უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ახალგაზრდებისთვის, ვიდრე უფროსი თაობის წარმომადგენლებისთვის. მაგალითად, ძირითადი ღირებულება, რომელიც წარმატებას და ცხოვრებაში რაიმეს მიღწევას გულისხმობს, საკმაოდ მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ახალგაზრდა თაობისთვის, მაშინ, როდესაც უფროსებში ეს ღირებულება ნაკლებად მნიშვნელოვნად აღიარეს. ასევე, ძალაუფლება, რომელიც,

ზოგადად, არც თუ ისე ღირებული აღმოჩნდა ქართველებისთვის, ახალგაზრდებში მაინც უფრო მისაღები და გარკვეულწილად - მნიშვნელოვანია. კერძოდ, უფროს თაობებთან შედარებით, უფრო მეტი ახალგაზრდა რესპონდენტი საუბრობს როგორც მვირადღირებული ნივთების და ფულის, ისე სხვებისგან პატივისცემასა და სხვებზე ლიდერობის მნიშვნელოვნებაზე.

4.3.3. კონსერვატიზმი


შვარცის ეს მთავარი კატეგორია მოიცავს შემდეგ ძირითად ღირებულებებს: „უსაფრთხოება“ (Security), „კონფორმულობა“ (Conformity) და „ტრადიციები“ (Traditions). ეს მთავარი კატეგორია შვარცის თეორიის მიხედვით უპირისპირდება მთავარ კატეგორიას „მზაობა და ღიაობა ცვლილებებისთვის“, რომელიც ზევით უკვე განვიხილეთ.

„უსაფრთხოების“ ღირებულების გაზომვა შემდეგი მოკლე ტექსტით ხდება: ამ პიროვნებისათვის მნიშვნელოვანია უსაფრთხო გარემოში ცხოვრება და ყველაფრის თავიდან აცილება, რაც სახიფათოა“. რაოდენობრივი გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ ყველა ასაკობრივი ჯგუფის უმრავლესობა თავს ამსგავსებს ასეთ პიროვნებას. ამასთან, პროცენტული მაჩვენებელი უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც იზრდება ასაკის მატებასთან ერთად (იხილეთ დიაგრამა 3).

დიაგრამა 3. (აჩვენეთ ბარათი *L*) „ახლა მოკლედ აღვწერ ადამიანებს. ამ ბარათის გამოყენებით განსაზღვრეთ თითოეულის შესახებ ეს პიროვნება ძალიან გგავთ თქვენ, გგავთ, ასე თუ ისე გგავთ, უმნიშვნელოდ გგავთ, არ გგავთ თუ სრულიად არ გგავთ თქვენ?“ (%) შვარცის მთავარი კატეგორიაში „კონსერვატიზმი“ შემავალი სამი ძირითადი ღირებულება (მოკლე ვერბალური ტექსტები მოცემულია ტექსტში), მსოფლიო ღირებულებების კვლევა, მეექვსე ტალღა, 2014 წელი, საქართველო

**Shalom H. Schwartz-ის ღირებულების ‘კონსერვატიზმი’
სამი კომპონენტი (%)
(მსოფლიო ღირებულებების კვლევა 2014, საქართველო)**

■ მგავს ■ ასეთუ ისე/უმნიშვნელოდმგავს ■ არ მგავს



მსგავსი შედეგები გამოვლინდა თვისებრივი ინტერვიუების დროს. რესპონდენტთა უმრავლესობამ თქვა, რომ მათთვის უსაფრთხოება ძალიან მნიშვნელოვანია: “კი ბატონო. ეხლა უსაფრთო გარემოში ყველასთვის მნიშვნელოვანია ცხოვრება. საფრთხე და ის უკვე შიშს... შიშში ცხოვრება არა მგონია ვინმეს ესიამოვნოს. რა ვიცი. როგორც ყველას, ისევე მეც, რა... მირჩევნია უსაფრთხოდ ვიყო“ (მამრობითი, 22, თელავი). თუმცა, ახალგაზრდების მცირე ნაწილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ წყნარი და უსაფრთხო ცხოვრება შეიძლება ძალიან მოსაწყენი იყოს და გარკვეული რისკები ცხოვრებას უფრო საინტერესოს ხდის:

არანაირად, იმიტომ რომ ძალიან მომბეზრდება ესეთი რაღაც, შეიძლება ეხლა ასაკი მაქვს ისეთი რომ 24 წლის ასაკში სტაბილურობა და სიმშვიდე, ძან დამლელი და დამთრგუნველი იქნება დარწმუნებული ვარ, ცოტა ერთი ორჯერ ცხვირი თუ არ წავიტეხე, არაფერი არ გამოვა, ანუ მნიშვნელოვანი არის გარემო სადაც ვცხოვრობ - იყოს უსაფრთხო, მაგრამ ისეც არ არის რომ რაღაც მნიშვნელოვან რაღაცეებზე, ვიტყვი უარს, იმის გამო რომ გარემოს უსაფრთხოებას ვერ დავინახავ - არა, მირჩევნია იმ

უსაფრთხო გარემოში შევიდეთ და რაღაცეებს მივაწვე კბილებით, რქებით და
ა. შ. (მამრობითი, 24, თბილისი)

უფროსი თაობების წარმომადგენლებს მსგავსი შეხედულებები არ გამოუთქვამთ. მათი
უმრავლესობისთვის უსაფრთხოება ძალიან მნიშვნელოვანია, და, იმის მიუხედავად,
რომ ყველა საფრთხის თავიდან აცილება შეუძლებელია, ისინი ყველაფერს აკეთებენ
იმისთვის, რომ ოჯახის წევრები დაიცვან და დაიფარონ: „უსაფრთხო ცხოვრება, რა
თქმა უნდა, კი. მისაღებია, მომწონს, რა თქმა უნდა, და ვცდილობ, რომ, აი, ჩემს ოჯახს
და ჩემს შვილებს რაიმე, აი, ღმერთო, დაგვიფაროს, ყოველთვის შევეცდები, ვცდილობ,
რომ ავარიდო, რა თქმა უნდა“ (მდედრობითი, 44, ბათუმი).

თვისებრივი ინტერვიუების დროს, რესპონდენტებმა, ასევე, ისაუბრეს უსაფრთხოების
საკითხში სახელმწიფოს როლზე. მათ უნდა შეეფასებინათ შემდეგი პიროვნება: „ამ
პიროვნებისთვის მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ უზრუნველყოს მისი
უსაფრთხოება. მას უნდა, რომ ხელისუფლება ძლიერი იყოს და დაიცვას
მოქალაქეები“. ალბათ, მოულოდნელი არ არის, რომ ახალგაზრდების უმეტესობა
სწორედ სახელმწიფოს თვლის მოქალაქეების უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლად. ეს
უკავშირდება „მსოფლიო ღირებულებების კვლევის“ სხვა შედეგებსაც, რომლებიც
მოტანილია ცხრილში #15. შედეგების მიხედვით, ახალგაზრდების დიდი წილი
ფიქრობს, რომ „სახელმწიფომ უნდა იკისროს მეტი პასუხისმგებლობა, რათა
გარანტირებული იყოს ყველას უზრუნველყოფა“. მსგავს მოსაზრებას აფიქსირებენ
ახალგაზრდები თვისებრივ ინტერვიუებში: მათი თქმით, სახელმწიფო/ხელისუფლება
უნდა ზრუნავდეს მოქალაქეების უსაფრთხოებაზე და უზრუნველყოს ქვეყნის
სტაბილური მდგომარეობა; ასევე, სწორედ სახელმწიფომ უნდა აღკვეთოს ქვეყანაში
დანაშაული:

აჰ, კი. ჩემთვისაც რა თქმა უნდა. ანუ, ხელისუფლების ძირითადი და
მთავარი მიზანიც და მოვალეობაც არის მოქალაქეების უსაფრთხოებაზე
ზრუნვა და რა თქმა უნდა მეც ვფიქრობ რომ ასე უნდა იყოს და ჩემთვისაც
ეს მნიშვნელოვანია. (მდედრობითი, 23, თელავი)

ამასთან, რამდენიმე ახალგაზრდამ ისიც აღნიშნა, რომ თვითონ ადამიანმაც უნდა

განძირის ხელი საკუთარი უსაფრთხოებისთვის. ეს მოსაზრება დააფიქსირეს უფროსი თაობების რამდენიმე რესპონდენტმა. მათი თქმით, სახელმწიფო, პირველ რიგში, პასუხისმგებელია ადამიანის უსაფრთხოებაზე, თუმცა, ინდივიდებმაც უნდა შეუწყონ ხელი უსაფრთხო გარემოს შექმნაში:

ხელისუფლება ძლიერი რომ უნდა იყოს და მოქალაქეები რომ უნდა დაიცვას ეს თავისთავად ცხადია, მაგრამ შენი მხრიდან კიდევ უფრო მკაცრად უნდა მოსთხოვო თავს და შენ უნდა ყველაფერი გააკეთო იმისათვის, რომ შენი უსაფრთხოება დაიცვა. მაგრამ აი, ეს აუცილებლად ერთად უნდა იყოს. ორივეს მიზანი უნდა იყოს ეს და შენ უნდა ხელი შეუწყო ამისათვის და ყველაფერი უნდა გააკეთო. (მდედრობითი, 53, თბილისი)

„კონსერვატიზმის“ ძირითად მიმართულებაში „უსაფრთხოების“ ღირებულების გარდა შედის, აგრეთვე, „კონფორმულობის“ და „ტრადიციის“ ღირებულებები. „კონფორმულობის“ გასაზომად რესპონდენტები აფასებდნენ პიროვნებას, რომლისთვისაც „მნიშვნელოვანია, ყოველთვის სწორად იქცეოდეს და არასოდეს გააკეთოს ისეთი რამ, რაზეც ხალხი იტყვის, რომ ეს არასწორი საქციელია“. რაოდენობრივ მონაცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ღირებულება ძალიან მნიშვნელოვანია ყველა ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლისთვის. 18-დან 25 წლის ჩათვლით ახალგაზრდების 76% ამბობს, რომ „ძალიან ჰგავს“ ან „ჰგავს“ ასეთ პიროვნებას. ასაკის მატებასთან ერთად ეს მაჩვენებელი მცირედით მატულობს და „66 და უფროსი“ ასაკობრივ ჯგუფში 87%-მდე იზრდება (იხილეთ დიაგრამა 3).

სიღრმისეული ინტერვიუების დროს რესპონდენტებმა უფრო დაწვრილებით ისაუბრეს და განმარტეს საკუთარი დამოკიდებულებები. ბევრი ახალგაზრდისთვის მნიშვნელოვანია, თუ რას ფიქრობს და იტყვის ხალხი მათ შესახებ, ამიტომ არაფერს ისეთ არ გააკეთებდნენ, რასაც საზოგადოება დაგმობდა.

მნიშვნელოვანია, კი, ნამდვილად მნიშვნელოვანია, რას აკეთებ. და ხალხის აზრიც მნიშვნელოვანია, ჩემის აზრით... ჩემ გარშემო, მაგალითად, ერთადერთ, ერთი მახსენდება, სოფელში ყოველთვის... მოკლე შორტები, ეს იყო კომმარი, სოფელში რო ჩაგეცვა და, აი, მაგალითად, მაგას

ვითვალისწინებდი ყოველთვის. იმიტო, რო იქ ხშირად მიწევს ჩასვლა და იქ ვარ გაზრდილი ნახევრად და მნიშვნელოვანი იყო ჩემი ახლო მყოფი ხალხის აზრიც. (მდედრობითი, 22, ქუთაისი)

ახალგაზრდების ნაწილი, ასევე, ფიქრობს, რომ ყველა ინდივიდისთვის მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანია საზოგადოების აზრი; შეუძლებელია, იყო საზოგადოების წევრი და არ გაითვალისწინო სხვა ადამიანების აზრი:

კი, რა თქმა უნდა. ნუ, მნიშვნელოვანი არის რა თქმა უნდა, იმიტომ რომ სხვისი აზრი, კი, ამბობენ რო არ აქვს სხვის აზრს მნიშვნელობა, მაგრამ მაინც გარკვეულწილად ყოველთვის, ყველა ადამიანისთვის მნიშვნელოვანია სხვისი აზრი. ანუ, ზოგადად, საზოგადოებიდან გამომდინარე და ფაქტიურად ვფიქრობ რომ ვერ იქნები საზოგადოებაში ადაპტირებული, თუ სხვისი აზრიც არ გაითვალისწინე რაღაც გარკვეულ ეტაპზე მაინც. (მდედრობითი, 23, თელავი)

ახალგაზრდებმა აღნიშნეს, რომ ბევრ რამეში არ ეთანხმებიან ხალხის შეხედულებებს, მაგრამ მაინც უწევთ სხვა ადამიანების აზრის გათვალისწინება. მათი თქმით, ისინი შინაგანად არ ეთანხმებიან ხალხის აზრს და ფიქრობენ, რომ ქართველი ხალხისთვის ბევრი ისეთი რაღაც არის მიუღებელი, რაც, წესით, მისაღები უნდა იყოს. ამის მიუხედავად, მათთვის მნიშვნელოვანია, რომ სწორი ცხოვრებით იცხოვრონ და წესები არ დაარღვიონ. ახალგაზრდების თქმით, სწორად ცხოვრება იმიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ სხვა ადამიანებმა მეტად დაგაფასონ:

ესეც მნიშვნელოვანია ჩემთვის, სწორად ცხოვრება...ეხლა, რატომ, რა ვიცი... სწორად რო ცხოვრობ, ჯერ ერთი, მეტად დაფასებული ხარ ხალხთანაც, ოჯახის წევრებთანაც, ანუ, ნებისმიერ ადამიანთანაც, სწორად მაცხოვრებელი. სწორად მაცხოვრებელში ეხლა არ ვგულისხმობ, ქურდულ მენტალიტეტს და რაღაც, უბრალოდ, ჩვეულებრივი ადამიანური ღირსებები რო გაქვს და სწორად ცხოვრობ, მეტად გაფასებენ და მაგიტომ არის მნიშვნელოვანი. (მამრობითი, 22, თელავი)

მეორე მხრივ, სიღრმისეულ ინტერვიუებში ზოგმა ახალგაზრდა რესპონდენტმა

აღნიშნა, რომ მათთვის არ არის მნიშვნელოვანი სხვისი აზრი და რომ ისინი ცდილობენ, არ გაითვალისწინონ სხვა ადამიანების მოსაზრებები, რადგან ყოველთვის იარსებებს ვინმე სხვა ადამიანი, რომელსაც მათი ქმედებები არ მოეწონება. ამიტომ ისინი აკეთებენ იმას, რაც თავად მიაჩნიათ სწორად: „არ მგავს იმიტო, რო ხალხის აზრი დიდად არ მაინტერესებს. ზოგადად, არ მიყვარს რა ეგ გამოთქმა, ‘რას იტყვის ხალხი’. მე ვაკეთებ იმას, რაც მსიამოვნებს, რაც მიმაჩნია სწორად და არ მაინტერესებს, ხალხი რას იფიქრებს ამაზე“ (მდედრობითი, 25, ქუთაისი). ასევე, ზოგი რესპონდენტის თქმით, მათ ისე სურთ მოიქცნენ, როგორც თვითონ თვლიან საჭიროდ, თუმცა ეს არ გულისხმობს იმას, რომ ამ საქციელით სხვა ადამიანები დააზარალონ: „საერთოდ არ არის ეგ მნიშვნელოვანი, გამომდინარე იქიდან რომ მე მინდა ვიქცეოდე ისე როგორც მე მინდა ვიქცეოდე, თუმცა ეს არ გულისხმობს იმას, რომ ჩემი ქცევით დავაზარალო სხვა ვინც ამასთან კავშირში არ არის“ (მამრობითი, 24, თბილისი).

ახალგაზრდა რესპონდენტების მსგავსად, უფროსი თაობების რესპონდენტების უმრავლესობამ აღნიშნა, რომ ცდილობენ ყოველთვის „სწორად მოიქცნენ“ და „ყველაფერი სწორად გააკეთონ“. მათი თქმით, ხალხის აზრს აქვს მნიშვნელობა და ცდილობენ ისე მოიქცნენ, რომ ცუდი არავის არ ათქმევინონ. უფროს თაობებთან ინტერვიუს დროს მხოლოდ რამდენიმე რესპონდენტმა თქვა, რომ ხალხის აზრი ნაკლებად აინტერესებს: „თუ ჩავთვლი ესე რო სწორად ვიქცევი და ჩემი ნაბიჯი ამა თუ იმ საქციელის მიმართ არის სწორად გადადგმული, მაშინ ხალხის აზრს არა აქვს ჩემთვის მნიშვნელობა“ (მდედრობითი, 50, თელავი). თუმცა, ასეთი ადამიანების წილი, ახალგაზრდების მსგავსად, უფროს თაობების წარმომადგენლებს შორისაც, მცირე იყო.

„კონფორმულობის“ ღირებულების შესაფასებლად, თვისებრივი ინტერვიუების დროს რესპონდენტებმა, ასევე, ისაუბრეს ორ დამატებით ვერბალურ პორტრეტზე. პირველი პორტრეტი შემდეგ პიროვნებას აღწერდა: „ამ პიროვნებას სჯერა, რომ ადამიანებმა ის უნდა აკეთონ, რასაც ეტყვიან. მისი აზრით, ადამიანები სულ უნდა იცავდნენ წესებს, მაშინაც კი, როცა არავინ უყურებს/აკვირდება მათ“. ახალგაზრდების საკმაოდ დიდმა ნაწილმა თქვა, რომ ნაწილობრივ არ გავს ასეთ პიროვნებას, რადგან არ უყვართ, როდესაც ვინმე მითითებებს აძლევთ:

ეხლა რასაც მეტყვიან ის უნდა ვაკეთო... არა, ეგ არ მიყვარს. რო მიმითითებენ... როცა მიმითითებს ვიღაცა, ცოტა სხვანაირად არი, რა... ანუ, მბრძანებლობს შენზე მითითებით. გისწორებს შენ აზრს, ანუ, მაგალითად, უარყოფს შენ აზრს და თავის აზრს გახვევს თავზე რო გაგაკეთებინოს რაღაცა და ეგ არავის არ უყვარს. (მამრობითი, 22, თელავი)

ახალგაზრდებმა ისიც აღნიშნეს, რომ ხშირ შემთხვევაში უყვართ წესების დარღვევა:

რო გითხრა რო ყველა წესის დამცველი ვარ-მეთქი, მასე არ არის, რაღაც წესი მეც დამირღვევია და სხვასაც დაურღვევია. ის რო გხედავს, სამართალდამცავი, მაშინაც დამირღვევია და ის რო ვერ გხედავს. ანუ ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, გიყურებს თუ არა ვიღაცა და მაშინ დაარღვევ. შეიძლება მის საწინააღმდეგოდ, ის მიყურებდეს და მაშინაც გავაკეთო და არ მიყურებდეს და მაშინაც გავაკეთო. ანუ, ვიღაცის დასამალად არ გავაკეთებ. (მამრობითი, 18, თელავი)

ახალგაზრდების აზრით, მთავარია, რომ ხელოვნურად არ აკეთებდე რამეს და რასაც აკეთებ, იმისი გჯეროდეს და ეთანხმებოდე. წესების დაცვა გარკვეულწილად მნიშვნელოვანია, თუმცა სხვის ნათქვამზე გაუაზრებლად დათანხმება მიუღებელია ახალგაზრდების საკმაოდ დიდი ნაწილისთვის:

ანუ, წესებს, რა თქმა უნდა, უნდა იცავდნენ, მარა ისე არა, რო ყოველთვის რასაც სხვა ამბობს, ისე გააკეთონ და ისე უნდა მოიქცე, უნდა გქონდეს რაღაცის გააზრების საშუალება და უნარიც და თუ რაღაცის ნათქვამზე არ მიგაჩნია სწორად რა თქმა უნდა უნდა თქვა. ანუ, ყოველთვის გააკეთო ის, რასაც სხვა ამბობს, ისე არა. (მდედრობითი, 23, თელავი)

სწორედ ამის გამო, გარკვეულ წესებს ახალგაზრდები არ იცავენ. თუმცა, ისევ მათი თქმით, არსებობს წესები, რომლებიც ყოველთვის უნდა დავიცვათ: „ნუ მაგალითად აი ნაგავი არავითარ შემთხვევაში არ უნდა დააგდო სულ, რომ რავიცი გაწყდეს მთელი დედამიწა და ვერავინ ვერ დაგინახავს ვერასდროს მაგალითად. ანუ, მაგას არ ვაკეთებ არასდროს“ (მდედრობითი, 23, თბილისი).

ახალგაზრდებთან შედარებით, უფროსი თაობების უფრო მეტმა წარმომადგენელმა თქვა, რომ გავს პიროვნებას, რომელიც სულ იცავს წესებს. მათი, თქმით, საზოგადოებაში წესების დაცვა აუცილებელია:

წესებს უნდა იცავდნენ... რალაცეებში ადამიანმა უნდა იცოდეს, რო წესი წესია და რალაცას უნდა დაემორჩილოს... ნუ, იმისთვის არა, რო ვილაცა უყურებს, დავუშვათ და უბრძანოს.... არის წესი, რომელიც არ უნდა დაარღვიოს. (მდედრობითი, 40, ბათუმი)

თუმცა, არც უფროსი თაობის რესპონდენტებს მოსწონთ, როდესაც მათ მითითებებს ამლევენ: „წესების დაცვა მიყვარს და წესრიგი, მაგრამ ახლა ეს იმას არ ნიშნავს რომ ვინც რას მეტყვის, ის უნდა გავაკეთო. მე რაც მიმაჩნია წესრიგად, იმას გავაკეთებ რა“ (მდედრობითი, 52, თბილისი). მათი, თქმით, საკუთარი მოსაზრების ქონა ასევე აუცილებელია.

მეორე დამატებითი პორტრეტი, რომელიც „კონფორმულობის“ ღირებულებას აღწერს, შემდეგში მდგომარეობს: „ამ ადამიანისთვის მნიშვნელოვანია, რომ იყოს მორჩილი. იგი თვლის, რომ პატივისცემით უნდა მოეპყრას მშობლებს და უფროსი თაობის წარმომადგენლებს“. როგორც ახალგაზრდა, ისე უფროსი თაობების წარმომადგენლების უმრავლესობამ აღნიშნა, რომ უფროსი ადამიანების პატივისცემა აუცილებელია. ეს, ალბათ, გასაკვირი არ არის, რადგან ქართული ტრადიციები უფროსებისადმი გამორჩეულ დამოკიდებულებას გულისხმობს: „რა თქმა უნდა. ყველა ვალდებული ვართ, რო უფროს თაობას და მშობლებს მით უმეტეს პატივი ვცეთ“ (მამრობითი, 22, თელავი). თუმცა, ახალგაზრდების უმეტესობა არ ეთანხმება ტექსტის პირველ ნაწილს, სადაც მორჩილებაზეა საუბარი. მათი თქმით, საკუთარი აზრის ქონა მნიშვნელოვანია და თუ არ ეთანხმები იმას, რასაც გეუბნებიან, მაშინ მითითებების შესრულებაზეც უარს იტყვი: „მე თუ იმას არ ვეთანხმები, რასაც ისინი მეუბნებიან, მაშინ არ გავაკეთებ. მეც ხომ ჩემი აზრი მაქ... არა, მორჩილი ვიყო და დავემორჩილო, არ მომწონს, არა“ (მდედრობითი, 18, ბათუმი). ახალგაზრდებმა ასევე ისიც აღნიშნეს, რომ უფროსების პატივისცემა არ ნიშნავს იმას, რომ მათ ყველაფერში დაეთანხმო:

კი, რა თქმა უნდა, პატივისცემით უნდა მოეპყრას მშობლებს და უფროსი თაობის წარმომადგენლებსაც, უნდა იყოს მორჩილი, მაგრამ რა თქმა უნდა აქაც ყოველთვის ისე არა რო ყოველთვის რასაც იტყვის, უნდა იყოს ისე...თუ რაიმეს არ ფიქრობს ისე, როგორც მშობლები ეტყვიან, ისიც რა თქმა უნდა საუბრის დონეზე უნდა იყოს და ერთობლივად უნდა იყოს გადაწყვეტილება მიღებული. ასე ვფიქრობ. თუ რა თქმა უნდა რაიმეს, მშობლების აზრს არ ეთანხმება...(მდედრობითი, 23, თელავი).

უფროსი თაობების რესპონდენტების უმრავლესობაც ეთანხმება მოსაზრებას, რომ მშობლებს და უფროს ადამიანებს პატივისცემით უნდა მოვექცეთ, რადგან უფროსს „უფრო უნდა ყურადღება და მხარში დგომა, ვიდრე ახალგაზრდას“ (მდედრობითი, 55, თელავი). რამდენიმე რესპონდენტმა, ასევე, ისაუბრა მორჩილებაზე და აღნიშნა, რომ ახალგაზრდობაში ყოველთვის უსმენდნენ და ემორჩილებოდნენ უფროსებს, თუმცა, პატივისცემისგან განსხვავებით, ამას აუცილებელ პირობად არ თვლიან. უფროსი თაობის რესპონდენტების თქმით, ყველა თაობას თავისი აზრი და დამოკიდებულება აქვს რიგ საკითხების მიმართ და ყველა აზრს პატივი უნდა ვცეთ:

ჩემი გამოცდილებიდან გეუბნებით, რომ მშობლები უნდა დააფასო, პატივი უნდა სცე, რა თქმა უნდა, მაგრამ ის, მშობლები კი არ გვიშლიდნენ ჩვენ, უბრალოდ, ჩვენ ისე ვიყავით გაზრდილი, ისეთ პერიოდში, რო უფრო მეტად დამოკიდებული ვიყავით უფროსებზე. და მერე კი, ბოლოს, როგორც იქნა, კი გადავდგით, დამოუკიდებლად დავიწყეთ ცხოვრება... რა ვიცი, პატივისცემა არ უნდა დავკარგოთ და სიყვარული. და ყველაფერში მორჩილი... ესეც არ შეიძლება. აზრს პატივი უნდა ვცეთ, შვილების აზრს. (მდედრობითი, 44, ბათუმი)

„კონსერვატიზმის“ კატეგორიაში, „უსაფრთხოების“ და „კონფორმულობის“ ღირებულებების გარდა, ასევე შედის „ტრადიციის“ ღირებულება, რომელიც მნიშვნელოვანი აღმოჩნდა რესპონდენტებისთვის. „მსოფლიო ღირებულებების კვლევის“ დროს რესპონდენტებს უნდა შეეფასებინათ ვერბალური პორტრეტი, რომელიც აღწერდა ადამიანს, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია „ტრადიცია და ადათ-წესების დაცვა, რომელიც შთამომავლობით გადმოეცა მისი ოჯახისაგან ან

რელიგიიდან“. რაოდენობრივი მონაცემების ანალიზმა აჩვენა, რომ 18-დან 25 წლის ჩათვლით ახალგაზრდების უმეტესობა (82%) ასეთ ადამიანს ამსგავსებს თავს (ჯამური მაჩვენებელი პასუხის ვარიანტებისა „ძალიან მგავს“ და „მგავს“). ასაკის მატებასთან ერთად, ეს პროცენტული მაჩვენებელი კიდევ უფრო იზრდება და განსაკუთრებით მაღალია „66 და უფროსი“ ასაკის ჯგუფში (97%). დანარჩენ ასაკობრივ ჯგუფებში მაჩვენებელი 89%-ს არ აჭარბებს (იხილეთ დიაგრამა 3). თუმცა, თუკი პასუხის ვარიანტებს „ძალიან მგავს“ და „მგავს“ არ გავაერთიანებთ, აშკარად დავინახავთ განსხვავებას 18-25 და 46-55 ასაკობრივ ჯგუფებს შორის. თუკი 18-დან 25 წლის ჩათვლით ახალგაზრდების 48%-მა თქვა, რომ „ძალიან ჰგავს“ პიროვნებას, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია ტრადიცია და ადათ-წესების დაცვა, ეს პროცენტული მაჩვენებელი 46-დან 55 წლის ჩათვლით ასაკობრივ კატეგორიაში მნიშვნელოვნად მაღალია (65%).

თვისებრივი ინტერვიუების დროს გამოვლინდა, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებენ რესპონდენტები ქართულ ტრადიციებსა და ადათ-წესებს. ალბათ, გასაკვირი არ არის, რომ ტრადიციების მიმართ პატივისცემა გამოთქვეს, როგორც ახალგაზრდა, ისე უფროსი თაობის წარმომადგენელთა უმრავლესობამ. ქართული ტრადიციები ხშირად ასოცირდება ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიასთან და ზოგადად, ისტორიასთან:

...თუნდაც ჩვენი ერის ისტორია რო გავითვალისწინოთ, ჩვენი ერი იმხელა ტრადიციების მატარებელია, რო მე ვფიქრობ, რო ყველა ადამიანის, ყველა ქართველის ვალია, რო ეს ტრადიციები, ნუ, ფაქტია, რო ეხლა ჩოხა-ახალუხით ყველა დღესდღეობით ვერ ვივლით, მარა გულის სიღრმეში რო გვაქვს, რაღაც დონეზე წარმოვაჩინოთ ჩვენ მაინც ამ ყველაფერს. რაც შეეხება რელიგიას, ვფიქრობ, რო ადამიანს უნდა სწამდეს ღმერთი და კვირაში ერთხელ მაინც უნდა დადიოდეს ეკლესიაში და სანთელს ანთებდეს და ა.შ.“

(მამრობითი, 19, ბათუმი)

ტრადიციებზე საუბრისას რამდენიმე ახალგაზრდამ ახსენა კონკრეტული ტრადიციები, მაგალითად ღვინის კეთების ტრადიცია და ისაუბრა მის მნიშვნელოვნებაზე:

აი, ღვინის ტრადიციას მოვიყვანდი მაგალითად... ნუ, ასეთი კულტურა რო გაგვაჩნია რა და ტრადიცია ღვინის მომზადების და... მაგრამ ამავდროულად არ გაგვაჩნია ღვინის დაღვევის ტრადიცია და ვთვლი, რო ეს ძაან სწორად უნდა გადაეცეს მომავალ თაობას იმისთვის, რო შენარჩუნდეს და, აი, თუნდაც თაობების შემდეგ ეს არსებობდეს რა. რაღაც რო გაგაჩნია ერს, უნიკალური, რაც მთელ მსოფლიოში უნიკალურია, უნდა შეინარჩუნო რა. და კიდე სხვა რაღაცეებიც. ნუ, რავი, მოკლედ... ეგეთი რაღაცეები. (მდედრობითი, 23, ბათუმი)

მეორე მხრივ, თვისებრივ ინტერვიუების დროს ახალგაზრდების ნაწილმა აღნიშნა, რომ ქართული ტრადიციები მათთვის არც თუ ისე ღირებულა. მათი თქმით, მაგალითად, რელიგიური ტრადიციები, გაუაზრებლად და „ინერციით“ ნარჩუნდება: „რელიგიური უფრო შეიძლება ინერციით გავაკეთო. მაგიტომ ვთქვი ინერცია. აი ვთქვამთ, შვილი რომ მეყოლება ვიცი, რომ უნდა მოვნათლო და ამიტომ მოვნათლავ და არა იმიტომ, რომ გააზრებული მაქვს და მინდა რომ გავაკეთო. ხო ხვდები?“ (მდედრობითი, 23, თბილისი). ასევე, არსებობს ტრადიციები, რომლებიც ახალგაზრდებს არ მოსწონთ, მაგრამ მაინც მისდევენ, რადგან ასე არის მიღებული ქართულ საზოგადოებაში:

ვიცავ, მაგრამ ვფიქრობ, რომ მოძველებულია. ეს არ მომწონს, ქელეხის ტრადიცია, ძალიან არ მომწონს. მაგრამ მაინც ვიცავ. დედაჩემს ვეუბნებით ხოლმე მე და ჩემი და, რო ქელეხს არ გაგიკეთებთო და გიჟდება, ხო არ გაგიჟდითო. რთულია ამის აღმოფხვრა, ეხლა მარტო ერთი და ორით, ბავშვებმა ქელეხი არ გაუკეთეს და ხო ხვდებით. (მდედრობითი, 18, ბათუმი)

რამდენიმე ახალგაზრდის თქმით, ტრადიციები ზღუდავს ადამიანებს და ამიტომ ადამიანებმა უნდა გაიზრონ, რომ ტრადიციები არ არის მნიშვნელოვანი და გათავისუფლდნენ მათგან:

არანაირად, ოდნავადაც არ არის ჩემთვის ეს [ტრადიციები] მნიშვნელოვანი, მიმაჩნია რომ სამყარო მაშინ იქნება უკეთესი, როცა ეს საერთოდ არავისთვის იქნება მნიშვნელოვანი, იმიტომ რომ ადამიანი ისედაც ძაან ბევრს იბრძვი თავისუფლებისთვის და დამოუკიდებლობისთვის და როცა წინასწარ

გადმოგეცემა რაღაც ოჯახური თუ რელიგიური დოგმატი და ის ჩარჩო, გამზადებულ ჩარჩოში გეუბნება ვიღაცა, რომ იცხოვრეო, არ მიმაჩია ეს სწორად და მაგიტომ არის, რომ ხშირად გამჩენია ხოლმე არა მარტო ნეგატიური დამოკიდებულება, არამედ ხშირად აგრესია... აი ის რომ წინასწარ გამზადებულ ლიმიტებში გიწევს ცხოვრება, აზრი არ აქვს ესეთ ცხოვრებას ჩემი აზრით, იმიტომ რომ რაღაცას უნდა დაარტყა ხელი და გაგლიჯო ეს ჩარჩოები... (მამრობითი, 24, თბილისი)

ახალგაზრდა თაობის მსგავსად, უფროს თაობების წარმომადგენლებს შორისაც იყვნენ რესპონდენტები, ვინც ტრადიციების მიუღებლობაზე საუბრობდა. ზოგიერთი მათგანის თქმით, არსებობს დამახინჯებული ტრადიციები და ადათ-წესები, რომლებიც „არ არის აუცილებელი, რომ სულ გადაეცეს შთამომავლობას“. ყველა ტრადიცია არც უფროსი თაობის წარმომადგენლებისთვის არის მისაღები:

კი, ადათ-წესები და ტრადიციები კარგია, მაგრამ იქაც არის რაღაც რაღაცეები რაც შესაცვლელია, ნუ ძირითადათ ნუ რაღაცეები უნდა დავიცვათ... ჩემთვის არის მნიშვნელოვანი, მაგრამ რომ გითხრათ ეხლა ყველაფერი მომწონს ჩვენ ტრადიციებში, ვერ გეტყვით რომ მომწონს, მაგრამ რაც მომწონს, იმას დავიცავ და რაც არ მომწონს იმას შეიძლება არ დავიცვა. (მდედრობითი, 52, თბილისი)

თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უფროსი თაობის წარმომადგენლები, ძირითადად ტრადიციების მნიშვნელოვნებას უსვამდნენ ხაზს. მათი თქმით, ტრადიციები მნიშვნელოვანი და ღირებულია, რადგან სწორედ ტრადიციებმა შეინარჩუნეს და გადაარჩინეს ჩვენი ქვეყანა:

იმიტომ, რომ თუკი ალბათ ქვეყანა შემოინახა, ალბათ ზუსტად ამ ტრადიციებმა. ძალიან დიდი როლი აქვთ... იმიტომ რომ ქვეყნის გადარჩენა ბევრჯერ ყოფილა დამოკიდებული, როგორც რელიგიაზე, ასევე ტრადიციებზე, ასევე ოჯახის ადათ-წესებზე კიდევ. (მდედრობითი, 50, თელავი)

როგორც მონაცემებიდან ჩანს, „ტრადიციის“ ღირებულება მაინც მნიშვნელოვანი რჩება

ქართველების გარკვეული ნაწილისთვის. თუმცა, შვარცის „ტრადიციის“ ღირებულების მატარებელი სხვა ვერბალური პორტრეტების შეფასებისას, რესპონდენტებისთვის ამ ღირებულების მნიშვნელოვნება მცირდება. შვარცის მიხედვით, შემდეგი ვერბალური პორტრეტიც „ტრადიციის“ ღირებულების მატარებელ ადამიანს აღწერს: „ეს პიროვნება ფიქრობს, რომ ადამიანმა არ უნდა მოითხოვოს იმაზე მეტი, რაც აქვს. მისი აზრით, ადამიანები კმაყოფილები უნდა იყვნენ იმით, რაც გააჩნიათ“. ამ ვერბალური პორტრეტის მოსმენის შემდეგ, ახალგაზრდების მხოლოდ ნაწილმა აღნიშნა, რომ ჰგავს ასეთ პიროვნებას, რადგან კმაყოფილია იმით, რაც გააჩნია:

მე მშვენივრად ვარ. მე არავისგან არაფერს არ ვითხოვ და არც არავის, ანუ, არაფრის, ხო ხვდები, ანუ, მე რაცა მაქვს ყველაფერი მაკმაყოფილებს, არავის არ გამოვართმევ და არც არავის არა ვთხოვ იმას, რო მოდი მე ეს არ მინდა და მოდი რამე მომეცი და ის. არა. მე მშვენივრად ვარ. მე არაფრის მოთხოვნა და ის არ მინდა არც ვინმე ადამინისთვის რო მოდი, აი, რაღაცა მომეცი. მე არ მინდა ესე. (მამრობითი, 18, თელავი)

მეორე მხრივ, ახალგაზრდების საკმაოდ დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ ადამიანებმა მეტი უნდა მოითხოვონ ცხოვრებისგან, იმისთვის რომ განვითარდნენ და ცხოვრებაში წინ წავიდნენ:

ადამიანს მუდმივად უნდა ჰქონდეს განვითარების და წინსვლის სურვილი, შესაბამისად, რაღაც მომენტში შეიძლება კიდევაც რომ მოითხოვოს იმაზე მეტი ვიდრე ფიქრობს, რომ იმსახურებს იმიტომ, რომ ეს შეიძლება დაეხმაროს იმაში, რომ შემდეგ უკვე თვითონ გაუთანაბრდეს იმ საფეხურს რაც წინასწარ მოითხოვა, შესაბამისად განვითარებაში შეიძლება დაეხმაროს ეს ადამიანს, ანუ მოტივაცია არის ეს ძაან ჩვეულებრივი რა. (მამრობითი, 24, თბილისი)

ამასთან, ახალგაზრდების აზრით, მეტის მოთხოვნა სიხარბეში არ უნდა გადაიზარდოს, თუმცა, აუცილებელია გარკვეული მიზნებისკენ სწრაფვა. მსგავსი მოსაზრებები დააფიქსირეს უფროსი თაობის რესპონდენტებმა. მხოლოდ რამდენიმე რესპონდენტმა თქვა, რომ რაც აქვს, იმით კმაყოფილდება. სხვებმა კი აღნიშნეს, რომ

მადლიერები არიან იმის, რაც გააჩნიათ, თუმცა მაინც ისწრაფვიან გაუმჯობესებისკენ და უკეთესი ცხოვრებისკენ:

არა, იგი რა, ადამიანი პირიქით, უნდა ისწრაფვოდეს გაუმჯობესებისკენ ყველაფრის. შეიძლება, კი, მადლიერი ვარ ღვთის. მე არ ვარ ისეთი და ყოველთვის ვამბობ, რო რაც მაქ, იმით მადლიერი ვარ, მაგრამ როცა მონდომებული ხარ, მიზანს ისახავ მეტისკენ, აღწევს მაგას ადამიანი და ჯობია, რო დაისახო და წინსვლა, ვიდრე ერთ ადგილას და სულ შეეგულ იმ რაღაცას. (მდედრობითი, 40, ბათუმი)

უფროსი თაობის რესპონდენტები ასევე ფიქრობენ, რომ რაღაცის მოთხოვნა ცხოვრებასი წარმატების საწინდარია: „ახლა ვფიქრობ, რომ ზოგადად მოთხოვნა, ახლა, ამბიციურობას არ ნიშნავს აუცილებლად, მაგრამ ზოგადად, ეხლა ვფიქრობ, რომ მოთხოვნა გარკვეულწილად პლიუს ამბიცია აუცილებელია ადამინისთვის რომ წარმატებას მიაღწიოს“ (მდედრობითი, 55, თბილისი).

შვარცის მიხედვით „ტრადიციის“ ღირებულების გაზომვა ასევე შეიძლება შემდეგი ვერბალური პორტრეტით: „ამ პიროვნებისთვის მნიშვნელოვანია, იყოს თავმდაბალი და მოკრძალებული. ის ცდილობს ყურადღების ცენტრში არ იყოს“. თვისებრივი ინტერვიუების შედეგებმა აჩვენა, რომ როგორც ახალგაზრდების, ისე უფროსი თაობის რესპონდენტების გარკვეული ნაწილი ამსგავსებს თავს ასეთ პიროვნებას, თუმცა უფროსი თაობის რესპონდენტებში ასეთი ადამიანების წილი უფრო მეტია. ახალგაზრდების ნაწილმა აღნიშნა, რომ არ უყვარს ყურადღების ცენტრში ყოფნა, რადგან უხერხულად გრძნობს თავს:

მე ზოგადად, იმის მიუხედავად, რაღაცას, რომ გავაკეთებ კარგია და მსიამოვნებს ვიღაცა რომ ამბობს, რომ ეს ამაღ რა კარგად გააკეთა, ამის მიუხედავად, ძაან დიდი დისკომფორტია ჩემთვის ყურადღების ცენტრში ყოფნა. მაგალითად, რავიცი, აი მირჩევნია პირადად შექებას, მირჩევნია სხვას უთხრას და მე ისე გავიგო. იმიტომ, რომ მე ძაან ვიძაბები ამაზე და ცოტა ისე უხერხულად ვგრძნობ თავს. აი თუნდაც, ყურადღების ცენტრში ყოფნა იმდენად არ მიყვარს რომ ჩემთვის არის ერთ-ერთი ყველაზე უხერხული მომენტი აი დაბადების დღეზე ტორტის ჩაქრობა. იმიტომ, რომ

აი, ყველა რომ მე მიყურებს და მერე ვდგავარ და ტორტი უნდა ჩავაქრო აი რაღაცა არ არის რა ჩემი მოკლედ. (მდედრობითი, 23, თბილისი)

თუმცა, მეორე მხრივ, ახალგაზრდების საკმაოდ დიდმა ნაწილმა თქვა, რომ არც ისე თავმდაბალია და რომ უყვართ ყურადღების ცენტრში ყოფნა: „ყურადღების ცენტრში რატო არ უნდა იყო. ყურადღების ცენტრში ყოფნა, ზოგადად, მიყვარს, რაღაც მხრივ. და თავმდაბლობაც, ეხლა, ძაან არ უნდა გამოიჩინო ადამიანმა“ (მდედრობითი, 22, ქუთაისი). ახალგაზრდებთან შედარებით, უფროსი თაობების რესპონდენტებმა საკუთარი თავი უფრო თავმდაბალ და მორიდებულ ადამიანად აღწერეს. მათ აღნიშნეს, რომ არ უყვართ თავის გამოჩენა და ყურადღების ცენტრში ყოფნა: „ყურადღების ცენტრში არ მინდა ნამდვილად რომ ვიყო, უხერხულ მდგომარეობაში ვვარდები, გამიგე? მირჩევნია, რომ ყველა.. რო მაიღამინც ვინმე მაქებდეს არ მიყვარს“ (მდედრობითი, 52, თბილისი). თუმცა, ერთეულებმა მაინც აღნიშნეს, რომ ყურადღება ძალიან სიამოვნებთ: „ნუ, ეს კი, თუ მომაქცევენ ყურადღებას და პატივს მცემენ, რა თქმა უნდა, ეხლა ყველას სიამოვნებს“ (მდედრობითი, 80, ქუთაისი).

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ როგორც რაოდენობრივმა, ისე თვისებრივმა ინტერვიუებმა აჩვენა, რომ ქართველი ხალხი შვარცის „კონსერვატიზმის“ ღირებულების მატარებელია. რაოდენობრივი მონაცემების მიხედვით „უსაფრთხოების“, „კონფორმულობის“ და „ტრადიციის“ ღირებულებების მატარებელ მოკლე ვერბალური ტექსტებში წარმოდგენილ პიროვნებას თავს ამსგავსებს როგორც ახალგაზრდების, ისე უფროსი თაობის რესპონდენტების 74%-ზე მეტი. თუმცა, აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდებთან შედარებით, უფროსი თაობის რესპონდენტები უფრო არიან ამ ღირებულებების მატარებლები.

მიუხედავად იმისა, რომ „უსაფრთხოება“ მნიშვნელოვანი ღირებულებაა ყველა ასაკის წარმომადგენლებისთვის, თვისებრივმა ინტერვიუებმა გამოავლინა, რომ ახალგაზრდებში უფრო არიან ისეთი რესპონდენტები, ვინც უსაფრთხო გარემოს მოსაწყენად მიიჩნევენ და ვისთვისაც ცხოვრებაში ყველაფერი სახიფათოს თავიდან აცილება მოსაბეზრებელია.

ასევე, იმის მიუხედავად, რომ „კონფორმულობის“ ღირებულება მეტ-ნაკლებად ერთნაირად მნიშვნელოვანია, როგორც უფროსი, ისე ახალგაზრდა

რესპონდენტებისათვის საქართველოში, ახალგაზრდებში უფრო მეტი იყო ისეთი რესპონდენტი, ვისთვისაც სწორედ მოქცევა და ხალხის მოსაზრებები ნაკლებად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. თუმცა, უმეტესობისთვის მაინც საკმაოდ მნიშვნელოვანია, რომ სწორედ იქცეოდეს და მნიშვნელობას ანიჭებს იმას, თუ რას იტყვის ხალხი. ასევე მნიშვნელოვანია უფროსი თაობის წარმომადგენლების პატივისცემა.

და ბოლოს, საერთო ჯამში, როგორც ახალგაზრდების, ისე უფროსი თაობის უდიდესი ნაწილისთვის მნიშვნელოვანია ტრადიციები, თუმცა ახალგაზრდებში უფრო ბევრმა ისაუბრა ქართულ ტრადიციების უარყოფით მხარეებზე და იმაზე, თუ რისი შეცვლაც სურთ ქართულ ტრადიციებსა და ადათ-წესებში.


4.3.4. საკუთარი თავის გადალახვა/სხვაზე ორიენტაცია

შვარცის მეოთხე და ბოლო ძირითადი კატეგორია არის „საკუთარი თავის გადალახვის/სხვაზე ორიენტაციის“ კატეგორია, რომელიც უპირისპირდება „თვითგაუმჯობესების/საკუთარ თავზე ორიენტაციის“ კატეგორიას და მოიცავს „კეთილმოსურნეობის“ (Benevolence) და „უნივერსალიზმის“ (Universalism) ღირებულებებს.

„კეთილმოსურნეობის“ ღირებულებას შვარცი ზომავს შემდეგი ვერბალური პორტრეტით: „ამ პიროვნებისათვის მნიშვნელოვანია, დაეხმაროს ხალხს მის გარშემო და იზრუნოს მათ კეთილდღეობაზე“. „მსოფლიო ღირებულების კვლევის“ რაოდენობრივი მონაცემები აჩვენებს, რომ ეს ღირებულება საკმაოდ მნიშვნელოვანია საქართველოს მოსახლეობის ყველა ასაკობრივი ჯგუფისთვის. ყველა ასაკობრივ ჯგუფში გამოკითხილთა 80% (ან უფრო მეტი) ამბობს, რომ „ძალიან ჰგავს“ ან „ჰგავს“ ამ ტექსტში აღწერილ ადამიანს (იხილეთ დიაგრამა 4). ამ მხრივ ასაკობრივ ჯგუფებს შორის დიდი განსხვავება არ აღინიშნება, თუმცა, თუ მხოლოდ იმ ადამიანების წილს შევხედავთ, ვინც თქვა, რომ „ძალიან ჰგავს“ ასეთ პიროვნებას, მაშინ ახალგაზრდებსა და უფროს თაობებს შორის განსხვავება საკმაოდ მნიშვნელოვანია: თუკი 18-დან 25 წლის ჩათვლით ახალგაზრდების მხოლოდ მესამედი (33%) ამბობს, რომ „ძალიან ჰგავს“ პიროვნებას, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია ხალხის დახმარება და მათ კეთილდღეობაზე ზრუნვა, ეს პროცენტი 44%-ს აღწევს 56-დან 65 წლის ჩათვლით ასაკობრივ კატეგორიაში.

დიაგრამა 4. (აჩვენეთ ბარათი L) „ახლა მოკლედ აღვწერ ადამიანებს. ამ ბარათის გამოყენებით განსაზღვრეთ თითოეულის შესახებ ეს პიროვნება ძალიან გგავთ თქვენ, გგავთ, ასე თუ ისე გგავთ, უმნიშვნელოდ გგავთ, არ გგავთ თუ სრულიად არ გგავთ თქვენ?“ (%) შვარცის მთავარი კატეგორიაში „საკუთარი თავის გადალახვა/ სხვაზე ორიენტაცია“ შემავალი ორი ძირითადი ღირებულება (მოკლე ვერბალური ტექსტები მოცემულია ტექსტში), მსოფლიო ღირებულებების კვლევა, მეექვსე ტალღა, 2014 წელი, საქართველო

**Shalom H. Schwartz-ის ღირებულებების ‘საკუთარი თავის
გადალახვა/სხვაზე ორიენტაცია’
ორი კომპონენტი (%)
(მსოფლიო ღირებულებების კვლევა 2014, საქართველო)**



თვისებრივი ინტერვიუების დროს რესპონდენტებმა ისაუბრეს არა მხოლოდ ხალხის დახმარებაზე („ამ პიროვნებისათვის მნიშვნელოვანია, დაეხმაროს ხალხს მის გარშემო და იზრუნოს მათ კეთილდღეობაზე“) არამედ ასევე შეაფასეს პიროვნება, რომლისთვისაც „მნიშვნელოვანია, რომ მეგობრების ერთგული იყოს. მას უნდა თავი მიუძღვნას მისთვის ახლო ადამიანებს/ გვერდში ედგას მისთვის საყვარელ ადამიანებს“. როგორც ახალგაზრდები, ისე უფროსი თაობის რესპონდენტები აღნიშნავენ რომ საკმაოდ გვანან ორივე ტექსტში აღწერილ პიროვნებებს. თითქმის ყველა რესპონდენტმა ისაუბრა ოჯახის წევრების, მეგობრების და ზოგადად, სხვა ადამიანების დახმარების მნიშვნელოვნებაზე. ახალგაზრდა რესპონდენტებმა თქვეს, რომ ყოველთვის ცდილობენ დახმარებას, როცა შეუძლიათ და თან, საკმაოდ სიამოვნებთ ეს პროცესი:

ყოველთვის როცა მაქ შესაძლებლობა რომ ვინმეს რამეში დავეხმარო, ვცდილობ უფრო დავეხმარო, იმიტომ რომ მე თვითონ ვგრძნობ მაგით თავს

კარგად და ხო ანუ, პრინციპში, ვცდილობ რომ საზოგადოებისთვის ისეთი რა ქვია, გამოსადეგი ადამიანი ვიყო...(მდედრობითი, 22, თბილისი)

ალბათ, გასაკვირი არ არის, რომ ახალგაზრდებისთვის ასევე ძალიან მნიშვნელოვანია მეგობრების ერთგულება და გვერდში დგომა, რადგან მეგობრები მათი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილია. ახალგაზრდა რესპონდენტების თქმით, ისინი მეგობრებს საკუთარი საქმის წინ აყენებენ:

და იგივე მეგობრებსაც ეხება, რო შემოდის, ამ შემთხვევაში რაღაც საქმე დავთმო. აი, ვთქვათ, პრეზენტაცია თუ მაქ მოსამზადებელი და ჩემს მეგობარს უნდა ჩემი ნახვა, რაღაც, შემოდის, ის გადავდო და მერე დილის ხუთამდე ვიმეცადინო ან რაღაც გავაკეთო, მაგრამ მეგობარს დავუთმო.
(მდედრობითი, 23, ბათუმი)

ახალგაზრდების მსგავსად, უფროსი თაობის წარმომადგენლებიც შეძლებისდაგვარად ეხმარებიან სხვა ადამიანებს და ამისგან სიამოვნებასაც იღებენ. რესპონდენტების თქმით, არ არის აუცილებელი რომ ეს იყოს მაინცდამაინც მატერიალური დახმარება:

...თუ ვახერხებ დახმარებას მსიამოვნებს. ძირითადად ეს არ არის მატერიალური, იშვიათად რო მატერიალური იყოს. ახლა აღარ არის იმის საშუალება, მე აღარა მაქვს იმის საშუალება მატერიალურად ვინმეს მივეხმარო, თუმცა პროფესიულად გარკვეულწილად ამას ვახერხებ და ეს მსიამოვნებს. ექიმობა არი დაავადება, თუ დაგემართა ვეღარ მორჩები.
(მდედრობითი, 55, თბილისი)

ზოგმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ, პირველ რიგში, ოჯახის წევრების დახმარებაზე და თანადგომაზე ფიქრობს. ასევე აღნიშნეს მეგობრების მიმართ ერთგულება და სიყვარული: „...სიამოვნებას მანიჭებს მათი სიამოვნება, მათი ბედნიერება, წარმატებები. მათ ცუდს განვიცდი ისე, როგორც ჩემს პიროვნულს და ა.შ...“
(მდედრობითი, 53, თბილისი)

„საკუთარი თავის გადალახვის/სხვაზე ორიენტაციის“ კატეგორია ასევე მოიცავს „უნივერსალიზმი“-ს ღირებულებას, რომელსაც შვარცი შემდეგი მოკლე ტექსტით აფასებს: „გარემოზე ზრუნვა და ბუნების დაცვა მნიშვნელოვანია ამ პიროვნებისთვის;

ბუნებაზე ზრუნვა და რესურსების გაფრთხილება“. მსოფლიო ღირებულებების კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ „კეთილმოსურნეობის“ ღირებულების მსგავსად, ქართველების უმრავლესობა (80% ან მეტი), ყველა ასაკობრივ ჯგუფში, თავს „ძალიან ამსგავსებს“ ან „ამსგავსებს“ ასეთ ადამიანს (იხილეთ დიაგრამა 4).

რაოდენობრივმა და თვისებრივმა კვლევამ მსგავსი შედეგები აჩვენა, რადგან თვისებრივ ინტერვიუების დროსაც გამოვლინდა, რომ რესპონდენტებს ძალიან ადარდებთ ბუნება და გარემო. ახალგაზრდა რესპონდენტების უმრავლესობამ გამოთქვა აზრი იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოში ბუნებას არ უფრთხილდებიან. მათ მოიყვანეს მაგალითები, თუ როგორ ცდილობენ თვითონ გარემოს დაცვას და როგორ ღიზიანდებიან, როდესაც სხვები გარემოს აზინძურებენ:

...ყველაზე მეტად რაც მაღიზიანებს ხალხში, ეს არის, ესე, ნაგვის დაყრა გზაზე, ქუჩაში. ყველაზე მეტად მაღიზიანებს ეგ და, აი, სუ, რაც არ უნდა იყოს, პატარა ნამცეციც კი, სუ ვიცვი, თუ ურნა არ არის ახლოს, შენახვა და შემდეგ, როცა შემხვდება, გადავაგდო. არ მიყვარს, ყველაზე მეტად არ მიყვარს ეგეთი რაღაცა. (მდედრობითი, 19, ქუთაისი)

ერთმა ახალგაზრდა რესპონდენტმა ისიც აღნიშნა, რომ გარემოს მოფრთხილება მოქალაქეების ვალია. თუმცა, ახალგაზრდებს შორის იყვნენ ისეთი რესპონდენტებიც, ვინც თქვეს, რომ იმისდა მიუხედავად, რომ ემხრობიან გარემოს დაცვას, თვითონ არაფერს აკეთებენ ამის ხელშესაწყობად:

მე პირადად ვფიქრობ, რო ეგ [გარემოზე ზრუნვა და ბუნების დაცვა] აუცილებელია, მაგრამ გარკვეულწილად... მაგ განხრით ჩემ თავს ვერ წარმოგიდგენთ, რო ვგავარ მაგ ადამიანს. იმიტო, რო ნუ, არაფერი არ გამიკეთებია ისეთი, რაც შეიძლება, ბუნებას ერგოს. არც გამიფუჭებია, შეიძლება, მარა ხე არ დამირგავს და ბუნებისთვის, ანუ, შეიძლება, ქუჩაში ნაგავიც გადამიგდია. ხო, მაგ ადამიანს ნამდვილად ვერ მივამსგავსებ ჩემ თავს. (მამრობითი, 19, ბათუმი)

ყველა უფროსი თაობის რესპონდენტმა აღნიშნა გარემოს დაცვის აუცილებლობა და მნიშვნელოვნება. ახალგაზრდების მსგავსად, მათაც აღნიშნეს, რომ არ ყრიან ნაგავს ძირს და უფრთხილდებიან ბუნებას. ასევე, ბრაზდებიან, როდესაც ხედავენ, რომ სხვა

ადამიანები ქუჩას და ბუნებას ანაგვიანებენ. ერთმა რესპონდენტმა ისაუბრა ასევე ნაგვის და ნარჩენების გადამუშავების აუცილებლობაზე, რისი პრაქტიკაც საქართველოში ჯერ-ჯერობით არ არსებობს:

ძალიან ვნერვიულობ, რომ ამდენ ქალაქებს რო ყრიან და არავინ არსად არ აბარებს, მარა პუნქტიც არ არი არსად ჩასაბარებელი. ერთი პერიოდი ვაგროვე, ვაგროვე უამრავი და ბოლოში მერე გადავყარე იმიტო, რო არავინ არსად არ ჩაიბარა. ცუდია, რო არ არის მეორადი ნარჩენების გადამამუშავებელი რაღაცეები აქ. (მდედრობითი, 55, თბილისი)

„უნივერსალიზმის“ ღირებულების გასაზომად შვარცი, ასევე, იყენებს ორ დამატებით ვერბალურ პორტრეტს, რომლებზეც რესპონდენტებმა მხოლოდ თვისებრივი ინტერვიუების დროს ისაუბრეს. „ამ პიროვნებისთვის მნიშვნელოვანია, რომ მსოფლიოში ყველა ადამიანს ერთნაირად ექცეოდნენ. მისი აზრით ცხოვრებაში ყველას თანაბარი შესაძლებლობები უნდა ჰქონდეს“ - ასეთ პიროვნებას საკუთარ თავს ამსგავსებს გამოკითხული ახალგაზრდების ძალიან დიდი ნაწილი. მათი თქმით, ყველას უნდა ჰქონდეს ერთნაირი შესაძლებლობები მიაღწიონ წარმატებას:

ყველას ერთნაირად უნდა ექცეოდეს, აი, რა არ მომწონს ეხლა, არ ვიცი, რამდენად კავშირშია ამასთან. ზოგადად, არ მიყვარს... ნუ, რო ნაცნობობით რო რაღაცეები ხდება, ეს არ მომწონს. ანუ, საწყისი თუ ექნება ყველას ერთნაირი და ყველა ადამიანს ერთნაირად მოექცევიან, თუ გინდა, სამსახურში მიღებაზე, თუ გინდა, გაშვებაზე და თუ გინდა, ნებისმიერ რამეზე, ამის მომხრე ვარ. ანუ მე რო მყავს, ვთქვათ, ნათესავი მერიაში, ეს იმას არ უნდა ნიშნავდეს, რო მე დაუმსახურებლად ვმუშაობდი ამ ადგილზე. ამ, ამ დროს ვფიქრობ, რო ეს ერთნაირად უნდა იყოს. ყველა ადამიანს ერთნაირი შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს, დაიწყოს აქ მუშაობა თავისი განათლებით და თავისი ყველაფერი შესაძლებლობებით... (მდედრობითი, 25, ქუთაისი)

ახალგაზრდებმა ასევე აღნიშნეს, რომ არ უნდა იჩაგრებოდნენ სხვადასხვა უმცირესობები საქართველოში; ყველა თანაბარი უფლებებით უნდა სარგებლობდეს:

ერთნაირად ექცეოდნენ ანუ ხო, ჩემთვის მნიშვნელოვანია. გააჩნია..
სექსუალური შეხედულების, რასის, რა ვიცი, არ აქვს მნიშვნელობა
რელიგიური შეხედულებების, ყველას უნდა ეპყრობოდნენ, ყველას უნდა
ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობა საზოგადოებაში, მიაღწიოს თავის
მიზანს. თაბარი უფლებები უნდა ჰქონდეთ. (მდედრობითი, 22, თბილისი)

ასევე არ უნდა ექცეოდეს ყურადღება ადამიანის ეკონომიკურ მდგომარეობას: „კი.
ყველა თანაბარია რა თქმა უნდა. რა მნიშვნელობა აქვს მდიდარს, ღარიბს, ყველას
თანაბრად უნდა ექცეოდნენ. ეს პიროვნებაც მგავს” (მდედრობითი, 22, თელავი).

მეორე მხრივ, ახალგაზრდების ნაწილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ საზოგადოებაში
ყველა ადამიანს ერთნაირი შესაძლებლობები ვერ ექნება და რომ უთანასწორობა
ბუნებრივი მოვლენაა:

იცი რა არის? ყველას ერთნაირად უნდა ექცეოდნენ - კი. მაგრამ თანაბარი
შესაძლებლობები ალბათ ყველას ვერ ექნება ვერანაირად. ანუ, ყველას სხვა
უნარი აქვს განვითარებული - ზოგს ის აქვს, ზოგს ის არ აქვს და ყველას
სხვადასხვა უნარი ენება და შესაბამისად ამ უნარს როგორ გამოიყენებს იმის
მიხედვით უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, ვთქვათ ფინანსურიც და
ყველაფერი. ანუ, ყველა ვერ გახდება მილიონერი, ყველა ვერ გახდება
გენიოსი და რაღაცა ისეთი ვარსკვლავი ხო? ანუ, ეგ არ არის რაღაც
დისკრიმინაცია და ცუდი საერთოდ არ არის, ძან ნორმალური რაღაცაა.
იმიტომ, რომ ყველა ძან სხვადასხვანაირები ვართ. (მდედრობითი, 23,
თბილისი)

უფროსი თაობის რესპონდენტების საკმაოდ დიდმა ნაწილმა ასევე გამოთქვა მსგავსი
მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ყველას თანაბარი შესაძლებლობები ვერ
ექნება. მათი თქმით, ასე არც ერთ ქვეყანაში არ ხდება:

ყველას უნდა ჰქონდეს, ყველას თანაბარი შესაძლებლობა ვერ ექნება. რა
ვიცი, ეხლა რომელი, ყველა ეხლა, ძლიერი სახელმწიფოებიც არის, მაგრამ
ყველა თანაბრად ვერაა. ეხლა, ელემენტარული, იაპონია საკმაოდ ძლიერი
ქვეყანაა. საკმაოდ კი არა, ძლიერი ქვეყანაა, მაგრამ იქ არიან

საფეხურებრივად. არის ღარიბიც, გაჭირვებულიც და არის მდიდარიც, მაგალითად. და თუნდაც სხვა ქვეყნებშიც. ანუ ეხლა ჩვენთან სხვაა მაინც. მაგრამ ეხლა ძლიერი ქვეყნები იმიტომ ვთქვი, რომ ქვეყანა ძლიერია, მაგრამ ყველა თანაბრად მაინც ვერ არის. ამიტომ, ალბათ, ვერ იქნება ყველა თანაბრად. (მდედრობითი, 44, ბათუმი)

მიუხედავად ამისა, ახალგაზრდების მსგავსად, უფროსი თაობის უმეტესობაც იმ აზრს ემხრობა, რომ ყველას თანაბარი შესაძლებლობები უნდა ჰქონდეს: „ნამდვილად უნდა ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობები და ამაზრზენია, როცა დისკრიმინაცია მიდის ადამიანის, სულერთია რა ნიშნით.“

მეორე დამატებითი ვერბალური პორტრეტი, რომელსაც, შვარცის თეორიის მიხედვით, ასევე იყენებენ „უნივერსალიზმის“ ღირებულების გასაზომად, შემდეგში მდგომარეობს: „ამ პიროვნებისთვის მნიშვნელოვანია მოუსმინოს ისეთ ადამიანებს, ვინც განსხვავდება მისგან/ ვისაც მისგან განსხვავებული მოსაზრებები აქვს. მას უნდა გაიგოს სხვისი აზრი, იმისდა მიუხედავად რომ არ ეთანხმება მათ“. ამ ვერბალური პორტრეტის შეფასებისას გარკვეულწილად გამოვლინდა რესპონდენტების ტოლერანტობა, ზოგადად, განსხვავებულის მიმართ, რაც მჭიდრო კავშირშია ამ სადისერტაციო ნაშრომის მიგნებების მესამე ნაწილთან.

თვისებრივი ინტერვიუების დროს, ახალგაზრდების დიდმა ნაწილმა აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია განსხვავებული აზრის მოსმენა. ზოგმა თქვა, რომ საწინააღმდეგო აზრის მოსმენა კარგია იმისთვის რომ კარგი და ცუდი, მართალი და არასწორი ერთმანეთისგან განასხვავო. ზოგმა აღნიშნა, რომ ამით განსხვავებული ადამიანების შესწავლის საშუალება ეძლევა, ზოგი კი ფიქრობს, რომ საპირისპირო აზრის მოსმენით, ადამიანი, უბრალოდ ბევრს სწავლობს:

კი. ანუ ნებისმიერ შემთხვევაში იმიტო, რო ვფიქრობ, რო დისკუსიაში, პოლემიკაში ყოველთვის სწავლობ. ანუ, ყოველთვის მაინტერესებს ჩემი, ანუ, საპირისპირო აზრი იმიტომ, რომ უკეთესად აანალიზებ მერე შენს აზროვნებას, შენს ფიქრებს, შენს რა ვიცი, აზრებს. ამიტომ პირიქით, ეს საჭიროა ძაან და მნიშვნელოვანია. (მდედრობითი, 23, ბათუმი)

გარდა ამისა, რესპონდენტების თქმით, „სხვასაც შეიძლება დაეხადოს ინოვაციური რაღაც აზრი“ (მამრობითი, 22, თელავი). იმისდა მიუხადავას, დაეთანხმები ან გაითვალისწინებ თუ არა სხვის განსხვავებულ აზრს, მაინც „ძალიან ბევრი რამის აღმოჩენაა შესაძლებელი და სწავლა“ (მდედრობითი, 23, თელავი).

მეორე მხრივ, რამდენიმე რესპონდენტმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ყველა განსხვავებული აზრის მოსმენა მათთვის მნიშვნელოვანი არ არის. განსხვავებული აზრი თუ აქვს მეგობარს ან ახლობელს, იმის მოსმენა მისაღებია ახალგაზრდებისთვის, მაგრამ, ისეთი ადამიანის განსხვავებული აზრის მოსმენა, ვინც არ არის ახლობელი, შეიძლება ძალიან გამაღიზიანებელი იყოს. ზოგი რესპონდენტი ასევე ღიზიანდება რადიკალურად განსხვავებული მოსაზრებების მოსმენისას:

გააჩნია. ზოგჯერ ხო ცოტა მახასიათებს, რომ მოსმენაც არ მინდა რაღაცეების, იმდენად ვთქვათ, შეიძლება გამაღიზიანებელი იყოს ჩემთვის, რომ... იმდენად არ ვეთანხმებოდე. უფრო რაღაცა უფროსი თაობის წარმომადგენლებთან მაქვს ხოლმე ესეთი რაღაცეები თორე ისე თუ რაღაც ძაან რადიკალური აზრი არ მაქვს და ძაან განსხვავებული აზრი თუ არ მაქვს მარტივად შემიძლია მოსმენა და რავიცი, ყოფილა ისეთი შემთხვევებიც, რომ დავთანხმებულვარ კიდევაც ლაპარაკის მერე. თუ ძალიან რადიკალურად არ განსხვავდება რა. (მდედრობითი, 23, თბილისი)

ახალგაზრდების მსგავსად, უფროსი რესპონდენტების უმრავლესობამაც ასევე აღნიშნა, რომ აინტერესებთ, თუ რას ამბობენ სხვები, რადგან ეს მათ ანალიზის და შედარებების საშუალებას აძლევს. ასევე, უფროსი თაობის წარმომადგენლები თვლიან, რომ სხვა როდესაც საუბრობს, ზრდილობის გამო მაინც უნდა მოუსმინო და შემდეგ გადაწყვიტო ეთანხმები თუ არა. ზოგმა ასევე აღნიშნა, რომ უყვართ განსხვავებული აზრის მოსმენა, რადგან პოლემიკის მოყვარულები არიან:

რა ვიცი, ძაან, ძაან ხშირად, რა ვიცი, ვარ ხშირად პოლემიკაში მიყვარს შესვლა, საუბარი მიყვარს ისეთ თემებზე, რომელიც ჩემგან განსხვავებულია და თითქმის, კი არა, ვეძებ მასეთ იმას, განსხვავებული აზრის მქონე ადამიანებს, რომლისგანაც უნდა მოვისმინო და მერე ვფიქრობ, ალბათ, რო შეიძლება, ის არი სწორი თუ მე ვარ სწორი. ამაზე მქონია ბევრჯერ. ეს

უბრალოდ და თუ საქმიანი არის, საქმიანშიც ანალოგიური ვარ. თუ ვინმეს განსაკუთრებული სხვა აზროვნება აქ, მიყვარს იმაზე მოსმენა და იმისი აზრების გათვალისწინება, რა თქმა უნდა. (მამრობითი, 52, ქუთაისი)

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ „საკუთარი თავის გადალაზვის/სხვაზე ორიენტაციის“ კატეგორიის ორივე ძირითადი ღირებულება - როგორც „კეთილმოსურნეობა“, ისე „უნივერსალიზმი“ - მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ქართველი ახალგაზრდებისა და უფროსი თაობებისთვის. ეს შედეგები დაადასტურა, როგორც რაოდენობრივმა, ისე თვისებრივმა მონაცემებმა. ახალგაზრდებმა, უფროსების მსგავსად, აღნიშნეს, რომ მათთვის მნიშვნელოვანია გარშემომყოფი ხალხის დახმარება და მეგობრების ერთგულება. უმრავლესობისთვის ასევე მნიშვნელოვანია გარემოზე ზრუნვა და ბუნების დაცვა. ასევე, როგორც ახალგაზრდების, ისე უფროსი თაობის რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ მსოფლიოში ყველა ადამიანს ერთნაირი და თანაბარი შესაძლებლობები უნდა ჰქონდეთ. და ბოლოს, ყველა თაობის რესპონდენტის უმრავლესობისთვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა განსხვავებული მოსაზრებების მქონე ადამიანების მოსმენა და აზრთა სხვადასხვაობის ანალიზი.

4.3.5. შეჯამება და ძირითად კომპონენტთა ანალიზი (PCA)

მონაცემებმა ცალსახად აჩვენა ქართველების განსხვავებული დამოკიდებულებები შვარცის ოთხი მთავარი კატეგორიის და მათში შემავალი ძირითადი ღირებულებების მიმართ. როგორც 18-დან 25 წლის ჩათვლით ახალგაზრდებისთვის, ისე მათზე უფროსი თაობებისთვის ყველაზე მისაღები აღმოჩნდა „საკუთარი თავის გადალაზვის/სხვაზე ორიენტაციის“ კატეგორია და მასში შემავალი „უნივერსალიზმის“ და „კეთილმოსურნეობის“ ძირითადი ღირებულებები.

ქართველებისთვის, ასევე, მნიშვნელოვანი აღმოჩნდა შვარცის „კონსერვატიზმის“ კატეგორია და მასში შემავალი ძირითადი ღირებულებები „უსაფრთხოება“, „კონფორმულობა“ და „ტრადიცია“. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 18-25 წლის ახალგაზრდებთან შედარებით, ამ ღირებულებებს უფრო დიდ მნიშვნელობას უფროსი თაობები ანიჭებენ.

„საკუთარი თავის გადალახვის/სხვაზე ორიენტაციის“ და „კონსერვატიზმის“ კატეგორიებთან შედარებით, ქართველებისთვის ნაკლებად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა შვარცის კატეგორიები „მზაობა და ღიაობა ცვლილებებისთვის“ და „თვით-გაუმჯობესება/საკუთარ თავზე ორიენტაცია“. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამ კატეგორიებში შემავალი ძირითადი ღირებულებები შედარებით უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა 18-25 წლის ახალგაზრდებისთვის, ვიდრე მათზე უფროსი ასაკობრივი ჯგუფებისთვის.

კვლევის ამ შედეგებს ადასტურებს ძირითადი კომპონენტთა ანალიზიც (Principal components analysis - PCA). ამ მეთოდის გამოყენებით, რომელსაც, ასევე, მთავარ კომპონენტთა მეთოდს უწოდებენ (დურგლიშვილი, 2006), შვარცის 11 ცვლადის დაჯგუფება მოხდა კომპონენტებად/ფაქტორებად.^{xxxix} ძირითადი კომპონენტთა ანალიზი, ფაქტორული ანალიზის მსგავსად, მონაცემთა დაჯგუფების მეთოდია, რომლის დროსაც ცვლადების დიდი ჯგუფის დაყვანა ხდება მცირე რაოდენობის ერთნაირ კომპონენტებად ან ფაქტორებად. (Pallant, 2005).^{xlxi}

ძირითად კომპონენტთა ანალიზის გაკეთებამდე, შემოწმდა, თუ რამდენად შეიძლება მონაცემების გამოყენება ამ ტიპის ანალიზისთვის. გამოკითხული რესპონდენტების რაოდენობამ (1202 რესპონდენტი), ისევე როგორც კორელაციის მატრიცამ, ვარგისიანი გახდა მონაცემები ძირითად კომპონენტთა ანალიზისათვის. კორელაციის მატრიცის ბევრი კოეფიციენტი აღემატებოდა 0.3-ს. ამასთან Kaiser-Meyer-Olkin-ის მნიშვნელობა (ტესტის მაჩვენებელი) 0.82-ს შეადგენს, რაც მინიმალურ მაჩვენებელს - 0.6 – აღემატება. ასევე, სტატისტიკურად მნიშვნელოვანია Barlett-ის ტესტი, რაც ფაქტორულ ანალიზს შესაძლებელს ხდის.

ძირითად კომპონენტთა ანალიზის შედეგად ორი კომპონენტი გამოვლინდა, რომლის ე.წ. Eigen-ქულებიც 1.0-ს აღემატებოდა. პირველი კომპონენტის/ფაქტორის Eigen-ქულა 3.305-ს შეადგენს, რაც დისპერსიის/ვარიაციის 30%-ს ხსნის, ხოლო მეორე კომპონენტის/ფაქტორის Eigen-ქულა 2.070-ს შეადგენს, რაც დისპერსიის/ვარიაციის 18.8%-ს ხსნის. პარალელური ანალიზის (Parallel Analysis) შედეგად ასევე გამოვლინდა 2 ფაქტორი/კომპონენტი, რომელთა მაჩვენებელიც შემთხვევითი წესით გენერირებულ

მონაცემების ცხრილიდან აღმატებოდა “კრიტერიუმის მნიშვნელობას“ (Pallant, 2005, გვ. 183).^{xlii}

კომპონენტები	ძირითად კომპონენტთა ანალიზის შედეგად მიღებული მაჩვენებელი (Actual eigenvalue from PCA)	მაჩვენებელი პარალელური დათვლიდან (Criterion value from parallel analysis)	გადაწყვეტილება
1	3.305	1.1536	მიღება
2	2.070	1.1104	მიღება
3	.881	1.0771	უარყოფა
4	.821	1.0490	უარყოფა
5	.724	1.0247	უარყოფა

მეთოდი: ძირითად კომპონენტთა ანალიზი

მონაცემთა ინტერპრეტაციის მიზნით, მოხდა ვარიმაქსის როტაცია (varimax rotation). როტაციის შედეგად მივიღეთ მარტივი სტრუქტურა, სადაც ცვლადები აშკარად ეკუთვნის ერთ ან მეორე კომპონენტს/ფაქტორს (მნიშვნელობები მაღალია 0.5-ზე). მოცემული ორკომპონენტური მოდელი ხსნის მთლიანი დისპერსის 48.86%-ს, სადაც პირველი ფაქტორის/კომპონენტის წილი 27.68%, ხოლო მეორე კომპონენტის წილი 21.17%-ია (იხილეთ ცხრილი 4.3.5).

ცხრილი 4.3.5. კოეფიციენტების სტრუქტურა (ძირითად კომპონენტთა ანალიზი)

	კომპონენტი/ფაქტორი	
	1. ორიენტაცია სხვაზე/საზოგადოებაზე	2. ორიენტაცია საკუთარ თავზე
74ბ. ამ პიროვნებისათვის მნიშვნელოვანია, დაეხმაროს ხალხს მის გარშემო და იზრუნოს მათ კეთილდღეობაზე (კეთილმოსურნეობა)	.773	.140
78. გარემოზე ზრუნვა და ბუნების დაცვა მნიშვნელოვანია ამ პიროვნებისთვის; ბუნებაზე ზრუნვა და რესურსების გაფრთხილება (უნივერსალიზმი)	.746	.024
74. ამ პიროვნებისთვის მნიშვნელოვანია, გააკეთოს რამე საზოგადოებისთვის საკითხულდღეოდ (კეთილმოსურნეობა)	.734	.222

79. ტრადიცია მნიშვნელოვანია ამ პიროვნებისათვის, ადათ-წესების დაცვა, რომელიც შთამომავლობით გადმოეცა მისი ოჯახისაგან ან რელიგიიდან (ტრადიცია)	.660	-.032
77. ამ პიროვნებისათვის მნიშვნელოვანია, ყოველთვის სწორად იქცეოდეს და არასოდეს გააკეთოს ისეთი რამ, რაზეც ხალხი იტყვის, რომ ეს არასწორი საქციელია (კონფორმულობა)	.645	-.042
72. ამ პიროვნებისათვის მნიშვნელოვანია უსაფრთხო გარემოში ცხოვრება და ყველაფრის თავიდან აცილება, რაც სახიფათოა (უსაფრთხოება)	.563	.077
73. ამ პიროვნებისათვის მნიშვნელოვანია კარგი დრო გაატაროს; თავს არ უთხრას უარი არაფერზე (ჰედონიზმი)	-.102	.793
76. ამ პიროვნებისათვის მნიშვნელოვანია თავგადასავლები და რისკი; იცხოვროს მშფოთვარე/ამაღელვებელი ცხოვრებით (სტიმულირება)	-.006	.721
71. ამ პიროვნებისათვის მნიშვნელოვანია იყოს მდიდარი; ჰქონდეს ბევრი ფული და ძვირადღირებული ნივთები (ძალაუფლება)	-.016	.691
75. ამ პიროვნებისათვის მნიშვნელოვანია იყოს წარმატებული და ხალხი აღიარებდეს მის მიღწევებს (მიღწევა)	.368	.583
70. ამ პიროვნებისათვის მნიშვნელოვანია ახალი იდეების მოფიქრება, შემოქმედებითობა და ყველაფრის გაკეთება თავისებურად (თვითორიენტაცია)	.190	.535
ახსნილი დისპერსია	27.68%	21.17%

მეთოდი: ძირითადი კომპონენტთა ანალიზი

როტაციის მეთოდი: ვარიმაქსის როტაცია კაისერის ნორმალიზაციით (Varimax with Kaiser Normalization)

როგორც აღინიშნა, ძირითადი კომპონენტების ანალიზის შედეგად ორი ფაქტორი გამოვლინდა: პირველი ფაქტორი მოიცავს ცვლადებს, რომლებიც ისეთ ადამიანებს აღწერს, ვინც სხვა ადამიანებსა და საზოგადოებაზეა ორიენტირებული და მათ ინტერესებს საკუთარ ინტერესებზე მაღლა აყენებს. ეს ადამიანები, პირველ რიგში, ფიქრობენ და ზრუნავენ სხვებზე, არიან კონფორმისტები და ტრადიციების გულშემატკივრები. ეს ფაქტორი მოიცავს შვარცის „კონსერვატიზმის“ და „საკუთარი

თავის გადალახვის/სხვაზე ორიენტაციის“ კატეგორიების ყველა ღირებულებას: როგორც „უსაფრთხოების“, „კონფორმულობის“ და „ტრადიციის“ ღირებულებებს, ისე „უნივერსალიზმის“ და „კეთილმოსურნეობის“ ღირებულებებს. საინტერესოა, რომ ყველა ეს ცვლადი ერთ ფაქტორის ქვეშ გაერთიანდა, მაშინ როდესაც მეორე ფაქტორის ქვეშ ყველა ის ღირებულება მოექცა, რომელიც შვარცის „მზაობა და ღიაობა ცვლილებებისთვის“ და „თვითგაუმჯობესება/ საკუთარ თავზე ორიენტაციის“ მთავარ კატეგორიების ქვეშ მოიაზრება. ეს ღირებულებებია „თვითორიენტაცია“, „სტიმულირება“, „ჰედონიზმი“, „მიღწევა“ და „ძალაუფლება“. პირველ ფაქტორის ცვლადებისგან განსხვავებით, მეორე ფაქტორის ცვლადები ისეთ ადამიანებს აღწერს, რომლებიც საკუთარ თავსა და ბედნიერებაზე ზრუნავენ. ეს ადამიანები წარმატებაზე, სიამოვნებასა და ახლის ძიებაზე არიან ორიენტირებულნი.

4.4. ნაწილი 3 - ჩვენ და ისინი (ტოლერანტობა)

მიგნებების მესამე ნაწილში წარმოდგენილია ქართველი ახალგაზრდების დამოკიდებულება როგორც საკუთარი თავის, ისე საზოგადოებაში არსებული განსხვავებული ჯგუფების მიმართ. ეს ნაწილი იკვლევს, თუ როგორ აფასებენ ქართველები საკუთარ ეროვნებას და საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა უმცირესობის ჯგუფებს. ამაზე დაყრდნობით, განსაზღვრულია ტოლერანტობის დონე საქართველოში. ამ ნაწილში წარმოდგენილია რესპონდენტების მოსაზრებები საზოგადოებაში არსებული გენდერული საკითხების შესახებ; ასევე, წარმოდგენილია რესპონდენტების დამოკიდებულებები რელიგიური, ეთნიკური, სექსუალური და სხვა უმცირესობების ჯგუფების მიმართ.

ეს ნაწილი ეყრდნობა როგორც რაოდენობრივ მონაცემებს „მსოფლიო ღირებულებების კვლევიდან“, ისე თვისებრივ ინტერვიუებს, რომლებიც, ერთი მხრივ, MYPLACE-ის (Memory, Youth, Political Legacy And Civic Engagement)^{xliii} კვლევის ფარგლებში, ხოლო, მეორე მხრივ, სპეციალურად ამ კვლევითი პროექტისთვის ჩატარდა.

იმისთვის, რომ უკეთ გავიგოთ, თუ რა ღირებულებების მატარებელია ახალგაზრდობა საქართველოში, უნდა შევხედოთ, თუ როგორ აღიქვამენ ისინი საკუთარ თავს, იმ საზოგადოებას, რომელშიც ცხოვრობენ და, ასევე, როგორ აფასებენ საკუთარი

თავისგან განსხვავებულ ადამიანებს, რომლებიც ამავე საზოგადოებაში ცხოვრობენ. მიგნებების ამ ნაწილში წარმოდგენილია კვლევის შედეგები ეროვნული იდენტიფიცირების შესახებ. ასევე, თუ რას ფიქრობენ რესპონდენტები ქართული საზოგადოების დადებითი და უარყოფითი მხარეების შესახებ; რა დამოკიდებულება აქვთ გენდერული საკითხების და სხვადასხვა უმცირესობების ჯგუფების მიმართ.

4.4.1. ეროვნული იდენტიფიცირება და ქართული საზოგადოების დადებითი და უარყოფითი მხარეები

„მსოფლიო ღირებულებების კვლევის“ მონაცემებით, საქართველოში ახალგაზრდების 78% ძალიან ამაცობს იმით, რომ საქართველოს მოქალაქეა, ხოლო 19% აღნიშნავს, რომ უფრო ამაცობს, ვიდრე არ ამაცობს. ეს მონაცემები მსგავსია სხვა ასაკობრივ ჯგუფებშიც, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ყველა თაობის ქართველი მეტ-ნაკლებად ერთნაირად ამაცობს საკუთარი „ქართველობით“. მსოფლიო ღირებულებების კვლევის ფარგლებში რესპონდენტებს, ასევე, ჰკითხეს, თუ როგორ შეხედულებები აქვთ საკუთარ თავზე, რა დამოკიდებულება აქვთ სამყაროს მიმართ და სად მოიაზრებენ საკუთარ თავს ამ სამყაროში. შედეგებმა აჩვენა, რომ ახალგაზრდების 85% თავს თვლის ქართველი ერის ნაწილად^{xiv}; 67%, ასევე, სრულიად ეთანხმება მოსაზრებას, რომ არის თავისი ადგილობრივი საზოგადოების წევრი. გამოკითხული ახალგაზრდების 54% თვლის, რომ არის დამოუკიდებელი ინდივიდი, ხოლო 23% თავს თვლის მსოფლიოს მოქალაქედ. მხოლოდ 15% თვლის თავს ევროპელად (იხილეთ ცხრილი 22).

ცხრილი 22 . „ადამიანებს სხვადასხვა შეხედულებები აქვთ თავიანთ თავზე და იმაზე, თუ როგორი დამოკიდებულება აქვთ სამყაროსთან. ამ ბარათის გამოყენებით გთხოვთ მითხრათ, რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით თითოეულ ქვემოთ მოტანილ გამონათქვამს და როგორ აღიქვამთ თქვენს თავს?“ (% „სრულიად ვეთანხმები“) მსოფლიო ღირებულებების კვლევა, მეექვსე ტალღა, 2014 წელი, საქართველო

	18-25	26-35	36-45	46-55	56-65	66+
მე თავს ვთვლი ქართველი ერის ნაწილად	85	79	86	82	76	83

მე ვთვლი, რომ ვარ ჩემი ადგილობრივი საზოგადოების წევრი	67	62	74	66	63	65
მე ვთვლი, რომ ვარ დამოუკიდებელი ინდივიდი	54	49	61	54	52	55
მე ვთვლი, რომ მსოფლიოს მოქალაქე ვარ	23	21	23	21	18	20
მე თავს ვთვლი ევროპელად	15	15	16	17	18	17

ის ფაქტი, რომ ქართველი ახალგაზრდები საკუთარი ეროვნებით ამაცობენ, გამოჩნდა, აგრეთვე, MYPLACE-ის კვლევის ფარგლებში ჩატარებული თვისებრივი ინტერვიუების დროს, სადაც ახალგაზრდა რესპონდენტებმა ისაუბრეს ქართული საზოგადოების დადებითი და უარყოფითი მხარეების შესახებ. შედეგებმა აჩვენა, რომ ახალგაზრდებისთვის საკუთარი ეროვნება და ქართველობა ძალიან მჭიდრო კავშირშია, და, ხშირ შემთხვევაში, იგივეა კიდევ ქვეყნის ისტორიასთან. ქართული საზოგადოების დადებით მხარეებზე საუბრისას, პირველ რიგში, სწორედ ისტორია დაასახელეს ქართველმა ახალგაზრდებმა. მათივე თქმით, ისინი ამაცობენ იმით, რომ ქართველებს ახსოვთ საკუთარი ისტორია და რომ „მოაღწიეს აქამდე ერთმანეთის გატანით“. საქართველო მრავალი მტერს გადაურჩა და ქვეყანამ დიდ გაჭირვებას გაუძლო სწორედ იმით, რომ ხალხი ერთმანეთს ეხმარებოდა და ედგა გვერდში მძიმე პერიოდში.

რესპონდენტების თქმით, ერისთვის, ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია ისტორიული მოვლენების ხსოვნა და ისტორიული დღეების აღნიშვნა. ეს ყველაფერი მნიშვნელოვანია ერის განვითარებისთვის, რაც ვერ მოხდება, თუ ხალხმა არ იცის წარსული და ის, თუ „საიდან მოვდივართ“. რესპონდენტების თქმით, ისტორიის ხსოვნა იმიტომაც არის მნიშვნელოვანი, რომ ისტორიიდან ბევრი რამის სწავლა შეიძლება: ძველი შეცდომების ცოდნა დაგვეხმარება მომავალში თავი დავიცვათ იგივე შეცდომებისგან. რამდენიმე რესპონდენტის აზრით, ისტორიის ცოდნა მნიშვნელოვანია იმის გამო, რომ ადამიანებს აქვთ ვალდებულება გადასცენ ისტორია მომავალ თაობებს და, ასევე, მნიშვნელოვანია გვახსოვდეს ის წინაპრები, ვინც მოგვიყვანა დღემდე და იბრძოდა ჩვენი ეროვნული იდენტობის შესანარჩუნებლად:

რატომ არ უნდა გვახსოვდეს ისტორია. წინაპრებმა დაგვიტოვეს, დღემდე შემოგვინახეს ჩვენი ტრადიციები და ჩვენი ყოფა და მაგ რომ დავივიწყოთ, არ შეიძლება, მე მგონი. რატომ არ უნდა გვახსოვდეს, ჩვენმა მამა-პაპამ შემოგვინახა ეგეთი ტრადიციები და ეგეთი სფეროები და როგორ არ უნდა გვახსოვდეს. მე ასე ვფიქრობ, რომ უნდა მახსოვდეს. (კოტე, მამრობითი, 23, ქუთაისი)

მეტიც, ზოგი ახალგაზრდა თვლის, რომ ისტორიის დავიწყება ერის განადგურებას უტოლდება, ხოლო ადამიანები, რომლებმაც ისტორია არ იციან - ნამდვილი ქართველები არ არიან. შესაბამისად საქართველოს ისტორია - როგორც ქართველი ერის სახე და მამოძრავებელი ძალა - ახალგაზრდებისთვის ერთ-ერთ მთავარ ღირებულებას წარმოადგენს.

თუმცა, აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მართალია კვლევის მონაწილეები ხშირად აღნიშნავენ თავიანთი ქვეყნის ისტორიის მნიშვნელოვნებას და ტრადიციების და ადათ-წესების შენარჩუნების აუცილებლობაზე საუბრობენ, რეალურად ამ ისტორიის დასაცავად იშვიათად იჩენენ ინიციატივას და აქტიურობენ. მაგალითად, MYPLACE-ის პროექტის ფარგლებში ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა, რომ როდესაც ქვეყნის ისტორიას და წარსულს საფრთხე ემუქრებოდა საქართველოს ერთ-ერთ ისტორიულ ქალაქში, ახალგაზრდების გაცხადებული მოსაზრებები ისტორიის მნიშვნელოვნების შესახებ მათ სამოქალაქო აქტივობაში არ გადაზრდილა: თელავის „რეაბილიტაციის“ პროექტის ფარგლებში ნაწილობრივ განადგურდა ქალაქის ძველი იერ-სახე და დაიხურა მუზეუმი, რამაც ისტორიული ძეგლების შენარჩუნების საფრთხე წარმოშვა. თუმცა, როგორც რესპონდენტები აღნიშნავენ, ამას არ გამოუწვევია ახალგაზრდების აქტიური პროტესტი და ფართომასშტაბიანი სამოქალაქო ჩართულობა (Khoshtaria, Kobaladze, & Zurabishvili, 2018).

MYPLACE-ის პროექტის ფარგლებში ჩატარებული თვისებრივი ინტერვიუების დროს, „ქართველობასა“ და მის დადებით მხარეებზე საუბრისას, ახალგაზრდა რესპონდენტთა ნაწილმა აღნიშნა, რომ ქართველ ხალხს, გაჭირვების ჟამს, ერთმანეთის მხარში დგომა სჩვევია, რაც, მათივე თქმით, უდავოდ დადებითი თვისებაა.

ახალგაზრდების გარკვეულმა ნაწილმა, ასევე, აღნიშნა ქართველების სტუმართმოყვარეობა და სტუმრების პატივისცემა, რაც მათ სხვა ერისგან გამოარჩევს.

მეორე მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდა თაობის რესპონდენტებში აღმოჩნდა მცირე ნაწილი, რომელიც ძალზე სკეპტიკურად იყო განწყობილი ქართული საზოგადოების მიმართ. მათ აღნიშნეს, რომ ქართველ ხალხში ვერ ხედავენ ვერც ერთ დადებით თვისებას: „ზოგადად, საქართველოს საზოგადოებას არაფერი არა აქვს დადებითი, ყველაფერი არის რატომღაც ყალბი, მე ასე ვფიქრობ“ (შორენა, მდედრობითი, 22, თელავი).

საერთო ჯამში, ახალგაზრდებმა დაასახელეს ქართული საზოგადოების უფრო მეტი უარყოფითი, ვიდრე დადებითი მხარე და თვისება. ახალგაზრდებმა ისაუბრეს საზოგადოებაში არსებულ აგრესიასა და დამაბულ ვითარებაზე. მათი თქმით, პოლიტიკური დამაბულობის გარდა, საზოგადოებაში არსებობს ე.წ. ყოველდღიურობაში გადასული დამაბულობა და აგრესია, რაც იგრძნობა საზოგადოებრივ თავშეყრის ადგილებში – ტრანსპორტში, მაღაზიებსა და ქუჩებში. რესპონდენტები ხალხის აგრესიას ხსნიან იმ რთული ვითარებით, რაც მოიტანა ეკონომიკურმა და სოციალურმა პრობლემებმა. ახალგაზრდები აღნიშნავენ, რომ ხალხი გაღიზიანებული და დაღლილია და ვედარ აკონტროლებს საკუთარ რეაქციას. დამაბულობის და კონფლიქტის მიზეზია, აგრეთვე, ის, რომ ადამიანებს საქართველოში არ შეუძლიათ განსხვავებული აზრის ატანა და პატივისცემა:

არ ვიცი რატო გამოდის, მაგრამ განსხვავებული აზრის მიმართ ხო აქვთ ეს რაღაც უარყოფითი დამოკიდებულება, ქმედების მიმართაც კიდევ აი, რაღაცა ოდნავი განსხვავებული ნაბიჯი შეიძლება გახდეს შენ ირგვლივ მყოფთა... ჩემ პირად ცხოვრებაში არა, ჩემ რეალობაში არა, ყოფილა ისე რომ ჩემმა ახლობელმა ერთი რაღაცა ცოტა სხვანაირი ნაბიჯი გადადგა და დაკარგეს ამის გამო, ვსიო იცი რა დამთავრდა მაგასთან ყველაფერი და რა ვიცი, ანუ ეგ გვაქვს, გვახასიათებს ქართველებს... (ქეთი, მდედრობითი, 21, ქუთაისი).

განსხვავებული აზრის და ქმედებების მიმართ არატოლერანტული დამოკიდებულების გარდა, ახალგაზრდების ჯგუფში გამოიკვეთა შეხედულება, რომ

ქართველები არიან შურიანი, ეგოისტი და ამბიციური ხალხი, რომელთაც უყვართ „სხვის საქმეში ცხვირის ჩაყოფა“ და სხვების გაკრიტიკება. რესპონდენტების თქმით, ქართველები ასევე ძალიან პოლიტიზირებული არიან და უჭირთ იმ პარტიის მიმართ კრიტიკის ან საღი აზრის მოსმენა, რომელსაც ემხრობიან.

თვისებრივი ინტერვიუების დროს, ახალგაზრდების ნაწილმა, ასევე, აღნიშნა, რომ ქართველები მოღალატე არიან, რომელიც მხოლოდ საკუთარი თავის გადარჩენაზე ფიქრობს. ამის გარდა, ზოგმა რესპონდენტმა დაასახელა ნეპოტიზმის პრობლემა: „უარყოფითი ის [არის], რომ შვიდი წელი შენ იბრძვი, დააგროვე ცოდნა, გინდა სამსახურის დაწყება... მაგრამ იწყებს ის, ვინც კომპანიის უფროსის ან რომელიმე თანამშრომლის ნათესავია“ (გურამი, მამრობითი, 19, ქუთაისი).

რამდენიმე რესპონდენტმა ისიც აღნიშნა, რომ ქართველებმა დაკარგეს ეროვნული იდენტობა, და რომ ღირებულებები და ტრადიციები ნელ-ნელა კარგავენ თავიანთ მნიშვნელობას. მათივე თქმით, დასავლეთიდან გადმოღებული ახალი ღირებულებები არასწორედ არის „დაკოპირებული“. ასევე აღინიშნა, რომ ქართველმა ახალგაზრდებმა დაკარგეს უფროსების პატივისცემა.

MYPLACE-ის კვლევის ფარგლებში, ახალგაზრდებმა აღწერეს ის საზოგადოება, რომელშიც მათ სურთ ცხოვრება. სიღრმისეული ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ ახალგაზრდებს უნდათ უფრო წყნარ, მშვიდობიან და აგრესიისგან და დამაბულობისგან თავისუფალ საზოგადოებაში ცხოვრება. ასეთ საზოგადოებაში ადამიანები ერთმანეთს პატივისცემით მოექცეოდნენ, უფრო ჰუმანური და ტოლერანტები იქნებოდნენ. ეკონომიკური თვალსაზრისით, ხალხს არ ექნებოდა იმაზე სადარდებელი, თუ რა ჭამონ და რა ჩაიცვან.

როგორი იქნებოდა, ასე რომ ვთქვათ, იყოს ყველა დასაქმებული, სხვა საფიქრალი რომ არ ჰქონდეთ, საფიქრალს რა გამოლევს, მაგრამ ეს პირველი საფიქრალი დღევანდელი საზოგადოების არის, სად ვიმუშაო და რა ვაჭამო ჩემს ოჯახს. ეს პრობლემა, სოციალური და მატერიალური მდგომარეობა თუ იქნებოდა მოწესრიგებული, უფრო უკეთესად იქნებოდა და უფრო უკეთესი ხალხის იქნებოდა ერთმანეთის ნახვის და ერთმანეთთან სწავლის, მე

პირველ რიგში, ასე ვფიქრობ, ასე ჩანს და მერე მეორე, ხო რა მეორე რა, ესაა პირველი და უკანასკნელი, რომ მატერიალური მდგომარეობიდან გამომდინარე, როცა ყველა იქნება დასაქმებული და ეს იქნება, ალბათ, უკეთესი საზოგადოება. (კოტე, მამრობითი, 23, ქუთაისი)

ახალგაზრდების ნაწილმა, ასევე, აღნიშნა, რომ უკეთეს საზოგადოებაში იქნებოდა მეტი თანასწორობა, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, აღარ იქნებოდა ადამიანების ჩაგვრა მათი ეკონომიკური თუ სოციალური კლასის, სქესის თუ რელიგიური მრწამსის გამო. უკეთეს საზოგადოებაში ხალხი იქნებოდა უფრო განათლებული და მეტი იქნებოდა ინფორმირებული საკუთარი უფლებების შესახებ. აქედან გამომდინარე, ხალხი უფრო დაცული იქნებოდა ძალადობისგან და ჩაგვრისგან. ასევე, ხალხი იქნებოდა უფრო შრომისმოყვარე და მოსიყვარულე, უფრო გაუხარდებოდა ერთმანეთის წარმატება:

როგორი იქნებოდა და სხვისი სიკეთე რო გაუხარდებოდა, სხვისი წარმატება, იქნებოდნენ რაღაც ლაღები და ყველას აქვს პრობლემა, აბსოლუტურად, მაგრამ ყოველთვის უნდა ვეცადოთ, რომ გავიღიმოთ და ამით ბევრი რაღაც შეიცვლება, არ უნდა ვიყოთ ბოღმიანები, შურიანები და ადამიანებთან ურთიერთობა უბრალოდ უნდა გვიხაროდეს და მოგვწონდეს და ალბათ მერე უფრო შეიცვლება საზოგადოება უკეთესობისკენ. (სოფო, მდედრობითი, 20, ქუთაისი)

თვისებრივი ინტერვიუების ამ ნაწილმა აჩვენა, რომ ახალგაზრდების ერთი ჯგუფი უფრო ემხრობა ტრადიციულ შეხედულებებს, ფოკუსირდება ისტორიაზე, ტრადიციებსა და მართლმადიდებლური ეკლესიის ღირებულებებზე. ისინი ხაზს უსვამენ წინაპრების ღვაწლს, „ქართველობას“ და ეროვნულ ღირებულებებს აყენებენ წინ. თუმცა, ამასთან ერთად, ახალგაზრდების მეორე ჯგუფი საუბრობს დემოკრატიულ, ლიბერალურ შეხედულებებზე, თანაბარ ღირებულებას ანიჭებს როგორც უმრავლესობის, ისე უმცირესობების უფლებებს და მომხრეა ჩვენს საზოგადოებაში ახალი, დასავლეთიდან შემოსული შეხედულებების გაზიარების და მათთვის მისაღები პროგრესული იდეების და ინოვაციების დანერგვის. ამ ახალგაზრდებმა, ასევე, ისაუბრეს განსხვავებული მოსაზრებების და განსხვავებული

ადამიანების მიმართ არატოლერანტულ დამოკიდებულებაზე, როგორც ქართველების ერთ-ერთ მთავარ ნაკლზე. სწორედ განსხვავებული ჯგუფების მიმართ დამოკიდებულების კვლევას ეხება დისერტაციის ეს თავი, სადაც დამატებით განხილული იქნება გენდერული საკითხები და ქართველების რელიგიურობა, როგორც ტოლერანტობასთან მჭიდროდ დაკავშირებული საკითხები.

4.4.2. გენდერული საკითხები

ახალგაზრდების და უფროსი თაობების ღირებულებებზე საუბრისას, საინტერესოა გენდერული საკითხების მიმართ მათი აღქმების შესწავლა. ტრადიციული თვალსაზრისით, ქალები მოიაზრებიან, როგორც სუსტი არსებები, რომელთა მთავარი როლი ოჯახის მოვლა და ბავშვების გაზრდაა. ეს ქართველი ქალის იდენტობის განუყოფელი ნაწილია, თუმცა, დღეს უფრო და უფრო აქტუალური ხდება როგორც ქალების დასაქმების, ისე ქალის და მამაკაცის უფლება-მოვალეობების თანაბრად განაწილების საკითხი.

რაოდენობრივმა მონაცემებმა აჩვენა, რომ გენდერული საკითხების მიმართ ახალგაზრდების და უფროსი თაობების წარმომადგენლების დამოკიდებულებები, ხშირ შემთხვევაში, საკმაოდ განსხვავდება. „მსოფლიო ღირებულებების კვლევის“ შედეგების მიხედვით, ახალგაზრდებთან შედარებით, უფროსი თაობის რესპონდენტების უფრო დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ გარკვეული პროფესიები მამაკაცებს უფრო უკეთ ეხერხებათ. მაგალითად, 18-დან 25 წლის ჩათვლით ახალგაზრდების თითქმის ნახევარი (49%) „სრულად ეთანხმება“ ან „ეთანხმება“ მოსახრებას, რომ „ძირითადად, კაცები ქალებთან შედარებით უკეთესი პოლიტიკური ლიდერები არიან“, ხოლო ასაკის მატებასთან ერთად ეს მაჩვენებელი იზრდება და 66 წლის და უფროს ასაკობრივ ჯგუფში 70%-ს აღწევს. ასევე, ახალგაზრდებთან შედარებით, უფროსი თაობების უფრო მეტი ადამიანი ეთანხმება მოსახრებას, რომ „ძირითადად, მამაკაცი უკეთესად ხელმძღვანელობს ბიზნესს, ვიდრე ქალი“. ახალგაზრდების 43% მიიჩნევს, აგრეთვე, რომ „დასახლისობა ისეთივე კმაყოფილებას აგრძნობინებს ქალს, როგორც ანაზღაურებადი სამსახურის ქონა“. ეს მაჩვენებელი 66 წლის და უფროსი ადამიანების შემთხვევაში 68%-მდე იზრდება. რესპონდენტების

გაცილებით ნაკლები ნაწილი ეთანხმება მოსაზრებას, რომ „უმაღლესი განათლება ბიჭისთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე გოგონებისთვის“, თუმცა, ახალგაზრდებში ეს მაჩვენებელი 15%-ს შეადგენს, ხოლო 56-დან 65 წლის ჩათვლით უფროსების თითქმის მეოთხედი (24%) იზიარებს ამ მოსაზრებას (იხილეთ ცხრილი 23).

ცხრილი 23 . „თითოეული ჩემს მიერ წაკითხული გამონათქვამისთვის, თუ შეგიძლიათ მითხრათ, რამდენად ეთანხმებით, ან არ ეთანხმებით მათ. თქვენ სრულიად ეთანხმებით, ეთანხმებით, არ ეთანხმებით, თუ სრულიად არ ეთანხმებით?“ (% „სრულიად ვეთანხმები“ და „ვეთანხმები“) მსოფლიო ღირებულებების კვლევა, მეექვსე ტალღა, 2014 წელი, საქართველო

	18-25	26-35	36-45	46-55	56-65	66+
ძირითადად კაცები, ქალებთან შედარებით, უკეთესი პოლიტიკური ლიდერები არიან	49	57	56	60	62	70
ძირითადად მამაკაცი უკეთესად ხელმძღვანელობს ბიზნესს, ვიდრე ქალი	47	46	50	56	59	61
დიასახლისობა ისეთივე კმაყოფილებას აგრძნობინებს ქალს, როგორც ანაზღაურებადი სამსახურის ქონა	43	48	49	60	57	68
უმაღლესი განათლება ბიჭისთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე გოგონებისთვის	15	17	17	18	24	22

„მსოფლიო ღირებულებების კვლევის“ შედეგებმა აჩვენა, რომ, ახალგაზრდებთან შედარებით, უფროსი თაობების რესპონდენტების უფრო დიდი ნაწილი თვლის, რომ მამაკაცებს, ქალებთან შედარებით, უპირატესობა უნდა ჰქონდეთ სამუშაო ადგილებთან მიმართებით. უფრო კონკრეტულად, თუკი ახალგაზრდების 37% ეთანხმება მოსაზრებას, რომ „როცა სამუშაო ადგილები არასაკმარისია, მამაკაცებს მეტი უფლებები უნდა ჰქონდეთ სამსახურზე, ვიდრე ქალებს“, 56-დან 65 წლის ჩათვლით რესპონდენტების 54% იზიარებს იგივეს. ეს მონაცემები იმის მაჩვენებელია, რომ ახალგაზრდა თაობა უფრო მომხრეა გენდერული თანასწორობის და

ეწინააღმდეგება მამაკაცებისთვის უპირატესობის მინიჭებას პროფესიულ საკითხებთან მიმართებაში.

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ისეთ მოსაზრებებთან დაკავშირებით, როგორებიცაა „სამუშაოს ქონა ქალისთვის საუკეთესო საშუალებაა, იყოს დამოუკიდებელი პიროვნება“ და „თუ ცოლი გამოიმუშავებს მეტ ფულს, ვიდრე მისი ქმარი, ეს თითქმის ყოველთვის იწვევს პრობლემებს“, ყველა ასაკობრივი ჯგუფი დაახლოებით მსგავს პოზიციას იკავებს. პირველ მოსაზრებას ყველა ასაკობრივი ჯგუფის 60%-ზე მეტი, ხოლო მეორე მოსაზრებას ყველა ასაკობრივი ჯგუფის დაახლოებით ერთი მეოთხედი ეთანხმება (იხილეთ ცხრილი 24).

ცხრილი 24. „თქვენ ეთანხმებით, არ ეთანხმებით, თუ არც ეთანხმებით და არც არ ეთანხმებით შემდეგი გამონათქვამებიდან თითოეულს?“ (% „ვეთანხმები“) მსოფლიო ღირებულებების კვლევა, მეექვსე ტალღა, 2014 წელი, საქართველო

	18-25	26-35	36-45	46-55	56-65	66+
სამუშაოს ქონა ქალისთვის საუკეთესო საშუალებაა, იყოს დამოუკიდებელი პიროვნება.	62	66	68	63	70	67
როცა სამუშაო ადგილები არასაკმარისია, მამაკაცებს მეტი უფლებები უნდა ჰქონდეთ სამსახურზე, ვიდრე ქალებს.	37	42	51	42	54	52
თუ ცოლი გამოიმუშავებს მეტ ფულს, ვიდრე მისი ქმარი, ეს თითქმის ყოველთვის იწვევს პრობლემებს.	27	25	28	26	28	24

MYPALCE-ის კვლევის თვისებრივი ინტერვიუების დროს ახალგაზრდებმა დააფიქსირეს საკუთარი მოსაზრებები საქართველოში არსებული გენდერული პრობლემების შესახებ. გენდერულ საკითხებზე საუბრისას, ახალგაზრდა რესპონდენტთა ნაწილმა უარყო საქართველოში ქალსა და მამაკაცს შორის უთანასწორობის არსებობა და აღნიშნა, რომ ქალებს, ძალიან ხშირად, მაღალი პოზოციები უკავიათ სამსახურში და, აქედან გამომდინარე, მათ დისკრიმინაციაზე საუბარიც კი ზედმეტია. ახალგაზრდების ნაწილი, ასევე, საუბრობს იმაზე, რომ არის გარკვეული რაღაცეები, რასაც მხოლოდ ქალები ან კაცები უნდა აკეთებდნენ:

ვამბობთ გენდერული თანასწორობაო, ხანდახან ჩვენი უფლებები ჭარბობს მამაკაცის უფლებებზე და, მე მგონი, ცოტა ხანში მამაკაცებს ექნებათ გენდერულ თანასწორობაზე სასაუბრო ვიდრე ჩვენ, ქალებს. არ მიმაჩნია სწორად ყველაფერში აფიშირება, ვაიმე ქალი ყველაფერს უნდა აკეთებდეს, ქალი ძლიერია. ვართ სუსტები, ვართ ამნაირები და ვაღიაროთ და არ გვინდა იმაზე საუბარი, რო ჩვენ მთებს გადავდგამთ, ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ. კი ქალი... მარა არის საქმე რასაც ქალი არ უნდა აკეთებდეს და

არის საქმე რასაც კაცი არ უნდა აკეთებდეს. (ევა, მდედრობითი, 21, ქუთაისი)

მეორე მხრივ, რესპონდენტთა მეორე ნაწილი საუბრობს ქვეყანაში გენდერულ უთანასწორობაზე და იმაზე, რომ ქალები ხშირად დაჩაგრულები არიან, როგორც სახლში, ისე სამსახურში:

ირღვევა ქალების უფლებები ძირითადად და ერთი და იგივე ადგილას როდესაც მუშაობს ქალი და კაცი, უფრო მაინც კაცს აქცევენ ყურადღებას, შეიძლება მას იგივე შესაძლებლობები არ ჰქონდეს, როგორც იმ ქალს, მაგრამ მაინც მას ამჯობინებენ, რადგან ის კაცია. (კატია, მდედრობითი, 16, თელავი)

ჩაგვრის მიზეზად ახალგაზრდები არასწორ აღზრდას/სოციალიზაციას ასახელებენ და ქართულ კულტურაში არსებულ იმ დომინანტურ მიდგომას, რომ ქალი უნდა დაემორჩილოს მამაკაცს და მოემსახუროს მას: “ოჯახის მხრიდან მოდის ეს, ისეა გოგო აღზრდილი, რომ თავი უნდა დაუხაროს ბიჭს, რატო? როდესაც შეიძლება რომ აწიოს თავი...” (ევა, მდედრობითი, 17, თელავი).

რესპონდენტთა სხვა ნაწილი უფრო პესიმიტურად უდგება საკითხს და მიიჩნევს, რომ საქართველოში ამ კუთხით მდგომარეობა არასდროს გამოსწორდება. მაგალითად, ქალაქ თელავში ახალგაზრდები საუბრობდნენ ქალთა ჩაგვრასა და ოჯახში ქალებზე ძალადობის ფაქტებზე. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამავე ქალაქში ახალგაზრდები ყველაზე მეტს საუბრობდნენ იმაზე, რომ ქალებმა არ იციან თავიანთი უფლებების და საკუთარი დაცვის მექანიზმების შესახებ.

თუნდაც ეს რო ავიღოთ, არ არის ყურადღება მიქცეული იმ დონეზე, როგორც საჭიროა, ჩვენ რო ვზივართ და ვლაპარაკობთ, შეიძლება ამ წუთას ხდებოდეს რომელიმე ადამიანის შეურაცხყოფა, ან ცემა და მაინც ჩემი აზრით არ არსებობს ისეთი კანონი, რომელიც ამ ყველაფერს დაარეგულირებს რა. ბევრი ოჯახი და ბევრი ადამიანი იმას იტყვის, რომ ის ოჯახი არისო და მე რა უფლება მაქვს იმის ოჯახში ჩავერიოო, მაგრამ არ არის სწორი, თუ ხდება ადამიანის შეურაცხყოფა, არა აქვს ამას მნიშვნელობა ის ოჯახის წევრისგან არის თუ რაღაც, ეს დანაშაული არის, ჩემი აზრით, და

ეს ყველაფერი უნდა დარეგულირდეს, თვითონ საზოგადოებაც უნდა მივიდეს იმ დონემდე, რომ არ მოხდეს ეს ყველაფერი და ყველანაირად წინააღმდეგობა გაუწიონ. (თოკო, მამრობითი, 18, თელავი)

მიუხედავად ამ შეხედულებისა, ახალგაზრდების გარკვეული ნაწილი მაინც ხედავს გარკვეულ პროგრესს და მიაჩნია, რომ ბოლო წლებში, განსაკუთრებით ქალაქის ტიპის დასახლებებში, მდგომარეობა გაუმჯობესდა და ქალის უფლებები მეტ-ნაკლებად დაცულია.

თუნდაც იმ პოლიტიკაში და ყველაფერში, ჰა და ჰა, შემოდის უკვე ქალის აქტიურად შემოსვლა პოლიტიკაში, ადრე არ იყო ეს ყველაფერი იმიტომ, რომ ქალი სახლში უნდა მჯდარიყო მაინცდამაინც, ეხლა შევიცვალეთ რაღაც, ქალი და კაცი გათანაბრდა, გენდერული თანასწორობა მოხდა, ეხლა უარესიც მოხდა კიდევ, ქალები მიდიან სამუშაოდ და კაცები სახლში რჩებიან; მაგრამ ჯობია, ორივე მხარემ იმუშავოს, ქალმაც და კაცმაც. (თინა, მდედრობითი, 19, ქუთაისი)

შეჯამების სახის შეიძლება ითქვას, რომ ქართველი ახალგაზრდების საკმაოდ დიდი ნაწილი მამაკაცებს გარკვეულ საკითხებში უპირატესობას ანიჭებს და თვლის, რომ გარკვეულ პროფესიებს ისინი უკეთ უმკლავდებიან. ახალგაზრდების ეს ნაწილი, ასევე, გენდერულ თანასწორობას არ თვლის ქვეყნისთვის მნიშვნელოვან პრობლემად და ვერ ხედავს ამ საკითხზე მუშაობის აუცილებლობას. მეორე მხრივ, ახალგაზრდების მეორე ნაწილი ღიად საუბრობს ამ პრობლემაზე და მიიჩნევს, რომ საქართველოში ქალები ხშირ შემთხვევაში დაჩაგრულები და არაინფორმირებულნი არიან. ეს ყველაფერი კი ხელს უშლის ქვეყნის განვითარებას, წინსვლას და დასავლეთთან ინტეგრაციის პროცესს. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უფროს თაობებთან შედარებით, ახალგაზრდების უფრო დიდი ნაწილი არის გენდერული თანასწორობის და ქალისთვის და მამაკაცისთვის თანაბარი უფლებების ქონის მომხრე.

4.4.3. რელიგიურობა და რელიგიური ტოლერანტობა

როდესაც ადამიანების ღირებულებებზე ვსაუბრობთ, აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ რელიგიურობა გარკვეულ ზეგავლენას ახდენს ადამიანის ღირებულებების ფორმირების პროცესზე.

„მსოფლიო ღირებულებების კვლევის“ ფარგლებში საქართველოში გამოკითხული რესპონდენტთა 93% თავს მართლმადიდებლად მიიჩნევს, 3% - მუსლიმად, ხოლო მხოლოდ 1% ამბობს, რომ არ არის არც ერთი რელიგიის მიმდევარი. იშვიათი გამონაკლისების გარდა, ყველა რესპონდენტი აღნიშნავს, რომ სწამს ღმერთის (99%) და თავს მორწმუნედ მიიჩნევს (97%).

მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობისთვის რელიგია ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ღირებულებას წარმოადგენს, მაინც არის განსხვავებები რელიგიურ საკითხებთან მიმართებით, ასაკობრივ ჯგუფებს შორის. კითხვაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ღმერთი მათ ცხოვრებაში, ახალგაზრდების 95% ამბობს, რომ „ძალიან მნიშვნელოვანია“.^{xiv} ეს მაჩვენებელი ნელ-ნელა კლებულობს ასაკის მატებასთან ერთად და, ყველაზე უფროსი თაობის შემთხვევაში, 82%-მდე მცირდება (იხილეთ ცხრილი 25).

ცხრილი 25. „რამდენად მნიშვნელოვანია ღმერთი თქვენს ცხოვრებაში? პასუხისას გამოიყენეთ ათ ქულიანი სკალა, სადაც „10“ ნიშნავს „ძალიან მნიშვნელოვანია“, ხოლო „1“ ნიშნავს „სრულიად არ არის მნიშვნელოვანი“.“ (%), მსოფლიო ღირებულებების კვლევა, მეექვსე ტალღა, 2014 წელი, საქართველო

	18-25	26-35	36-45	46-55	56-65	66+
ძალიან მნიშვნელოვანია (კოდები „8“, „9“ და „10“)	95	92	91	87	82	82
საშუალოდ მნიშვნელოვანია (კოდები „4“, „5“, „6“ და „7“)	3	6	7	12	15	15
სრულიად არ არის მნიშვნელოვანი (კოდები „1“, „2“ და „3“)	2	2	1	1	3	3

ახალგაზრდა რესპონდენტების ¾ რელიგიის ძირითად არსს იმაში ხედავს, რომ ადამიანებმა სიკეთე გაუკეთონ ერთმანეთს, ხოლო 23% ამბობს, რომ რელიგიური წესების და რიტუალების დაცვა არის რელიგიის ძირითადი არსი. ამის გათვალისწინებით, გასაკვირი არ არის, რომ რელიგიურად თავის მასობრივად მიჩნევის მიუხედავად, გამოკითხულთა მხოლოდ გარკვეული ნაწილი ესწრება რელიგიურ მსახურებას და ლოცულობს.

უფროს თაობებთან შედარებით, ახალგაზრდები უფრო აქტიურები არიან და დადიან ეკლესიაში რელიგიურ მსახურებაზე დასასწრებად: 18-დან 25 წლის ჩათვლით გამოკითხულთა დაახლოებით ¼ კვირაში ერთხელ მაინც ესწრება რელიგიურ მსახურებას (თუ არ გავითვალისწინებთ ჯვრისწერას, დაკრძალვას და ნათლობას). 46 წლამდე რესპონდენტებში იგივე ტენდენცია შეინიშნება, ხოლო 46 წელზე უფროსი რესპონდენტები უფრო იშვიათად ესწრებიან რელიგიურ მსახურებას (იხილეთ ცხრილი 26).

ცხრილი 26. „თუ არ გავითვალისწინებთ ჯვრისწერას, დაკრძალვას და ნათლობას, რამდენად ხშირად ესწრებით რელიგიურ მსახურებას ამჟამად?“ (%), მსოფლიო ღირებულებების კვლევა, მეექვსე ტალღა, 2014 წელი, საქართველო

	18-25	26-35	36-45	46-55	56-65	66+
უფრო ხშირად, ვიდრე კვირაში ერთხელ	6	4	6	4	6	4
კვირაში ერთხელ	18	24	18	14	10	15
თვეში ერთხელ	29	23	23	22	20	16
მხოლოდ რელიგიურ დღესასწაულებზე	23	24	32	29	26	19
წელიწადში ერთხელ	3	3	3	2	5	6
უფრო იშვიათად	14	16	12	15	18	19
არასოდეს, პრაქტიკულად არასოდეს	6	6	7	14	15	22

რელიგიურ მსახურებასთან შედარებით, უფრო მაღალია ლოცვის სიხშირე: საქართველოს მოსახლეობის ყველა ასაკობრივი ჯგუფის დაახლოებით 60% ამბობს, რომ ლოცულობს კვირაში რამდენჯერმე მაინც (იხილეთ ცხრილი 27).

ცხრილი 27. „თუ არ გავითვალისწინებთ ჯვრისწერას, დაკრძალვას და ნათლობას, რამდენად ხშირად ლოცულობთ?“ (%), მსოფლიო ღირებულებების კვლევა, მეექვსე ტალღა, 2014 წელი, საქართველო

	18-25	26-35	36-45	46-55	56-65	66+
დღეში რამოდენიმეჯერ	13	15	18	15	26	21
დღეში ერთხელ	24	21	24	26	18	21
კვირაში რამოდენიმეჯერ	22	24	21	22	18	15
მხოლოდ მაშინ, როდესაც რელიგიურ მსახურებას ვესწრები	15	19	15	10	10	12
მხოლოდ რელიგიურ დღესასწაულებზე	2	3	6	3	4	4
წელიწადში ერთხელ	4	1	2	4	1	2
უფრო იშვიათად	13	11	11	11	17	13
არასოდეს, თითქმის არასოდეს	6	7	4	9	7	12

რაც შეეხება რელიგიურ ტოლერანტობას, მოსახლეობის უმეტესობა (80%-ზე მეტი), ახალგაზრდა თაობის ჩათვლით, ეთანხმება მოსაზრებას, რომ ერთადერთი მისაღები რელიგია მისი რელიგიაა. თუმცა, ამასთან, გამოკითხულთა ასევე თითქმის 80% ეთანხმება მოსაზრებას, რომ „სხვა რელიგიების მიმდევარი ადამიანები ალბათ ისეთივე ღრმად მორალურები არიან, როგორც ჩემი რელიგიის მიმდევრები“. ამ მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში უმრავლესობა სხვა რელიგიებსაც პატივს სცემს. თუმცა, მეორე მხრივ, ახალგაზრდების მხოლოდ 22% ფიქრობს, რომ ყველა რელიგია უნდა ისწავლებოდეს საქართველოს საჯარო სკოლებში. ეს მონაცემები მსგავსია ყველა ასაკობრივ ჯგუფში (იხილეთ ცხრილი 28).

ცხრილი 28. „გთხოვთ მითხრათ, თქვენ სრულიად ეთანხმებით, ეთანხმებით, არ ეთანხმებით, თუ სულიად არ ეთანხმებით შემდეგ გამონათქვამებს?“ (% „სრულიად ვეთანხმები და „ვეთანხმები“), მსოფლიო ღირებულებების კვლევა, მეექვსე ტალღა, 2014 წელი, საქართველო

	18-25	26-35	36-45	46-55	56-65	66+
ერთადერთი მისაღები რელიგია ჩემი რელიგიაა	82	85	84	84	82	92

სხვა რელიგიების მიმდევარი ადამიანები ალბათ ისეთივე ღრმად მორალურები არიან, როგორც ჩემი რელიგიის მიმდევრები	78	79	80	80	80	77
ყველა რელიგია უნდა ისწავლებოდეს ჩვენს საჯარო სკოლებში	22	16	24	22	20	26

საქართველოში რელიგიის მნიშვნელოვნებაზე ისაუბრეს ახალგაზრდებმა MYPLACE პროექტის ფარგლებში ჩატარებული თვისებრივი ინტერვიუების დროსაც. ახალგაზრდების ნაწილი მიიჩნევს, რომ რელიგია მნიშვნელოვანი ფენომენია ქართველებისთვის და რომ რელიგიურ ნიადაგზე საკმაოდ ხშირად ხდება დაპირისპირება ქართველ მართლმადიდებლებს და სხვა რელიგიის წარმომადგენლებს შორის.

ბოლო პერიოდში ძან დამაბული მდგომარეობა არის რელიგიური თვალსაზრისით... ქვეყანა მაშინ არის ძლიერი, როცა ერთმანეთს პატივს ვცემთ, ერთმანეთის რელიგიას პატივს ვცემთ, ერთმანეთის აზრს პატივს ვცემთ. ჩვენ კიდევ იმას ვაკეთებთ მარტო, რო ერთმანეთს შეურაცხყოფას ვაყენებთ და ქვეყანასაც ზიანს ვაყენებთ. (მარეხი, მდედრობითი, 22, ქუთაისი)

რესპონდენტების თქმით, უარყოფითი დამოკიდებულება ყველაზე ხშირად გამოხატულია იეჰოვას მოწმეებსა და მუსლიმების მიმართ. რესპონდენტებს მაგალითად მოჰყავთ სხვადასხვა სოფელში მომხდარი შემთხვევები, როდესაც შელაპარაკება და კონფლიქტი მოხდა განსხვავებული რელიგიური მრწამსის გამო. ახალგაზრდები აღნიშნავენ იმ აგრესიას, რაც საქართველოში არსებობს ყველაფერი „განსხვავებულის“ მიმართ. მათი თქმით, რელიგიური უმცირესობების უფლებები ხშირად ირღვევა საქართველოში: „თუნდაც დაახლოებით ერთი თვის წინ ხო იყო ესეთი შემთხვევა, რო მუსულმანებს ავიწროვებდნენ მათი სალოცავი არ უნდოდათ რომ ყოფილიყო...“ (მერი, მდედრობითი, 20, თელავი)

ამის საწინააღმდეგოდ, ზოგი რესპონდენტი უარყოფს განსვავებული რელიგიური მრწამსის ადამიანების მიმართ აგრესიის არსებობას და აღნიშნავს, რომ რელიგიური უმცირესობები თანაბარი უფლებებით სარგებლობენ საქართველოში და, შესაბამისად, მათი უფლებები არ ირღვევა: „ყოველ შემთხვევაში მე ვერ ვგრძნობ რომ რომელიმე რელიგიას ავიწროებენ საქართველოში” (ნინო, მდედრობითი, 19, ქუთაისი).

ასევე, ახალგაზრდა რესპონდენტების დიდი ნაწილი საკმაოდ ტოლერანტულად არის განწყობილი რელიგიური უმცირესობების მიმართ და თვლის, რომ მათი უფლებები ისევე უნდა იყოს დაცული, როგორც მართლმადიდებლების:

ეხლა დიდი ამბავია ატეხილი მუსულმანურ სალოცავებთან დაკავშირებით და ჩემი აზრით ძაან ცუდი არის, რომ რატომღაც მიაჩნიათ ქრისტიანებს, მართლმადიდებლებს იმ სოფლებში, რომ მარტო თითონ აქვთ იქ ლოცვის უფლება და სხვებს არა აქვთ, ეს უნდა იყოს დაცული და თუნდაც ნებისმიერი რელიგიური უმცირესობები, ან რასობრივი უმცირესობები უნდა იყოს დაცული. (დათო, მამრობითი, 22, ქუთაისი)

უნდა აღინიშნოს, რომ რესპონდენტთა მცირე ნაწილი საუბრობს საქართველოში ეკლესიის გადაჭარბებულ გავლენაზე და აკრიტიკებს ეკლესიებში არსებულ ვითარებას:

არცერთ ტაძარში არ იყიდება უფასო სანთელი. ყველგან აი ვაქციეთ ეკლესია ვაჭრობის... გავს სავაჭრო ცენტრს. შეხვალ, ორ ლარიანი ხატი ათი ლარი ღირს. აი, ზუსტად, როცა მეორედ მოსვლისას, დარწმუნებული ვარ რო იქნება ისეთი სიტუაცია, რო პირველ რიგში ეს ეკლესიები განადგურდება. ერთადერთი ეკლესია სადაც მე ვიყავი იყო გერგეთის სამება, სადაც იყო უფასო სანთლები. საქართველოში ამნაირი აღარ არსებობს, არსებობს მხოლოდ... მამაოები შემოსულია მოდაში, იმიტო გახდა ნუ მამაოდ, რო არი შემოსავალი [აქვთ]... (ევა, მდედრობითი, 21, ქუთაისი)

მეორე მხრივ, რესპონდენტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ უმცირესობათა უფლებები უნდა იყოს დაცული მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს არ ვნებს ან არ ეწინააღმდეგება უმრავლესობათა უფლებებს; ხოლო ზოგი იმასაც აღნიშნავს, რომ

მართლმადიდებლებს გარკვეული უპირატესობა უნდა ჰქონდეთ სხვა რელიგიის მიმდევრებთან შედარებით.

კი არის კანონი მიღებული, რის მიხედვითაც ყველა რელიგიის წარმომადგენელი საქართველოში ერთი უფლებებით სარგებლობს, თუმცა ჩემი აზრით უნდა იყოს მართლმადიდებლებისთვის მინიჭებული გარკვეული პრივილეგიები, ოღონდ ისე რომ არ იჩაგრებოდეს სხვა რელიგიის წარმომადგენლები. (ლაშა, მამრობითი, 17, ქუთაისი)

ამ შედეგებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ, როგორც ახალგაზრდები, ისე უფროსი თაობის წარმომადგენლები თავს რელიგიურ ადამიანად აღიქვამენ, თუმცა, ეს რელიგიურობა ხშირად არ გამოიხატება ისეთ ქმედებაში, როგორცაა რელიგიური რიტუალების შესრულება. რაც შეეხება რელიგიური უმცირესობების მიმართ დამოკიდებულებას, რესპონდენტების ნაწილი საკმაოდ ტოლერანტულად არის განწყობილი სხვა რელიგიის ადამიანების მიმართ, თუმცა, რიგ შემთხვევებში, ქართველები უარყოფით დამოკიდებულებას აფიქსირებენ. თვისებრივი ინტერვიუების შედეგებიც აჩვენებს, რომ ახალგაზრდების აზრი იყოფა რელიგიურ უმცირესობათა უფლებების და საქართველოში მათდამი დამოკიდებულების საკითხებთან დაკავშირებით. სწორედ რელიგიური და სხვა უმცირესობების მიმართ დამოკიდებულების საკითხს ეთმობა შემდეგ ქვეთავში მოცემული კვლევის შედეგები.


4.4.4. დამოკიდებულება მეზობელი უმცირესობების მიმართ

ადამიანების ღირებულებების შეფასებისას მნიშვნელოვანია იმის გაგება, თუ რამდენად ღია და ტოლერანტულნი არიან ისინი განსხვავებული ადამიანების მიმართ. საქართველოში უმცირესობათა ჯგუფების მიმართ ტოლერანტობის გასაზომად, ამ სადისერტაციო ნაშრომში მოტანილია „მსოფლიო ღირებულებების კვლევის“ რაოდენობრივი მონაცემები და თვისებრივი სიღრმისეული ინტერვიუების შედეგები.

„მსოფლიო ღირებულებების კვლევაში“ რესპონდენტებს აჩვენეს ბარათი, რომელზეც მოცემულია სხვადასხვა კატეგორიის ხალხის ჯგუფები (უმცირესობათა ჯგუფები). რესპონდენტებს უნდა აერჩიათ კატეგორია/კატეგორიები, რომელთაც არ

ისურვებდნენ მეზობლად. გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ 18-დან 25 წლის ჩათვლით ახალგაზრდების უმრავლესობა (79%) მეზობლად ჰომოსექსუალებს არ ისურვებდა. ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო მაღალია უფროსი თაობების შემთხვევაში, ხოლო 56 წლის და ზომით ასაკობრივ კატეგორიებში 91%-ს შეადგენს. რაც შეეხება სხვა რელიგიის და რასის წარმომადგენლების მიმართ დამოკიდებულებას, ახალგაზრდების 30% და 28% არ ისურვებდა მათ მეზობლად. ასაკის მატებასთან ერთად ეს მაჩვენებელი მცირედით იზრდება. ანალოგიური სურათია იმიგრანტების/უცხოეთიდან ჩამოსული მუშახელის მიმართ დამოკიდებულების შემთხვევაში. ყველაზე „გახსნილი“ დამოკიდებულებაა იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც სხვა ენაზე საუბრობენ. ახალგაზრდების მხოლოდ 13% ამბობს, რომ ასეთი ადამიანები არ უნდათ მეზობლად. შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ უფროს თაობებთან შედარებით, 18-დან-25 წლის ახალგაზრდები მაინც უფრო ტოლერანტები არიან. ეს განსხვავება ყველაზე შესამჩნევი 18-დან 25 წლის ჩათვლით ასაკობრივ ჯგუფსა და 66 და უფროი ასაკის მოსახლეობის შედარების დროს ხდება (იხილეთ დიაგრამა 5).

დიაგრამა 5. (აჩვენეთ ბარათი D) „მოცემულია სხვადასხვა კატეგორიის ხალხის ჯგუფების ჩამონათვალი. ხომ არ გამოარჩევდით რომელიმე კატეგორიას, რომელსაც არ ისურვებდით, რომ თქვენი მეზობელი იყოს?“ (% , არ ვისურვებდი) მსოფლიო ღირებულებების კვლევა, მეექვსე ტალღა, 2014 წელი, საქართველო



სიღრმისეული ინტერვიუების დროს (რომელიც 2016 წლის ნოემბერსა და დეკემბერში ახალგაზრდებთან და მათი ოჯახის უფროს წარმომადგენლებთან ჩატარდა), უმცირესობათა ხუთი, ზემოთ ნახსენები, ჯგუფის (30მოსექსუალები, სხვა რელიგიის და რასის წარმომადგენლები, იმიგრანტები/უცხოეთიდან ჩამოსული მუშახელი და ადამიანები, ვინც სხვა ენაზე საუბრობენ) გარდა, რესპონდენტებმა, ასევე, ისაუბრეს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების შესახებ. თითოეული ჯგუფის შემთხვევაში რესპონდენტებმა დაწვრილებით ისაუბრეს შემდეგ საკითხებზე: რატომ ისურვებდნენ ან არ ისურვებდნენ მათ მეზობლად (1), რამდენად ენდობიან ან არ ენდობიან ამ ჯგუფს (2) და რამდენად არის ეს ჯგუფი დაჩაგრული ქართულ საზოგადოებაში (3).^{xlvi}

როგორც რაოდენობრივმა, ისე თვისებრივმა მონაცემებმა აჩვენა, რომ უმცირესობების ჯგუფებს შორის, ყველაზე უარყოფითი დამოკიდებულება საქართველოში 30მოსექსუალი ადამიანების მიმართ არსებობს. თვისებრივი ინტერვიუების დროს, როგორც ახალგაზრდა, ისე უფროსი თაობის წარმომადგენლებმა დააფიქსირეს

საკუთარი უარყოფითი დამოკიდებულება ამ ჯგუფის წარმომადგენლების მიმართ და თქვეს, რომ ასეთი ადამიანები არ სურთ მეზობლად. „რატომ? იმიტო, რო ჰომოსექსუალები მაინც ჩემთვის დაავადებაა ესე, მაგათმა უნდა იმკურნალონ და ეხლა ავადმყოფი მეზობლები არ მსურს, აქედან გამომდინარე...“ (მამრობითი, 21, ბათუმი). ასევე, რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ ჰომოსექსუალებს არავინ არაფერს უშლის. ყველამ ის უნდა გააკეთოს, რაც უნდა, მაგრამ ეს ხალხის დასანახად არ უნდა მოხდეს, რადგან მიუღებელია ჰომოსექსუალიზმის დემონსტრირება: „ანუ, მე ის არ მომწონს, რო ესე გამოდიან. თვითონაც გამაღიზიანებლად იქცევიან, ალბათ, და ამიტომაც გამოიწვია ხალხის აგრესია... ეხლა ის ნამდვილად არ მომეწონება, რო ქუჩაში იდგნენ და ფიზიკური კავშირი ქონდეთ...“ (მდედრობითი, 19, ქუთაისი). ახალგაზრდებს შორის მხოლოდ მცირე ნაწილმა დააფიქსირა დადებითი დამოკიდებულება ჰომოსექსუალი ადამიანების მიმართ და თქვა, რომ ენდობა ასეთ ადამიანებს.

მე, ზოგადად, ძაან ტოლერანტული ვარ, ნებისმიერი ტიპის განსხვავებულობის მიმართ და საერთოდ, მგონია, რომ სექსუალური თავისუფლება ძაან მნიშვნელოვანია ადამიანისთვის, არ მყავს ახლო ნაცნობი განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის და პირიქით ძაან დაინტერესებული პირი ვიქნებოდი რომ გამეცნო ეგ ადამიანები, და აბსოლუტურად არ მაქვს ის შეგრძნება რომ... უნდობლობის შეგრძნება არ მაქვს. (მდედრობითი, 22, თბილისი)

იმისდა მიუხედავად, ენდობიან თუ არა და უნდათ თუ არა მეზობლად ჰომოსექსუალი ადამიანები, თითქმის ყველა ახალგაზრდა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ ეს ჯგუფი დაჩაგრულია ქართულ საზოგადოებაში:

არის, კი, დაჩაგრული. არ მოსწონთ, რა ვიცი, მიტინგები, მთელი ამბები. ამბობენ, რო აი, თავიანთთვის იყოსო და იყვენო და რა ვიცი, ამბობენ, მაგრამ მაინც, მაინც ცუდად არიან განწყობილი და როცა ექნებათ საშუალება, ყოველთვის ჩაგრავენ ხოლმე. არ მომწონს რა ეგ. არ უნდა იყოს ეგრე. (მდედრობითი, 18, ბათუმი)

ახალგაზრდებთან შედარებით, უფროს თაობებს შორის კიდევ უფრო ცოტა რესპონდენტმა გამოხატა დადებითი დამოკიდებულება ჰომოსექსუალი ადამიანების

მიმართ: „არც ნდობა არა მაქ და არც მინდა მაგათი არაფერი” (მდედრობითი, 74, ქუთაისი). მხოლოდ რამდენიმე რესპონდენტმა ახსენა, რომ არ აქვთ აგრესია და ენდობიან ჰომოსექსუალ ადამიანებს. ასევე, რამდენიმემ გამოხატა სიბრალული.

სიბრალულის გრძნობა გამიჩნდებოდა, რა თქმა უნდა. შეიძლება ეს შეხედულება მცდარია, მაგრამ მე მაინც ამა ვგრძნობ ამ ადამიანების მიმართ, რომ ვერ გაურკვევიათ თავიანთი... მდგომარეობა და იტანჯებიან მთელი ცხოვრება. მე ესე ვუყურებ მათ. (მდედრობითი, 50, თელავი)

ცალკეული შემთხვევების გარდა, აგრესიის არქონის მიუხედავად, უფროსი თაობის წარმომადგენლენი ჰომოსექსუალებს, ძირითადად, აღიქვამენ ავადმყოფ ადამიანებად, რომლებმაც არ უნდა მოახდინონ საკუთარი სექსუალური ორიენტაციის დემონსტრირება. ამის გათვალისწინებით, გასაკვირი არ არის, რომ მათ მეზობლად ცხოვრებას თითქმის არავინ ისურვებდა. ხშირად აღინიშნა რესპონდენტების მიერ, რომ არ უნდათ, თავიანთმა შვილებმა ჰომოსექსუალ ადამიანებთან იმეგობრონ: „ბიჭების დედა ვარ და მაინცდამაინც დიდი სურვილი არ მექნება რო ჩემი შვილებმა მაგათთან იმეგობრონ და ასე შემდეგ. მოზარდი თაობის წარმომადგენლებმა...” (მდედრობითი, 55, თელავი).

იმის მიუხედავად, ტოლერანტულად არიან თუ არა რესპონდენტები ჰომოსექსუალების მიმართ განწყობილი, უმეტესობა აღნიშნავს, რომ საქართველოს საზოგადოებაში ეს ჯგუფი დაჩაგრულია.

დაჩაგრულია საზოგადოებაში, იმდენად რამდენადაც ეხა, საზოგადოება აგერ მეც რომ მინდა, ვერ ვებრძოლე თავს და ვერ შევეგუე. საზოგადოების უმეტესობა არ არი ამ კატეგორიასთან შეგუებული, რელიგიაც ძალიან ბევრს თამაშობს ამაში და კარგად ვიცით, რომ რელიგიაც არ არი შეგუებული, ასე რომ, ჩვენი საზოგადოება ამ კატეგორიის ადამიანებთან შეგუებისთვის ჯერ ვერ არი მზად. (მდედრობითი, 53, თბილისი)

რამდენიმე რესპონდენტმა დაგმო ჰომოსექსუალების ასეთი ჩაგვრა და თანადგომა გამოხატა მათ მიმართ:

მე მგონი, ისინი [ჰომოსექსუალები] უფრო იჩაგრებიან, იმიტო ძალიან არ მოსწონთ... ეს ძალიან მიუღებელია ჩვენი ტრადიციისთვის. მაგრამ ვფიქრობ, რომ თავი გავანებოთ. ის ასეთი არის, ის ასეთი დაიბადა. იმას ვერ შევცვლით. და პირიქით, აი, არ უკიჟინო, რო იტყვიან. დაანებო უნდა თავი. როგორც უნდა, ისე იცხოვროს. მთავარია, ირგვლივ მყოფს არაფერი არ დაუშავოს. (მდედრობითი, 44, ბათუმი)

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი კვლევის შედეგებმა აჩვენა ქართველების უმრავლესობის ცალსახად უარყოფითი დამოკიდებულება ჰომოსექსუალების მიმართ. ასეთი არატოლერანტული და უარყოფითი დამოკიდებულება სხვა არც ერთი უმცირესობათა ჯგუფის მიმართ არ ფიქსირდება.

საქართველოში **განსხვავებული რელიგიის მქონე ადამიანების** მიმართ დამოკიდებულება არაერთგვაროვანია, თუმცა, დიდწილად, მაინც დადებითი შეიძლება დაერქვას. კითხვაზე, *ისურვებდნენ თუ არა, რომ მათი მეზობელი სხვა რელიგიის მიმდევარი იყოს?* - ახალგაზრდა რესპონდენტების უმეტესობა დადებითად პასუხობს. თვისებრივი ინტერვიუების დროს რესპონდენტებმა ახსენეს, რომ არაფერი საწინააღმდეგო არ აქვთ განსხვავებული რელიგიის ადამიანების მიმართ. ზოგადად, რელიგია არ განსაზღვრავს ნდობის ხარისხს, ეს დამოკიდებული ადამიანზე და არა მის რელიგიაზე: „გავიცნობ და ვნახავ, შეიძლება თუ არა ენდო. რელიგიის მიხედვით როგორ ვთქვა“ (მამრობითი, 20, ქუთაისი). ახალგაზრდა რესპონდენტებმა, ასევე აღნიშნეს, რომ პატივს სცემენ სხვა რელიგიის წესებს და ნორმებს, მთავარია სხვა რელიგიებმა არ შეავიწროვონ მართლმადიდებელი რელიგია და არ გახდნენ შემაწუხებელნი:

იცო, როგორი რაღაცაა. თუ ეს მათი რელიგიური რიტუალები არ იწვევენ სხვა ადამიანების შეწუხებას, მაშინ კი ბატონო [იცინის]. მაგრამ თუ რაღაც, რა ვიცი, აივანზე უნდა გამოვიდეს და ილოცოს ისე. რავი, აქ, სხვათა შორის, სასტუმროში იყო შემთხვევა რა, რო ვიღაც ტიპი ყოველდღე ლოცულობდა ისე, რო მთელ უბანს გვესმოდა და თუ რაღაც ეგეთია, მაშინ წინააღმდეგი ვარ, კი, რაღაც მხრივ. (მდედრობითი, 23, ბათუმი)

ასევე, რამდენიმე რესპონდენტმა აღნიშნა, რომ, ზოგადად, თავს არ მიიჩნევენ რელიგიურ ადამიანად და არ მოსწონთ, როდესაც სხვები თავს ახვევენ რელიგიურ მოსაზრებებს:

ზოგადად, მე რელიგიები ძალიან არ მიყვარს, არც ერთ რელიგიას დიდად არ ვწყალობ... პირადი სივრცეა ეს რელიგია და თუ ვიღაცა არ მომახვევს თავს რელიგიას, რა თქმა უნდა ძაან ნორმალური, მყავს ეხლა ბევრი მეგობარი, რომლებიც არიან რელიგიურები და ისინი არ მახვევენ, მე არ ვახვევ მათ ჩემს აგნოსტიკურ მოსაზრებებს და ისინი არ მახვევენ თავიანთ რელიგიურ მოსაზრებებს თავს და შესაბამისად რელიგიურ ნიადაგზეც არ გამიჩნდება აგრესია, მთავარია ექსტრემიზმში არ გადაიზარდოს, იმიტომ რომ აგრესია მიჩნდება ხოლმე ექსტრემიზმზე მხოლოდ და მხოლოდ, დოგმატებზე და ა.შ. (მამრობითი, 24, თბილისი)

ახალგაზრდებს შორის მხოლოდ რამდენიმე რესპონდენტმა ახსენა, რომ არ ენდობა სხვა რელიგიის წარმომადგენლებს, რომ მეზობლად თავისი რელიგიის მიმდევარი ადამიანი უნდათ და რომ განსაკუთრებულად არ უყვართ იეჰოვას მოწმეები: „ნუ, იალოველები უფრო არ მომეწონებიან იმიტო, რო, ალბათ, ზოგადად ყველას ახვევენ თავს თავიანთ რელიგიას და... თუ არ შემაწუხებენ, არც მაგათზე არ მექნება გართულება...ალბათ, იალოველებს უფრო არ ვენდობი, ვიდრე სხვას“ (მდედრობითი, 25, ქუთაისი)

ახალგაზრდა რესპონდენტებთან შედარებით, უფრო მეტმა რესპონდენტმა უფროსი თაობიდან დააფიქსირა უარყოფითი დამოკიდებულება სხვადასხვა რელიგიური უმცირესობის მიმართ. რამდენიმემ ახსენა, რომ არ უნდათ მუსლიმები, იეჰოვას მოწმეები და სექტანტები ჰყავდეთ მეზობლად და ურჩევნიათ ქრისტიანების გვერდით ცხოვრება: „ახლა, მირჩევნია, რო უფრო ქრისტიანებთან მქონდეს ურთიერთობა. ახლა სექტანტების, ნუ, არ დავსდევ და არ ისა, მაგრამ, ნუ, არა მაქ ურთიერთობა და არც ნდობა მაგათი“ (მდედრობითი, 45, ბათუმი).

რესპონდენტების ნაწილმა დადებითი დამოკიდებულება გამოამჟღავნა რელიგიური უმცირესობები მიმართ და აღნიშნა, რომ მათი ნდობა სხვადასხვა ადამიანების მიმართ არ განისაზღვრება მათი რელიგიით. სხვა რელიგიების პატივისცემა მათთვის ძალიან

მნიშვნელოვანია: „როცა შენი რელიგია გიყვარს, სხვისიც უნდა დააფასო, მე მგონია“ (მდედრობითი, 44, ბათუმი).

როგორც ახალგაზრდა, ისე უფროსი თაობის წარმომადგენლების უმრავლესობამ აღნიშნა, რომ სხვა რელიგიის მიმდევრები არ არიან დაჩაგრულები ქართულ საზოგადოებაში: „არ არიან დაჩაგრულები. ყველა ვისაც რა რწმენა აქვს, ყველა იმ რწმენას მისდევს და რა ვიცი, ლოცულობენ და მისდევენ იმ თავიანთ წეს-ჩვეულებებს და არა გრძნობენ ისინი მე მგონი თავს დაჩაგრულად ჩვენს საზოგადოებაში“ (მდედრობითი, 55, თელავი).

თვისებრივი ინტერვიუების დროს რესპონდენტებს, ასევე, ჰკითხეს **სხვა რასის წარმომადგენლების შესახებ**. ახალგაზრდა რესპონდენტების ნაწილმა აღნიშნა, რომ არ ისურვებდა სხვა რასის წარმომადგენლების მეზობლად ცხოვრებას. მათი თქმით, ქართველებს უფრო ენდობიან და, ამიტომ, ქართველები ურჩევნიათ მეზობლად. სხვა რასის წარმომადგენლებთან კი შეხება ნაკლებად აქვთ და, აქედან გამომდინარე, ნაკლებად ენდობიან. რამდენიმე ახალგაზრდამ უარყოფითი დამოკიდებულება დააფიქსირა სპეციფიკურად ჩინელების მიმართ: „ჩინელები უფრო არ მომეწონებიან იმიტო, რო რაღაცა არ მიყვარს ეს ხალხი, თორე სხვაზე არა მაქვს გართულება. ნუ, არც ამათზე არ მექნება, უბრალოდ ახლა შეიძლება, არ მესიამოვნოს რაღაც მომენტში“ (მდედრობითი, 25, ქუთაისი)

თუმცა, მეორე მხრივ, ახალგაზრდების საკმაოდ დიდი ნაწილი ამბობს, რომ რასას მნიშვნელობა არ აქვს და რომ ეს არ განაპირობებს მათ ნდობას ან უნდობლობას ადამიანების მიმართ. მათი ზოგადი დამოკიდებულება უფრო დადებითია, ვიდრე უარყოფითი:

ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, პირიქით არის, იმის გამო, რომ ხედავ ამ ქვეყანაში რომ კიდევ არის აგრესია, ალბათ უფრო გამოვიჩენდი, დავანახებდი იმას, რომ მე არანაირი აგრესია არ მაქვს შენი რასის გამო და მზად ვარ, რომ მიგიღო როგორც ჩემი მეგობარი თუ რა თქმა უნდა ჩვენს შორის იქნება, ანუ ის რომ შეიძლება მაგალითად შავკანიანი ადამიანის მიმართ გამიჩნდეს აგრესია, ეს არ იქნება დამყარებული მის რასაზე რა, შეიძლება უბრალოდ ცუდი ტიპი არის და მაგიტომ გამიჩნდეს აგრესია, არ

აქვს ჩემთვის მნიშვნელობა მის კანის ფერს და წარმომავლობას.
(მამრობითი, 24, თბილისი)

ახალგაზრდების მსგავსად, უფროს თაობებშიც განსხვავებული მოსაზრებები არსებობს სხვა რასის წარმომადგენლებთან დაკავშირებით. რესპონდენტების ნაწილმა აღნიშნა, რომ არ ენდობა ამ ჯგუფს, რადგან არ აქვს ხშირი ურთიერთობა და არ იცნობს კარგად: „ხო, არ ვენდობი, არ ვიცნობ მე მაგათ და რო არ ვიცნობ ადამიანს, ვერ/არ ვენდობი რა“ (მდედრობითი, 52, თბილისი); ნაწილმა დააფიქსირა უარყოფითი დამოკიდებულება ჩინელების მიმართ, იმისდა მიუხედავად, რომ არანაირი შეხება არ ჰქონიათ ამ ჯგუფთან. თუმცა, ძირითადად, რესპონდენტებს დადებითი დამოკიდებულება აქვთ განსხვავებული რასის წარმომადგენლების მიმართ და ამბობენ, რომ მათთვის მნიშვნელოვანია პიროვნული თვისებები და არა კანის ფერი: „კი, დავენდობი, თუ კარგი ადამიანია, თუ ვიცნობ, ჩემთვის არ აქვს მნიშვნელობა, რა რასის ადამიანია“ (მდედრობითი, 55, ბათუმი).

როგორც ახალგაზრდა, ისე უფროსი თაობების წარმომადგენლების უმრავლესობამ აღნიშნა, რომ განსხვავებული რასის წარმომადგენლები ჩვენს საზოგადოებაში არ იჩაგრებიან: „არა... აღარ არიან. წავიდა ის, წარსულში დარჩა ის დრო, რო ხელის მიკარებაზეც რაღაც რეაქციები რო ქონდათ, არა, არ არიან დაჩაგრულები. უკვე ადაპტირებული არიან საკმაოდ, ყველგან“ (მდედრობითი, 44, ბათუმი). თუმცა, ასევე იყვნენ რესპონდენტები, რომლებმაც ისაუბრეს განსხვავებული რასის ადამიანების მიმართ არაკეთილგანწყობილ დამოკიდებულებაზე:

სხვა რასის წარმომადგენლები დაჩაგრულია, ჩემი აზრით, იმიტო რო ძან დიდი მნიშვნელობა აქვს სამწუხაროდ ჩვენ კულტურაში კანის ფერს და რაღაც სტიგმას განიცდიან ეს ადამიანები. თუნდაც ხშირად მქონია შემთხვევა, რო ავტობუსში რო ამოსულან და სხედან მაგალითად ინდოელი გოგონები ან ბიჭები, უფროსს თუ კი არ წამოდგნენ და არ დაუთმეს ძან ზიზღით უყურებენ, ანუ ჰგონიათ, რომ ქართველი რომ იჯდეს იქ ან თუნდაც თეთრკანიანი მნიშვნელობა არ აქვს ვთქვათ ევროპელი მათთვის ჩვეულებრივი იქნება და შეიძლება ასეთი ზიზღი არ გამოიწვიოს. მაგრამ ისინი როგორ არ დგებიან, თითქოს გვართმევენ ქართველობასო ისეთი

დამოკიდებულება მიგრძვნია, ზიზლის შეგრძვნიება ერთი ადგეს, მონა და მსგავსი ის არის...(მდედრობითი, 25, თბილისი)

ახალგაზრდებმა, ასევე, ისაუბრეს უნივერსიტეტში სხვა რასის სტუდენტების მიმართ მტრული დამოკიდებულების შესახებ და თქვეს, რომ მათ ფიზიკურადაც ჩაგრავენ: „ნუ, რამოდენიმე ფაქტი მოხდა ასეთი, უნივერსიტეტში რო ვსწავლობდი, რო ცემეს... რასისტობა უფრო იყო, ფერადკანიანი ცემეს“ (მამრობითი, 18, ქუთაისი).

მსგავსი შედეგები დაფიქსირდა იმიგრანტების/უცხოეთიდან ჩამოსული მუშახელის მიმართ დამოკიდებულების შემთხვევაში. როგორც ახალგაზრდა, ისე უფროსი თაობების რესპონდენტებმა, ზოგადად, დადებითი დამოკიდებულება დააფიქსირეს უმცირესობათა ამ ჯგუფის მიმართ. ახალგაზრდების თქმით, იმიგრანტების მიმართ დამოკიდებულება საქართველოში დადებითია, თუმცა დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რომელი ქვეყნიდან არის ჩამოსული იმიგრანტი. მაგალითად, დასავლეთიდან (იგულისხმება ევროპა და ამერიკის შეერთებული შტატები) ჩამოსული ადამიანისადმი ქართველებს ცალსახად დადებითი დამოკიდებულება აქვთ, რასაც ვერ ვიტყვით აზიის ქვეყნიდან ჩამოსულ იმიგრანტებზე. თვითონ რესპონდენტებიც უფრო მიესალმებიან დასავლეთიდან ჩამოსულ მიგრანტებს, ვიდრე აზიის ქვეყნების წარმომადგენლებს. ასევე, შედარებით უარყოფითი დამოკიდებულება დააფიქსირეს თურქებისა და რუსების მიმართ.

უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდა რესპონდენტების ნაწილმა უარყოფითი დამოკიდებულება დააფიქსირა უცხოელი მუშახელის მიმართ და თქვა, რომ ისინი ხშირად „ართმევენ“ ქართველებს სამუშაოს. ახალგაზრდების აზრით, პირველ რიგში, ქართველები უნდა დასაქმდნენ.^{xlvi}

... აი პლენხანოვზე, მე მგონი, აზერბაიჯანელებს თუ თურქებს აქვთ, არ ვიცი, სადაც არ გაივლი ყველაფერი... აი, ცოტა გამაღიზიანებელი იყო ჩემთვის, იმიტომ, რომ ის კი არა, რომ რაღაცა კონკრეტულად ამ ერს ვერჩი. არა, უბრალოდ მინდა, რომ ვთქვათ რატომ არ შეიძლება რომ აქ ქართველს ჰქონდეს და ის ფული ისევ ქართველის ჯიბეში შევიდეს და ჩვენს ეკონომიკაში. (მდედრობითი, 23, თბილისი)

უფროსი თაობების რესპონდენტებმა, ახალგაზრდების მსგავსად, ძირითადად დადებითი დამოკიდებულება დააფიქსირეს. მათი თქმით, ნდობა განპირობებულია არა ეროვნებით, არამედ პიროვნული თვისებებით: „თუ მოინდომეს მეზობლობა, ურთიერთობა, ჩვეულებრივი, არა აქვს მნიშვნელობა ეს იქნება ამერიკელი, ევროპელი, აზიელი თუ რუსი, არ აქვს მნიშვნელობა“ (მდედრობითი, 52, თბილისი). თუმცა, ახალგაზრდების მსგავსად, უფროსი თაობების რესპონდენტებმაც თქვეს, რომ ევროპიდან ჩამოსულ იმიგრანტებს უფრო დიდ პატივს სცემენ, ვიდრე აზიიდან ან აფრიკიდან ჩამოსულ იმიგრანტებს: „სასურველია, რო ევროპელები და განვითარებული ქვეყნებიდან იყოს... და საერთოდ მასას თუ შეეხება, რა თქმა უნდა, ვისურვებდი, რო ევროპიდან ჩამოსულები უფრო კარგი იქნებოდა, განათლებას ჩამოიტანდნენ, რაღაცას ჩამოიტანს თავისას“ (მამრობითი, 52, ქუთაისი). შესაბამისად, ჩაგვრაზე საუბრისას, რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ დასავლური ქვეყნებიდან ჩამოსული იმიგრანტები არ იჩაგრებიან. პირიქით, მათ ქართველები განსაკუთრებულად კარგად ექცევიან, რასაც ვერ ვიტყვით აზიელ და აფრიკელ იმიგრანტებზე, რომელთა მიმართაც ხშირად აგრესია და ზიზღი ფიქსირდება: „არ არის დაჩაგრული პირიქით... რატომ ვფიქრობ და ევროპა და ის, მაინც უფრო მაღალი ცივილიზაციის დონით არის და უფრო ჩვენ მისწრაფება გვაქვს მაგისკენ“ (მდედრობითი, 52, თბილისი).

რესპონდენტებმა, ასევე, ისაუბრეს რუსი იმიგრანტების მიმართ უნდობლობაზე, რაც 2008 წლის ომის შემდეგ კიდევ უფრო გაუღვივდათ. და ბოლოს, რესპონდენტების ნაწილმა ზოგადად უარყოფითი დამოკიდებულება დააფიქსირა იმიგრანტების მიმართ: „საქართველოში მაინცდამაინც არ მინდა რო ძალიან ბევრი ემიგრანტი იყოს ჩამოსული, იმიტო რო მაინც ჯობია, რო ქართველი ხალხი იყოს საქართველოში და არა ქართველები წავიდნენ საზღვარგარეთ და იცხოვრონ იქ“ (მდედრობითი, 49, თელავი).

შეჯამების სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ როგორც ახალგაზრდების, ისე უფროსი თაობის რესპონდენტების აზრი გაიყო იმიგრანტების დისკრიმინაციასთან დაკავშირებით, თუმცა უმეტესად რესპონდენტები მაინც თვლიდნენ, რომ საქართველოში ჩამოსული მუშახელი არ იჩაგრება: “არ იჩაგრებიან, ძაან მშვენივრად არიან, მე რასაც ვხედავ. ჩემს უბანში მრავლად არიან, ყოველ შემთხვევაში. მშვენივრად

არიან, არავინ არაფერს არ უშავებს. პირიქით, კარგად არიან“ (მდედრობითი, 44, ბათუმი).

სიღრმისეული ინტერვიუების დროს რესპონდენტებმა, ასევე, ისაუბრეს *სხვა ენაზე მოსაუბრე* ადამიანების შესახებ. რაოდენობრივი კვლევის შედეგების მსგავსად, თვისებრივი ინტერვიუების დროსაც როგორც ახალგაზრდა, ისე უფროსი თაობის რესპონდენტების დამოკიდებულება ძირითადად დადებითი იყო ამ უმცირესობათა ჯგუფის მიმართ.

ახალგაზრდებმა თქვეს, რომ, ზოგადად, არ უცხადებენ უნდობლობას სხვა ენაზე მოსაუბრე ადამიანებს, თუმცა, შესაძლებელია კომუნიკაცია გაუჭირდეთ, რამაც დისკომფორტი შეიძლება შექმნას:

...უბრალოდ, ერთადერთი გამიჭირდებოდა კომუნიკაციის მხრივ მაგათთან ურთიერთობა. იმიტო, რო ოღონდ, გააჩნია, რა ენაზე საუბრობენ, ეხლა რუსული, ინგლისური და რაღაცა, მაგას გავუგებდი, მაგრამ ჩინელები არიან ძაან ბევრი და ეხლა, მაგენტან ცოტა კომუნიკაცია, ის იქნებოდა, პრობლემა, თორე სხვა არაფერი. ნდობა, ყველაფერი... (მდედრობითი, 19, ბათუმი)

ახალგაზრდა რესპონდენტების მცირე ნაწილმა თქვა, რომ ვერ ენდობა ისეთ ადამიანებს, ვისთანაც კომუნიკაცია არ შეუძლია: „ნუ ეხლა თუ არ მესმის ის ადამიანი რას იმახის, იმაზე ვერ ვიტყვი რომ ვენდობი-თქო... კომუნიკაციის შემდგომ ყალიბდება ნდობის ფაქტორი“ (მამრობითი, 24, თბილისი). მსგავსი მოსაზრებები გამოთქვეს უფროსმა რესპონდენტებმა. მათი უმეტესობა დადებითად არის განწყობილი ამ ჯგუფის მიმართ, და ამბობს, რომ მთავარია პიროვნულად მოეწონოს ადამიანი. თუმცა, ახალგაზრდების მსგავსად, უფროსის თაობის ნაწილმა ასევე თქვა, რომ ადამიანებთან კომუნიკაციაში შესვლის გარშე მათი ნდობა გაუჭირდება.

ეხლა ცოტა, როცა ვერ ვგებულობ, თავისთავად ვერ ვენდობი. არ ვიცი, რას ამბობს და. ვერ ვგებულობ და... ასე, სხვათა შორის, ცოტა ძალიან სწრაფად ვერ შევდივარ ურთიერთობაში, მაგრამ ადამიანი, რომელიც სხვა ენაზე საუბრობს და მე ვერ ვგებულობ, თავისთავად ვერ ვენდობი. არ ვიცი, რაზე

ლაპარაკობს და ვინ არის. და თუკი მესმის და გავიგებ, შეიძლება მერე, ნუ,
რა ვიცი, დავამყარო კავშირი. (მდედრობითი, 52, ქუთაისი)

როგორც ახალგაზრდები, ისე უფროსები ფიქრობენ, რომ ადამიანები, ვინც სხვა ენაზე
საუბრობენ, არ არიან დაჩაგრულები ქართულ საზოგადოებაში. პირიქით, ქართველები
დიდ ყურადღებას აქცევენ სტუმრებს და ცდილობენ ასიამოვნონ მათ და აჩვენონ
ქართული კულტურა. ქართველები განსაკუთრებით კარგად ექცევიან დასავლეთიდან
ჩამოსულ უცხო ენაზე მოსაუბრე ადამიანებს: „...რაღაცა კარგად ვეპყრობით ხოლმე
უცხოელებს, რომ ჩამოდიან. რატომღაც. თუ შავკანიანი არ არის და ასე შემდეგ...
რავიცი ყვებიან ხოლმე თან და ძან კარგად ექცევიან...რომ მოაწონონ რაღაცა ჩვენი
ქვეყანა“ (მდედრობითი, 23, თბილისი). თუმცა, რესპონდენტების თქმით, დასავლეთის
გარდა სხვა ქვეყნიებიდან ჩამოსულ ადამიანებიც კარგად გრძნობენ თავს
საქართველოში.

სიდრმისეული ინტერვიუების დროს რესპონდენტებმა ისაუბრეს, აგრეთვე,
სპეციალური საჭიროებების/შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე.
მსოფლიო ღირებულებების კვლევაში ამ ჯგუფზე კითხვა არ დასმულა, ამიტომ
მხოლოდ თვისებრივ მონაცემებს შეგვიძლია დავვერდნოთ. თვისებრივ
ინტერვიუებში, როგორც ახალგაზრდა, ისე უფროსი თაობების რესპონდენტებმა
გამორჩეულად ტოლერანტული დამოკიდებულება დააფიქსირეს უმცირესობათა ამ
ჯგუფის მამართ. მათ თანადგომა გამოუცხადეს სპეციალური
საჭიროებების/შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს და აღნიშნეს, რომ იმ
შემთხვევაში, თუ ასეთი ადამიანები დასახლდებოდნენ მათ მეზობლად, ყველანაირად
ეცდებოდნენ დახმარებოდნენ და გვერდში დადგომოდნენ მათ. შეიძლება ითქვას, რომ
ახალგაზრდებმა განსაკუთრებული თანადგომა გამოთქვეს ამ ჯგუფის მიმართ და
ისაუბრეს მათ ჩაგვრაზე. რესპონდენტების თქმით, ეს ჯგუფი იჩაგრება არა მხოლოდ
საზოგადოების მხრიდან, არამედ ასევე იმის გამო, რომ ქვეყანაში არ არსებობს
მათთვის ადაპტირებული ინფრასტრუქტურა:

მაგაზე დიდი პრობლემა მაქვს მერიასთან. მეტი პანდუსი უნდა იყოს,
ალბათ, ქალაქში. ხალხიც, ნუ, პანდუსი რო იყოს რა, მივა ჯიპიანი და
მიაყენებს იმ პანდუსზე. ძან ძან ცუდად იქცევიან. ეგ კი არა, ეხლა დღეს

ვნახე სოციალურ ქსელში, თვითონ პოლიციის მანქანა დგას იქ, სადაც უნდა იყოს ეტლით მოსიარულე ხალხის ადგილი. (მდედრობითი, 19, ქუთაისი)

რამდენიმე ახალგაზრდამ ახსენა, რომ საქართველოში ბევრს არ სიამოვნებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთან კონტაქტი და სიახლოვეში ყოფნა:

არაადაპტირებული გარემო არის ხალხის დამოკიდებულების შედეგი რა. ძაან ეხლა, ნებისმიერს რო კითხო, გეტყვის, რო დადებითადაა დამოკიდებული, მაგრამ ის, რო რაღაც გაკეთდეს ამათთვის ან თუნდაც, მეზობლად ყოფნა, მართლა, ბევრი არ ისურვებდა, დარწმუნებული ვარ, იმიტო, რო რაღაც შეიძლება, დისკომფორტს უქმნიდეს, ან, რავი, ან... ნუ, დაჩაგრულები არიან ძაან რა, რაც ცუდი დამოკიდებულებაა მათ მიმართ. (მდედრობითი, 23, ბათუმი)

ერთმა ახალგაზრდამ ისაუბრა იმის შესახებ, რომ დედებს არ უნდათ, რომ მათი შვილები სადაც თამაშობენ, იმავე ეზოში თამაშობდეს ბავშვი, რომელსაც აქვს დაუნის სინდრომი ან აუტიზტია. ამ ყველაფრის გამო, ამ ჯგუფს უჭირს საზოგადოებაში ინტეგრირება. ახალგაზრდებმა ასევე აღნიშნეს, რომ საზოგადოების დიდ ნაწილს სიბრალების გრძნობა აქვთ ამ უმცირესობათა ჯგუფის მიმართ. იგივე მოსაზრება დომინირებდა უფროსი თაობების ადამიანებთან ინტერვიუების დროს:

ეგენი ნამდვილად არიან დაჩაგრულები, იმ თვალსაზრისით რომ თუნდაც თავიანთი შესაძლებლობების გამოვლენის, ნუ ეხლა ამ ბოლო დროს ცოტა-ცოტა კიდევ არა უშავს მაგრამ, რეალურად მაინც ჩვენში, არის ჩვენს მენტალობაში, მეც მაქვს, აი შეცოდების მომენტი უფრო მაქვს, ვიდრე, აი რომ გეცოდება, ის უკვე ამით იჩაგრება, ჩემ თავში დამიჭერია რომ მეცოდება...(მდედრობითი, 52, თბილისი)

სწორედ სიბრალების გამო ცდილობენ ადამიანები ამ ჯგუფის დახმარებას და გვერდში დგომას.

საერთო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ სხვადასხვა უმცირესობების ჯგუფების მიმართ ქართველების დამოკიდებულებების შესახებ რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემები ერთმანეთთან წინააღმდეგობაში არ მოდის და, გარკვეულწილად, ავსებს

კიდევ ერთმანეთს. „მსოფლიო ღირებულებების კვლევის“ მონაცემების მეორადი ანალიზის შედეგად მიღებული დასკვნები გამყარდა თვისებრივი ინტერვიუების შედეგან მიღებული მონაცემებით. კერძოდ, ორივე მეთოდით მიღებულმა შედეგებმა აჩვენა, რომ საქართველოში ყველა თაობის ადამიანების უმრავლესობისთვის მიუღებელი რჩება განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის მქონე ადამიანები. თუმცა, მაინც არსებობს განსხვავება ახალგაზრდა და უფროს თაობათა შორის, რამდენადაც ახალგაზრდებში უფრო მეტი ადამიანი გამოხატავს ტოლერანტულ დამოკიდებულებას სექსუალური უმცირესობების მიმართ.

ასევე, ქართველების დაახლოებით ერთი მესამედი არატოლერანტულად არის განწყობილი როგორც განსხვავებული რელიგიის და რასის მქონე ადამიანების, ასევე, იმიგრანტების მიმართ. თუმცა, აქაც უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდა თაობა მაინც უფრო ღია და გახსნილ დამოკიდებულებას აფიქსირებს ამ ჯგუფების მიმართ.

კვლევაში ნახსენები უმცირესობათა ჯგუფებიდან, ყველაზე ტოლერანტული დამოკიდებულება სპეციალური საჭიროებების/შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მიმართ დაფიქსირდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ჯგუფის შესახებ რაოდენობრივი მონაცემები არ გვაქვს, თვისებრივი ინტერვიუებიდან გამოჩნდა, რომ ქართველებს სწორედ ამ ჯგუფის მიმართ აქვთ ყველაზე ღმობიერი დამოკიდებულება.

5. დასკვნები და დისკუსია

ეს სადისერტაციო ნაშრომი იკვლევს 18-დან 25 წლის ჩათვლით ახალგაზრდების ღირებულებებს და ცდილობს გაანალიზოს, რამდენად განსხვავდება ეს ღირებულებები ამ ასაკობრივ ჯგუფზე უფროსი თაობის ღირებულებებისგან საქართველოში. ნაშრომში გამოყენებულია როგორც რაოდენობრივი („მსოფლიო ღირებულებების კვლევის“ მეორადი მონაცემები), ისე თვისებრივი მონაცემები (2016 წელს ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუები და MYPLACE-ის პროექტის ფარგლებში 2012-2013 წლებში ჩატარებული ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუების მონაცემები) ახალგაზრდების და მათზე უფროსი თაობის

ღირებულებების, აღქმების და სხვადასხვა უმცირესობათა ჯგუფების მიმართ დამოკიდებულების შესასწავლად. რაოდენობრივ ნაწილში გამოყენებულია როგორც ჯვარედინი ცხრილები (კორელაციის ტესტების გამოყენებით), ისე ძირითად კომპონენტთა ანალიზის (PCA) მეთოდი.

ნაშრომში ძირითადი მიგნებები დაყოფილია სამ ნაწილად და სამივე ნაწილში მონაცემები გაანალიზებულია ახალგაზრდების და მათზე უფროსი თაობების ჭრილში.

ძირითადი მიგნებების პირველი ნაწილი მოიცავს 2014 წელს საქართველოში ჩატარებული „მსოფლიო ღირებულებების კვლევის“ რაოდენობრივ შედეგებს. აქ წარმოდგენილია საქართველოში სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის ზოგადი აღქმები საკუთარი ჯანმრთელობისა და ბედნიერების შესახებ. ასევე, სხვადასხვა ასაკის ადამიანების ცხოვრებით კმაყოფილება და წარმოდგენები ცხოვრების მნიშვნელობასა და მიზანზე. გარდა ამისა, მიგნებების პირველ ნაწილში მოყვანილია, ზოგადი წარმოდგენები საკუთარი თავის, ცხოვრებაში მნიშვნელოვანი საკითხების (ოჯახი, მეგობრები, სამუშაო, თავისუფალი დრო და ა. შ.) და ადამიანისთვის მნიშვნელოვანი მახასიათებლების შესახებ.

შედეგებმა აჩვენა, რომ ასაკობრივ ჯგუფებს შორის საკმაოდ დიდი განსხვავება არსებობს აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით. ახალგაზრდები, უფროს თაობასთან შედარებით, უფრო დადებითად აღიქვამენ როგორც საკუთარ ჯანმრთელობის მდგომარეობას, ისე ცხოვრებას და ბედნიერებას. ასევე, ახალგაზრდები უფრო ხშირად ფიქრობენ ცხოვრების მნიშვნელობასა და მიზნებზე და უფრო კმაყოფილები არიან საკუთარი ცხოვრებით. მათ სჯერათ, რომ შეუძლიათ ზემოქმედება მოახდინონ საკუთარ ცხოვრებასა და არჩევანზე.

კვლევის ეს შედეგები ეხმიანება „საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტის“ მიერ ჩატარებულ გამოკითხვას, რომლის შედეგების მიხედვითაც „ახალგაზრდა თაობა უფროს თაობებზე უფრო მეტად გამოხატავს ცხოვრებით კმაყოფილებას, საკუთარ თავში რწმენას, იგი უფრო ბედნიერია და უფრო ოპტიმისტურად არის განწყობილი“ (სუმბაძე, 2012, გვ.9).

ეს განსხვავებები ახალგაზრდა და მათზე უფროს თაობებს შორის შეიძლება უკავშირდებოდეს და ნაწილობრივ აიხსნას იმ ცვლილებებით, რაზეც ფურლონგი და კარტმელი (Furlong and Cartmel) თავიანთ წიგნში „ახალგაზრდები და სოციალური ცვლილებები“ საუბრობენ (2006). ავტორების თქმით, თანამედროვე სამყაროში ბევრი ისეთი ცვლილება ხდება, რაც აქამდე უცნობი იყო და რომელიც, პირველ რიგში, ახალგაზრდა თაობებზე აისახა. კერძოდ, ცვლილებები აისახა იმაზე, თუ როგორ იღებენ ახალგაზრდები ინფორმაციას, როგორ ურთიერთობენ ერთმანეთში, როგორ ატარებენ თავისუფალ დროს და რა შესაძლებლობები მიეცათ მათ შრომით ბაზარზე. ეს ყველაფერი ზეგავლენას ახდენს ახალგაზრდების ცხოვრების სტილსა და ცხოვრებით კმაყოფილებაზე, რაც არა მხოლოდ დასავლეთში, არამედ საქართველოშიც თვალსაჩინო გახდა.

თუმცა, მეორე მხრივ, ფურლონგი და კარტმელი ასევე საუბრობენ ოჯახის ღირებულების მიმართ ახალგაზრდების განსხვავებული დამოკიდებულების შესახებ. მათი მტკიცებით, თანამედროვე, განვითარებულ სამყაროში ბევრი ახალგაზრდა ცხოვრობს პარტნიორთან დაქორწინების გარეშე და არც განიხილავს ქორწინებას, როგორც ერთადერთ და უალტერნატივო შესაძლებლობას. ეს იმაზე მიუთითებს, რომ დასავლურ სამყაროში ტრადიციული ოჯახის შექმნის მოთხოვნილება უფრო და უფრო იკლებს ახალგაზრდა თაობებში, მაგრამ ეს ტენდენცია ნაკლებად შეიმჩნება ქართულ საზოგადოებაში. რაოდენობრივმა და თვისებრივმა შედეგებმა აჩვენა, რომ ოჯახის ღირებულება პირველ ადგილზე დგას მნიშვნელოვნებით როგორც 18-25 წლის ახალგაზრდებისთვის, ისე მათზე უფროსი თაობებისთვის. აქედან გამომდინარე, ოჯახის შექმნა, ქართველ ახალგაზრდებში, მოწინავე ღირებულებად რჩება და ამ კუთხით დასავლურ სამყაროში მიმდინარე ცვლილებები ნაკლებად აისახა ქართველ ახალგაზრდებზე.

ძირითადი მიგნებების პირველ ნაწილში, ასევე, არის წარმოდგენილი რესპონდენტების დამოკიდებულება ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებისა და პოლიტიკის მიმართ; ასევე, ნდობის ხარისხი სხვადასხვა ინსტიტუტებისა თუ ორგანიზაციების მიმართ. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ საქართველოში უფროს თაობასთან შედარებით, ახალგაზრდები ნაკლებად არიან დაინტერესებულნი პოლიტიკით და შედარებით ნაკლებ პასუხისმგებლობას აკისრებენ ხელისუფლებას

ხალხის უზრუნველყოფის საკითხში. ეს შედეგები თანხვედრაშია საქართველოში ჩატარებულ სხვა კვლევებთან. მაგალითად, CRRC-საქართველოს მიერ 2017 წელს ჩატარებული გამოკითხვის „ევროკავშირის მიმართ დამოკიდებულებისა და ცოდნის შეფასება საქართველოში“ შედეგების მიხედვით, საქართველოში ახალგაზრდებს, უფროს თაობებთან შედარებით ნაკლებად აინტერესებთ საქართველოს შიდა პოლიტიკა (CRRC-საქართველო, 2017).^{xlviii} ასევე, „საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტის“ მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, „ინტერესი პოლიტიკის მიმართ ყველაზე დაბალია ახალგაზრდებში და ის ასაკთან ერთად იზრდება“ (სუმბაძე, 2012, გვ. 52).

უფროს თაობებთან შედარებით, ახალგაზრდების მხრიდან პოლიტიკის მიმართ გულგრილ დამოკიდებულებაზე საუბრობენ ფურლონგი და კარტმელი (Furlong & Cartmel). მათ მიხედვით, თანამედროვე განვითარებულ საზოგადოებებში ახალგაზრდები ნაკლებად დადიან არჩევნებზე და იშვიათად არიან ჩართულნი პოლიტიკურ მოვლენებში. ამის მიზეზი, ავტორების მიხედვით, შეიძლება იყოს ის, რომ ახალგაზრდები თვალს არ ადევნებენ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს და, ზოგადად, არ იციან პოლიტიკური ვითარების შესახებ. ასევე, ახალგაზრდები შეიძლება ფიქრობენ, რომ არჩევნებზე წასვლით და აქტიურობით ვერაფერს შეცვლიან (Furlong & Cartmel, 2006).

ახალგაზრდების დაბალ ჩართულობას საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ასევე აღნიშნავს საქართველოში ჩატარებული სხვა კვლევები. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატის) მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, 15-29 წლის ახალგაზრდების მხოლოდ 11% იღებს რეალურ მონაწილეობას მათზე გავლენის მქონე გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში (2014). „საზოგადოებრივი აზრის კვლევისა და მარკეტინგის ინსტიტუტის“ მიერ ჩატარებული კვლევა ადასტურებს, რომ 18-დან 25 წლის ჩათვლით ახალგაზრდები ნაკლებად არიან ჩართული საზოგადოებრივ ცხოვრებაში. თავად ახალგაზრდების 68% აღნიშნავს, რომ ახალგაზრდები „ნაკლებად“ ან „ფაქტობრივად არ არიან ჩართული საზოგადოებრივ ცხოვრებაში“ (საზოგადოებრივი აზრის კვლევისა და მარკეტინგის ინსტიტუტი და საქართველოს ახალგაზრდული ორგანიზაციების ფორუმი, 2011, გვ. 57). ამის მთავარ მიზეზადაც საკუთარი უფლებების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა

სახელდება, ასევე უპერსპექტივობის განცდა, რაც გამოწვეულია იმით, რომ ახალგაზრდებს არ აქვთ მათ მიერ გამოჩენილი ინიციატივებით შედეგის მიღწევის იმედი.

მიუხედავად ამისა, საქართველოში ახალგაზრდებს ჩამოყალიბებული პოზიცია აქვთ იმის თაობაზე, თუ რა მიმართულებით უნდა ვითარდებოდეს ქვეყანა და რა მნიშვნელობა აქვს დემოკრატიულ მმართველობის სისტემას. მსოფლიო ღირებულებების კვლევის რაოდენობრივმა შედეგებმა აჩვენა, რომ ზოგადად, გამოკითხულთა ყველა ასაკის ადამიანთა უმრავლესობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ისეთ ქვეყანაში ცხოვრობდეს, რომელშიც დემოკრატიული მმართველობის სისტემაა. თუმცა, უფროს თაობებთან შედარებით, დემოკრატიული მმართველობის სისტემა ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც უფრო ახალგაზრდებისთვის აღმოჩნდა. მსგავს შედეგებს აჩვენებს 2018 წელს CRRC-საქართველოსა და ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მიერ ჩატარებული გამოკითხვა, რომლის მიხედვითაც, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია დემოკრატიულ ქვეყანაში ცხოვრება. თუმცა, განსხვავება მაინც არსებობს 55 წლამდე და 55 წლის უფროსს თაობებს შორის, სადაც ახალგაზრდების დამოკიდებულება დემოკრატიისადმი კიდევ უფრო მაღალია. ^{xlix}

დემოკრატიის მიმართ დადებითი დამოკიდებულება აჩვენა, ასევე, „საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტის“ მიერ ჩატარებულმა კვლევამ, რომლის მიხედვითაც „სამივე თაობის წარმომადგენელთა უმეტესობისათვის დემოკრატია და მისი ძირითადი მახასიათებლები, როგორცაა მონაწილეობა, საკუთარი აზრის გამოხატვის შესაძლებლობა, კანონის წინაშე თანასწორობა მნიშვნელოვან ღირებულებებს წარმოადგენენ“ (სუმბაძე, 2012, გვ.35).

ძირითადი მიგნებების მეორე ნაწილში მოტანილია როგორც რაოდენობრივი მონაცემები „მსოფლიო ღირებულებების კვლევიდან“, ისე თვისებრივი ინტერვიუების შედეგები, რომლებიც 2016 წლის ბოლოს, საქართველოს ოთხ ქალაქში ჩატარდა. კვლევის ეს ნაწილი იყენებს შვარცის ღირებულებით სისტემას იმის დასადგენად, თუ რა ტიპის ღირებულებები დომინირს ქართველი ხალხის ღირებულებით სტრუქტურაში/სისტემაში. რესპონდენტებს როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი

ინტერვიუების დროს უნდა შეეფასებინათ მოკლე ვერბალური ტექსტები, რომლებიც შვარცის ათ ძირითად ღირებულებას ზომავს.

მონაცემთა ანალიზმა აჩვენა, რომ რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემები მსგავს შედეგებს აჩვენებს და ავსებს ერთმანეთს. შვარცის მთავარი კატეგორიები **„კონსერვატიზმი“ („Conservation“)** (რომელიც მოიცავს ღირებულებებს „უსაფრთხოება“, „კონფორმულობა“ და „ტრადიცია“) და **„საკუთარი თავის გადალახვა/სხვაზე ორიენტაცია“ („Self-Transcendence“)** (რომელიც მოიცავს ღირებულებებს „კეთილმოსურნეობა“ და „უნივერსალიზმი“) ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ყველა ასაკობრივი ჯგუფისთვის საქართველოში. ყველა ასაკობრივ ჯგუფში 70%-ზე მეტი აღნიშნავს, რომ „ძალიან ჰგავს“ ან „ჰგავს“ იმ პიროვნებას, რომელიც ზემოაღნიშნული ღირებულებების მატარებელია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ძირითადი ღირებულებები „კეთილმოსურნეობა“ და „უნივერსალიზმი“ (რომლებსაც კატეგორია „საკუთარი თავის გადალახვა/სხვაზე ორიენტაცია“ მოიცავს) ერთნაირად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა როგორც ახალგაზრდებისთვის, ისე უფროსი თაობის წარმომადგენლებისთვის საქართველოში. მაგრამ, მეორე მხრივ, ასაკობრივ ჯგუფებს შორის მცირე განსხვავებები დაფიქსირდა სხვა ღირებულებებთან მიმართებით. მაგალითად, ახალგაზრდებთან შედარებით, უფროსი თაობის რესპონდენტები უფრო აღმოჩნდნენ „უსაფრთხოების“, „კონფორმულობის“ და „ტრადიციის“ ღირებულებების მატარებლები (რომლებსაც კატეგორია „კონსერვატიზმი“ აერთიანებს).

ასაკობრივ ჯგუფებს შორის განსხვავება უფრო თვალსაჩინო აღმოჩნდა შვარცის სხვა მთავარი კატეგორიის ღირებულებების კვლევისას. როგორც რაოდენობრივმა, ისე თვისებრივმა ინტერვიუებმა გამოავლინა, რომ შვარცის კატეგორიის **„მზაობა და ღიაობა ცვლილებისთვის“ („Openness to change“)** ძირითადი ღირებულებები „თვითორიენტაცია“, სტიმულაცია“ და „ჰედონიზმი“ უფრო მნიშვნელოვანია ახალგაზრდა თაობისთვის. უფროს თაობასთან შედარებით, უფრო დიდმა პროცენტმა თქვა, რომ „ძალიან ჰგავს“ ან „ჰგავს“ ისეთ პიროვნებას, რომლისთვისაც „ახალი იდეების მოფიქრება“, „თავგადასავლები და რისკი“ და „კარგი დროსტარება“ მნიშვნელოვანია.

ამის მსგავსად, შვარცის კატეგორიის „თვით-გაუმჯობესება/საკუთარ თავზე ორიენტაცია“ („Self-Enhancement“) ძირითადი ღირებულებები „მიღწევა“ და „ძალაუფლება“ სხვადასხვანაირად შეაფასეს ახალგაზრდა და უფროსი თაობის რესპონდენტებმა. თუკი ახალგაზრდების 2/3-მა თქვა, რომ „ძალიან ჰგავს“ ან „ჰგავს“ პიროვნებას, რომლისთვისაც წარმატება მნიშვნელოვანია, ეს მაჩვენებელი შედარებით დაბალია უფროს თაობაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შვარცის „ძალაუფლება“ არცთუ ისე მნიშვნელოვანი ღირებულება აღმოჩნდა ქართველებისთვის, თუმცა, უფროსებთან შედარებით, უფრო მეტი ახალგაზრდა რესპონდენტი საუბრობს როგორც ძვირადღირებული ნივთების და ფულის, ისე სხვებისგან პატივისცემა და სხვებზე ლიდერობის მნიშვნელოვნებაზე.

შეჯამების სახით, შეიძლება ითქვას, რომ ქართველი ახალგაზრდები დიდწილად არიან ტრადიციულნი და „სხვებზე ორიენტირებული“ ღირებულებების მატარებლები, თუმცა, გარკვეულწილად, ატარებენ ინდივიდუალურ, საკუთარ ინტერესების გამომხატველ ღირებულებებს. ეს მონაცემები ეხმიანება სხვა მკვლევრების მოსაზრებებს. მაგალითად, ლია წულაძე, საუბრობს ქართველი ახალგაზრდების ორმაგ მისწრაფებაზე როგორც ტრადიციებისადმი, ისე თანამედროვე ღირებულებისადმი, რომლებიც დამოუკიდებლობას და საკუთარ თავის სხვებზე წინ დაყენებას მოიაზრებს. წულაძის მიხედვით, ასეთი ორმაგი მისწრაფება დამახასიათებელია არა მხოლოდ ქართველი ახალგაზრდებისთვის, არამედ საკმაოდ ხშირად გვხვდება დასავლურ, „განვითარებულ“ საზოგადოებებშიც (Tsuladze, 2012).

სადისერტაციო ნაშრომის ეს მონაცემები ნაწილობრივ ასევე ეხმიანება „საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტის“ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებს, რომელთა მიხედვითაც კოლექტივისტური ორიენტაცია უფრო ასაკობრივ კატეგორიაში ჭარბობს: „ტრადიციებისადმი ერთგულება, ოჯახური შეჭიდულობა და ბავშვის გაზრდა არსებული წესების პატივისცემით მნიშვნელოვნად უფრო ღირებული აღმოჩნდა უფროსი თაობის ადამიანებისათვის, მაშინ როდესაც ახალგაზრდა თაობამ ხაზი გაუსვა დამოუკიდებლობის და მიზანსწრაფულობის მნიშვნელობას“ (სუმბაძე, 2012, გვ. 30) .

მიუხედავად ამისა, ქართველი ახალგაზრდები მაინც არ არიან ისეთი თავისუფლები და საკუთარ თავზე ორიენტირებულები, როგორც თანამედრვე, დასავლური ტიპის საზოგადოებების ახალგაზრდები. ქართულ საზოგადოებაში მხოლოდ მცირედით შეიმჩნევა ჰითი და ქლივერის დაკვირვება ახალგაზრდებზე, როგორც ჰედონისტურ და ეგოისტურ თაობაზე, რომელიც მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობს და ყველანაირი პასუხისმგებლობის და ვალდებულების თავიდან აცილებას ცდილობს (Heath & Cleaver, 2003). ქართველი ახალგაზრდებში, უფროს თაობებთან შედარებით, უფრო შეინიშნება საკუთარ თავზე ორიენტაცია, მაგრამ ისინი მაინც დიდწილად შვარცის „საკუთარი თავის გადალახვის/სხვაზე ორიენტაციის“ ღირებულებების მატარებლები არიან.

როგორც წინა თავებში იყო წარმოდგენილი, შვარცის ეს კატეგორია მოიცავს „კეთილმოსურნეობის“ ღირებულებას, რომლის ვერბალურ პორტრეტზე საუბრისას, რესპონდენტებმა ხშირად ახსენეს ოჯახის წევრების დახმარების მნიშვნელოვნება. ზოგადად, ოჯახის მნიშვნელოვნება გამოჩნდა როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივ მონაცემებში. რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი სწორედ ოჯახია. ეს არის ინსტიტუტი, რომელსაც ყველა თაობის რესპონდენტი ყველაზე ძალიან ენდობა. ეს შედეგები ეხმიანება უოლკერი და სტეფენსონის შეხედულებებს, რომლებიც ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რომ აღმოსავლეთ ევროპაში და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ოჯახი არის ის ძირითადი ინსტიტუტი, რომელსაც ახალგაზრდები განსაკუთრებით ენდობიან (Walker & Stephenson, 2010).

თუ ისევ შვარცის ღირებულებებს დავუბრუნდებით, აღსანიშნავია, რომ „ჰედონიზმის“ ღირებულებაზე საუბრისას (რომელიც ერთდროულად შვარცის ორი მთავარი კატეგორიის - „მზაობა და ღიაობა ცვლილებებისთვის“ და „თვით-გაუმჯობესება/საკუთარ თავზე ორიენტაციის“ ნაწილია), ახალგაზრდები არნიშნავენ, რომ დროის ტარებას და გართობას ხშირად ზღუდავენ ოჯახის წინაშე ვალდებულებების გამო. ეს კი აშკარა მაგალითია იმის, რომ „სხვებზე ორიენტაციის“ ღირებულება ხშირ შემთხვევაში „საკუთარ თავზე ორიენტაციის“ ღირებულებებზე მაღლა დგას ქართველი ახალგაზრდებისთვის.

ძირითადი მიგნებების მესამე ნაწილში მოტანილია როგორც რაოდენობრივი მონაცემები „მსოფლიო ღირებულებების კვლევიდან“, ისე თვისებრივი ინტერვიუები, რომელიც MYPLACE-ის პროექტის ფარგლებში 2012-2013 წლებში და ასევე 2016 წლის ბოლოს სპეციალურად ამ სადისერტაციო ნაშრომისთვის ჩატარდა. ამ ნაწილში წარმოდგენილია ქართველი ახალგაზრდების დამოკიდებულება როგორც საკუთარი თავის, ისე საზოგადოებაში არსებული განსხვავებული წევრების მიმართ. ეს ნაწილი, ასევე, იკვლევს ქართველების დამოკიდებულებას სხვადასხვა უმცირესობის ჯგუფების მიმართ და ცდილობს განსაზღვროს ტოლერანტობის დონე საქართველოში.

შედეგებმა აჩვენა, რომ საქართველოში როგორც ახალგაზრდები, ისე უფროსი თაობის წარმომადგენლები ამაყობენ საკუთარი „ქართველობით“. MYPLACE-ის პროექტის ფარგლებში ჩატარებულმა ინტერვიუებმა გამოავლინა, რომ ახალგაზრდები ქართველობას უკავშირებენ ქვეყნის ისტორიას, რომელიც მათთვის ერთ-ერთ მთავარ ღირებულებას წარმოადგენს (Khoshtaria, Kobaladze & Zurabishvili, 2018). ახალგაზრდებისთვის ქართველობა ასევე ასოცირდება მართლმადიდებლურ რელიგიასთან, რომელიც ასევე მნიშვნელოვანი ღირებულებაა როგორც ახალგაზრდებისთვის, ისე უფროსი თაობის წარმომადგენლებისთვის.

ქართული საზოგადოების უარყოფით მხარეებზე საუბრისას, ახალგაზრდებმა აღნიშნეს ის ფაქტი, რომ ქართველებს უჭირთ როგორც განსხვავებული აზრის, ისე განსხვავებული ადამიანების მიღება და პატივისცემა. თუმცა, რესპონდენტების საკმაოდ დიდი ნაწილი, როგორც ახალგაზრდებში, ისე უფროსი თაობებში ტოლერანტული აღმოჩნდა როგორც სხვა რელიგიის და ეროვნების, ისე სხვა რასის ადამიანების მიმართ. რესპონდენტების თქმით, ადამიანების რასა, რელიგია და წარმომავლობა არ განაპირობებს მათ დამოკიდებულებას და ნდობას მათ მიმართ. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდა და უფროსი თაობების შედარებისას, ახალგაზრდები უფრო გახსნილები და ტოლერანტები აღმოჩნდნენ სხვადასხვა უმცირესობების ჯგუფების მიმართ.

მოცემულ შედეგებს დიდწილად ეხმიანება საქართველოში ჩატარებული სხვა კვლევები: „საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტის“ კვლევის მიხედვით, საქართველოში ახალგაზრდებს უფრო დადებითი დამოკიდებულება აქვთ

გენდერული თანასწორობის მიმართ და უფრო ტოლერანტები არიან უმცირესობების მიმართ. თუმცა, იგივე კვლევის მიხედვით, „გამონაკლის წარმოადგენს დამოკიდებულება სხვა რელიგიის წარმომადგენელთა მიმართ, რასაც ყველაზე ნაკლებად ახალგაზრდები ამჟღავნებენ” (სუმბაძე, 2012, გვ. 52). ეს შედეგები ეწინააღმდეგება ამ სადისერტაციო ნაშრომში მოყვანილ შედეგებს, სადაც ყველა უმცირესობის, მათ შორის რელიგიური უმცირესობის მიმართ დამოკიდებულება ახალგაზრდებში უფრო ტოლერანტულია, ვიდრე უფროს თაობებში.

მოცემულ დისერტაციის ფარგლებში მონაცემთა ანალიზმა აჩვენა, რომ საქართველოში ყველაზე „არასასურველი“ უმცირესობათა ჯგუფი ჰომოსექსუალები არიან. ამ ჯგუფის მიმართ, როგორც წესი, ძირითადად უარყოფითი დამოკიდებულება ფიქსირდება ყველა ასაკობრივ ჯგუფში. რესპონდენტების თქმით, ეს ყველაზე დაჩაგრული ჯგუფია საქართველოში. ეს მონაცემები როგორც რაოდენობრივმა, ისე თვისებრივმა ინტერვიუებმა დაადასტურა.

ამ შედეგებს ეხმაურება 2017 წელს CRR-საქართველოს 2017 მიერ ჩატარებული „კავკასიის ბარომეტრის“ კვლევის შედეგები, რომლის ფარგლებშიც რესპონდენტებს ერთი ყველაზე არასასურველი მეზობელი უნდა დაესახელებინათ, ჰომოსექსუალები, კრიმინალებთან და ნარკომანებთან ერთად ყველაზე ხშირად დასახელდა, როგორც ახალგაზრდა, ისე უფროს თაობებს შორის.¹

მეორე მხრივ, განსაკუთრებულად ტოლერანტული დამოკიდებულება გამოვლინდა სპეციალური საჭიროებების/შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მიმართ. იმის მიუხედავად, რომ ამ ჯგუფის მიმართ დამოკიდებულების გასაზომად მსოფლიო ღირებულებების კვლევის ფარგლებში კითხვა არ დასმულა და, ამდენად, რაოდენობრივი მონაცემები ამ გამოკითხვიდან არ გვაქვს, მაინც შესაძლებელია დამოკიდებულებაზე საუბარი თვისებრივ ინტერვიუებზე დაყრდნობით. თვისებრივი ინტერვიუების დროს, როგორც ახალგაზრდა, ისე უფროსი თაობის რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ დახმარებას გაუწევდნენ და გვერდში დაუდგებოდნენ მათ მეზობლად მცხოვრებ სპეციალური საჭიროებების მქონე პირებს. როგორც ძირითად შედეგებში უკვე აღვნიშნეთ, ახალგაზრდებმა განსაკუთრებული თანადგომა გამოთქვეს ამ ჯგუფის მიმართ და ისაუბრეს საქართველოში მათ ჩაგვრაზე. ეს ჯგუფი იჩაგრება იმის

გამო, რომ ქვეყანაში არ არსებობს მათთვის ადაპტირებული ინფრასტრუქტურა, მაგრამ, ასევე იმის გამო, რომ ისინი „დაშტამპულები“ არიან საზოგადოების მხრიდან. ბევრს არ სიამოვნებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან კონტაქტი და სიახლოვეში ყოფნა. რესპონდენტებმა ასევე აღნიშნეს, რომ ეს ჯგუფი საქართველოში ხშირად ეცოდებათ, რის გამოც ცდილობენ მათ დახმარებას და გვერდში დგომას. ამ შედეგებთან თანხვედრაშია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატის) მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებიც, რომლის მიხედვითაც „ახალგაზრდების 43,3% თვლის, რომ ქართული საზოგადოებისათვის შეზღუდული შესაძლებლობა არის სტიგმა“ (საქსტატი, 2014, გვ. 98). გამოკითხვის ფარგლებში, ახალგაზრდების ნახევარზე მეტი ეთანხმება მოსაზრებას, რომ საქართველოში, შესაძლებლობის შემთხვევაში, მშობელი ეცდება დაუმალოს სხვებს, რომ მას ჰყავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე შვილი. ასევე „მთელ საქართველოში იმ ახალგაზრდების წილი, რომლებიც თვლიან, რომ ხალხი მათ გარშემო ერიდება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთან ურთიერთობას, შეადგენს თითქმის 40%-ს“ (საქსტატი, 2014, გვ. 97).

როგორც ამ დისერტაციის კვლევის მეთოდოლოგიის ნაწილში უკვე აღინიშნა, მოცემულ ნაშრომში წარმოდგენილ კვლევას აქვს გარკვეული შეზღუდვები, რომელთაგან მთავარ შეზღუდვად ჩატარებული თვისებრივი ინტერვიუების რაოდენობა და ადგილი წარმოადგენს. საქართველოს 4 ქალაქში ჩატარებული 40 სიღრმისეული ინტერვიუ არ გვამლევს საშუალებას, სოფლად მცხოვრები მოსახლეობის აზრი გავიგოთ და გავითვალისწინოთ ანალიზში. მიუხედავად ამისა, მოცემული დისერტაცია შეიძლება განვიხილოთ როგორც საწყისი ნაშრომი უფრო ღრმა და მასშტაბული კვლევისთვის ახალგაზრდების ღირებულებების შესახებ, რომელმაც, სასურველია, საქართველოს ყველა ტიპის დასახლებაში მცხოვრები ახალგაზრდები მოიცვას და მათი სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა მიიღოს მხედველობაში.

ბიბლიოგრაფია

დურგლიშვილი, ნ. (2006). *სოციოლოგიურ მონაცემთა ანალიზი*. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.

საზოგადოებრივი აზრის კვლევისა და მარკეტინგის ინსტიტუტი და საქართველოს ახალგაზრდული ორგანიზაციების ფორუმი. (2011). *ახალგაზრდული სფეროს კვლევა: თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევების ანგარიში*. Retrieved from Youth Policy Monitor website:
<http://www.youth.gov.ge/uploads/files/publications/p5.pdf>

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). (2018). *ზოგადი ინფორმაცია*. Retrieved from <http://geostat.ge/index.php?action=0&lang=geo>

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) (2016). *მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები: ზოგადი ინფორმაცია*. Retrieved from National Statistics Office of Georgia (GEOSTAT) website:
http://census.ge/files/results/Census%20Release_GEO.pdf

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). (2014). *ახალგაზრდების ეროვნული კვლევა საქართველოში: საქართველოში ახალგაზრდების მდგომარეობისა და საჭიროებების ანალიზი*. Retrieved from United Nations Children's Fund (UNICEF) website:
<https://www.unicef.org/georgia/reports/national-youth-survey>

სურმანიძე, ლ. (2001). *ინდივიდუალისტური და კოლექტივისტური საზოგადოებები*. თბილისი, საქართველო: ნეკრი

- შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი (SRNSFG). (2018).
დოქტორანტურის სამეცნიერო პროექტების საგრანტო კონკურსი. Retrieved
from <https://rustaveli.org.ge/geo/doqtorantebis-kvleviti-grantebis-konkursi>
- Blum, D. W. (2007). *National Identity and Globalization: Youth, State, and Society in Post-Soviet Eurasia*. Cambridge: Cambridge University Press
- Campeau, L-P., Khoshtaria, T., Mestvirishvili, N., Shildelashvili, M., & Zurabishvili, T.
(2013). *MYPLACE (Memory, Youth, Political Legacy And Civic Engagement) Grant agreement no: FP7-266831, WP5: cInterpreting Participation (Interviews), Deliverable 5.3: Country-based reports on interview findings GEORGIA*. Retrieved
from <http://www.fp7-myplace.eu/documents/D5.3%20Georgia.pdf>
- CRRG-Georgia. (2018). *In the Caucasus we count*. Retrieved from <http://crrc.ge/en/>
- CRRG-Georgia. (2018). *Public attitudes in Georgia database*. Retrieved from
<https://caucasusbarometer.org/en/nd2018ge/downloads/>
- CRRG-Georgia. (2017). *Knowledge of and attitudes towards the EU in Georgia database*.
Retrieved from <https://caucasusbarometer.org/en/eu2017ge/downloads/>
- CRRG-Georgia. (2017). *Caucasus Barometer 2017 Georgia database*. Retrieved from
<https://caucasusbarometer.org/en/cb2017ge/downloads/>
- CRRG-Georgia. (2015). *Caucasus Barometer 2015 Georgia database*. Retrieved from
<http://caucasusbarometer.org/en/cb2015ge/downloads/>
- Cureton, E.E. (1956). Rank-biserial correlation. *Psychometrika*, 21(3), 287-290.
<https://doi.org/10.1007/BF02289138>

- EuropeanValues.info. (n.d.). *Definition of the most basic European Values and their significance for our modern society*. Retrieved from http://europaeschewerte.info/fileadmin/templates/Documents/ewdef_en.pdf
- Field, A. (2005). *Discovering statistics using SPSS* (2nd ed.). London: SAGE Publications.
- Furlong, A., & Cartmel, F. (2006). *Young people and social change: New perspectives* (2nd ed.). Berkshire, England: McGraw-Hill Education.
- Giddens, A. (1991). *Modernity and self-identity: Self and society in the late modern age*. Cambridge, UK: Polity Press.
- Gilbreath, D., Khoshtaria, T., Knowles, E., Mestvirishvili, N., & Zurabishvili, T. (2014). *MYPLACE (Memory, Youth, Political Legacy And Civic Engagement) Grant agreement no: FP7-266831, WP2: Interpreting the past (The construction and transmission of historical memory), Deliverable 2.3: Intergenerational transmission of political heritage and historical memory (Georgia)*. Retrieved from http://www.fp7-myplace.eu/documents/d2/Georgia_D2.3.pdf
- Heath, S., & Cleaver, E. (2003). *Young, Free and Single? Twenty-Somethings and Household Change*. Basingstoke, England: Palgrave/Macmillan.
- Hofstede, G. (2011). Dimensionalizing cultures: The Hofstede model in context. *Online readings in psychology and culture*, 2(1), 8. <https://doi.org/10.9707/2307-0919.1014>
- Hofstede, G. (1983). The cultural relativity of organizational practices and theories. *Journal of international business studies*, 14(2), 75-89.
- Inglehart, R., C. Haerpfer, A. Moreno, C. Welzel, K. Kizilova, J. Diez-Medrano, M. Lagos, P. Norris, E. Ponarin & B. Puranen et al. (eds.). (2014). *World Values Survey: Round Six - Country-Pooled Datafile*

Version: www.worldvaluessurvey.org/WVSDocumentationWV6.jsp. Madrid: JD Systems Institute.

Inglehart, R., & Welzel, C. (2010). Changing mass priorities: The link between modernization and democracy. *Perspectives on Politics*, 8(2), 551-567. <https://doi.org/10.1017/S1537592710001258>

Inglehart, R., & Welzel, C. (2005). *Modernization, cultural change, and democracy: The human development sequence*. Cambridge University Press.

Khoshtaria, T., Kobaladze, M., & Zurabishvili, T. (2018). History in danger and youth civic engagement: Perceptions and practice in Telavi, Georgia. In H. Pilkington, G. Pollock, & R. Franc (Eds.), *Understanding youth participation across Europe* (pp. 293-315). London, England: Palgrave Macmillan.

Khoshtaria, T. (2018). What are the values of young people and how are these different from the values of older generations in Georgia? *Journal of Beliefs & Values*, 39(3), 279-297. <https://doi.org/10.1080/13617672.2017.1359480>

Khoshtaria, T., & Zurabishvili, T. (2013). *MYPLACE (Memory, Youth, Political Legacy And Civic Engagement) Grant agreement no: FP7-266831, WP2: Interpreting the past (The construction and transmission of historical memory), Deliverable 2.1: Country based reports on historical discourse production as manifested in sites of memory (Georgia)*. Retrieved from http://www.fp7-myplace.eu/documents/Partner%2012%20-%20Georgia_deliverable_2_1_submission.pdf

Kieser, A. (1994). Book Reviews: Geert Hofstede: Cultures and Organizations. Software of the Mind: 1991, Maidenhead, UK: McGraw-Hill. 279 pages. *Organization Studies*, 15(3), 457-460. <https://doi.org/10.1177/017084069401500308>

Maslow, A. H. (1971). *The farther reaches of human nature*. United States of America: The Viking Press

MYPLACE: Memory, Youth, Political Legacy and Civic Engagement. (n.d.). *About MYPLACE*. Retrieved from <https://myplaceresearch.wordpress.com/>

Neuman, W. L. (2014). *Social research methods: Qualitative and quantitative approaches*. United States of America: Pearson Education Limited

Nodia, G (1995). Georgia's Identity Crisis. *Journal of Democracy* 6(1), 104-116.
<https://doi.org/10.1353/jod.1995.0014>

Omanadze, S., Gachechiladze, N., Lebanidze, A., & Chachanidze, S. (ACT) (2017). *Generation In Transition. Youth Study 2016 – Georgia*. Tbilisi, Georgia: Friedrich-Ebert-Stiftung (FES).

Pallant, J. (2005). *SPSS survival manual: A step by step guide to data analysis using SPSS* (2nd ed.). Crows Nest, Australia: Allen & Unwin.

Pilkington, H. (1994). *Russia's youth and its culture: A nation's constructors and constructed*. London and New York: Routledge

Roberts, K. (2003). Change and continuity in youth transitions in Eastern Europe: Lessons for Western sociology. *The Sociological Review*, 51(4), 484-505.

Roberts, K., & Fagan, C. (1999). Young people and their leisure in former communist countries: four theses examined. *Leisure Studies*, 18(1), 1-17.
<https://doi.org/10.1080/026143699375023>

- Rokeach, M. (1973). *The nature of human values*. New York, NY, US: Free press.
- Rokeach, M. (1968). The role of values in public opinion research. *Public Opinion Quarterly*, 32(4), 547-559. <https://doi.org/10.1086/267645>
- Saroglou, V., Delpierre, V., & Dernelle, R. (2004). Values and religiosity: A meta-analysis of studies using Schwartz's model. *Personality and individual differences*, 37(4), 721-734. <https://doi.org/10.1016/j.paid.2003.10.005>
- Schwartz, S. H. (2012). An overview of the Schwartz theory of basic values. *Online readings in Psychology and Culture*, 2(1), 11. <https://doi.org/10.9707/2307-0919.1116>
- Schwartz, S. H. (2003). *A proposal for measuring value orientations across nations. Chapter 7 of ESS Core Questionnaire Development*, 259-319. Retrieved from European Social Survey website:
https://www.europeansocialsurvey.org/docs/methodology/core_ess_questionnaire/ESS_core_questionnaire_human_values.pdf
- Schwartz, S. H. (1994). Beyond individualism/collectivism: New cultural dimensions of values. In U. Kim, H. C. Triandis, Ç. Kâğıtçıbaşı, S.-C. Choi, & G. Yoon (Eds.), *Cross-cultural research and methodology series, Vol. 18. Individualism and collectivism: Theory, method, and applications* (pp. 85-119). Thousand Oaks, CA, US: Sage Publications, Inc.
- Sumbadze, N. (2012). *Generations and values*. Tbilisi: Institute for Policy Studies. Retrieved from Open Society Georgia Foundation (OSGF) website:
https://www.osgf.ge/files/publications/Taobebi_1.pdf

- Tevzadze, G. (2009). The birth of the Georgian nation. Identity and ideology. Political and societal identities. Nationality and religiosity. *Identity Studies in the Caucasus and the Black Sea Region*, 1(1), 5-21.
- Tsuladze, L. (2012). How things are remade Georgian: Glocalisation and the assertion of 'national' among Georgian youth. In G. Tsolidis (Ed.), *Identities in Transition*, (pp. 93-103). Oxford, UK: Inter-Disciplinary Press.
- Walker, C., & Stephenson, S. (2010). Youth and social change in Eastern Europe and the former Soviet Union. *Journal of youth studies*, 13(5), 521-532.
<https://doi.org/10.1080/13676261.2010.487522>
- Williams Jr, R. M. (1974). The Nature of Human Values. By Milton Rokeach. *Political Science Quarterly*, 89(2), 399-401.
- World Values Survey. (2014). *WVS Wave 6 (2010-2014) (Aggregated Documentation)*. Retrieved from <http://www.worldvaluessurvey.org/WVSDocumentationWV6.jsp>
- Wyn, J., & White, R. (1997). *Rethinking youth*. Crown Nest, Australia: Allen & Unwin.
- Zedania, G. (2011). Societal Values in Georgia: Twenty Years Later. In N. Hayoz, L. Jesien & D. Koleva (Eds.), *20 Years after the Collapse of Communism: Expectations, achievements and disillusion of 1989* (pp. 253-272). Peter Lang AG, Internationaler Verlag der Wissenschaften

დანართები

დანართი 1: დისერტაციაში გამოყენებული კორელაციები

ასაკობრივი ჯგუფების (18-25; 26-35; 36-45; 46-55; 56-65; 66+) კორელაცია ღირებულებების ცვლადებთან

დისერტაციაში ცხრილის/დიაგრამის ნომერი	ცვლადი „მსოფლიო ღირებულებების კვლევადან“	კითხვის ფორმულირება (შემოკლებული ვერსია) ^{1,3}	პასუხის ვარიანტები	ტესტი/კორელაცია	კორელაციის კოეფიციენტი	სანდოობის დონე
დიაგრამა 1	V70	ამ პიროვნებისათვის მნიშვნელოვანია ახალი იდეების მოფიქრება, შემოქმედებითობა და ყველაფრის გაკეთება თავისებურად.	1 ძალიან მგავს 2 მგავს 3 ასე თუ ისე მგავს 4 უმნიშვნელოდ მგავს 5 არ მგავს 6 სრულიად არ მგავს	სპირმანის კორელაციის ტესტი (Spearman's rho correlation)	.151**	<0.01
დიაგრამა 2	V71	ამ პიროვნებისათვის მნიშვნელოვანია იყოს მდიდარი; ჰქონდეს ბევრი ფული და ძვირადღირებული ნივთები.	1 ძალიან მგავს 2 მგავს 3 ასე თუ ისე მგავს 4 უმნიშვნელოდ მგავს 5 არ მგავს 6 სრულიად არ მგავს	სპირმანის კორელაციის ტესტი (Spearman's rho correlation)	.112**	<0.01
დიაგრამა 3	V72	ამ პიროვნებისათვის მნიშვნელოვანია უსაფრთხო გარემოში ცხოვრება და ყველაფრის თავიდან აცილება, რაც სახიფათოა.	1 ძალიან მგავს 2 მგავს 3 ასე თუ ისე მგავს 4 უმნიშვნელოდ მგავს 5 არ მგავს 6 სრულიად არ მგავს	სპირმანის კორელაციის ტესტი (Spearman's rho correlation)	-.075**	<0.01
დიაგრამა 1	V73	ამ პიროვნებისათვის მნიშვნელოვანია კარგი დრო გაატაროს; თავს არ უთხრას უარი არაფერზე.	1 ძალიან მგავს 2 მგავს 3 ასე თუ ისე მგავს 4 უმნიშვნელოდ მგავს 5 არ მგავს 6 სრულიად არ მგავს	სპირმანის კორელაციის ტესტი (Spearman's rho correlation)	.221**	<0.01
დიაგრამა 4	V74B	ამ პიროვნებისათვის მნიშვნელოვანია, დაეხმაროს ხალხს მის	1 ძალიან მგავს 2 მგავს 3 ასე თუ ისე მგავს	სპირმანის კორელაციის ტესტი	-.034	-

		გარშემო და იზრუნოს მათ კეთილდღეობაზე.	4 უმნიშვნელოდ მგავს 5 არ მგავს 6 სრულიად არ მგავს	(Spearman's rho correlation)		
დიაგრამა 2	V75	ამ პიროვნებისთვის მნიშვნელოვანია იყოს წარმატებული და ხალხი აღიარებდეს მის მიღწევებს.	1 ძალიან მგავს 2 მგავს 3 ასე თუ ისე მგავს 4 უმნიშვნელოდ მგავს 5 არ მგავს 6 სრულიად არ მგავს	სპირმანის კორელაციის ტესტი (Spearman's rho correlation)	.105**	<0.01
დიაგრამა 1	V76	ამ პიროვნებისათვის მნიშვნელოვანია თავგადასავლები და რისკი; იცხოვროს მშფოთვარე ცხოვრებით.	1 ძალიან მგავს 2 მგავს 3 ასე თუ ისე მგავს 4 უმნიშვნელოდ მგავს 5 არ მგავს 6 სრულიად არ მგავს	სპირმანის კორელაციის ტესტი (Spearman's rho correlation)	.146**	<0.01
დიაგრამა 3	V77	ამ პიროვნებისათვის მნიშვნელოვანია, ყოველთვის სწორად იქცეოდეს და არასოდეს გააკეთოს ისეთი რამ, რაზეც ხალხი იტყვის, რომ ეს არასწორი საქციელია.	1 ძალიან მგავს 2 მგავს 3 ასე თუ ისე მგავს 4 უმნიშვნელოდ მგავს 5 არ მგავს 6 სრულიად არ მგავს	სპირმანის კორელაციის ტესტი (Spearman's rho correlation)	-.089**	<0.01
დიაგრამა 4	V78	გარემოზე ზრუნვა და ბუნების დაცვა მნიშვნელოვანია ამ პიროვნებისათვის; ბუნებაზე ზრუნვა და რესურსების გაფრთხილება.	1 ძალიან მგავს 2 მგავს 3 ასე თუ ისე მგავს 4 უმნიშვნელოდ მგავს 5 არ მგავს 6 სრულიად არ მგავს	სპირმანის კორელაციის ტესტი (Spearman's rho correlation)	-.049	-
დიაგრამა 3	V79	ტრადიცია მნიშვნელოვანია ამ პიროვნებისათვის, ადათ-წესების დაცვა, რომელიც შთამომავლობით გადმოეცა მისი ოჯახისაგან ან რელიგიიდან.	1 ძალიან მგავს 2 მგავს 3 ასე თუ ისე მგავს 4 უმნიშვნელოდ მგავს 5 არ მგავს 6 სრულიად არ მგავს	სპირმანის კორელაციის ტესტი (Spearman's rho correlation)	-.150**	<0.01
დიაგრამა 5	V37	არ ვისურვებდი მეზობლად სხვა რასის წარმომადგენლებს	1 არ ვისურვებდი 2 არ დასახელდა	Rank Biserial correlation/ Spearman's rho correlation	-.052	-
დიაგრამა 5	V39	არ ვისურვებდი მეზობლად იმიგრანტებს/უცხოეთიდან ჩამოსულ მუშახელს	1 არ ვისურვებდი 2 არ დასახელდა	Rank Biserial correlation/ Spearman's rho correlation	-.062*	<0.05
დიაგრამა 5	V40	არ ვისურვებდი მეზობლად ჰომოსექსუალებს	1 არ ვისურვებდი 2 არ დასახელდა	Rank Biserial correlation/	-.090**	<0.01

				Spearman's rho correlation		
დიაგრამა 5	V41	არ ვისურვებდი მეზობლად სხვა რელიგიის მიმდევრებს	1 არ ვისურვებდი 2 არ დასახელდა	Rank Biserial correlation/ Spearman's rho correlation	-.051	-
დიაგრამა 5	V44	არ ვისურვებდი მეზობლად ადამიანებს, რომლებიც სხვა ენაზე საუბრობენ	1 არ ვისურვებდი 2 არ დასახელდა	Rank Biserial correlation/ Spearman's rho correlation	-.074*	<0.05
ცხრილი 6	V10	ბედნიერების ხარისხი	1 ძალიან ბედნიერი ვარ 2 საკმაოდ ბედნიერი 3 არც ისე ბედნიერი 4 სრულიად არ ვარ ბედნიერი	სპირმანის კორელაციის ტესტი (Spearman's rho correlation)	.288**	<0.01
ცხრილი 7	V11	ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება	1 ძალიან კარგი 2 კარგი 3 საშუალო 4 ცუდი	სპირმანის კორელაციის ტესტი (Spearman's rho correlation)	.517**	<0.01
ცხრილი 8	V23	ცხოვრებით კმაყოფილება	1 სრულიად უკმაყოფილო 10 სრულიად კმაყოფილი	სპირმანის კორელაციის ტესტი (Spearman's rho correlation)	-.326**	<0.01
ცხრილი 9	V55	გავლენა ცხოვრებასა და არჩევანზე	1 საერთოდ ვერ ვახდენ ზემოქმედებას ჩემს ცხოვრებაზე და არჩევანზე 10 ძლიერ ზემოქმედებას ვახდენ ჩემს ცხოვრებაზე და არჩევანზე	სპირმანის კორელაციის ტესტი (Spearman's rho correlation)	-.140**	<0.01
ცხრილი 10	V4	რამდენად მნიშვნელოვანია ოჯახი	1 ძალიან მნიშვნელოვანი 2 მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი 3 მეტ-ნაკლებად უმნიშვნელო 4 სრულიად უმნიშვნელო	სპირმანის კორელაციის ტესტი (Spearman's rho correlation)	-.010	-
ცხრილი 10	V5	რამდენად მნიშვნელოვანია მეგობრები	1 ძალიან მნიშვნელოვანი 2 მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი 3 მეტ-ნაკლებად უმნიშვნელო 4 სრულიად უმნიშვნელო	სპირმანის კორელაციის ტესტი (Spearman's rho correlation)	.203**	<0.01

ცხრილი 10	V6	რამდენად მნიშვნელოვანია თავისუფალი დრო	1 ძალიან მნიშვნელოვანი 2 მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი 3 მეტ-ნაკლებად უმნიშვნელო 4 სრულიად უმნიშვნელო	სპირმანის კორელაციის ტესტი (Spearman's rho correlation)	.177**	<0.01
